

# მნათობი



საქართველოს  
წიგნწერის  
კავშირების  
კავშირი

114 /  
1935 / 2

## 10

### შინაარსი

კომუნა  
სიმონ ჩიქოვანი  
გიორგი კახაიძე  
კობეძე სამსონიძე  
კატული  
პროზა

კონსტანტინე გამსახურდია  
კანტელშიმონ ჩიქვაძე  
შალვა ლაღიანი  
რაჭლის გვებაძე  
მოსე ვვანალია

ლიტერატურის ისტორია  
ნ. ურუშაძე  
ლ. ასათიანი  
ვ. კაკაბაძე  
ი. მანუშტაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობა  
ალ. ჩავლითვილი

წარსულიდან  
ნეკროლოგი

შ. რ.  
ბიბლიოგრაფია  
ზრ. ნუცუბიძე  
მ. ვ.






ქართული  
კომუნისტური

# მნათობი

სრულიად საბარტველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირის ყოველთვიური  
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-  
გადოებრივ-საკოლიტიკო ჟურნალი

10

წელიწადი მეთორმეტე



სახელობი

1935

ბიბლიოთეკა

44211  
1654

პ.შ. რედაქტორი გიორგი ურულაშვილი



**სარედაქციო კოლეგია:** ირაკლი აბაშიძე  
ნოე ზომლეთელი **ერყენული**  
ნიკო ლორთქიფანიძე **ბლიცხევაძე**  
კონსტ. ლორთქიფანიძე  
ბრ. მუშიშვილი  
შალვა რადიანი  
ბალაქტიონ ტაბიძე  
ტიციან ტაბიძე  
ლევ. გიანელი  
პანტილემონ ჩხიკვაძე  
დენა შენაღლაია

---

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მთაბლის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25.  
ფგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

---

სახელგამის პირველი სტამბა, პლენანოვის პროსპექტი № 91  
მოველიტ. რწმ. № 1 — 7057. შეკვ. № 616. ტირაჟი 6000.

სიგონე ჩიქოვანი

## ლონგასის ღამე

ესეც ქარხანა, ვით ვარსკვლავები  
შეუყავს ღამეში ციმციმა ჩქერებს.  
შაირის ეტლით და სადავეთი  
გული მფეთქავი აქ შევაჩერე.  
ქარხნის ქვემოთ სდგას ქარის წისქვილი,  
როგორც გაშლილი ფიტული ყვავის.  
ქარის წისქვილი, როგორც სირცხვილი  
დაკიდებს ფრთებს და მიაგავს ჩხავილს.  
შემდეგ ფრთიან ხელს აფოთიანებს,  
იჭერს ქარსა და უმტკიცებს თითქო:  
წინ გაწოლილი ველი ტრიალი  
მისგან წრიალს და ცხოვრებას ითხოვს.  
რომ ეს ქარხანა ხალხით, ხრახნილით,  
არა არის რა, წისქვილს გარეშე. —  
ფრთებზე აწვება ღამე დაქრილი  
და მლოცველივით ხელებს აშეშებს.  
ქარის მოსვლისას, როგორც სამზრეთელს  
უყვარს ხელებით ბაასი ბრუნდათ.  
და ქარხნის შუქით ტანში დახვრეტილს  
მიმავალ ქარზე აზმორებს ცუდად.  
მატარებლები გაუელვებენ  
მიწიდან ამდგარ კვამლს და მნათობებს  
და შეწყობილი სიბრძნე ელდენთან,  
შუქის წკრიალით ნივთებს ატოკებს.  
მოდის ღამე და მუცლის ბარბაცით  
აწვება ველებს ნახშირით მსუქანს.  
დგება ქარხანა და როგორც კაცი  
საუკუნეებს გადასწევს უკან.  
მაშინ გამოყავს ქარს ლამანჩელი,  
მიყავს წისქვილთან მეგობრულ ფიქრით.

ესმის რაინდსაც დღის განაჩენი  
 და სასტიკ მტრისკენ სამძიმრით მიჰქრის.  
 ის აჩხარუნებს ჯაფშანს, კაეშანს  
 გავს ტანადობით ოდიშელ ბატონს.  
 წისკვილის ფრთებიც ნდობით დაეშვა,  
 უნდათ ორივეს დრო მოიხადონ.  
 ვით მოსირმული ხავსით მნათობი  
 უძლური ფრთები ეხვევა ქარში.  
 და მოწყვეტილი ღამის ტატნობი  
 ფრთებს გადაისვრის წარსულის ტბაში.  
 სხივი ღამიანჩელს ხმალს გადაუმტვრევს;  
 რიყრაყი ხალხის ჟრიამულს შეჰყრის.  
 დგება ქარხანა ტატნობის ფერი  
 და სიამაყე სამშობლო ჭვეყნის.  
 მტერ ღამიანჩელთან და მოხუც ფრთებთან  
 გაგზავნილი ჰყავს კეამლი პირქუში.  
 მე შემომხედდეს და ქარხნის ფეთქვას  
 სტრიქონებივით ჩამიწყობს, გულში.  
 და მეტყვის იგი: მუხის ნაფოტო,  
 რიონის ჩქერში ტალღით ნაცემო,  
 ალვის შრიალში ამონაბოდო  
 და საბჭოეთში ნავაჟკაცებო,  
 კლდეთა ხრიალი გადაეც ნახშირს  
 მოძმეს გადაეც მგოსნის ქონება.  
 და ქართლის სიტყვაც ამ ბუნებაში  
 პოებს სამშობლოს და შთავონებას.



კონსტანტინე გამსახურდია

## მთვარის მოტაცება

რომანი\*)

კარი მისამი

ნ. ნ. ნ. ნ.

ზღვისპირა დაბა წითელი დროშებით შეემკოთ. რომაული თოთხმეტი მიყრათ რაიკომის ორსართულიან სახლის ფასადზე, მაგნოლიების გირლიანდებით და ელექტრონის ლამპიონებით შემკული. დროშები ფრიალებდნენ მომცრო სახლების აივნებზე. ჩვეულებრივად ბნელსა და ტალახიან დაბაში მომეტებული სინათლე დაეყენებიათ. ქუჩებსა და შუკებში პაპიროსის ვასრესილი კოლოფები, ნარინჯის ნაფქველები და პლაკატია ნახევები ეყარა. მოედანზე მიტინგი უკვე დასრულებულიყო. სახლებიდან და დუქნებიდან მოჭეფეთა სიმღერა ისმოდა, სიმღერა და ხმამალალი სორბოცი. აქა-იქ დუქნების წინ, ჭადრების ქვეშ დამდგარიყვენ მოქალაქენი და ხმამალა საუბრობდნენ.

სალამოს 7 საათზე რაიკომის აივნიდან ტანმორჩილი, კოჭლი კაცი ჩამოდიოდა. სახეს მტკივნეულად მანჭავდა, პაპიროსიან ხელს თეძოს თავზე იბჯენდა, მეორესაც ბამბუკის ჯოხს აყრდნობდა. წითელარმიელის ფარაჯა ეცეა ამ კაცს, თავზე მდელოსფერი კეპი ეხურა ყურებანდის ჩამოფხატული. მიდიოდა თავაუღებლად. აბოლებდა პაპიროსს თანაც.

ოდნავ ეინჯლავდა. ნისლი დგებოდა ზღვიდან. იხვების ლაშქარი დაბლა, სულ დაბლა გადადიოდა ქალაქის თავზე. რეიდზე მდგარი გემი უსაშველოდ ბლაოდა, კვამლის ქულებს აგზავნიდა ცაში. სადღაც ბუქსირი ზმუოდა, გარეთ დარჩენილ მოზვერსავით ზმუოდა და ეს ხმაური აყრუებდა პატარა დაბას.

კებიანი კაცი დუქნის წინ შესდგა. ახლადგაკრულ პლაკატს თვალი შეავლო და შერმე უჩქარა ნაბიჯს. გადაღმა დუქნიდან ღიპიანი, მელოტი

\*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

გამოვიდა, ჯიქურ გადასურა ტალახიანი პროსპექტი, ჩქარი ნაბიჯით გამოედევნა კეპიანს.

„ბატონო, ამხანაგო რაიკომო“ წაილულულა აღშფოფებულმა ლიპიანმა.

გზა-მოსაქმნა

კეპიანი შესდგა.

„რა გნებაეთ?“ მიმართა მეკახედ, რაკი ყოფილი ვაჭარი შეიცნო.

„ნალოგები, ნალოგები შემომაწერეს“.

„მე დიდი ხანია რაიკომი აღარ ვარ, მე არ მეკითხება, არენბა არლანს მიმართეთ“.

მოკლედ მოუჭრა ფარაჯიანმა ტროტუარიდან ზედ პროსპექტზე გადავიდა და უმატა ნაბიჯს.

პროსპექტის ბოლოს ახმახი, ჩექმებიანი კაცი ტროტუარიდან ვადმოვიდა სწრაფი ნაბიჯით, ჯიქურად მიეჭრა კეპიანს. თავიდან წოწოლა, ბარტყულებიანი სამხედრო ქუდი მოიხადა, მარცხენა ხელი მკლავში წაავლო და ეუბნება:

„ჩალმაზ შენ!...“

„უშუბზია, იჩელი“, წარმოსთქვა მოლუშულმა კაცმა, კეპის საჩრდილი ზეასწია და იმან, ვისაც იჩელი უწოდეს თავისი გრძელი დათვეური თათი დაადო მხარზე ჩალმაზს.

„ტფილისში ხომ არ ყოფილხარ?“

ეკითხება ლიჩელი.

„ტფილისში ვინ გამიშვა?“

„რატომ რაო?“

„რაიკომის განკარგულებაში ვითვლები“...

ლიჩელიმ თავისი არაბული, სქელი ტუჩები მაგრად მოკუმა. ცერცვისფერი, დიდრონი თვალებით ჩააქცერდა ჩალმაზის კორფლიან სახეს, ჩალმაზის მხრიდან ხელი ჩამოიღო, მკლავები გაუყარა და მხნედ ეუბნება:

„ვიაროთ“.

მცირე ხანს ასე მიდიოდნენ მდუმარედ. დაკეტილი სამჭედურების მწკრივი გაიარეს; შოსსეს მხარმარცხნივ ზღვას მიყვებოდა, ზღვის ვაყოლებით ციტრუსოვანი ბაღები იყო, ნარინჯები ისე ღვივოდნენ მწვანეში, როგორც ნაკლები ვოლტაჟის ელნათურები. ნარინჯის ბაღებს გადაღმა შრიალებდა ზღვა და რეიდზე მდგარი გემი ასთვლიანი გველეშაპს დამსგავსებოდა ცეცხლის მფრქვეველს.

მხარმარცხნით დაბალი ოდები და ისლით დახურული სახლები იწყებოდა.

ლიჩელიმ აქეთ-იქით გაიხედა და რა დარწმუნდა შოსსე ცარიელი იყო, პირველმა დაარღვია დუმილი:-

„ფები როგორა გაქვს ჩალმაზჯან?“

„უარესად, ამიდის ბრალია“.

„თაბაშირი ხომ მოიხსენი?“

სამი კვირაა რაც მოვიხსენი, მაგრამ უკეთესობა ჯერ შორსაა! ლიჩელიმ კიდევ წაიგრძელა კისერი ვარზივით, კიდევ მუდგლო თვალი თემშარას, თითქმის ყურში უჩურჩულა ჩალმახს: *გინგლირისეა*

„პოლიტსამმართველოს მოხსენება გადაუგზავნე?“

„გადაუგზავნე, მერე რა?“

„რაო და ასე ამბობენ შენ რომ იცი ის, მოსკოვს მიჰყავთო, თუ იგი წაიყვანეს, პოლიტსამმართველო არლანს გადმოუგზავნის ჩვენს მიერ ხელმოწერილ პატაკს და მერე ჩვენ კაი დღე არ დაგვადგება.“

ჩალმახმა თავი ჩაჰჭინდრა და ისევ იარეს მდუმარედ.

„თავდაშსხმელის ვინაობა ჯერ ხომ არ იცი?“

„ერთისა კი... მერმე რა რომ ვიცი?.. განა იგივე კაცი არ დაესხა არზაყანს აგვისტოში თავზე? ის საქმეც მე გავახსენებინე. გვასალიას დავადევი ხელი. აჭაურმა პოლიტსამმართველომ რაიკომს გადაუგზავნა. არლანმა დიდხანს ინახა ქალაღდები, მერმე მიაფუჩიხა... ასე ამბობდა: ტფილისში გადავგზავნეო.“

გვასალია არლანის კაცია. ჯერ გვარწმუნებდა მოწმეები უნდაო. იმა ვინ დაისწრებს კაცისკვლის დროს მოწმეებს? ვინ იცის ეგებ გვანჯ აფაჭიძე დაისწრო მოწმედ“.

ვილაც ცხენოსანმა ჩამოიარა. ორივენი დადუმდნენ და კოპიტების ლანდებში გაერიენ.

„შენ როგორ გახსენი ეგ საქმე?“

იკითხა ლიჩელიმ.

„იმ ხანებში, ქორწილში დაეთოთ გვასალიას ბიჭი. ქალებში დაუტრიახანია. გეცოდინება, გვასალიას ბიჭი, აფაჭიძის უმცროს ქალს ზესნას ჰყვარობს, ასე რომ არლანს უნდა მიულოცოს კაცმა ღირსეული ქვისლი“.

კარგა ხანს ასე იარეს. მერმე ურმის ქრიალი მოისმა და მეკამეჩისა ლილინი.

ლიჩელიმ მიიხედ-მოიხედა, ველარც მურმე ნახა და ველარც ურემი. და კვლავ იკითხა ჩურჩულით:

„მაშ შენ უმკველი ცნობა გაქვს, რომ შენი თავდასხმაც გვასალიას მოწყობილია?“

„უმკველიცნოვანი ცნობები მაქვს. ერთი ლუხუმელი კოლმეურნე ხელს ადებს. ამ კაცის საბლში გაუთევიათ ღამე გვასალიას და გვანჯ აფაჭიძეს. უმკველია, არლანის ხელიც ურევი აქ. შენ ვერ შემოგბედა, სამაგიეროდ სოხუმში გადაგისროლა. არზაყანი გადაიკარგა. აბლა მე შევრჩი ხელში. ჩვენ აქ მისთვის უხერხული ხალხი ვართ. ეს გასაგებია“.

„საბოლოოდ რას ფიქრობ?“

შეეკითხა ლიჩელი.



რა ვქნათ ნანასქუა, როგორც კი შელამდება, ჩემი ბიჭის მხლოდინში სული მძვრებაო. სჩივოდა დედა.

ლიჩელიმ სტუმარს სკამი მოუტანა, თავათ მეორეე ქუჩაზე უჯვიდა. მოხუცმა ბუხრის პირად მიიპატიჟა სტუმარი. ლიჩელმა: *სტუმარი* დადმორთულ ოთახს მოავლო თვალი. კედელზე სტალინის ფოტოსურათი ეკიდა და ორ საწოლზე ოთხი ბავშვი იწვა ურთიერთისაკენ თავებზე შექცეული.

ლიჩელიმ ახლა დედაკაცისაკენ გადაიტანა მზერა. შესცქეროდა და იცინოდა:

„ეგ მუდამ ასეა, როხროხოზს ლიჩელი, უცოლო ვაჟები მუდამ პატარად ეჩვენება დედას“.

„ეკ ნანასქუა, მე ვერ მოვესწარი ჩემი ბიჭის დაცოლშვილებას. ყოველთვის საფრთხეში უდგას ფეხი. სულ ასე ამბობს ნანასქუა, მაცალე დედი გამოკეთდება საქმე, მერმე შევირთაო ცოლს. სამი ძმა გაზარდა, სამი ცა ვაითხოვა. სულ მაცა, მაცაო იძახის ნანასქუა. ნიკოიას დრო იყო, იქერდნენ, ესროდნენ, ასახლებდნენ, ახლა რაღა დროს ცოლიაო? შაშინ ამბობდა“.

ლიჩელიმ ფარაჯა შეიხსნა, ფრენის უბეზე მიკრულ წითელ ორდენზე თვალი დარჩა დედაკაცს.

ლიჩელი ადგა, ფარაჯა გაიხადა და როცა მობრუნდა, დედაკაცი შეწუხდა. ორზელა ეგონა და ცალზელა დედაკაცი დაჯდა სკამზე. მკლავი ზედ მხრისთავთან ჰქონდა მოკვეთილი და ფრენის ცარიელი სახელური და ბარტყუნებდა ცარიელი სახელო.

ლიჩელის ფართო, ჩოფურა სახეს შეხედა, უკვირდა ამ ახოვან ვაჟკაცს როგორ ვადევიწყნოდა მარჯვენა ხელის უჭონლობა.

იჯდა და როხროხოზბდა უზარმაზარი, მტუტისფერთმიანი დედაკაცი. გულარხეინად იცინოდა დედაკაცის წუწუნის გამგონე.

„არაფერია დედიჯან, არაფერია, ყველაფერი კარგად იქნება დედიჯან. ცოლი შევრთოთ ცოლი თქვენს ვაჟკაცს“.

როხროხოზბდა, თანაც მძინარე ბავშვებისაკენ იხედებოდა. გრძელწამწამიან, შოკოლადისფერ გოგონას თავი მუთაქიდან გადმოეგდო, პირად იწვა, მარჯვენა ხელი ნუშის კვირტავით პაწია ძუძუზე დაედო, ომადე საწოლში სქელკისერა ბიჭუკელას საბანი გადაეგდო, წითელი ტუჩპირი საამურად გაბუტული დარჩენოდა. ორ დანარჩენს, ნაციებ ჩვილებს საბნიდან გაშვართული ფეხები გამოეწვდინათ.

ლიჩელიმ უყურა, უყურა ბავშვებს. მიუახლოვდა გრძელწამწამიან გოგონას, აიღო მისი პაწია ხელი და ისე ემთხვია ხელზე, როგორც წინათ — ღუთიებას. თვალები გაუბრწყინდა და გაიხარა.

მერმე ისევ თავის ადგილას დაჯდა და მოხუცებულს შეეხმინა:

„ასე ვქნათ, ასე დედიჯან, ცოლი შევრთოთ თქვენს ვაჟს, ცოლი“.

„როდისღა მერმე ნანასტუა? მერე მენშევიკების დრო მოვიდა, ისევ დაიჭირეს, ისევ გადაასახლეს. ახლა ჩემი უფროსი ვაჟი გადაიცივალა უზანო. ეს ოთხი ბავშვი გასაზრდელია. ახლა ამ ობლებს უნდა უუპატრონოვო. მე არ ვიცი ჩვენი დრო რომელია ნანასტუა? მსხლია! არ დანის დრო ყოფილა თურმე, მან ისევ ტყვიას უნდა მიუშვიროს მკერდი ნანასტუა“.

„ნუ გეშინია, ნუ გეშინია დედი, ხითხითებს ლიჩელი, განა ასეთები მოგივლევია. ეს ჩვენი დროა, დიახაც ჩვენი დროა დედიჯან. რაც უნდა კარგად გათოხნილი იყოს სიმინდი, არ შეიძლება მცირეთაღენი კაქაჭი და ანწლი შიგ არ გაერიოს დედიჯან, შენ არხეინად იყავი, მეყანე კიდევ ერთხელ გამარგლავს ყანას“.

„თქვენ პირს შაქარი ნანასტუა, თქვენ პირს შაქარი“.

ესა სთქვა მოხუცმა და კვლავ განაგრძო თავისებური წუწუნნი. მე ისევ ქვრივის ძაძებში ვივლიო, მარილსა და ღომს ვიკმარებო, ოღონდ ჩალმაზმა ცოლი შეირთოსო, თქვენც ურჩიეთო, უძეოდ ნუ გადაეგება. ქვეყანას ვინ შესცვლისო მარტოვა. მთა და ბარი ვის გაუსწორებია, ჩემმა შვილმა რომ გაასწოროსო.

ჩალმაზი შემოვიდა. მოხუცმა ბაგე მოკლუმა.

„ახლა შენ წადი ნან, მიმართა მან თავაზიანად დედას, წადი და დაიძინე, ჩვენ საქმე გვაქვს აქ“.

„ახალვე ნანა, ახლავე, ჯერ ვახშამს მოგიტანთ. ცოტაოდენ ქათმის უწნოს და ღვინოს“.

ჩალმაზი შეეპატივა ლიჩელის.

უკანასკნელმა იუარა:

„შენ რომ შეგხვდი, სწორედ იქავე დუქანში ვივახშმე შენმა ვაზრდამ“.

„აბა, ჭყინტი სიმინდი და ღვინო ინებოთ ეგების?“

შეეპატივა მოხუცი სტუმარს.

ესა სთქვა და სამფეხა მაგიდა მოაჩოჩა. მერმე მაქოსავით დატრიალდა პატარა დედაკაცი და ერთ წუთში გააწყო სუფრა.

ლიჩელიმ შეუპატიებლად აიღო ტარო, ცხენისებრ კბილებით მოკბინა და როცა მოხუცი დასასვენებლად წაეიდა, ჩალმაზს მიუბრუნდა:

„მე ხვალღამ მივდივარ ტფილისს, შენ რას იტყვი ჩალმაზჯან, მოდი ერთხელ კიდევ შევეუტოთ არლანს?“

ჩალმაზსაც სიმინდით გაეცსო პირი. დიდხანს იღეკებოდა. მერმე ღვიწრო მოსვა და ლიჩელის უთხრა:

„შენ ჩემზე გამოცდილი ხარ როსტომ და ქკუა ჩემგან არ გესწავლება. მე მგონია, აქ მარტო ჩალმაზის ამბავი არაა. აქ ხელმძღვანელობის ამბავიცაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის იძულებით შემოღება, სიმინდის გამზადების ასე განუკითხავად ჩატარება ეს ყოველივე კისერს მოატყხინებს ამ ხალხს. ვაზაფხულამდის მოვიცადოთ, თესვის

კამპანიის დაწყებამდის კიდევ ბევრი რამ გამოირკვევა. ურთის შორე კმა-ყოფილიცა ვარ, არლანი აქედან რომ არ მიშვებს. მე უფლება არა მაქვს ასეთ დროს ჩემს საგუშაგოს მოვცილდე. მე ცნობები მაქვს, გვანჯ აფაქიძე და გვასალიას ბიჭი ორმაგად თაღლითობენ. ისინი ცალ ხელს რაიკომის საქმეში ურევენ, ცალი ხელითაც უქმყოფილო ბოზობებს რაზმავენ... გაზაფხულამდის მოვიცადოთ, გაზაფხული ბევრ რამეს გვეტყვის. მანამდის არლანს ვადევნოთ თვალყური“.

უკვე მამლების ყვილი ისმოდა, როცა ჩალმაზმა კიბეზე ჩამოაკილა სტუმარი.

„უპ, როგორი ნისლი დამდგარა“, წარმოსთვა და თეძოს თავზე ხელი დაიდო. ასეთ ამინდში მიორკეცდება ტკივილები“.

„ნისლია ნატყვიარების მტერი. ნისლი და ნოტიო. ჩემი მარჯვენა დენიკინმა მომჭრა მაგრამ მარცხენაც ეყოფა არლანს თუ გასჭირდა. მე ცაცია გამხადა რევოლვუციამ. ხომ იცი ცაციები უკეთ ისვრიან“.

ეს სიტყვა ლიჩელიმ და კრიალი შექმნეს კიბის საფეხურებმა. დიდხანს იდგა ჩალმაზი აივანზე და შესცქეროდა თუ როგორ ჩაიფლო ნისლში ლიჩელის უზარმაზარი ლანდი.

## 57. ბარათები მახვშის კოშკიდან

თამარ შერვაშიძისადმი ზუგდილში. 13. XII. 1931 წ.

„ძვირფასო თამარ,

გახსოვს საქართველოს მუზეუმში რომ გიჩვენე პალიმფსესტები? შენ იმ დღეს უყურადღებოდ მისმენდი. პალიმფსესტი ისეთი ეტრატია, რომელზედაც ოდესღაც რალაც წაუწერიათ, მერმე ეს წაუშლიათ, სხვა წაუწერიათ. ასეთ ეტრატს სინათლეში რომ გახედავ, ძველსაც შეამჩნევ და ახალსაც.

ასე ჩემო ძვირფასო, ასეთი პალიმფსესტია ჩვენი სულიც. ვილაც მოდის, აწერს და შლის, აწერს და შლის.

წუხელ ერთ ძველ კოშკთან ღამე ვათიეთ. სევანს ვეკითხები: ოა კოშკია მეთქი.

თამარისაო.

დღეს საღამოს შინ დავბრუნდი. მასპინძლის შეილისშვილის შვილი დაგოგავდა ეზოში, პაწია გოგონა.

მივეალერსე.

სახელი რა გქვია მეთქი.

თამარიო.

საქართველოში ხომ ყოველ მესამე ციხეს თამარი ჰქვია, ყოველ მესამე ქალს თამარი, მაგრამ მაინც მაყრეოლებს ამ სახელის გაგონებისას, თავისთავად კარგი და ცუდი სახელი არ არსებობს, მაგრამ უფრო უფრო გააღია გამობარი, რაღაც მაგიური გრძნეულებით გაქვნილი ზღაპრული

ამ შემთხვევებში ვადამაწყვეტინა წერილი მომეწერა შენთვის. მე არა ერთხელ დამიწერია აქ შენთვის გამოსაგზავნი ბარათი, მაგრამ დამიხევიდა. ეგებ არც ეს გამოვიგზავნო, მაინც ვწერ. არ ვიცი კარგად, გეწყინება თუ ვაგებარდება. ასეა თუ ისე, უნდა მიეჩვიო ადამიანი ისევე გულგრილად მოიგონო შენი წარსული, როგორც ლოფორთქინა მოიხსნის ხოლმე თავის ხობოკვერას. ამბობენ ქვის ქვეშ გაძვრება, ან ხერელში ვაივლის და ძველ ხობოკვერას ასე მოიხსნისო თურმე ლოკოკინა. განა ლოფორთქინაზე მეტი მანძილი გვიძვეს წინ? განა ლოფორთქინასავით უმწეო არა ვართ ჩვენ? შევეცქერი ამ დიდებულ მყინვარებს, ვერცხლის ტახტებზე წამომჯდარ მოგვებს.

შევეცქერი მათ დილას, შუალამეს, მწუხრზე და ღამითაც როცა მთვარე ზედ წამოადგებათ და ჩასთვლემენ ეს გოლიათები.

და მე ჩემს თავს ლოფორთქინას ვადარებ. საცოდავს, ხანმოკლე, უსუსურ ლოფორთქინას.

და მე დავუძებ, ვიწრო, ვიწრო ხერელს, უმტკივნეულოდ გადავიძრო ძველი ხობოკვერა, ძველი ნივარი.

შესაძლოა, შენ არც კი ვახსოვარ, გულმავიწყიაო, ასე უთქვამთ, ქალის ჯილაგი.

ჩემთვის ცხადია, მაინც შენა ხარ უკანასკნელი ზედწარწერა ჩემი სულის პალიმფსესტისა. შენი ალერსი, შენი ტუჩპირის ნელსურნელება, შენი სხეულის სიტყობობა, საფლავშიაც თან წამყვება უთუოდ ჩემო.

ვზივარ ცივ კოშკში, მახვშის კოშკში და ვფიქრობ ჩემთვის. ნეტავ სადა ხარ შენ ამ წუთში? ნეტავ რას ფიქრობ? ხანდახან მაინც თუ გაგონდება? როგორ ტკბილ ოცნებას ვეძლეოდით ამ სამიოდე თვის წინათ ტფილისს მიმავალნი, როგორ დავშორდით! ასე ბნელია ჩემო, ბედისწერის გზა და სამანი. შესაძლოა, ეს ასე სჯობდა. შენ აზღვავებულ ცხოვრებისაკენ მიისწრაფოდი, მე კი დაღლილი შინ მოვბრუნდი, ამ ცხოვრებაზე გულაყრილი, გაწბილებული. მართალი გითქვამს მე გულარძნილი გამოვდექი, გულგამოქმული. იმდენი გესლი შემანთხია ჩემო სოფელმა, მე დამკარგვია სიყვარულის მაღალი ნიჭი. და ვაი იმას, სიყვარული ვინაც დაკარგა. ვისაც განგება მიუსაჯა მარტოდ დარჩენა.

გადაშლილია, გადარეცხილი პალიმფსესტი ჩემი სულისა. მასზე თანაბრად წარბოცილია, როგორც ახალი, ისე ძველი ზედწარწერანი.

და როგორც ლოთი ნაბახურეგზე, ნანობს ზომაზე მეტად შესმულ ღვინოს მეორე დღესვე, თავი სტკივა და გულის რევა უცრემლებს თვალებს, მერმე ეს კაცი თითს ჩაიყოფს თავათ ხახაში, ცდილობს ამგვარად

წამოარწყყოს ნასვამი ღვინო, ასევე ვებრძვი მე ჩემსავე თავს და ეს მწყურია ამოვწერწყყო პირისაგან სხვის ქვეყანაში მიღებულ ზედმეტი საზრდო. ეგებ განილტვონ ჩემგან სხვისი აზრები, სქესი, წყნება, ფოლიანტები, რიცხვი, ციფრები, ომებისა და შეფუების წილი, ასევე სხვა, ფილოსოფიის და ალგებრის ფორმულების იწილბიწილო, თეორიები, იდეები, პიპოტეზები. ჩემი ხსოვნიდან წაირხოცონ უცხო და უცხო მოძღვრებანი სამარადეამოდ, ოღონდ ეს გული განმეწმინდოს ბიწიერისგან, მუხლები შემრჩეს ოღონდაც მგლისა და შემოხედვაც მექნეს მე მგლური და სვანის ბალღების დარად, დამკიდოს ვინმემ მგლის კბილი ყელზე. და როგორც ოდიში, ყვავილით სწულს მერონგურებს მოუყვანენ საღამო ეამზე. და აუქდერებენ მერმე ჩონგურებს, გულს გაუტფობენ ტკბილი პანგებით, ასე მე სვანურ ჩონგურებს ვისმენ შეღამებულზე. სვანურ არაყსა ვსვამ, სვანურ ჯაბრალებს ვატარებ და სვანური ჯვალოს ჩოხა მაცვია ტანზე. და ამ უძილო, კოშმარული ღამეების მიუხედავად ვებრძვი მთელის ძალით უგუნებობას. დედაბუნებას შევცქერი ღღენიდაგ მომლიმარ თვალში, დილით მზე გადმოლახავს მყინვარწყვერს, გაბრწყინებული როგორც დალი ოქროს თმიანი. მოსკდება ზეავი საღაღაც ჭიუხში და მღერიან მთები ას თავიან მღვეის მაყრები, სვანურ ლილეოს საზეიმო ჰიმნს ამოდ სასმენს. მღერიან მთები და ეს სიმღერა თუ დამავიწყებს მე საწუთროებას“.

## ქაროლინა შარვაშიძისადმი ზუზდიდში

დღეის ქებაი 12. I. 1932 წ.

O nuit, o rafraichisants ténébrés  
vous êtes pour moi le signal d'une fête intérieur.  
შარლ ბოდლერი

ძვირფასო ფრაუ,

ისევ დღეის ქებაში ვზივარ. გამოეთხოვა მზე კავკასიონს, უშბას მწვერვალს დაუკოცნა დავსილი თვალი. ცად აღანძულა რქაი სატანისა ორკაპიანი, როგორც უზარმაზარი, ბნელი მუშტი ბედისწერისა. ოქროცურვილად გეჩვენება მყინვარები ფირუზის ფონზე. როგორი უდრევილობა განრთხმულა მათ ქეჩოებზე! თეთრი ღრუბლების ბასტიონები დაზვიანულან ამ ურჩხულლების ამაყ ქედებზე! ფანტასტიური საკრალური ქალაქები გაუშენებია უხილავის ყოვლადშემძლე ხელს. აქა-იქ ელავს ცეცხლის ღეკური, გადაეშვება მყინვარების მოთაღხო ზურგზე... და სდგას დღმილი ცას და ხმელს შორის თითქოს არც მიწას ჰქონდეს რამე ცისთვის სათქმელი და არც მიწისთვის გაემხილოს ცას გულის ფიქრი.

ჩამოდის ღამე მალალ მთებიდან, ეს ფრთა ბარტყუნა, ბნელფრთიანი მღამიობი ქვესკნელეთისა. ჩამოდის ღამე ჭიუხებში ნაბადმოსხმული,

ძვირფასო ფრაუ, აქ ერთი ქვაა, უცნაურის აღნაგობისა, ნაწარსფერი, მუქლევო ლოდი. შესაძლო არის გადმოეტყორცნოს ჭიულს გადაღმა/მწვერვალიდან ვულკანს ან მეწყერს. ერთს რომ შეხედავ ის სანქსამანსა ქვაგის ქვასა. ორმაგი კუზი მოუჩანს ზემოდ, წინ წაშვერილი <sup>ქვისქვის</sup> მქუს და ორი ფეხი (თითქოს წოლისას ამოუქეცავს). და დრუნჩი აქვს ისეთი ამ ქვას, აქლემის ჩიჩვირი ეგონება კაცს. ეზივარ დევის ქვაბში და ვეძლვეი ოცნებას. ვითომ ეს აქლემია ეს ქვა, ჩემი ლოინი. უხსოვარ დროში, სამი ათასი წლის წინად მე მოვსულიყავ თითქოს ერთხელ ამ ლოინით ქარდუს ქვეყნიდან. და სწევს აქლემი საუკუნეთ ულევ მანძილზე, სწევს და იცოხნის ამ დევის ქვაბთან. მე ვარ პატრონი ამ ლოინის, მისი მომყვანი.

ეს მე ვიყავი, ამ საომარ ლოინზე მჯდარმა რომ გადმოვლახე ასურეთი, შუამდინარე, უდაბურები, უკაცრიელი და გარუჯული ხვატით სტებები. ეს მე ვიყავი ამ საომარ ლოინზე აღმზედრებულმა რომ წარეუძეხი ცხენოსან ბალხს ჩრდილოეთისკენ. ზათქით და ბრძოლით გავიარეთ ჩვენ ორწოხები, მახვილით ვკვეთდით ჩვენ სიბნელეს და მტერს წინ დამხედურს...

შესალამოვდა, უფრო ნათლად მოსჩანს ახლა კავკასიონზე დაზვიინული ბასტიონები. ისინი მართლაც მიაგავან წმინდა ქალაქებს.

აღსდეგ ლოინო, გაიღვიძე, დათრგუნე ძილი, აღსდექ ავმზედრდეთ ჩემო ლოინო და მივაშუროთ წმინდა ქალაქებს.

მაგრამ ვაჰ მე, მე ჭალარა შემრთვია უკვე, სამი ათასი წლის ჭალარა მიმშვენიებს შუბლსა. ეზივარ კერასთან მე გლახაკი ჭრისტესმიერი, სასაოჩიელო ჩხირებს ეხაზავ ნაცარტუტაში.

ჩემი ლოინი, წევს დევის ქვაბთან და ბნელი ღამე ზედ ნაბადად გადაუხურავს.

წუხელ გვიან დავბრუნდი ნადირობიდან. ბნელოდა, ისე ბნელოდა, როგორც ეს ამ ხეობაში სჩვევია ხოლმე ბუნებას. შესაძლოა, პოლადუსზე იყოს ასეთი სიბნელე. ქალი არა მქონდა, ამიტომ მახვშის დარბაზში შევედი. ყველას ეძინა დარბაზში, მხოლოდ ქორა მახვშ წამომჯდარიყო თავის საკარცულში. თავყბა ჩაბალახით შეეფუთნა, ტანზე დათვის ქურქი წამოლახამს. შევხედე, გავვოცდი. ამ შუალამეს დათვზე სანადიროდ ხომ არ მიდის მეთქი გავიფიქრე.

იკდა საკარცულზე და ქანაობდა, ისე როგორც ებრაელი რაბინი, ლოცვის დროს, კერასთან დავეჯექი მის გვერდით. ზის ქორა მახვშ, ცეცხლს უყურებს გარინდებული და ქანაობს ისევ.

შემომხედა. შეკრთა, ეგონებ შეეშინდა. გავვოცდი, რაც წვერი წამომეზარდა, მახვშ ვაცილებით უფრო მეტის ნდობით მეტყევა. როგორც სჩანს მასზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემი ჭალარა თმა და გრძელი წვერობი. მახვშს ჭირისდღესავით სძაგს წვერულვაშ მოპარსული ხალხი. საესებით ასე ამბობს მათზე.

„ეს მართალია, მოდიანო?“ მეკითხება მახვშ, თანაც ცალ ყბაზე ხელს იჭერს.

„ვის გულისხმობ მახვშ ბატონო?“

„ვინ იქნება, ბოლშევიკები.“

მე მეგონა არზაყანსა და საურს გულისხმობდა.

„კიდეც არ მოსულან არზაყან და საურ, მახვშ ბატონო?“

ჩავევირე ყურში.

ვიციდი, სადღაც სხვა რაიონში იყვნენ ისინი წასული ვგონებ ორი მოსიხსარი გვარის შესარიგებლად წაჰყვნენ მთებში რაიკომის მდივანს.

„ისინი გინდ მოვიდნენ და გინდ არა. მე ვამბობ, გზა თუ მოდის ახლოს. დინამიტების ხმა ისმისო ჩვენ კალოებზე.“

„ჯერ კიდეც შორსაა.“

„მაინც რამდენ მანძილზე?“

„ერთი დღის სავალზე.“

„კი მაგრამ, ვეუბნები მახვშს, რატომ არ გიყვართ თქვენ ბოლშევიკები?“

„ჯგმისო, მეუბნება მახვშ. ქვეყანა რამხელა იქნება?“

„ქვეყანა დიდზე დიდია.“

„მაინც რამხელა იქნება?“

„უშაზე მეტად დიდი. ისეთი დიდი რომ კაცის თვალიც ვერ გასწვდება?“

„ზღვა თუ დიდია?“

„ზღვაც დიდია, მახვშ ბატონო.“

„ცა დიდია?“

„ცაც იმხელაა, რომ კაცის თვალი მას ვერ გასწვდება.“

„თუ ასე დიდია ზღვა და ზმელეთი, თუ ასე დიდია ცაც, მაშ ვინ იქნებოდა ის, ვინც ისეთი რამ შექმნა, რასაც კაცის თვალიც ვერა გასწვდება?“

„უეჭველია, მახვშ, ბატონო, იგი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ქვეყანა, ზღვაცა და ცაცა, ვიდრე თვით უშა ბევრზე ბევრად გამრავლებული.“

„შენ გინდოდა გეთქვა ღმერთი არაა?“

მე შევეყოყმანდი. სხვა არა იყოს რა მასპინძლის გაწბილება არ მინდოდა.

„ჰო, ასე ეთქვათ.“

„აი ამიტომ არ მიყვარს მე ბოლშევიკები. როდესაც გზა ჩემ კოშკამდის მოვა, მე აღარ მინდა მეტი ვიცოცხლო.“

მე გაოცებული ვარ. მახვშს ორი ბოლშევიკი შინა ჰყავს, ერთი სტუმარი და ერთიც შვილიშვილი. დიდიხანია რაც აქ საბჭოთა ხელისუფლება

დამკვიდრებულია, მაინც გზის აქ მოსვლას ისე შესცქერის, თითქოს პირველი ბოლშევიკი ამ გზას გამოაყვებაო.

კიდევ ერთი ქალი აანთო მახვშმა. და ახლა ვხედან, ცხელი სავსებით გასივებია ქორა მახვშს. ეს გაბურძენილი მოხეტრე-მარხალეც დევკაცს დამსგავსებია.

მახვშმა თავი ჩაჰქინდრა. ფეხი ფეხზე გადადო ბატონკაცურად დაეყრდნო, შესცქეროდა ცეცხლს. ვგონებ თავის თავს ელაპარაკებოდა ხმა-მალალი ფიქრით. საულეაშენი უტოკავდა.

მერმე ხველება აუტყდა. ახველა, ახველა, ცრემლებით აეცსო თვალი, მერმე ქურქის სახელურით თვალები ამოიწმინდა, გადააფურთხა ნაცარში, მცირე ხანს სდუმდა მერმე ისევ მომიბრუნდა:

„ჯესმიმო, მართლაც დაფრინავს ადამიანი ცაში?“

მე თავი დავეუქნიე.

„ჩემი ბიჭები მეუბნებიან დაფრინავსო და ასეთი რამ ჯერ არ მინახავს“.

მე ავეუსენი როგორც შემეძლო, თუ როგორ დაფრინავენ ადამიანები. ისევ უნდობლად შემომცქერის.

„კი მაგრამ თოფის სროლა თუ შეიძლება იქიდან?“

მე ავეუსენი მახვშს რომ არამც თუ თოფს, ზარბაზნებს რომ ისერიან ჰაეროპლანებიდან. ისიც ვუამბე, რომ ჰაეროპლანებით შესაძლოა ორ საათში მთელი ქალაქის აფეთქება და მზარის გადაწვა.

„ფუი ეშმაკს, ფუ ეშმაკს“, ჯლოყინებს მახვში, ხანაც შემომცქერის, მერმე ორივე ხელი შემოიყრდნო ყბებზე და ცეცხლს მიაჩერდა. მე გავედი, კოშკის კარები დაკეტილი დამიხვდა. ვაბრახუნე, მაგრამ ოსმანი ვერ გავადვიძე. მოვბრუნდი მაჩვიბში და უფროსი ხარის ახურის პირდაპირ დაეჯექი.

როცა დარბაზში მოვბრუნდი, მახვშს კბილის ტკივილი უარესად გაშმაფრებოდა. ქანაობს მახვშ თავის კარცხულზე, ცალი ხელით ყბას მობლაუჭებია და დაჭრილ დათესავით ღრიალებს: „ა ა ა ა ა... ა ა ა ა ა...“

მე რწყილები მესევა მთელს ტანზე. ეტრიალებ ჩემს საწოლში, ჯიხვის ტყავებში გამოფუთული და როგორც მიმინოს ილიიდან ბუნტყელს ვამოაცლიან, თვალებს აბრეშუმის ძაფით ამოუკერავენ, მერმე დასვამენ და მთელი ღამე აააას ჩაბღავიან ყურში, ისე ჩამძახოდა ყურში ქორა მახვშ „ა ა ა ა ა ა ს“ და მთელი ღამე ყმუოდენ მგლების ჩქამზე დამფრთხალი ძაღლები“.

მარად თქვენი თ ა რ ა შ ე მ ხ ვ ა რ ი.

68. მწვანე სხენი



იმავე საღამოს, როცა თამარი შავ მტრედებს შეეყარე მუხრანის ფეხ-მძიმე დედაკაცი მოუყვანეს ხეროპს ჯვარიდან ურმიფი ქანთქვეყნის ქუჩა-ქლოდ იყო, გარედაც არ გამოუხედნია, კაროლინა ავადმყოფ თათიას უღელიდა. ლუკაიამ გამოხედა მეურმეს, მოხუცებული გლეხი სასოწარკვე-თილი შეიქმნა, უკან გაეზრუნებინა ავადმყოფი? ეს შეუძლებელი იყო; ლუკაია არწმუნებდა დილის მატარებელს ჩამოჰყვებოდა ხეროპსი. ავად-მყოფი კი სასწრაფო დახმარებას მოითხოვდა. როგორც იქმნა ლუკაიამ დაარწმუნა გლეხი დილამდის შეეცადნა. სანამდის ბაბუა ტარიელ მისა-ლებ ოთახიდან გამოსვლას ინებებდა, ქვეშ სადგომზე შეაყენეს ურემი, მუთაქებზე წამოწოლილი ავადმყოფი კაკლის ქვეშ დარჩა შეღამებამდის. სწორედ ამ დროს ჭიშკარში ფეხი შემოდგა თამარმა. ცარიელ ურემ-ზე იწვა ფეხმძიმე ქალი. მას პატარა, პატარა თავი ჰქონდა, დაღეული სახე. თამარი შეხარა რუმბივით გაბერილმა მუცელმა. შავი შალი ეფინა გულ-მუცელზე დედაკაცს, და ამ საღამოს პირზე იგი უფრო მოჩვენებას მიმსგაე-სებოდა, ვიდრე ადამიანს.


თამარი შეკრთა ამ სურათის დანახვისაგან, გვერდით ჩაუარა ურემს, შესდგა, შეხედა. მიცვალებულს მიუგავდა მელოგინეს სახე, იგი უცნაუ-რად კენესოდა. მოხუცებული მამა ამ დედაკაცისა, კაკლის ქვეშ იჯდა ქვაზე. შებლზე ხელები შემოეწყო დაზაფრულს, თავჩაქინდრული მიწას დასჩერებოდა; თამარი თუთის ხეს მიეფარა, მოხუცს დააკვირდა. თუთის ხეს მოსცილდა თუ არა, უცნობმა შეიცნო მისი სიახლოე, წამოდგა, მიე-ახლა, დაგრაგნილი ჩაბალახი მოიხსნა, მდაბალი საღამო მისცა.

დაკითხავდა ექიმის ცოლი ხომ არა ხარო? რა დარწმუნდა დაა იყო. შევედრა: გამოეჩინათ სტუმართმოყვარეობა, მისი ქალიშვილი შეეფა-რებინათ ამაღამ, ვიდრემდის ექიმი მობრძანდებოდა, მერმე რამეს ვილო-ნებო, პირდებოდა მოხუცი. გული აუჩუყდა ბერიკაცს, რაკი შენიშნა ექიმის დაა გულმოწყალებდ შეეგება მის გაკვირებას. იდგა თამარის წი-ნაშე თავმოხდილი ბერიკაცი, შესჩივოდა თავის ვასაკირს.

თამარმა სთხოვა ჩაბალახი ისევ დაეხურა ბერიკაცს, ნოტიოა გაცივ-დებიოთ.

ჯანაბას ჩემი თავი, სჩივოდა მოხუცი, ოღონდ ჩემი ერთადერთი ქალი ვადაშირჩინეთო. თანაც ისე ევედრებოდა თამარს, თითქოს იგი ყოფილი-ყოს ექიმიც და ამ ოჯახის პატრონიც. **თამარმა, ისე ანაღვესა** ქირის-უფალი. თუ სხვაგან ვერ მოვათავსე, ჩემს თათხა დაეწვიოს ახლა უა-რესად აუჩვილდა გული ბერიკაცს. ამ გულმონწყალებამ უამბო თუ რო-გორ შეაცივინა მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი ვილაც აგრონიშმა, სამოცი წლის კაცმა, ისიც ახსენა: ამ აგრონიშს შეილიშვილი ყოლიაო მელოგინის ხნისა.

1037 4451



თამარი მიუახლოვდა ურემზე მწოლარეს. ავადმყოფმა ბიჭი უჩვენა, ოვალურ, ნუშისებრ თვალებს უზომოდ გრძელი წამწამები ჰქონდა, თვალს დაფახულებდა თუ არა, თამარს ასე ეგონა, ~~ოჭრ~~ წვეწვანოვანი პეპელა დაფარფატობსო გოგონას თვალის უბეებზე. ხალუქი სმსქქქონდა პატარა ქალს, სადაფივით თეთრი, თეთრი კბილები. ენამოჩლეტილი ყოფილა ოდნავ. „რ“-ს ნაცვლად „ლ“-ს წარმოსთქვამდა, ეს არამც თუ არ აუწნობდა მას, შეენოდა კიდეც, ყოველწუთში აგონებდა ადამიანს სიყრმეს და უდროო ორსულობას მისას. და ხმა ჰქონდა ამ გოგონას ისეთი ამოდსასმენი, თამარს ერთ წუთში შეუყვარდა იგი, მზად იყო, დაბუა ტარიელისა და კაროლინას უკითხვად ახლავე გადაეყვანა იგი თავის ოთახში.

მარტო სიბრალული არ იყო აჭ, თამარს უზომოდ უყვარდა ლამაზი ადამიანები. სახელიც ლამაზი აღმოაჩნდა ამ გოგონას, როდამი რქმეოდა მას.

ხელები გამოიღო პატარა როდამმა შალიდან, თამარი დააქქერდა. ვაოცდა: ვინ მისცაო ამ ქალს ასეთი გასაოცარი თეთრი ხელები, გრძელი ვარდისფერი თითები.

მოხუცი იქვე დატუტული იყო, სწყველიდა მისი სიბერის ერთადერთი ნუგეშის შემცდენელს. ამაგებდა იმ აგრონომის გულჭვაობას. სწყველიდა სწყველიდა მას ისე ოსტატურად, როგორც ხატზე გადამკემლებს სწევით ოდიში.

„თვითონ ბაღლია პატონი, რაღა დროს მისი ბავშვი იყო პატონი“. ღმერთმა ჩემს მაგივრად მიუზღოსო იმ აგრონომს სამაგიერო, ამოფუკოსო მისი ძე და მომავალი, როგორც კრახანას ამოფუკავენ ხოლმე თავის ბუდეში მდღლარით“.

თამარმა მზრუნველი ხელი გადაუსვა პატარა როდამს სახეზე, სთხოვა ხელები შალით დაეფარა ისევე, ახლავე მოვალო, დაჰპირდა. არჩია მაინც ეკითხა მამისთვის თავის ოთახში გადაეყვანა თუ არა ავადმყოფი? ნახუცარმა ქვა ისროლა და თავი შეუშვირა. ვილაც „მამაძლიის შვილს“ ძაგანიას ქალს ბუში გაუკეთებია, იმას როგორ შემოღშვებო სახლში.

„ბუში გაუკეთებიაო“, ამ სიტყვებს ისეთის ზიზლით ამბობდა ბაბუა ტარიელ, როგორც გველს ახსენებს ხოლმე მორწმუნე. თამარს გულზე ეცა ეს უკმეზი სიტყვები მამისა.

შენს ოთახში რა უნდაო ასეთ უწმინდურს დედაკაცს. კაბინეტში ავადმყოფებს სინჯავსო ხერიპსი, თორემ იგი საავადმყოფო როდიაო, სასტუმროში მიბრძანდესო ის ძაგანია, ან მთავრობა მისცემსო ბინას, აკი გლეხების და მუშების მთავრობააო ამჟამად...

ახლა ეს მაკლიაო ძაგანიების ქალი ჩემს სასახლეში მოვალოკინო, ისიც ბუშიანი. გაცოფებული ბრდღვინავდა ტარიელ შარვაშიძე, ეს ვერ

მოენელებინა როგორ გაბედა თამარმა და „ბუშინ გლეხის ქალს“ შარვაშიძის სასახლეში ღამის ვათევა შესთავაზა.

ეს ქვეყანა საგიეთად გადაიქცა, დედის ხსენი ქალს არ უჭირავდა და უკვე ხრწნიანო, არც ღმერთს ერიდებოდა და არც ხატს, ვის ვაუფრობია, მცირეწლოვანი ქალი ბუშს რომ აკეთებდაო.

თამარს არასდროს სიტყვა არ შეუბრუნებია მამისთვის, მაგრამ ამ სიტყვის „ბუშის“ გაგონებამ ბრაზი წაჰკიდა გულზე და მამას შეჰკადრა:

„რად ავიჩემებიათ მამავ ეს ბუში? განა ღვთის წინაშე თანაბარი არაა როგორც ბუში, ისე კანონიერი, ბოლოს თვითონ ღმერთი ჩვენი იესო ბუში არ იყო?“

ავარდა ტარიელ შარვაშიძე ამის გაგონებისას. ეს რა გაიგონესო ჩემმა ყურებმა. უწინარეს ყოვლისა ამის გამო გაცოფდა, თამარმა სიტყვის შებრუნება როგორ გამიბედაო, მერმე „ბუშის“ გამართლებასაც რომ შეეცადა.

ყველა გახრწნაო სოციალისტების ქადაგებამ, ქრისტე ღურგლის ბუში როდი იყო, იგი სულიწმინდის სახით შთაესახაო მარიაშს. სხვა დანარჩენი მოჭორილი ამბებიაო. იჯდა თავის საკარცხელზე წვერგაბურძგვნილი მღვდელი და ისეთის პათოსით ამტკიცებდა ქრისტეს უბრწენლად შთასახვის მისტერიას, თითქოს საეკლესიო მსოფლიო კრებაზე ერეტიკოსებს ებრძვისო.

კაროლინა წინაღობით უძინარი იყო, ამიტომაც გვიანამდის ისვენებდა საღამოს, ამ ხმაურმა იგიც გამოაღვიძა. თამარი სასოწარკვეთილი დაემზო მის საწოლთან. სტიროდა, ევედრებოდა კაროლინას როგორმე გასულიყო კაკლის ქვეშ, ენახა თავის თვალთ თუ როგორი მშვენიერი პატარა ქალი იყო როდამი, მერმე როგორმე ჩაეგონებინა მღვდლისათვის ბინა მიეცათ, პატარა მელოგინისთვის, თუ ეს არ გიქნია, ამაღამვე თავს დაეიხრწობო ქაში.

კაროლინა წინაღობით ნაჩხუბარი იყო მღვდელთან. მაინც ჩაიცვა და მღვდლის ოთახში შევიდა. დიდხანს არწმუნა ეს უზერხელიაო საერთოდ ხერიბში ექმია, მას ძუნწი და უკარება კაცის სახელი ვაუფარდებო, ბოლოს თვისი ქრისტეანული მოვალეობა მოაგონა ტარიელს ქარავმულად. ტარიელმა კიდევ გაიბრძოლა. კიდევ ერთხელ შეეცადა დაესაბუთებინა რომ „ისეთი დედაკაცი, რომელიც ბუშს ვააკეთებს“, პატიოსან, ქრისტეანულ ოჯახში შესაშვები არააო, მაგრამ ბოლოს ოდნავ მოლბა: პატარა როდამი დაშას ოთახში უნდა ვადმოყვანათ. ხოლო ბერიკაცს ძანანას შეეძლო იქვე დერეფანში ნაბადი ვაეგო და დაეძინა. ამასობაში თამარი თავის ოთახში პირქვე დამხობილი იწვა და სტიროდა. ისე მწარედ ჭვითინებდა, თითქოს როდამის მაგივრად მას მოელოდა ან დღეს ან ზვალ მოლოგინება. გულის სიღრმეში მას ერთი უკუბრუნებელი იარა

სწევდა: ბუში... ყოველწუთში თვალწინ უდგა ტარიელის (ნორკენილი პირი, ორი ობლად დარჩენილი, ყვეთელი კბილი ქვემო ყბაზე).

კაროლინა გამარჯვებული მობრუნდა, მომღიმაროე ეჭვწყვეტილად თამარს: რა გატირებს ქალო, დავითანხმო მღვდელი. გამსახურდი თამარმა ხელი ხელს შემოჰკრა, გაიხარა, მშვენიერი როდამი ერთ სალამოს მაინც რომ გაათევდა მის ოთახში.

რა გაიგო, დაშას ოთახშიაო? არ ეპრიანა, მაინც თავშალი წამოიხსა, კაროლინა თან წაიყვანა და ლუკაიას გამოუძახა.

ურემი ზედ აიენამდის მოაყვანიანა ლუკაიამ მოხუც ძაგანიას, ლუკაიამ, ძაგანიამ და თამარმა როდამი დაშას ოთახში გდმოიყვანეს და აქ უჩვეულო სილამაზე წარსდგა თამარისა და კაროლინას წინაშე. პატარა როდამი სტიროდა, ხმის ამოუღებლად სტიროდა, ბროლის ნაკადული მოწანწკარებდა ატმისფრად მოელვარე დასიცხულ ლოყებზე. და ისე გაზნეკილიყო ნაყოფის სისახესით ეს პატარა ქალი, როგორც ნარინჯებით დახუნძული შტო.

ელექტროს შუქზე უცნაურად ბრწყინავდა მისი სალუქი კანის ფერი, მისი მშვენიერი თითები და მღვდლოსფერი, დიდი თვალები ახლა მუქლურჯად კიაფობდნენ.

კაროლინა უკუდგა ასეთი საოცარი მშვენიების შემყურე, ხოლო თამარმა ვერ მოითმინა, მიეჭრა როდამს და აკოცა ცრემლით დანამულ ლოყაზე.

ლუკაია იქვე დაცუტქული იჯდა და პირჯვარს იწერდა. ღვთისმშობელი მარიამი ხომ არ მოსულაო მეორედ მიწაზე.

Eine so gottvolle Schönheit habe uh nie im meinem Leben angeschaut.

უჭურჩულა კაროლინამ თამარს. თამარს აღტყინებისაგან თვალეში უბრწყინავდა, თმა გასჩქოდა და როცა კაროლინამ თვალეში შეხედა, საოცრად დამშვენიებული ეჩვენა თამარიც. მკერდისა და თეძოების სისახეს უჩვეულოდ ამკობდა მის აღნაგობას, პატარა ყურები ბროწეულის ყვავილსავით გაწითლებოდა, მოლიბრო თვალეში რალაც მრუშე ბრწყინვალემა ჩანდგომოდა, იდგა ლოყებშეფაკლული და ისე ეფერებოდა პატარა როდამს, როგორც საყვარელ დაიკოს. თანაბარი მდგომარეობით გამოწვეულ სიმპატიებს მიაწერა ეს ამბავი კაროლინამ და თავის მოახლოებული მძიმე წუთების წინასწარ შეცნობას. ფრთხილად გადახედავს ხან თამარს, ხან როდამს და აღარ იცის რომელია უფრო მშვენიერი მათ შორის: თამარი, თუ როდამი? ეს იყო მხოლოდ თამარი აღნაგობით და კიდურების ჯიშინობით თუ აჯობებდა პატარა როდამს. თამარმა ბრძინა დაალეგინა სტუმარს, როდამი ოდნავ დამშვიდდა, მერმე მთელი ღღე ურემზე ნანჯღრევმა თავისი მარაოსებრი წამწამები ერთ ორჯერ დააფახულა და მინებდა უღრტვინველ ძილს.

დაშა თავის ოთხაში გადაიყვანა თამარმა. დაწოლისას ილოცა მხურვალედ დედისეულ ხატის წინ. ძილი არ ეკარებოდა თამარის თვალებს. თვალს დახუჭავს თუ არა, როდამის უზომოდ გავსილი მარტოა უდგება, როდამის პატარა თავი, მისი ბალღური სახე და აღსაზრდა სიცილით, ხმითა და ლაპარაკით, ხომ ნამდვილი ბაღია როდამი. და როგორი უფულო ეჩვენა თამარს ბუნება. ასეთ უსასაკო ქალს ასეთ საშინელ მოვალეობას რომ აკისრებს. ახლა მღვდლის გაბრაზებული, დაბჩენილი ტუჩპირი დაუდგა თვალწინ. და შეურაცმყოფელი სიტყვა: „ბუში“ გახმინდა მის ხსოვნაში. გულზე ისევ წაეკიდა ბრაზი. შესძაგდა ამ წუთში ტირანი მამა. ბნელად ეჩვენება ხვალისდელი დღე თამარს. იგი ვიღაც ძაგანიას ქალს ასე ცხარედ აძაგებდა და როცა გაგიგებს რომ მისი თამარი... აქ უკვე აღარ ძალუძს კვალდაკვალ მისდიოს თამარმა ფიჭრს.

„გამჩენო, როგორ უღმობელი ხარ შენ, როგორი მძიმე ვალდებულება მომანიჭე. როგორ დამსაჯე ღმერთო! რა დაგიშავე მე უბედურმა?! ჩემი პირველი სიყვარული გესლად მიტკივ უფალო, იგი გადაკარგე და მე მარტოა დამტოვე, როგორი უღმობელი ხარ უფალო!“

ახლა თარაში მოაგონდა. მუხნარი, შავი მტრედები, თარაშ ემხვარის აღერსიანი სიტყვები. წასთვლიმა ოდნავ და თითქოს მიეახლა საყვარლის ტკბილი ბაგენი, თავი გადაუწია და აკოცა თარაშმა.

გამოეღვიძა... მოხუცებული ძაგანიას უბედური, მელოტი თავი წარმოუდგა. როგორ სწყველიდა როდამის შემცდენელს. როდამი იწეა და ხმაგაკმენდილი უსმენდა მამას.

თამარი არასოდეს მოითმენს ასეთ რამეს, მის გასაგონად ვინმემ აუვად ახსენოს თარაშ ემხვარის წმინდა სახელი. კიდევაც ცოცხალი აღმოჩნდეს ემხვარ, ცოცხალი და მისგან წასული, მაინც, მაინც არავის დაანებებს თამარი ამას. ნეტავი ცოცხალი აღმოჩნდეს მისოუსტ და თამარი მარტო შეუდგება ამ მძიმე ჯვარს ბედისწერისაგან დაკისრებულს. ოჯახიდან გაიქცევა თამარი, ისე როგორც თინა შონიამ, მისმა ამხანაგმა ჩაიღინა ეს ამას წინად, მრეცხავად დადგება და თავისი პირველი სიყვარულის ნაყოფს თვითონვე უპატრონებს. ოღონდ მისოუსტ ცოცხალი აღმოჩნდეს.

ამ საღამოს შინ რომ ბრუნდებოდა, ვინმე მარშანიას ქერივმა გააჩერა თამარი.

ჭორია, თუ მართალი, ოქტომში ამბავი მოსულაო, თარაშ ემხვარ, ჩერქეზეთში გადაუყვანილაო კაც ზვამბაიას და იქ იმალებოა, თუ ეს ასეა, მაშინ რა იყო ეს შავი მტრედები? ეს უცნაური წინასწარი გრძნობა და მოახლოებული სიმძიმის მოლოდინი?

მარშანიას ქალი ამბობდა ზვალ ვიღაც მღვდელი სწირავსო ზუგდიდში. თამარი უეჭველად წავა ეკლესიაში. ილოცებს, ღმერთს შეევედრება.

მისოუსტის მაგივრად შეეცდობოდა ღმერთს. სიცოცხლე შეარჩინოს ღმერთმა მისოუსტს, მეტი არაფერი უნდა თამარს.

ტრიალებს თამარი საწოლში. უნდა დაიძინოს როგორმე უსაზმარში ნახოს ეგებ მისოუსტ. თამარს სიზმრები სჯერა, ისე რომ სიზმრები ყოველ მორწმუნეს და ცრუმორწმუნეს. ნეტავი, ნეტავი, ეს ნატვრა მაინც აღუდეს თამარს.

თვალი მილულა, ჩასთვლიმა ოდნავ და საშინელმა კივილმა შეაკრთო იგი. იკვილა ვიღაცამ, ისე იკვილა, თითქოს მდულარეში ჩააგდესო.

თამარი გაინაბა. კიდევ გაისმა კივილი. დამას ოთახიდან იყო ეს უეჭველად. პერანგისამარა წამოვარდა. დერეფანი გაიბრინა ფეხშიშველმა, კარი მოიხიდა. რაზა ხელში შერჩა. ფრჩხილებით გამოალო კარი და საზარელი სურათი წარსდგა მის წინაშე. პატარა როდამი თმებს იგლეჯდა, მდულარე ცრემლებით სტიროდა. მოხუცებული მამა მისი პირქვე დამხოზილი ლოცულობდა, იატაკზე სცემდა შუბლს და ორივე ხელს იშენდა თავპირზე.

დაიკვილა ისევ როდამმა, თითქოს ვარსკვლავი მოსწყვიტაო ცას, გაიგლო თმებში ხელი და შემოიწიწკნა.

თვალის უპენი გაგანიერებოდა შიშისგან, აღს შეჰყრიაო თითქოს, იხოკდა ლოცებს და ჰკივოდა... წამოვარდა გამწარებული მამა. ხელები ჩასქიდა, როდამმა ერთი შეპკივლა, გაიჭინთა, მუთაქიდან თავი გადააგლო და გაჰკიდა ხმა.

ატირებულმა თამარმა პირგვარის გადასახვა მოასწრო. ემთხვია როდამის გაყინულ შუბლს. როცა კაროლინა და ლუკაია დამას ოთახში შემოვარდნენ, მოხუცებული ძაგანია მიცვალებულს ზედ დამხოზოდა. თამარი იატაკზე ეგდო პირქვე გაშოთილი. ტარიელ გაცოფებული დაბორილებდა დერეფანში, „მელოგინე“ ქალის ოთახში არ შედიოდა. სწყველიდა ამ „გადარეულ დროს“ და „გაბოზებულ ქალებს“. აძაგებდა კაროლინას, ვიღაც „მამაძაღლი ძაგანიას“ გამო ამდენ აურზაურს რად გადაჰკიდაო ამ წყეულმა დიაცმა. როცა ლუკაიამ და დაშამ გულშემოყრილი თმარი გამოიყვანეს დამას ოთახიდან, უარესად გაცოფდა მღვდელი. თავის ოთახში ჩაიკეტა და ბრომი დალია.

თამარს დილითაც თავი სტკივოდა, გული ერეოდა, მაინც ადრე ადგამხნედ ეჭირა თავი, ეშინოდა ვაჟ თუ ადგომის ნება არ მომცესო მამამ, უკანასკნელად ვერ ენახო როდამის სახე. ტარიელ მეორე დღესაც შეშფოთებული იყო, უთენია ადგა, თამარის ოთახის გარშემო დაბორილობდა. ადრევე გაატანინა ლუკაიას და ძაგანიას მიცვალებული. ეს უნდოდა: მეორეჯერ არ ენახა მიცვალებული თამარს. მოხუცი თავშეხელს ეცემდა და ატირებული უკან მისდევდა თავის ურემს.

თამარი შეეცადა გამოთხოვებოდა როდამის გეამს, მაგრამ კორი გა-  
ალო თუ არა, მამა აიტუხა მის წინაშე. თვალი დაუბრიალა, შეუბღვირა:  
რა საჭიროა, დილა აღრიან შეეჩხიროო მკედარს. მარტოვანი

თამარი მთელი დღე აფორიაქებული იყო. კარს ჩაიტყუა და ოთახში,  
სტიროდა, სტიროდა, მისტიროდა როდამს, თითქოს დიდიხნის მეგობარი  
ყოფილიყო როდამი მისთვის, მისტიროდა თარაშ ემხვარს, დედას იგონებ-  
და ცრემლმორეული და თავის გამწარებულ სვეს. მარტოობას, ობლობას  
და უტოლობას.

მართლაც არასოდეს უგრძენია მას ასე მძაფრად უმეგობრობა. თა-  
მარი იმ ქალთაგანი იყო, ჭალებთან მეგობრობას შეგნებულად რომ გა-  
ურბიან.

სკოლაში იგი მუდამ გრძნობდა შურით აღესილნი ეპყრობოდნენ ამ-  
ხანაგები. მახინჯი ადამიანის ატანაც არ შეეძლო, ხოლო ლამაზთა შო-  
რის ხომ მუდამ ქიშპობაა, ამას მოყვებოდა მუდამ კორი და ინტრიგა.  
ამიტომაც მარტოკა დარჩა თამარი.

ძაბული მოიგონა ახლა. ინანა ძაბულის ოქუმში გადასვლა.

ერთ დროს კაროლინას და ძაბულის მეგობრობდა თამარი, მაგრამ არ-  
ზაყანმა და მისოუსტმა ორივეს დააშორეს იგი. და ახლა თავის ცხოვ-  
რების უმძიმეს წუთებში სავსებით მარტოკა სდგას თამარი.

წუხელ გადასწყვიტა თამარმა დედის სამარეს მიაკითხოს. მერმე ილო-  
ცის ეკლესიაში. დღისით ეს შეუძლებელი იყო. ტარიელი უთუოდ შე-  
ნიშნავდა, არ გაუშვებდა თამარს. გუშინდელი ამბების შემდეგ უარესად  
გააფთრებული დადიოდა ნახუცარი. ხან თავის ოთახში შებორიალდე-  
ბოდა, ხან აივანზე გავიდოდა, ხან თამარის ოთახს მიადგებოდა, ხან ლუ-  
კაიას მიუვარდებოდა და უმცირეს მიზეზის გამო გამოლანძღავდა მაგ-  
რად. ნასადილევს როგორც კი წაეძინა ტარიელს, თამარმა ჯახანასეუ-  
ლი თავშალი მკლავზე გადაიგდო და ჩუმად გაიპარა სახლიდან.



ტარიელ შარვაშიძე დაშინდა: ოქუმში იქმს ცხედარსაც არ ჩაუშვებე-  
ნო, ამიტომაც გასულ წელს ზუგდიდში გადმოატანინა ჯახანას ძელები.  
მარმარილოს ლოდი დაადო საფლავს, კიპარისები დარგა, ყვავილნარი  
მოაწყო, რკინის შთაჯირი გააკეთებინა ხერბსს.

ასე მართო ბაბუა ტარიელმა ჯახანას სამარე. იქვე თავისთვის გა-  
აკეთებინა აკლდამა წინასწარ. დადიოდა მღვდელი ცოლის საფლავზე.  
დასწერებოდა თავის მომავალ სამარეს. მაგრამ უშლიდენ ბაბუა ტარი-  
ელს. ეს სასაფლაო პარკად უნდა ექცია ჭალაქს. დასვენებისა და კულ-  
ტურის პარკად. ამიტომაც ყველას გამოუცხადეს: თქვენი მკვდრები გა-  
დაიტანეთო სადმე.

ისევ აწრიალდა მღვდელი. ახალი სამარხების ძებნას შეუდგა.



ეროვნული

თამარი შეძრწუნდა რა დაინახა ერთი კვირის უნახველნი მისი კუთხისა. კიპაროსები ქარს დაემსხვრია, ერთი მათგანი საცხებიტ მოეთხარათ: მარ-მარილოს ლოდი დაუძრავთ. რკინის მოაჯირის შუბებზე ავარებს უსინ-ჯავთ ღონე, ზოგზოგი გადაულუნავთ კიდევაც...

იავარქმნილი იყო მთელი სასაფლაო.

შეძრწუნდა თამარი ყოველივე ამის შემყურე.

ქარი ჰჭოდა ცივი და უსიამო, ცაცხვის მხმარ შტოებს დააჭოლებ-და ეკლესიის ეზოში.

ეს ის დრო იყო, როცა რევოლუციამ ძველ ეკლესიებსა და ძველ სახლებსაც ჩამოუარა, ხელებზე დაარტყა წარსულის ცუდ ოსტატებს და მათი უგებური ნაცოდვილვეი აგურისა და ქვის ყორედ აქცია. მხოლოდ დიდ ოსტატების ნახელაენი გადაურჩნენ ზღვაურს.

ეს ეკლესიაც მე-19 საუკუნის ეკლექტიკოსების უნიჭო ქმნილება იყო. ხახვისთავიანი გუმბათი წამოყუნცულიყო ქართულ ჯვარედინზე. მასაც მოელოდა აღება, იდგა დაფხვილი, კირშემოცლილი ეკლესია. უცდიდა წალეკვის გრიგალს. დაპატარავებულიყო კიდევაც შიშისგან.

ღამურები უკანასკნელ ირათს აკეთებდნენ ეკლესიის გარშემო, თავისუფლად დანავარდობდნენ შუშებჩალეწილ ფანჯრებში.

ლიცლიცებდა მზის უკანასკნელი ათინათი ორიოდე გადარჩენილ ფანჯრის მინებზე.

დიდხანს სტიროდა დედის სამარესთან დაჩოქილი თამარი. მისტიროდა თავის ობლობას, უთვისტომობას. უხზობდა სულგრძელსა და მოსყვარულე დედას მწედ ჰყოლოდა სიცოცხლის უმძიმესს წუთებში.

„მე მარტო არა ვარ დედა, სიყვარული სამსალად შემიცვალა მუხანათმა ბედმა. სიჭალწულის ნათელი დღეები წარმიხოცა ბნელმა, ჯერ იყო და შენთვის დარღმა დასეტყვა ჩემი სიყმაწვილე. სიხარული გაეცალა ჩემს გულს და დაემარტოვდი. ახლა მე მარტო აღარა ვარ დედა და სიმძიმელმა კიდემდის ამივსო სული“.

უხზოდ მოსთქვამდა თამარი, ჰკოცნიდა ტალახიან ფეხებით დაჯეგოლ ლოდს, ხელს უსვამდა, სწუმენდდა, წამოაყენებდა ზეზე გასრეილ. ნაგვიანებ ყვავილებს, ეფერებოდა, ეალერსებოდა ფერმიხდილი, თითქოს ჯახანას სულის თანაზარნი ყოფილიყვნენ ისინი.

ეკლესიაში შესვლისას სული შეეხუთა თამარს. საფეთქლებთან სისხლი მოაწვა. ბნელ სვეტებს შორის გაიარა და მყუდრო ადვილს დაუწყო ძებნა, საკმეველის სუნმა ოდნავ დაამშვიდა.

კანკელის წინაშე რამდენიმე სანთელი ბეუტავდა. ფანჯრებიდან შემოჭრილი სიო ალიცლიცებდა ნათელს. ჯერ იყო და თამარს ეგონა

ირყვოდა საერთოდ მთელი ატმოსფერო. შარავანდ-გახუნებულ წინდანიები ლანდებივით აწურულიყვნენ კედლებზე. რამდენიმე მოხუცის ლანდიუტყვად დალოღავდა საყდარში. ამ სიციარიელის, სიხუნძვანისა და სხვების წიაღში თამარი უარესად შეძრწუნდა.

ზეაიხნება, კირჩამორცხილ გუმბათზე გადმოკიდულიყო ებრაელთა გრძელწვერიანი ღმერთის ჩამოხეული ბალთები. თავი წაერეცხა წვიმას, ასე რომ თავმოჭრილ კაცს დამსგავსებოდა იგი ხუცის გახუნებულ სამოსში შორთული. ფანჯრები ჩაელეწნა ქარს. მლამიობები დარიალბდნენ ჩამოზნელებულ თაღების ქვეშ. ერთი მათგანი ზედ ლუსტრის გარშემო უვლიდა ლიტანიას, თავბრუდამსხმელი სისწრაფით დარიალბდა. კანკელს გადაღმა ლანდივით დაბორიალობდა მოხუცი მღვდელი. საცეცხლურის ჩხაკუნი ისმოდა და უნიათო პუტუნი ხშიანდებოდა სივრცეში ეამიდან ეამზე. გადასწევდა ხუცესი მომწვანო ფარდას, გაუჩინარდებოდა. მერმე იჩოქებდნენ წელში მოდრეკილ მოხუცების ლანდები, ჩიფჩიფი და ჩურჩული ისმოდა მხოლოდ.

თავკობიანი, მელოტი დიაკონი მიმკვდარებული ხმით ღიღინებდა ფსალმუნის ლექსებს.

და ეს ახალბედაშემოცვეთილი, დამშუული დიაკონი ისე უღიმამოდ კითხულობდა ფსალმუნს, ზედვე ეტყობოდა მობეზრებოდა დღენიდავ ფსალმუნის ლექვა და ახლა თავის სიგლახაკესა და დავრდომილებას შესტიროდა ღმერთს.

რომელიღაც ბერიკაცს ხველა აუტყდა. გახშიანებული ეხო გმინავდა თაღებს ქვეშ, თითქოს ლომის ღრიალი გაისმაო სადღაც, მერმე გაიბნა ეს ხმაურიც ნოტიო თაღებს ქვეშ.

მუხლმოყრილი ლოცულობდა თამარი, შესთხოვდა გლახაკთა და დავრდომილთა ღმერთს, სიცოცხლე შეერჩინა მისოუსტ ემხვარისთვის. ისე გულმხურვალედ ლოცულობდა, ნესტით გაეღენთილი აგურებიდან ამდგარ ნოტიოსაც კი ვეღარ გრწნობდა. ტრანსში გადასული ოდნავ მოლიცილიც, ჩალისფერ სინათლეს მისჩერებოდა, არც ფსალმუნის ლექსები ესმოდა, არც აღსავლის კარებიდან გამოსული მღვდლის ბუტბუტი. თვალი გაუჩერდა და ჯახანას სახე გამოიწვია ინტენსიურმა ფიქრმა. ჩვენება ფერგამკრთალი გამოკრთოდა ბურუსით მოცულ სივრცეში, ისეთი, როგორიც სურათზე უნახავს იგი მრავალგზის თამარს.

ახლა ხმა აღიმალლა დიაკონმა და უკვე მკაფიოდ მისწვდა თამარის სმენას საკითხავის გახურებული სიტყვები:

...და რაემს აღაღო მეოთხე ბეჭედი მესმა ხმა მეოთხისა ცხოველისა რომელი იტყოდა: მოვედ და ვიხილე და ვიხილე აჰა, ცხენი მწვანე და ზედა მჯდომარესა მას ზედა სახელი მისი სიკედილი“.

და სიტყვა „ცხენის“ გაგონებამ თამარის ცნობიერება თარაშ ეძებარის სახეს დაუკავშირა და ცრუმორწმუნე ქალმა ეს ყოველივე მომდევნო სიტყვას „სიკვდილს“ გადაასვენა.

ბრმა შემთხვევამ აქ არ შეაჩერა თავისი უსაზმნო თამაში. ეკლესიის თაღებს ქვეშ მორიალზე ღამურა ღამუსტრას მიეახლა, ერთობლივი წვრილი გაისმა და მლამიობი თამარის წინ დაეცა. შემკრთალი ქალის წარმოდგენაში ღამურის ფარფატი ისე გახშიანდა, დაცემულიყოს თითქოს უზარმაზარი შავფრთიანი ფრინველი. მერმე მოეჩვენა თამარს შავი, შავი მტრედებით აივსოო მთელი ეკლესია. საშინელის ხმით შეჭვივლა ქალმა, ნესტიან იატაკზე დაეცა პირქვე. ორმა მოხუცმა გარედ გამოიყვანეს ვულ-შემოყრილი უცნობი და როცა მოხუცი ქალები გამოვიდნენ, ტარიელ შარვაშიძის ქალი შეიცვენს.



ამ ამბავმა სავეებით გააცოფა ბაბუა ტარიელ. შვიდგზის შეაჩვენა ლუკაია ღაბახუა, ძაგანიას და მისი ქალის მოყვანის გამო. თამარის ავადმყოფობით ისედაც გახლებული ლუკაია დედისულს იფიცავდა, თავით მოვიდაო ძაგანია ხერაპსთან, მღვდელი მაინც ლუკაიას აბრალებდა: „შენ მოიყვანეო ის „ეშმაკის შვილი“.

ძაგანიები ქუსლმოქცეულებიაო, ძაგანიები მწითურებია, ამიტომაც კული ფეხი აქეთო ძაგანიებს.

მერმე კაროლინას მივარდა: შენ რომ არ შემომჩენოდი შინ არ შემოუშვებდიო სტუმრებს და ეს უბედურებაც არ დატრიალდებოდაო. ბაბუა ტარიელს ექიმების არა სჯეროდა რა, მაგრამ ხერაპსი შინ არ იყო და შესაძლებელი საფრთხით დაშინებულმა გადასწყვიტა: ექიმი შურლიაია ეხმო.

შურლიაია კბილის ექიმი იყო, ბაბუა ტარიელ შვილს უნათლავდა მას, ალბად ამიტომაც ამტკიცებდა ბაბუა ტარიელ: შურლიაიმ ყველაფერი იცისო.

როცა კაროლინამ თამარის მომყვანთ ყოველივე გამოჰკითხა, გონიერმა ქალმა მყისვე მოისაზრა, ეს ყოველივე თამარის ორსულობას დაუკავშირა. ლუკაიას უკან გამოუდგა, უბრძანა შურლიაიას ნაცვლად ფერაძე მოიყვანეო, გინიკოლოგი. ფერაძე იმ ღამეს სოფელში წასულიყო, ცოლმა შემოთვალა დილითვე გამოგზავნაო. სხვა გინიკოლოგი დაბაში არ იყო, ხერაპსს უდებეშეს დაუყოვნებლივ.

კოშმარული ღამე გაუთენდათ შარვაშიძიანთ. ტარიელ მთელი ღამე ათუხთუხებული დარბოდა თავის ოთახსა და თამარის საწოლს შორის. ოხრავდა, ბუზლუნებდა, ღმერთს ჰგმობდა: ოქტომში რად არ დამხვობტესო. კაროლინა ცალკერძ თათიას უვლიდა, ცალკერძ თამარს.

თამარს სიტყვებში უმატა. ბალიშებზე ველარ ამაგრებდნენ ლუკაია და დაშა. ზოდაედა. ხან დედას უხმობდა, ხან მწვანე ცხენზე მჯდომარე თარაშ ემხვარს ახსენებდა, ხანაც თვალეებზე ხელს იფარებდა. ვახუცაძეებდა: ფანჯარა დახურეთ, შავი მტრედებით გაივსოთ ოთახში.

გათენდა თუ არა, ბაბუა ტარიელ აივანზე გავიდა. იჯდა და კბილის ეჭიმს შურლიას უცდიდა. დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა ჭიშკარი ვაილო და გინიკოლოგი ფერაძე შემოვიდა. ბაბუა ტარიელ გაოცდა. მას სძაგდა ეჭიმი ფერაძეც, როგორც ყოველი ქერა კაცი, მაგრამ ზრდილობისადმი ვალის მოსახდელად წინ შეეგება.

დარბაზში შესვლის უმაღლეს კაროლინა დაუხვდა ეჭიმს. ბაბუა ტარიელ შორი ახლო შესდგა. შესცქეროდა თუ როგორ სძგერდა მღელეარებისაგან კაროლინას სავეს ვულმკერდი. იგი ხმადაბლა, რუსულად ელაპარაკებოდა რალაცას ეჭიმს. იქვე ლუკაია დამდგარიყო სავესებით გაბურძენილი, სახეარეული... მზერადტყეული შეკაყურებდა მოუბართ. ორივეს სახეზე ეტყობოდათ, ისინი მთელს სიცოცხლეს მისცემდნენ ამ საუბრის მთარგმნელს, გადმომცემს.

მერმე კაროლინამ ხელი გამოსდო ტანმორჩილ, მელოტ კაცს და თამარის ოთახში შეიყვანა.

ტარიელმა და ლუკაიამ კარამდის მისდიეს ეჭიმს. აქ კი მღვდელმა ლიადდარჩენილ კარიდან ასეთ რამეს შეასწრო თვალი: ეჭიმმა ფერაძემ, ნიკელის ორი ხელსაწყო ამოიღო ჯიბიდან, ისეთივე, როგორიც არაერთხელ ენახა მას ხერბისის კაბინეტში.

კაროლინამ კარები გადარბა. ბაბუა ტარიელს უცაბედად მოეჭრა მუხლი. იქვე მდგარ ლუკაიას კისერზე შემოაჭდო მარჯვენა და ისევ დარბაზში გააყვანინა თავი. ტყავის სავარძელში ჩავარდა.

იჯდა, სავარძლის ზურვისაკენ გადააგდო თავი, სუნთქვა შეკრულს პირი დაეზინა, სასუნთქავე ჰაერს იკრეფდა. შუბლზე ხელი გადაისვა. შიშველი ხელით მოიწმინდა ოფლი, მერმე ხელები მუხლებზე დაიწყო, ვასცქეროდა მოპირდაპირე კედელს, ალისფერ რკალებს და ხედავდა ჰაერში. ახლა ყურებმა დაუწყეს წივილი. ყურების წივილი მინიშნებული ჰქონდა ბაბუა ტარიელს როგორც უდიდესი უბედურების მაცნე.

ასე სახსრებმოშლილი ეგდო მისი უზარმაზარი სხეული და როგორც კი გაინძრეოდა, მყისვე აქრაქუნდებოდა ტყავის სავარძელი.

განუზომელად გრძლად ეჩვენა ტარიელს ის ათი წუთი, რაც თამარის გასინჯვას და რამდენიმე ლათინური სიტყვის ქალაღზე დაჯღაბნას მოანდომა ეჭიმმა.

როგორც კი ფეხისხმა შეიცნო, მყისვე ზეწამოიჭრა ნახუცარი.

უეცრად მუნღლებში ძალა მოემატა, აღლევებისაგან წილში გააშართა, ჯიქურად წინ შეეგება მელოტ კაცს.

„როგორია საქმე, ექიმო?“

ექიმმა თავი განზე გადახარა, კეფაზე მოიფხანა და უმსდებლად უღებნება მოხუცს:

„მე მგონია, ბატონო ტარიელ, არც საქმის გაიოლება ივარგებს ამჟამად. საქმე ძალიან სერიოზულადაა ჩემის აზრით“.

„მაინც რა, მაინც რა?..“

ათუხთუხდა ხუცესი.

„მე ეფიქრობ მაშაო, თქვენ ჩვენზე უფრო სულგრძელად უნდა შეეგებოთ საფრთხეს. ხომ გაგიგონიათ, ქირსა შიგან გამავრება, ისე უნდა ვით ქვიტკირსაო“.

„თუ კაცი ხარ ლექსებს თავი დაანებე, შენ ეს მითხარი რა სქირს ჩემს ქალს? თქვენ ასე იცით ექიმებმა წილადობილა“.

„უეჭველად, მცირეოდენი შერყევა აქვს, გონების შერყევა“.

ამის გამგონე ტარიელმა ხელი საფეთქლებში იტაცა.

„ფრთხილი და ფაქიზი მოვლათ საქირო, სულიერ დებრესიის ნიადაგზეა ეს ყოველივე მომხდარი. თუმცა შესაძლოა გაუაროს კიდევაც ამ დებრესიამ“...

ექიმი დადუმდა, აუტანელი ეჩვენა ტარიელს ეს მცირე სიჩუმეც. მის შემეცნებაში ეს უცხო სიტყვა „დებრესია“ გაეხიზა, ექიმიც ვერ მიხვდა დებრესიის ნაცვლად „შავნაღვლიანობა“ ეთქვა.

სიტყვა დებრესია, ძაძად იქცაო თითქოს, ზედ გადაეფოფრა ბაბუა ტარიელის აფორიაქებულ გონებას.

„გარდა ამისა, განაგრძო ექიმმა, აქ სხვა რამესთან უნდა გვეჭონდეს საქმე, მაგრამ ხერიპსი ჩამოვა, მე მას ვეტყვი, ესა სჯობია“.

ესა სიტყვა და თავის ქუდს წამოავლო ხელი.

„როგორ თუ ხერიპსს ეტყვიოთ და მე არა, აუწია ხმას ბაბუა ტარიელმა, ხერიპსი ვინაა, ხერიპსი რა შუაშია, ჩემი ქალის ამბავი მე არ უნდა მამცნოთ და ხერიპსი, ხერიპსი...“

აქ ენა დაებრგენა ბერიკაცს მღელვარებისაგან, მარჯვენა წარბი აუტოკდა და სავარძლის ზურგს წაებოტინა. თავი შეიმაგრა, ისევ ექიმისკენ გადადგა ნაბიჯი. მჯიღებით მიეჭრა და უყვირა:

„ახლავე მითხარით, რა სქირს ჩემს ქალს, ახლავე, თორემ აქიდან ვერ გახვალთ იცოდეთ“.

დარბაზში კაროლინა შემოვიდა, გვერდით ამოუდგა ექიმს.

მის ფერგამკრთალ სახეზე უდიდესი მწუხარება აღბეჭდილიყო.

ეს შეამჩნია ბაბუა ტარიელმა და ისევ გაუშეორა ექიმს ერთხელ ნათქვამი.

ექიმმა მხრები აიჩეხა, კაროლინას გადახედა ერთი, შორტზე მკვახედ მიუბრუნდა ნახუცარს და ბეჯითი ტონით ეუბნება:

„თქვენ მართალი ხართ, მამაო, მე უთუოდ მოვალე ვარ, მაგრამ თქვენ გაუწყობთ თქვენი ქალის ამბავი. მაშ დამშვიდდნენ და მისხმნენ: თქვენი ქალი ორსულადაა, იგი ჩემის ვარაუდით მესამე თვეში უნდა იყოს გადამდგარი.“

„რაო, რა თქვა, რა თქვა?.. რას როშავთ?“

დაიყვირა ბერიკაცმა, წელში გაიმართა, ისევ მიეჭრა ექიმს, პიდჯაკის შორტზე წააელო ორივე ხელი. ზედიზედ შეანჯღრია ეს პატარა, მოცოროზი კაცი.

„როგორ მიბედავთ თქვენ ასეთ რამეს, თქვენ ვინა გგონივართ მე? ჩემი ქალი და ორსული? თქვენ ხომ არ გეშლებათ, ეს ტარიელ შარვაშიძის ოჯახია, გესმით? გესმით? თქვენ არაფერი იცით ექიმებმა. მე თქვენთვის არც დამიძახნია, მე შურლია ექიმს დავუძახე და თქვენ მოხვედით, არ გნახოს ჩემმა თვალებმა ამიერიდან ჩემს სახლში“.

ექიმი მთლად გათეთრდა სახეზე, კაროლინას გადახედა. მაინც ვწვილად წააელო მოხუცს მაჯაზე ხელი, თავი გაინთავისუფლა და კარებს მიაშურა.

ტარიელ შარვაშიძეს მიწისფერი გადაეკრა როცა საყრდენი გამოეცალა, შეტორტმანდა, სავარძლის ზურგს მოეკიდა, თავი უკან გადაუვარდა. ადამის ვაშლი გამოუჩნდა მკეალოსებრ დამკვანარი, კაროლინა და ლუკია წამოეშველნენ და ტყავის სავარძელში ჩაასვენეს გულშემოყრილი მოხუცი.

## 59. ... და თოვლს უნდოდა კიდემის აპოსო ქვეყანა

სთოვდა, ისე ხევიანად და ისე ტკბილად, როგორც ზღვისპირა ქვეყნებში სჩვევია თოვლს. ხათუნა და ძაბული სასოწარკვეთილი შესცქეროდნენ ფქვილისფერ ცას. ცა არ ჩამოიქცესო შიშობდა ხათუნა. დღე და ღამე სთოვდა და ბარდავდა. სოფელი თოვლში ჩაეფლო, ოდიშური სახლები თეთრ პირამიდებს დაამსგავსა თოვლმა. ოქტომი მოკვდა და გაინაბა, თითქოს სიცოცხლის კრიაბული შესწყდაო. მხოლოდ მამლების რულმორეული ყივილი და ძაღლების გნიასი ისმოდა ხანდახან.

ბუნებაც გადაირიაო იტყოდა ხათუნა. მართლაც, ჯერ კიდევ ნოემბერში დაიწყო გაბმული, სეზონური წვიმები. პატარა ოქტომისწყალიც ისე გაცოფდა, ზეამბაიების ხიდი წაიღო. ძაბული და ხათუნა, პერანგის ამარა მისდევდნენ კივილით, მოტაცებულ ხიდს. ჭოლოკებს ახვედრებდნენ, ქელეში ქამანდას ესროდა, ისე როგორც კაც ზეამბაიას უქნია თავის დროზე ეს, მაგრამ ამოა გახდა ცდა. ხიდის წაღებამ ფრიად დააზარალა ოჯახი. მათი სარგო ჩალა და შეშა ვერ მოიმარაგეს.

ქუჯის გაქცევამ უმამაკაცობა უფრო მწევედ აგრძნობინა ქალებს. ძაბულიმ მიზეზი არ გაუმხილა ხათუნას. ხათუნა იმ ღამეს გაცივდა. ძაბული კოლექტივში სამუშაოდ ველარ მიდიოდა, პატრონივე მდებარეობდა ხათუნას მოვლას ველარ აუდიოდა.

ასე დაიწყო კაც ზვამბაიას დიდი ოჯახის რღვევა.

ქარმა ყავარი გადააძრო სახლს. ღობა შეეპარა კაკუტებს და საძირკველს. ისლგადამძვრალი სასიძინდე შექანდა. სახურავები გადასათოვლი იყო, სად იყო პატრონი. ორი დედალორი ქალაში დაეკარგათ ბავშვებს, მეორე დღეს გაიგეს: მგლებს დაეგლოჯათ ისინი. უჩვეულო თოვლმა ნადირი დაამშია, ასე რომ მგლები და ტურები თხილნარში ღნაოდნენ და ღმუოდნენ. ძაღლებს მოსვენება არა ჰქონდათ ღამით. უზომო შრომისაგან დაქანცული ქელეში ადრე იძინებდა, ქალები შიშისაგან ცახცახებდნენ. არ იცოდნენ მგლები იყვნენ თუ ტარბები?

ძაბული არზაყანის ნაგანს მკერდზე იხუტებდა, არზაყანის სუნთქვას იგონებდა და მუდამ ეს ერჩია; ტარბების ნაცვლად მგლები მოსულიყვნენ. ხათუნას არ უმხელდა ძაბული: ერთერთ ტარბას დაუქანდია დუქანში: თუ მამაკაცებს სისხლი ვერ ვაზღვევინეთ, კაც ზვამბაიას ოჯახს გადავეწვავთო. ძაბულის გულში მცირეოდენი იმედი ააკიაფა ამ ქადილმა, ვინ იცის, ეგებ ცოცხალი იყოსო არზაყან. მთელი ღამე მკერდში ჩახუტებული ჰქონდა არზაყანის ნაგანი. ბოსელში ჩალა გაფაჩუნდებოდა, გული ცემას მოუხშირებდა, მაშინ მომეტებულად ხელს უჭერდა ძაბული არზაყანის ნაგანს.

კაც ზვამბაიას ოჯახი საესებით განმარტოვდა. ზოგნი არზაყანის გამო დაემდურნენ მათ, ზოგიც ტარბების ხათრისა და მუქარის წყალობით. მაჩაგვა ეშმა შერჩათ ერთადერთი, როცა ქელეში არ იყო, ჭათამს მაჩაგვას აველევინებდნენ, დიდ ნამორებს მას აჩებვინებდნენ. სამამაკაცო საქმეზე კიდევ მაჩაგვა ეშმა ეხმარებოდათ. ოქტომბერში მაჩაგვას უეცარი უბედობა ეწვია. ცხენი ჩამოართვეს მაჩაგვას, გაგულისებულმა კოლექტივის ხარი გაატყავა ტყეში და ზუგდიდში გაყიდა ჯიბრით. ამის გამო შეიპყრეს ეშმა და იძულებითი სამუშაო მიუსაჯეს.

ისევ ქუჯის იმედი და შერჩა ხათუნას.

იმ დილით ხათუნამ ქუჯი მოიკითხა.

„შენ ხომ არ აწყენინე რამე ქუჯის ნან?“

ეკითხება ხათუნა ძაბულის.

„მე? არაფერი ბატონო“.

„აბა რად არ მოდის ქუჯი?“

„რა ვიცი ბატონო“.

„გაწყობილი ღობე მან ჩამოიტანა იმ ღამეს?“

„ქუჯიმ ჩამოიტანა ბატონო, აბა მე როგორ მოვერეოდე ერთ ურემ ღობეს“.



ჯამუ გაუგზავნა ხათუნამ ქუჯის.

ასე შამოგითვალაო ხათუნამ, სიცივით გიკვდებით დედაშვილობას. სახურავები გადასათოვლია, საცაა თავზე დაგვექცევაო, კახლეთ ქუჯისმადიდ ნამორს ვერაფერი დააკლოო, მე ავადა ვარო, შენს ხსენებას მხატვანიე, დამიხერხეო დიდი ნამორი დედაშვილობას. ასე შეუთვალა.

ჯამუ დაბრუნდა. ქუჯი ცხენზე იჯდაო, სადღაც მიდიოდა, დავბრუნდები თუ არა, გამოვივლიო.

ამბობდა ჯამუ.

მერმე მთელი დღე ჭიშკარს ვასცქეროდა ხათუნა წყლიანი თვალებით. სთოვდა, ბამბის ფთილივით ბარდავდა, თამაშით მოდიოდა ციდან თეთრი, კეწკეწა თოვლი და ისე ეგონა ხათუნას თოვლი აავსებდა ქვეყანას კიდემდის.

ქუჯი რომ მოვიდოდეს, ქელეში და ქუჯი მოათრევენ მუხის ნამორს. ნატრულობს ხათუნა და ვასცქერის ჭიშკარს.

ეს სთქვა ხათუნამ და ცხენოსანი გამოჩნდა შარაზე.

„ქუჯი მოდის ნან, ჭიშკარი გაუღეთ ვინმემ“.

წრიალებს ხათუნა და იხედება გარშემო. ჯამუ და ქელეში სათოვლავად გაპარულიყვნენ. ძაბული იქვე იჯდა და კერავდა. არ იამა ქუჯისთან შეხვედრა პირისპირ. მაინც ადგა და ჭიშკრისკენ გაემართა ზანტად.

იმ ღამის შემდეგ რა პირით მოდის არაყაყანის ოჯახში ქუჯი, ფიქრობს ძაბული და მიაპობს თეძოსთავამდის მოწეულ თოვლს.

ჭიშკარი გაალო ძაბულიმ და მხედარი ჯერ კიდევ შორსაა.

მოდის ჩაბალახით თავგაკრული მხედარი თოვლისაგან მთლად გათეთრებული.

ცხენი მოაპობს თოვლს, ორთქლის ხვითქი გადადის ცხოველს.

ცხენის თავკისერს შეხედა ძაბულიმ, ერვოლამ აიტანა. თვალი ხომ არ მატყუებსო? კიდევ შეხედა ყურებს, თავკისერს და მკერდს.

არაბია უნდა იყოს არა? არაბიაა, რა კითხვა უნდა.

მხედარი ვერ იცნო თოვლისაგან მთლად შეფუთნილი, ჩაბალახიანი მხედარი. ქუჯი არაა, უწვერული სჩანს ვილაცაა.

ჭიშკრისკენ არც მოუხედავს, ისე ჩაიარა ცხენმა.

მუხლები მოეჭრა ძაბულის, გული აუტოკა არაბიას შეხედვამ. ცხენი ვამხდარი ეჩვენა და გაახსენდა ამ წუთში ოქტომში განაგონი: ტფილისს გადაგზავნაო არლანმა არაბია, სავაზაფხულო დოღისთვის საწრთვენლად. გავას და კუდს შეასწრო ძაბულიმ თვალი.

არაბიაა, ნამდვილად, არაბია!

სთოვს, ბარდავს დაუცხრომელად, ცხენი მგლურით მინავარდობს. ძაბულიმ უჩქარა ნაბიჯს, ნაბიჯიდან ტუნძულზე გადავიდა, უნდა ნახოს ვინ შემჯდარა არაბიაზე ან სად მიჰყავს ამ მხედარს ის ცხენი? მირბის და მიაპობს თოვლს. ერთხელ კიდევ უნდა შეავლოს არაბიას ძაბულიმ

თვალი. ნახოს არზაყანის საყვარელი ულაყი. დიდრონ შავ თვალებში შეხედოს, ხელი დაუსვას ქარგაშლილ მკერდზე. და არაბია მარტოოდენ ცხენი როდია, არამედ არზაყანის სულის ნაწილაკი დეკორატიული ხმა გაზნიანდა ძაბულის სმენაში.

გ. ი. მ. მ. მ. მ. მ.

რბენაზე გადავიდა ძაბული, მიაბობს გაუქვალავ თოვლს. და არზაყანის თაფლისფერი თვალები ელავენ თოვლის კეწკეწა ფონზე. და მირბის ძაბული, მირბის და არზაყანის ძაბილი მოესმის.

ჩამოიარეს ვილაკებმა. გადმოხედეს მორბენალ ქალს. სთოვს გადუღებლად, პენტაეს და ბარდაეს. კაბა აიკრიფა ძაბულიმ და მისდევს კვალდაკვალ ცხენს. დაპკარვა თვალთაგან ცხენიც და მხედარიც, მაინც არ სცხრება ძაბული და მირბის.

როგორი ბალღური სურვილია, როგორი საოცარი ეინი! რა მოეცება ძაბულის არაბიას ნახვისაგან, რა მოეცება მერმე მის დაკოდელ გულს? ფიქრობს ძაბული, მაგრამ მაინც მირბის ამ თოვლში. ღონე გამოელია, მუხლები ეჭრება, დაინთქა თოვლში ცხენიც და მხედარიც, სთოვს, თოვლის ფთილები იზნევა მიწაზე, ისე ხეავრიელად და ისე უზომოდ, თითქოს ქვეყანას აავსებსო საცაა და ჩაიტანს ძაბულისაც.

ეს უნდა ძაბულის. მოვიდეს ქვეყნად უზომო, უზომო თოვლისა შვავი, დაბარდოს, აავსოს კიდემდის ქვეყანა და ჩანთქას ძაბულიც მეწყერის პირმა. ნუმც შეჩერდება აქ თოვლის ზევი და ქვეყანა ჩაფლოს, დამარხოს თოვლმა. და დაეყრება ძაბულის მკერდზე, თეთრი და სპეტაკი თოვლისა ფრთილა. და გაეთხრება ძაბულის მრავალგზის ნანატრი სამარე, თოვლისა სამარე.

გზაჯვარედინზე შეჩერდა ძაბული. არც მარცხნით, არც მარჯვნივ არა სწანს კვალი. სთოვდა დაუცხრობლად მარჯვნივაც მარცხნივაც, ფქვილისფერი ცა ჩამოდიოდა მიწაზე.

ტრემლი მოებჯინა ყელზე ძაბულის. მიწამ თუ ჩანთქაო ცხენიც და მხედარიც. მზადაა ძაბული აქ ჩაწვეს ამ თოვლში, თოვლში დაიძინოს სამარადეთამოდ.

გულმა ასე უთხრა და მზარმარცხნით ირბინა, ისევე წააწყდა ნაკვალევს და მირბის. ეს არის უთუოდ არაბიას ნაკვალევი; თავი ინუგეშა, უმატა სირბილს.

ეცნაურა გარემო, ორლობე გათავდა და მერმე დიდ ცაცხვებს შეხედა. იცნო. ეკლესიის, ანუ თემსაბჭოს მოედანია. თოფის სროლაზე მიეახლა თემსაბჭოს შენობას. ხედავს უნაგირიანი ცხენი აბია ფარულში.

უმატა გულისძგერამ ძაბულის. მანძილი მცირე დარჩა და სწორედ ახლა შემოაკლდა ღონე. დამძიმდა თოვლი, დაუსუსტდა მუხლები და საცაა ჩაიკეცავს, წაიქცევა თოვლში. წაიქცევა, იტირებს და ამ რბილ, თეთრ-თოვლში თავს ჩაპყოფს და აღარ ადგება აწი. რადგან მძიმეა ეს ცხოვრება უარზაყანოდ, თოვლივით მძიმე და მუხლის მომჭრელი. მიდის და

მანძილი აღარ იღვევს, მიდის და უჭრელდება დაბულის თვალზე. სულ თციოდე შეტრი დარჩენია, მიდის და ვერ ერევა მანძილს. უკვე მოციხფრო წინწკლები ელავენ ჰაერში, თვალები უწყალებზე, დაბულის სუნთქვა ეკვრება უფრო და უფრო, საცაა გაუსქდება გულზე და მოიხევენებს. და დაეყრება დაბულის მკერდზე თეთრი და სპეტაკი, ნაპენტი თოვლი.

აქმინებული მივარდა დაბული ცხენს. არაბიამ თავი ზეასწია, პატარა ყურები დასცქვიტა, დააფახულა თვალები და შეხედა გაოცებულმა, თითქოს გაუცვირდაო დაბულის ნახვა, მერმე წაიგრძელა კისერი, მხრისთავზე უყნოსა ქალს. თემსაბჰოს აივანზე ერთი ნაბდიანი და ერთიც ქურქიანი მოხუცი იდგა. დაბულიმ არად ჩააგდო ისინი.

მიეჭრა დაბული არაბიას. მოუდრიკა გუდისებრ კისერი, ყურებზე მოუსვა ხელი, ორივე თხემის რქაზე აკოცა, მოდრეკილ კისერზე მოეფერა ნაზად, ფაფუკ ჩიჩვირზე შეავლო ხელი, მკერდში ჩაიკრა ცხენის თავი და ისეთი გრძნობა აქვს დაბულის, თითქოს ამ საყვარელ ცხოველს თან ზლებოდეს არზაყანის სული. არზაყანის სუნთქვა შერჩენოდეს მას. იწვიმა ცრემლებმა ქალწულის თვალთავან. ჩიჩვირზე აკოცა არაბიას. მერმე დაუვარდა ფერხით და მუხლებზე აკოცა, მაგრამ ცხენს კი არა, სიყვარულის მალალ ღვთაებას, ცხენის სახით განპიროვნებულს.

„ვინაა ეს ქალი, რამ გადაარია?“

იკითხა ქურქიანმა.

„არზაყან ზემბაიას ქვრივია“.

მიუგო ნაბდიანმა. მერმე დუმილი დაარღვია ქალის ტირილმა. სტიროდა დაბული. სთოვდა ტფილად და ხევერიელად და თოვლს უნდოდა კიდემდის აევსო ქვეყანა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)



გიორგი კახაიძე

## ვ ა უ ა

კერასთან ღამით ბავშვობის წლებში  
გავშალე წიგნი და მაშინ ვნახე:  
ჩოხით მორთული მხარ-ბეჭი შენი  
და წვერ-ულვაშში ჩაფლული სახე.  
გიგულე ძიად და როგორც ჯანი  
აზრის მხნეობა მომეცა მეტი...  
გჩინდა ვაგვაცს ქილების ჯარით  
დამშვენებული მაღალი მკერდი.  
გიმზირე დიდხანს და შემდეგ მთისკენ  
გავუყვი ჩემად სტრიქონთა ბილიკს:  
მგზავრს მარცხდდა ლოდების სისქე —  
ვეება მთების ჩონჩხი და კბილი.  
ღედო ბუნებავე, სიღინჯე გშვენის,  
ვთქვი და შევხედე ღიმილით მუხნარს.  
ტყიდან გამოხტა დაჭრილი შველი  
და საყვედური ქვეყანას უთხრა.  
უკვირდა, მზე რად ხდებოდა მკრთალი  
რად ეხვეოდა ნისლეების გროვა...  
ვატყდა, დაეცა და მწყრალი თვალით  
ხეცას პატარა სიციცხლე თხოვა.  
სისხლის წინაშე აეჩვილდი ბავშვი,  
შევკრთი და გულში ტკივილი ვიგრძენ.  
თუმცა არც მქონდა განცდილი მაშინ  
გველის მჭამელი მინდიას სიბრძნე.  
დავტოვე შველი ჯერ კიდევ სუფთა. —  
სადღაც წაგაწყდი ფრინველთა ნადიმს,  
სადაც ტოტებზე ფარავდა სუფრას  
არწივის ფრთა და ბულბულის დარდი.  
იმ ნადიმს ახლაც ეხედავ და ეხაოვბ. —  
ხელი შეგახე განიერ ფოთლებს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

კლდიდან ბროლივით გამოსკდა წყარო  
და ძირს ბუჩქებმა სიმწვანით მორთეს.  
დავხურე წიგნი... შთა ვიგრძენ, სადაც  
მოგყავდა პოეტს ქერი თუ შერია;  
სადაც უმღერდი პაპათა ადათს,  
ყვავილებსა და ბალახთა შრიალს.  
თურმე ძილშიაც გესმოდა კენესა,  
ხეების კენესა, წუხილი ქარის;  
თურმე ითხოვდი სიკვდილის დღესაც,  
რომ შეეხვიეთ ფოთლებში, მკვდარი.  
სხვა კაცი იყავ! გინდოდა აღმათ,  
მკვდარსაც მგოსნურად გემღერა რამე;  
გეგრძნო კლდენი და ტყეები დაბლა  
ადევნებულნი უძირო ხრამებს.  
მთებში მგონიხარ, და თითქოს ახლაც  
მიწას ხნავ ფშავში დამტკბარი დილით;  
ხან სერზე დგახარ, ფიქრობ და მალლა  
წელში წახრილი მიჰყვები ბილიკს.



პანტელეიმონ ჩხიკვაძე

## მურზაყან დაღეშქელიანი

(რომანი\*)

### 8. შეთქმულთა შრილობა

წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში უხუცეს სევანთა ყრილობაა დანიშნული. რამდენიმე დღის წინათ ამ სევანებმა ერთგულება შეჭყდიცეს თათარყან დაღეშქელიანს. მორჩილება აღუთქვეს. დღეს შეთქმულთა კრებაა მოწვეული.

ყასბულათ მეთაურობს კრებას. ოჯახში გამოვლით მას ცოტა შეაგვიანდა. მიიჩქარის, მაგრამ აღმართთან ბრძოლა უკვე უძნელდება ხანშესულ მონადირეს.

მუხლი მგლისა აქვს ყასბულათს, ბილიკებზე სიარულს ბავშობიდანვე დაჩვეულია, მაგრამ ეს ერთი ხანია გული აღარ ემორჩილება. მოთმინება ეკარგება შეყოვნებულ მონადირეს... დაგვიანება სამოცი სევანის ბედობალთან არის დაკავშირებული.

ფიქრებმა გაიტაცა ყასბულათ მარგიანი. გალავანს მიუახლოვდა, მაგრამ ყრილობაზე სათქმელი რომ ვერაფერი მოისაზრა! მან კარგად იცის ჩუბეხევში დატრიალებული ამბები. ისიც კარგად იცის, რომ ხალხის თვალში მონების გაყიდვის მიზეზი ყასბულათ მარგიანია.

„უფლისწულების გაბიზენამ გააცეცხლა თათარყან, თორემ... ჩვენ ხელს არ გვახლებდაო“, შესჩივლეს კიდევ ყასბულათს ზოგიერთებმა. დრო აღარ ითმენს, თორემ ყასბულათ ადვილად დაარწმუნებს სევანებს ასეთი მოსაზრების უსუსურობაში. სასახლის აოხრება, სამთავროს ხელში ჩაგდება და მონების გაყიდვა რახანია გადაწყვეტილი ჰქონდა თათარყანს. ქალილ-ბეის სტამბოლიდან ჩამოსვლა ხომ შემთხვევითი ამბავი არ არის... პირადად მარგიანთან სულ სხვა ანგარიშები ეჭნება ამჟამად თათარყანს: უფლისწულებისადმი მიმზრობასა და მათ გაბიზენას ასე ადვილად არ აბატებებს სევანეთის ბატონ-პატრონი მონადირე სევანს, მაგრამ მონების გაყიდვას ხომ სრულიად უსაფუძვლოდ უკავშირებენ მარგიანის ვანდგომას.

\*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

ყასბულათ სიამოვნებით გასწირავს თავს სამოცი სვანის <sup>გადასარჩე-</sup>ნად, ეახლება თათარყანს და შესაფერ სასჯელს თვითონვე მოითხოვს, მაგრამ თათარყან გულს როდი შეიცვლის მონადირე სევერცკევიჩილებით. ეს იცის ყასბულათმა, მაშ რა გადაწყვეტილებები <sup>მას შემდეგ</sup> უნდა ეტყუას სვანთა ამლამინდელ ყრილობაზე?

ჩამოჯდა ყასბულათ, გაოფლებულმა ახალბის ლილები შეიხსნა. მოკვიდილ ცას ჩხია თვალები მიაპყრო და მიძიმედ ამოიოხრა.

აგერ კაშკაშა ვარსკვლავი მოწყდა ცას და სადღაც შორს, მთავრებლებში ჩაიღწა.

„ვიღაც მოკვდა... სამუდამოდ ჩაქრა მისი ვარსკვლავი... რა წუთიერია ადამიანის ამ ქვეყნად გამოცხადება და რამდენი ჭირვარაში ახლავს თან ამ გატანჯულ ცხოვრებას!.. მოწყდა... გათავდა... იქნება ჩემი შეილების ბედის ვარსკვლავებიც ბეწვზე ჰკიდია და საცაა ისინიც ჩაიკარგებიან ამ უკუნეთ სივრცეში... ღერბეთ! დაგელოცა საძრთალი!“

ფიქრებს ბოლო ველარ გამოუნასკვა ყასბულათმა. უნდა ყრილობისთვის გადამჭრელი რამ მოისაზროს, გარკვეული აზრით წარსდგეს ხალხის წინაშე, მაგრამ გონება რომ აღარ ემორჩილება?! თქალები უგზო-უკვლოდ დახეტიალობენ დაბინდულ სივრცეში და ყასბულათის აზრსა და გონებას თან დაატარებენ...

ყასბულათს თვალწინ უტრიალებს უკანასკნელი ნადირობის დროს შემთხვეული ამბავი: ოქროს ფული... ოქრო „პატარა ღმერთია“... ოქრო ქვეყანას აკრიალებს... დაბალსა და ჯაბანს ამალღებს, მალალს ცამდე აიყვანს... ყასბულათმა იცის ოქროს ფასი. მისი ძლიერება გაზომილი აქვს, მაგრამ დღეს რატომღაც შეკრულია ყასბულათის ქკუაგონება... ნაპოვნი ოქრო, მართალია, გულს უხარებს... ოქროს პატრონი მონადირე მოჭარბებულ ძაღლონეს გრძნობს მკლავებში, მაგრამ... მაგრამ ნაპოვნის გამხელა რომ არ შეიძლება?! გაჭირვება ამაზე შორს სად წავა?! მოსწრებული შვილების ბედი ბეწვზე ჰკიდია... თვითონ ყასბულათ განდგომილად ჰყავს გამოცხადებული სვანეთის მთავარს... მაგრამ... „საიდუმლოების“ გამხელა როგორ იქნება?! დალი რომ გაწყრეს? წმინდა ადათის შებღალვამ მალალი ღმერთი რომ გაარისხოს?! არა... არა, არა! შეუძლებელია! სხვა გამოსავალი უნდა მოიძებნოს... ნაპოვნი განძი აქ არაფერ შუაშია. ის თითქო არ არსებობს. ვთქვათ, არ მეპოვნა, მაშინ? მაშინ ხომ... არა, სვანების გასაჭირს ნაპოვნი განძი არაფერს უშველის... თუ გინდ შევლოდეს კიდევ... რაც მალალმა ღმერთმა ჩემს გაჭირვებულ ოჯახს უწყალობა... სვანებს ხომ არ გავუნაწილებ? შვილები? შვილები რომ გამოისყიდოს... თვითონ ყასბულათ როგორ შეურიგდეს თათარყან და დეშქელიანს? ნაპოვნი განძეულის წილი რომ მოსთხოვოს?! სულ რომ წაართვას?! არა... ათასჯერ არა! განძი ჯერ ხელუხლებელი დარჩება ყასბულათის ოჯახში... ასეთია ყასბულათის მტკიცე გადაწყვეტილება.

ყასბულათ შედგა... რაღაც მოისაზრა. „დიდებულაია... სწორად აზრია. ღერბეთ, შენ აყავ ჩენი შემწე!“

ეს სიტყვა და ნაბიჯს მოუჩქარა. დაეღვებაში აირბინა, ცაბრეცე სერი და გალავანს შიგნით თავშეყრილ უხუცესებს მიესალმებოდა.

უხუცესები საფლავის ლოდებზე ისხდნენ და რახანია ყასბულათის მოსვლას ელოდებოდნენ. შეკუპრულ ქანდაკებებს წააგავდნენ შავ ჩოსებში მორთული უხუცესები. უძრავად ისხდნენ.

— რას იტყვი ყასბულათ?! — დაარღვია სიჩუმე მოხუცმა ვიბლიანმა და თეთრი წვერი მარცხენა ხელით ჩამოიფოცა.

— რა გითხრათ. იქნებ თქვენ მოისაზრეთ რამე? — ახლა ყასბულათ შეეკითხა უხუცესებს.

— სანუგეშოს ვერაფერს ვხედავთ... ფული არა გვაქვს და სხვა რამ სიმდიდრე... ოცდაათი ოქრო კაცის თავზე... სამოცჯერ ოცდაათი... შაშ-მარი თუ დათვლის რამდენი იქნება.. ვიღუპებით.

— ვიღუპებით, — დაუდასტურეს სხვებმაც.

— თათარყანის მორჩილებაზე რაღას იტყვი? — პირდაპირ დაიწყო მარგანმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მკრთალ შუქზე ერთმანეთს გადახედეს. ნანგრევებზე ჩამომჯდარი მიკიოტი არღვევდა შეთქმულთა მყუდროებას.

— თქვით რამე. კაი კაცებო!

— რა გვეთქმის. ფიცი ხომ დავდეთ, — ამოდერდა ისევ ვიბლიანმა. ჩიბუხი დატენა და ტალკვეს გაჰკრა.

— ვითომ რაო, მთავარს ვადგუდგეთ? — იკითხა მანაგაძემ.

— დავიღუპებით.

— რუსებს ამოაყლეთინებს ჩვენს თავს.

— რუსები რათ უნდა, თვითონ ვერ გაგვიმკლავდება? მომზრები ჩვენს თემშიაც ეყოლება.

— არა, ხალხო, არ გამოდგება.

— კეშმარიტი აზრია... განდგომა არას გვარგებს, — დემომწმენ ერთმანეთს უხუცესნი და დადუმდნენ.

დუმობა დიდხანს გასტანა. სასოწარკვეთისა და ბედთან შეროგების ნიშანი იყო ეს დუმობა... აქა-იქ უნებლიედ ჩახველეს, მაგრამ ხმას მაინც არავინ იღებდა. სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ იპედლაწრეტილ სვანებს.

ზოგიერთს წასთვლიმა: ალბათ დაღლილობაში და ღამისტეხამ თავისი გაიტანა.

— საცაა ვათენდება, ხალხო! — უგულოდ შენიშნა მარგანმა.

უხუცესნი შეიშმუშნენ. მთავარის მკრთალ შუქზე ერთმანეთს გადახედეს და ისევ გაწმუნდნენ.

— მაკვირებს თქვენი საქციელი, — აუწია ხმას ყასბულით და ფეხზე წამოდგა. — რას ფიქრობთ, ხალხო? კრიკა როგორ შეგვერთო? იქნებ გგონიათ თათარყან და დეშქელიანი ხელს აიღებს თავიქვეშაზე? სამოცი კაცს ბედიღბალს ასე როგორ ეხუმრებით! გიგზიქსიქსი

— ნეტავი შენ, რომ მართლა ხუმრობის გუნებაზე ხარ! — გაფიცდა ქურდან მანაგაძე.

— მე არ ვხუმრობ, ქურდან! საცაა გათენდება და ეს მალეღვებს. მალეღვებს თქვენი სიღინჯე და გულგრილობა. ცისკრის მოახლოება ყოველთვის როდი ახარებს ადამიანის გულს.

— სთქვი, რის თქმაც გინდა, რაღა შორიდან იწყებ, — კვლავ ჩაუბრუნა მანაგაძე.

— შეძნელება. გულს მიტეხს თქვენი დუმილი.

— გადადგომა მაინც უაზრობად მიმაჩნია. ვერც გაყრდღლებს ეს შეველით რამეს და... შეიძლება...

— ისე იბღუნებდით, თითქო თქვენს დღეში თოფი ხელში არ აგელოთ. არ გცხვენია, ქურდან! რამ დაგაგლახათ, სევანბო!

სათითაოდ გადახედა ყასბულითა თაფჩაქინდრულ სევანებს.

— თოფი?! — გაიოცა ერთმა.

— ეს რა სთქვა?

— თოფი... ვითომ რაო? — ცალყბად იკითხა მანაგაძე.

— რა გიკვირთ, ხალხო? სევანს თოფის ხსენება გაუკვირდეს? სირცხვილია, ხალხო!

— იარაღს შიგნართით? რის იმედით?!

გახურდა კამათი. შეხლა-შემოხლა ხაზღვარს გადაცდა. ორი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა ყრილობაზე. უმრავლესობა მაინც განდგომის მოძრე აღმოჩნდა.

— რომ დავმარცხდეთ?

— თავისუფალ სევანეთს შევეფარებით ან მურზაყანს შევეკედლებით.

— მურზაყან ვითომ ხეირს დაგვაყრის? — დაეკვდა მანაგაძე. — თათარყანს სასახლე მაინც აქვს. მურზაყანს სასახლეც ჩვენ უნდა ეფუშენოთ და... არც სხვა გადასახადებით მოგვაწყენს თავს მამისეულზე ხელდარეცხილი შთავარი.

— ქურდან მართალს ამბობს. — დემოწმენ სითათბირო ხმით დამსწრე ახალგაზრდები, მათ შორის ნოშრევანიც.

— შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის, დაქინებით განაცხადა მარჯიანმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეჰ, საყუყმანო ბეგრი რამ მატე, მაგრამ... თანახმა ვარ, ნტკიცედ სთქვა ბოლოს მანაგაძე.

— თანახმა ვართ... — კანტი-ქუნტად წამოიძახეს სხვებმაც.

შეადგინეს თავდასხმის გეგმა. მეთაურებიც აქვე დანიშნეს. ფეალის ასახვევად თათარყანს შუაკაცები გაუგზავნეს. „გვაპატრეთ და გვაჩუქეთ გასაყიდი მონებიო“, უთვლიდნენ სხვანეთის ახალ მოფეფქვესულნი

— თენდება.

— დავიშალოთ!

— შეჩერდით! — ასწია ხელი მარგიანმა.

ცისკრის შექმნე ორღესული აპრიალდა.

— ფიცი დაგავიწყდათ, სევანებო!

— შევფიცოთ! — იყო დასტური ყოველი მხრიდან. შეთქმულებმა ხანჯლები შეაფეკარდინეს. ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს. ერთი გასროლა ტყვია და დენთიც შეაგროვეს შეთქმულებმა. შეგროვებული ტყვიის ნამცეცებიდან ყურშუში შეარგვალეს.

— შევინახოთ მოლაღატისთვის. — მიმართა შეთქმულებს ყასბულათმა.

— მოლაღატეს გულში! — იყო საერთო დასტური.

შენაფიცი ტყვია და დენთი მარგიანს მიაბარეს შესანახად.

## 9. ბ ა მ ო თ ხ ო მ ე ბ ა

უხუცესთა მიერ მიგზავნილი შუაკაცები უარიტ გამოისტუმრა თათარყანმა. პირობას ვერ გავტეხო — იუწყებოდა გულზნეიდი მთავარი.

მთავრის პასუხი არავის არ გაჰკვირვებია. თავდასხმის სამზადისი უკვე ჩატარებული იყო. ელოდნენ მხოლოდ გაყიდული მონების სევანეთიდან გაყვანას.

ქალილ არ ჩქარობდა. ნავთსადგურიდან ცნობას ელოდა ხომალდის ჩამოდგომის შესახებ. დაგვიანებით მოვიდა შიკრიკი სევანეთში. მოიტანა ამბავი: გრიგოლეთში ოცდაათი მონა დავტვირთეთ. ფოთში ორმოცი, ახლა რედუტ-კალეში გელოდებიოთ. ქალილ შეემზადა გასამგზავრებლად.

მზად არიან შეთქმულნიც. ოცდაათი რჩეული სევანი უკვე ერთი კვირაა თოფქვეშ დგას. ქალილ-ბეის სევანეთიდან დაძვრას ელოდებიან.

ივლისის ცინცხალი დღე გათენდა. ქალილ შეჰხარის ამომავალ მზეს. გაბაწრულ მონებს რომ გადახედავს, თურქეთი წარმოუდგება თვალწინ და ჩუმად იღიმება. ქალილს სამშობლოში მიეჩქარება.

ტრაპიზონში მიტოვებული ცოლშვილის მოგონებაზე გული ეკუმშება. ყიზი-ხანუმს გაახარებს ქალილ გურჯისტანიდან ჩატანილი საჩუქრებით. საჩუქრებს შორის დარეჯანიც იქნება: ქალილის ფიჭით, ყიზი-ხანუმის მომავალი ფარეში და ჰარამშანის უცხო ყვავილი.

მონები ერთმანეთს გადააბეს. დადგა გამოთხოვების შავბნელი წუთები. სევანები ბოლმას ველარ იმაგრებენ. გულში ყველას ასულდგმულებს რაღაც უხილავი იმედი, მაგრამ გამოთხოვება მაინც გულშემზარავ სცენად ვადაიქტა.

იკრემლებიან სვანები გაყიდული ვაჟკაცების გამოთხოვნი. მოზღ-  
ლები ლოყებს იზოკავენ და გულამოსკენილი ქვითინებენ. ზომი მოთქმა  
და მდუღარე სრული მალე წივილ-კივილით შეიცვალა. მათგან შე-  
იქნა მათრახების დატრიალება, გაყიდული მონების შობილთა გულიდან  
მოსაგლეჯად.

თათარყან შეაძრწუნა საზარელმა სურათმა და პირი მიიბრუნა. მასში  
ერთი წუთით გაიღვიძა მშობლის ადამიანურმა გრძნობამ და გამოწერა-  
ლი თვალები ოდნავ შეუსველდა.

— წაიყვანეთ! — ჩააქნია ხელი თათარყანმა.

ქალილ მოწინებით გამოეთხოვა გულუხვ მასპინძელს. შეპირებული  
თოფები კვლავ გაახსენა და ცხენზე შეჯდა.

ოციოდე შეიარაღებული სვანი გააყოლა თათარყანმა მონათვაქარს.  
„სამეგრელოს საზღვრამდე მიაცილეთო“, დააბარა ოცისთავს.

ქარაევანი გზას გაუდგა.

ზღაზვნით დაიძრენ მონები ჩუბეხევიდან. სამკვირცხლით განთქმულ-  
ნი დღეს კამეჩბივით ზანტობენ და უკან-უკან იხედებიან. დაატრიალეს  
მათრახები, გაისმა ვინება და უშვერი სიტყვები. ითმენენ სვანები. ხმა-  
გაკმენდილნი ერთმანეთს კვალში ჩადგომიან და თავდასხმის მოლოდინით  
წათამამებულნი ვაჟკაცურად იტანენ ცემა-ტყეპასა და პირუტყველ მო-  
პყრობას.

ეს უკვირს ქალილ-ბეის. მონები ბევრი უყიდა ქალილს. ბევრიც გაუ-  
ყარია, მაგრამ ასეთი თვინიერნი და ბედის მორჩილნი თითქმის არსად  
არ შეხვედრია... გასულ წელს გურიელისაგან ოცი მონა იყიდა ქალილმა.  
ტრაპიზონში ჩაყვანამდე ხომ სიციცხლე გაუმწარდა მონათვაქარს. ტრა-  
პიზონში თუთუნის პლანტაციებში გაიყვანეს სამუშაოდ მონები. იღვე  
ერთი იყო და აჯანყება ათი. ორი თვის განმავლობაში შეიდი მეთვალ-  
ყურე გამოიცვალეს. ბოლოს ადგენ და თუთუნის სარგავი წვეტიანი სა-  
რით გამოწიგნეს გამხეცებული მეთვალყურე. ქალილს სიკვდილით დატ-  
მუქრენ გურულები. თავს არ ზოგავენ. სიკვდილით დასჯა შეებად მი-  
ანდათ მონობის უღელში გაბმულ მთის არწივებს და არავითარ დანა-  
შაულს არ ერიდებოდენ. სვანები კი... მიიზღაზნებიან კამეჩბივით და  
ხმას არ იღებენ. გაოცებულია ქალილ. თან მის სიხარულს საზღვარი არა  
აქვს. სვანების გმირობით ხსნის ამ გარემოებას. „შეჩვევიან, სამუშაოზე  
თავს გადასდებენ“, ოცნებობს მონათვაქარი და ტრაპიზონის მსხვილი  
მემამულე.

დაექანენ სამეგრელოს მიწა-წყლისკენ. ენგურის ხეობას მიჰყვებიან.  
ღამდება. თათარყანის მიერ გაყოლებულმა მცველებმა სოფელ მუნწყე-  
მდე მიაცილეს მონათვაქარი. მუნწყევაში შეჩერდენ, ქალილს მოწინებით  
გამოეთხოვენ და უკან დაბრუნება დააპირეს.

ქალილს გაუყვირდა უღრან ტყეში გამოთხოვება. საყვედლო განაცხადა ასე ღვთისანაბარად შიტოვებაზე. თათარყანის ხელშეუხებელი ჯუხსნის ქალილ-ბეის საქმის ვითარება. მოიმიზეზეს სამეგრელოს მთაწილისა და თათარყანის მტრული განწყობილება, მოსალოდნელი სისწრაფე და მტრულ მოქმედების შემთხვევის გამო და უკან გაბრუნდნენ.

შეწუხდა ქალილ-ბეი... ღამე მგზავრობაზე ხელი აიღო. გადასწყვეტა მუნწყვაში დაბანაკება. შეაჩერეს ქარავანი. მინდორში ცეცხლი გააჩაღეს. მახლობელ კარავზე საკლავიც იშოვეს და ვახშმის თადარიგს შეუდგენ.

შეთქმული სვანები გულის ფანცქალით ელოდებიან ქარავნის გამოჩენას. დაღამდა, მაგრამ ჯერ არსად სჩანან. აფრინეს კაცი ამბის შესატყობათ. დაბანაკების ამბავი რომ შეიტყეს, დაშოშმინდნენ.

დაწყნარდა შემფოთებული ყასბულათ მარგიანი. ეკვობდა: მონათვი-ქარმა სხვა გზით არ გადაყვლოსო და უსახლერო მოლოდინში მოთმინებას კარგავდა. ახლა თავისუფლად ამოისუნთქა ყასბულათმა. ყირიშს იმედიანი ხელი შეავლო და დაკეცილ ნაბადზე მხართემოდ წამოწვა.

— გეძინება? — დაარღვია სიჩუმე ქურდან მანაგაძემ,

— რა დამაძინებს! უძილობისგან თვალები კი მეწვის. მაგრამ ძილი მაინც არ მეკარება.

— რა დროს ძილია. დრო არის!

— რის დრო? — იკითხა ყასბულათმა.

— მაკვირვებს შენ შეკითხვა, ყასბულათ! რის დრო და თავდასხმის.

— ღამით არ ივარგებს, — წყნარად უპასუხა მარგიანმა — შესაძლოა სიბნელეში ჩვენებო ამოველიტოთ.

— მარცხი მოგვივა! — დაემოწმა ქურდან მანაგაძე.

— მაშ, როდის? — ვერ ისვენებს სოთრან გაბლიანი.

— დალოცვილებო! ჯერ იყო და სულ წინააღმდეგი იყავით იარაღის ხელში აღებისა... ახლა თავს ვეღარ იმაგრებთ. დაწყნარდით. გათენდება, ღვთის შეწევნით, და... თქვენს ვაჟკაცობასაც გავშინჯავთ.

— რომ გაიპარონ?

— თუ გადაფრინდებიან, ეგ არ ვიცი... ისე ამ ბილიქს ვერ აცდებიან. ხელის გულდევით ვიცი აჭაურობა. დარაჯები მაინც დავაყენოთ. ორა კაცი ბანაკში გავგზავნოთ. ვინიციობაა ღამით თუ წამოიშლებიან, ერთი ნიშანი და ყველანი ფეხზე დავდგებით. რას იტყვით?

— კარგა აზრია!

— ეჰ! — ამოიოხრა სოთრან გაბლიანმა.

— რა იყო, სოთრან?

— არაფერი. გათენებამდე რა გააწევს!..

— ქურდან! დაგზავნე დარაჯები. სოთრან, შენ ბანაკს უთვალავალე.

— აგრე იყოს! — იყო სვანების საერთო დასტური.

ვინც დარაჯად გასასვლელი არ იყო ნაბადში გაეხვია.

დაქანცულ სევანებს მალე ჩაეძინათ უღრანი ტყის უსასღერო მყუდროებაში. ხერხინავდა მკერდგაღებული ყასბულათი.

ერქონულნი

### 10. ცოდვებს ინანიებს მონათმავსებელი

უთენია წამოიშალენ ქალილ-ბეის ხელქვეითნი. მონები მათრახის ცემით ფეხზე დააყენეს. ელოდებიან ქალილის გამოღვიძებას. კარავში ცალი თვალთ იკვრიტებიან. შიშობენ: არ განრისხდესო. ქალილს ჩვეულებად აქვს ხელქვეითების დაწიოკება. როცა წარბს შეიკრავს, ახლოს ნელარ ვაეკარები. დღეს ტკბილად ჩანსინებია მონათვაქარს. ეტყობა დილის სიზმრებშია გართული. ტუჩებს კურდღელივით აცმაცუნებს. იღიმება და მარჯვენა წარბს ამოძრავებს.

— ქალილ-ეფენდი! — ჰკადრა ხელზე მოსამსახურე თურქმა.

წამოდგა ქალილ და ზანტად გააზმორა. აზიელებმა იციან ასეთი მონათილი ზმორება.

ჩხრიალა წყაროზე პირის დაბანამ გამოაცოცხლა ძილმოკლებული ქალილ-ბეი. ისაუშმეს. საუზმის შემდეგ ფეხი დაიბანა ქალილმა. მინდორში სალოცავად გავიდა.

ცოდვებს ინანიებს მონათვაქარი. პირქვედამზობილი თავდავიწყებით იმეორებს გაზეპირებულ ლოცვებს.

დილაა, მაგრამ მზე უკვე იკბინება. ქალილ მზიარულ გუნებაზეა. სან უსტენს, ხან კიდევ თურქულ ბაიათებს ლიღინებს. ხელქვეითებსაც შევლის ქალილ-ეფენდი! ხურჯინებს თავს უკრავს. ცხენებს საპალნეს უსწორებს. დადერემილ მონებს რომ გადახედავს, იღიმება. უხარია, სამშვიდობოზე უყენებლად გამოხვლა.

გაიშალა მონათმფლობელის ქარავანი. წინ შეიარაღებული თურქები მიჰძლევიან. მათ მისდევენ გაბაწრული მონები. შუაშიც თურქები ჩამდგარან. ქალილ-ეფენდი უკან მოყვება ქარავანს. მას ოთხი შეიარაღებული თურქი უმშვენებს გვერდს.

მზიარულ გუნებაზეა ქალილ. რაკი უკუნეთი დამე მშვიდობით ვაუთენდა, აწი ალაპია მისი შემწე. ასე ფიქრობს ნადავლით გახარებული ვეპარი.

მუნწყვას გაშორდენ. მოსახვევში ისეთ კარჩხლებს წაადგენ თავს, ტარი-კედი არ ჩაწედებოდა. გველივით მიიკლაკნება ენგური. მისი შფოთვა გულს ადარდიანებს. ხანდახან ძუ მგელივით აყმუფდება კარჩხლებზე შფოთვით გადავარდნილი და თვალუწედენ ორწობებში იკარგება.

ქალილ ანთებული თვალეებით გაჰყურებს ბუნების იშვიათ სანახაობას, შეჰხარის დაბურულ ტყეებს, შევერცხლილ მწვერვალებს, მაგრამ კარჩხლებს რომ გაახედავს, გული უღონდება: „ღმერთი არ გაწყუეს, თეხი არსად დამიცურდესო“. ცხენიდან რახანია ჩამობტა ქალილ, განცალკევდა და ტაატით მიბაჯბაჯებს გულშემზარავ წყვარამების თავზე... „ბეწკის

ხიდზე“ სიარულს უდრის აქ მოგზაურობა. ერთი უსწორმასწორო ნაბიჯი და მშვიდობით სააქაო ცხოვრება! მეცდარსაც ველარ გიბილავს შენი პატრონი.

ქაქუცავაძე

ამიტომ ფრთხილობს ქალილ-ბეი. თვალწინ რედუქციას უქცევს მონებით დატვირთული ზომალდი. ტრაპიზონი... სტამბოლი... თუთუნის პლანტაციები. ქალილ მონებითაც ვაჭრობს და ტრაპიზონის მხარეში უძლიერესი პლანტატორიც არის. მონები სწორედ იქ მიჰყავს ქალილ-ბეის... საკუთარ პლანტაციებში ამუშავებს.

— ხელები მალლა! — ჭეხილივით გადმოსქდა მალალ ბრეკიდან კენტი შეძახილი და თოფიც გავარდა.

ქალილს გააცივა.

დაფრთხენ შეიარაღებული თურქებიც.

— შეჩერდით!

— დაგვნებდით! — გამეორდა შეძახილი და ქარავანი გამოლულ რკალში მოემწყვედა.

— ხელები მალლა! — ახლა ზურგიდან შესძახეს ქალილს.

ქარავანი გზას განაგრძობს.

— შეჩერდით მეთქი! — დაიგოგვინა მონადირე მარგიანმა. ოცდაათი თოფი ერთად აჭუნდა.

თავზარი დაეცა ქალილსა და მის მხლებელთ. შიშისაგან მუხლებმოკვეთილმა ქალილმა იქვე ჩაიკეცა... მაგრამ არ დაიბნა მონათვაქარი.

თოფმომარჯვებული თურქები რომ დაინახა უმალ უბრძანა: იარაღი დაჰყარეთო. შეატყა: ათიოდ შეიარაღებული თურქი ვერაფერს ვახდებოდა და დანებება არჩია...

„მაშ ასე, თათარყან დადემშქელიანო — გაუელვა ქალილ-ბეის. — მონები მომყიდე, ოქრო ჩაიხზრიალე და ახლა სიკედილითაც მემუქრები? მონებსაც მართმევ და სიცოცხლის წართმევასაც ლამობ?“

გამოჩნდენ სენები. ქალილმა იცნო ზოგი მათგანი... მოაგონდა ჭურდან მანაგაძე... სადადემშქელიანო, ცაცხვის ძირში რომ იდგა თავჩალუნული... მაშინ ხმას არ იღებდა მანაგაძე. ახლა, დახე როგორი ანთებული თვალეებით ჩასცქერის ქალილს მიბეუტულ თვალეებში... გეგონებათ ჩაყლაპვას უპირებსო.

ქალილ ცახცახებს. იმედი როდი აქვს ცოცხლად გადარჩენის. სხვას არაფერს აღარ დარდობს მონათვაქარი. სიცოცხლე შეინარჩუნოს და სიმდიდრეზე არც ისე ხელდარეცხილია იგი, რომ სამოცი მონის დაკარგვამ რაიმე კვალი დააჩინოს.

სენებმა თავისიანები გაანთავისუფლეს. ნადავლი იარაღით უიარაღონი შეაიარაღეს. მარგიანის რჩევით ბილიკიდან ტყეში შეუხვეიეს სენებმა. ქალილ მხლებლებით თან გაიყოლეს.

— აღსრულდა! — გაიფიქრა ქალილმა, — ტყეში შეგვიყვანენ და თავებს დაგვჭრიან... ალაპ!

ქალილმა ხელები გულმკერდზე გადაიკვარედინა, <sup>არაქანა და</sup> <sup>ზიგლირისა</sup> ხმაგაკმენდილი გაპყვა დაჩაქანებულ სევანებს.

გზა გაგრძელდა. ფეხმარდი სევანები მუხლის მოკეცაზე როდი ფიქრობენ. თავისუფალ სევანეთში გადასვლას ლამობენ მზის ჩასვლამდე. შორი გზა არის, მაგრამ... ასეთია შეთქმულთა მტკიცე გადაწყვეტილება.

შევიდენ უღრან ტყეში... არსაიდან ჩქამი არ ისმის. დამფრთხალი ჩხიკვები თუ აჩიჩინდებიან ფიჭვების კენწეროებზე.

მოითათბირეს უბუცესებმა.

ხუთი სვანი დარაჯად მიუჩინეს ქალილსა და მის მზლებლებს. სხვები თავისუფალ სევანეთისკენ დაიძრენ.

მოდზე ფეხმართხმული ზის ქალილ-ბეი და მოწოლილ ფიჭრებს ებრძვის. სიკვდილ-სიცოცხლის შწვავე გრძნობები აწვალებს მონათვაქარს. შეიარაღებულ სევანებისკენ გახედვა ერიდება. „სევანებიც რომ ჩუმად სხედან?! ნუთუ დაღამებას ელიან?“ — გაუელვებს ქალილ-ბეის და აღსასრულის მოლოდინში ლოცვებს იმეორებს.

აგრილდა. შეირხა ნაძენარი საღამო ჟამის მოახლოებაზე.

— რაღას ვუყურებთ? — დაარღვია მყუდროება ქურდან მანაგაძემ.

— წავიდეთ! — ასწია თავი ჩაფიჭრებულმა ნოშრევანმა.

ნოშრევანს თვალწინ ედგა მონობიდან განთავისუფლებულ სევანების მოლიმარი სახეები. „საცაა თავისუფალ სევანეთში იქნებიან“, — ფიქრობს ნოშრევან.

— ამათ რაღა ვუყოთ? — იკითხა მანაგაძემ და ქალილ-ბეისა და მის მზლებელთ გადახედა.

— ღვეტოვით. ან გზას მოსძებნიან და გავლენ სამშვიდობოზე, ან კიდევ გამგელეებული მხეცების წერა გახდებიან.

— მე მომხრე ვარ მხეცებისა და ყვავე-ყორნების ლუკმა გახდენ... დაეზოცოთ!

ქალილს გააფრთხოლა. ზღარბივით მოიკენტა ჩასუქებული ვაჭარი.

— დახოცვის მომხრე როდი ვარ, ქურდან! — იუარა ნოშრევანმა.

— სისხლი?

— სწორედ სისხლის წინააღმდეგი ვარ. ჩვენ რას გვარგებს მონათვაქარის აშშორებული სისხლი...

— მათრახები?

ნოშრევან შეჩერდა. მათრახების ხსენებაზე ზურგი აეწვა, თითქო ახლა დაპყრეს მათრახი უფლებდაყრილ მონასო.

— არა... სისხლის მომხრე მაინც არა ვარ... გაყიდულების განთავისუფლება რომ გავგძნელებოდა, კიდევ ჰო... მაგრამ ხომ უყურებთ, პირველსავე შეძახილზე დაპყარეს იარაღი...

— ძალადობა რომ არ გვეხმარა?

— წაგვიყვანდა თურქეთში და ის იქნებოდა...

— კარგი, მაგრამ... — ჩაერია საუბარში მესამე მსწერის სიტყვით — თურქეთიდან მოთრეულმა ცოცხალი ადამიანები იყიდა... უფლები სტყვიან და ნახირივით გამოგვლალა სევანეთიდან... მათრახებს რალას გვემართლებოდა? არა, უნდა ვესროლო... — გადმოიღო ყირიმი გაბოროტებულმა სევანმა და მის შეურაცხყოფელ თურქს დაუმიზნა.

ქალილ-ბეიმ ღრიალი მორთო და ნაძვის ტანს მოეფარა.

იფეთქა ფალიამ, მაგრამ სწორედ ამ დროს ნოშრევანმა ხელი აუკრა სევანს თოფზე და თურქი ერთ ლანდზე გადაარჩა სიკვდილს.

— რას შერები? — გაცხარდა ნოშრევან მარგვანი. — გასწით! — მიუბრუნდა ნოშრევან ქალილ-ბეის და ფეხმორთხმული თურქები ფეხზე წამოჰყარა. — მყიდველს თოფს უმიზნებთ, გამყიდველი კი დაგვიწყებიათ. თუ ვაგაკეები ხართ, ჯერ დადემქელიანებს აძგერეთ ტყვია... — დასძინა ნოშრევანმა.

ქალილ-ბეის მძიმედ ჩარჩა მახსოვრობაში ნოშრევანის ეაგაკური გამომეტყველება და ახოვანი რაინდის განიერი მხარ-ბეჭებები.

სამშვიდობოს გასულ ქალილ-ბეის მიმიზნებული თოფის ტუჩი ელანდებოდა, თვალებს ზუჭავდა და „ნოშრევან! ნოშრევან!“ სიციხიანივით ბუტბუტებდა თავისთვის.

## 11. ნ ა ღ ი რ ო ბ ა

უფლისწულებს გულთბილად შეხედენ აფხაზეთის მთავრის ოჯახში. განსაკუთრებული შროუნველობა გამოიჩინა ხიზნების მიმართ კნერია კესარია შერვაშიძემ. მთავარი მიხეილ, საძოვრებზე ატეხილ დავის გამო, კარგა ხანია მტრული თვალით უცქერდა დადემქელიანებს, მაგრამ რაკი ციოყ დადემქელიანი აღარ განაგებდა სევანეთის სამთავროს, გადასწყვიტა ლმობიერი მოპყრობით მოეგო მემკვიდრე მურზაყანის გული.

მურზაყანი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის თუ იქნებოდა, თვალტანადობით ოცი წლის ჭბუქსაც გააწილებდა. ბრძენკაცობდა კიდეც, ყმაწვილი იყო, მაგრამ სამთავრო საქმეებს დიდი გულისტკივილით ეპყრობოდა. შერვაშიძის ოჯახში ხშირი იყო წვეულება, ნადიმი, სტუმრებს შორის რუს ხემწიფის მოხელეებსაც ნახავდით, უცხოელებსაც.

მურზაყან ყურს უგდებდა სასახლის კარზე გამართულ ინტრიგებს. მის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა აფხაზეთის მთავარი მიხეილი, კაცი მეტად სასტიკი და გაუტანელი. უამრავი მტერი ჰყავდა აფხაზეთის მთავარს... მაგრამ დაუნდობელი იყო მიხეილ შერვაშიძე, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრების მიმართ.

ცალი თვალი მუდამ თურქეთისაკენ ეჭირა. აქეთ რუს-ხემწიფესაც ერთგულებასა და მორჩილებას ეფიცებოდა (ისე ჭირავით სძულდა რუს-

სები). ამიტომ ძნელი იყო მუდმივ ინტრიგებში გახლართული მთავრის პოლიტიკური სახის გამოკვლევა. მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა — უფრო უარესი. საცა არ მოელოდნენ, იქ გამოჰკრავდა კვანტს მურზაყან და გველი მტრებს სიცოცხლეს უშხამებდა.

მურზაყან შორი-ახლი უთვალთვალებდა უცნაურ მთავარს. მას მუდამ აოცებდა შერვაშიძის გაუტანელი ხასიათი, ჭარბი სიმკაცრე და ყველასადმი უნდობლობა. არ მოსწონდა მისი მუდამ მოღუშული სახე და ბოროტი თვალები, გასაფრენად მომზადებული მერცხლის ფრთხილად შემართული წარბები, ჩატეხილი ნიკაბი. გარეგნული შეხედვით მურზაყანელი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა მთავარი. მაგრამ იგი მაინც მიშვიდვლად ეჩვენებოდა მურზაყანს.

მურზაყანს ხელს უშლიდა გაუნათლებლობა. წერა-კითხვა იცოდა, მაგრამ ეს ძალიან ცოტა იყო სასახლეში დახლართული ინტრიგების ასახსნელად, გარდა ამისა. უფლისწულს ფეხის ყოველ გადადგმაზე ეტყობოდა ველური ქცევა, გაუთვლლობა.

კნინა კესარიამ აღმზრდელები დაუნიშნა უფლისწულს. განსაკუთრებული ყურადღებით მურზაყანს ეპყრობოდნენ. უკითხავდნენ წიგნებს. ასწავლიდნენ ცეკვას... საზოგადოებაში თავის დაქერას, სიმღერას, და წარმოიდგინეთ არსიყობასაც.

ამით სარგებლობდნენ სასახლის კარზე თავშეყრილი მანდილოსნები — თავადის ცოლები თუ ასულები და მურზაყანს გასაქანს არ აძლევდნენ. მორცხვობდა მურზაყან. ქალებთან საუბრის დროს ხშირად წითლდებოდა. მაგრამ ეს უფრო მოსწონდათ სასახლის იზტიბარგატეხილ მანდილოსნებს, სარგებლობდნენ მურზაყანის მორცხვობით და, როცა მთავარი მიხეილ შინ არ ეგულდებოდათ; სიცილ-ხარხარით იკლებდნენ იქაურობას.

მურზაყან და მომდევნო აღექვანდრე საოცარი სისწრაფით ითვინებდნენ სვანებისათვის უცხო ჩვევებს და განცვიფრებაში მოჰყავდათ მიხეილის სასახლეში მოკალათებული წარჩინებულნი.

მურზაყან შეეჩვია უცხო მზარეს, უცხო წრეში ცხოვრებას. მაგრამ მოწყენილობაც დასჩემდა სვანეთის ტაბტის მემკვიდრეს. ხშირად მთელი დღე გამგუნებული იჯდა მურზაყან და მოწოლილ სევდას ეომებოდა. ვეღარც ქალები ართობდნენ მას ასეთ დროს. ვეღარც აღმზრდელები. თვითონ კნინა კესარიაც კი გაწილებული რჩებოდა ხშირად და ეს გარემოება ყველას ერთნაირად აოცებდა.

სვანეთი იყო მოწყენის მიზეზი, რახანია შინიდანაც არაფერი ესმოდა გაბიზნულ უფლისწულს. კნინა კესარია ადვილად ხედებოდა მურზაყანის მოწყენის ნამდვილ მიზეზს და უფლისწულის გასახალისებლად ხალხალ გასართობებს იკონებდა.

ამ დროს აფხაზეთის მთავარი სამკვიდროს საქმეებზე იყო დატვირთული და ხშირად ერთი კვირა ისე გავიდოდა, არაფერს იკითხავდა ხინების შესახებ.

ივლისი გვალვით დაიწყო. თავარა ერთო ზღვის სანაპიროებზე მთავრის ეზოში მუდამ გრილოდა. სოფელი ტამიშ, სადაც ესახლა მიხეილ შერვაშიძე, მაღლიდან დაჰყურებდა სანაპიროებს. ეზოში უხსოვარდროინდელი ქანდრება და ალვის ხეები საამო ჩრდილსა და ნიავს თავაზობდნენ სასახლის მცხოვრებლებს.

სადილზე შველი ახსენეს. მიხეილმა ნადირობა მოისურვა და უხუცესებს დაავალა: შეეშადეთო. სკურჩაში აპირებდნენ გამგზავრებას. სკურჩა მდიდარი იყო ნადირით: ირემი, ჯიხვი, ჯეირანი, შველი და არჩვი სკურჩას მუდმივი მობინადრენი იყვნენ. გარეულ ლორსაც ხშირად წააწყდებოდნენ მონადირენი. წვრილფეხა ნადირსა და ფრინველებზე თოფის სროლას თითქმის არავინ კადრულობდა.

სამთავრო ტყედ ითვლებოდა სკურჩას მიდამოები... ტყე დაცული იყო და ნადირიც უზომოდ მრავლდებოდა.

ცინცხალი დღე გათენდა. შერვაშიძის ოჯახში სანადიროდ ემზადებოდა. ბაზიერნი ძალღებს აგეშებენ. ახოსალარს ცხენები გამოჰყავს საჯინიბოდან. მეთოფურები უკვე მზად არიან. მზად არიან მეჭურჭლე-მებარგეებიც. ამაღა ფეხზე დგას.

გამობრძანდა მთავარი.

შეკაზმულ ცხენებს გადახედა. არაბული ყორანი შეათვალთვალა. მოეწონა მთავარს დადიანის ნაჩუქარი ყორანი. შეკაზმულობაც თვალში მოუვიდა. ოქროწყალში შეფერილი ვერცხლის უნაგირი კობტად ედგა ზურგზე ყორანს. ოქრომკედით ნაჭარგი საოფლე. მძივებით შოოქვილი საძეფე. შევერცხლილი ლაგამშორთულობა. ალვირი მოკლე, მაგრამ მუშკით რბილი, მოელული უზანგები აღმასივით ლაპლაპებდა.

მიხეილ ყორანზე შებრძანდება.

ყორანი მხედარს მოელის და მიწას ტორს ურტყამს ძალუმი ნებივრობით.

— ლურჯა სადღაა?! — იკითხა შერვაშიძემ.

— საჯინიბოში გახლავთ, დიდო ბატონო! — მოახსენა ახოსალარმა.

— გამოიყვანეთ!

ახოსალარმა შესიტყვება ვერ გაუბედა ავზნიან მთავარს. საჯინიბოსკენ გატრიალდა და ხმადაბლა აბურღღულდა: დაამტერეს ვილაცას და ხათაბალა გახდებო...

გამოიყვანეს ლურჯა. კვიცი რომ იყო, თავდაჭერაზე ეტყობოდა. თვალებს დამფრთხალივით აციცებდა. ცმუკავდა ფეთდებოდა. ორი წამოსადეგი ვეჟაკი ძლივს უმაგრებდა თავს გაუხედნავ აჯილღას.

ნესტორ აბდიბამ უკმაყოფილოდ ჩააქნია ხელი და ლურჯას ამოეზილი შუერა ესროლა. ასიოდე აჯილა გაუხედნია აბდიბას. ასიოდე ურა მოუ-  
თოკავს და მოუთვინიერებია, მაგრამ ეს ლურჯა რა ანგაქნდა! შას მო-  
საგვას საშველი აღარ დაადგა. ვერ იქნა ნებიერ სიარტის ქერა ტახავია.  
ისე გავარდნილი თოხარკია ლურჯა. ტანწერწეტი. მუხლმაგარი. ვა-  
ნიერ მკერდს, მალალი, მაგრამ მოუდრეკელი კისერი უშვენებს და ვაი-  
იმას, ვისაც თვალწუნად შეხედავს თავნება მერანი. ჯერ შეჯდომა არა-  
ვის უწერია მის ზურგზე, მაგრამ თუ ვინმემ დრო იხელთა და ზურგზე  
მოექცა, ჩამოხტომას როდი დააცდის... სადმე კისრით გადაუშვებს, და-  
დგება და ამაყად ხეიბინებს.

— ენ არის ვაჯაკი? — ცივად იკითხა შერვაშიძემ და წარჩინებულთ  
გადახედა.

ყველას გააკვირა ლურჯას დანახვაზე.

ხმას არავენ იღებდა.

მურზაყან განზე იდგა და ბედაურს ათვლიერებდა. ლურჯას დანახ-  
ვაზე თვალეზი გაუბრწყინდა სევანეთის უფლისწულს. ლურჯას მიუახ-  
ლოვდა.

— გეშინიათ! — დასცინა თავისიანებს მთავარმა და ახლა სტუმრებს  
ვადახედა, ვინ ხარ მამაკიო.

ქენინა კესარიამ ველარ მოითმინა და ქოქოლა დააყარა თავმომწონე  
თავადიშვილებს. ახალგაზრდა ქალებმა ქირჭილი ასტეხეს.

აქ არის ქენინა კესარიას ქალიშვილი ადილხან. ვერც ის ისვენებს  
წარჩინებულთა დუმოლზე და თამშულ მარლანის აჯაერებს. თავმომწონე  
აფხაზი ბრახს ველარ იმაგრებს, მაგრამ ლურჯაზე შეჯდომას მაინც ვერ  
ბედავს.

— დაგლახადით! — იწყინა შერვაშიძემ.

— მე შეეჯდები! — წამოიძახა მურზაყანმა და დაკეცილი მათრახი  
მესტებზე შემოირტყა.

ყველამ განცვიფრებით გადახედა სევანეთის მემკვიდრეს. ქალებმა ხმა-  
მალა გაიციენს. გაუკვირდათ მისი გამხედაობა, მაგრამ იწყინეს კიდევ.  
წითამამება თავხედობად ჩამოართვეს გულუბრყვილო უფლისწულს.

— გული ატყუებს.

— ახალგაზრდაა და ეადვილება.

ახოსალარმა უარის ნიშნად თავი გააქნია, თანაც დაატანა: დაიბრიყ-  
ვეს, გადმოაგდებსო. მურზაყან აინთო ახოსალარის სიტყვებზე. ნათქვამს  
აღარ შეაწილიდა. შეკაზმულ ლურჯას ჯიქურ მიადგა.

ადილხანმა ჩუმად ჩაიციინა. ვერცინ გაიგო დაცინვა იყო ეს ჩაიციინება  
თუ უეცარი სიხარულით მოეარდნილი ალტყინების გამოძახილი.

— მოიტა აღვირი! — ბრძანების კილოთი მიმართა მურზაყანმა ხან-  
შესულ ახოსალარს და შეწირიალებულ ლურჯას ზურგზე ხელი დაჭკრა.

შეტორტმანდა ლურჯა. მიწას ტორი დასცხო და ფრთხილად მოუხშირა. ყალყზე დადგომა სცადა, მაგრამ მუხასავით გაბიჯებულ მურზაყანს დრეკა ვერ უყო.

— ჰაიტ! — დასტყვივლა უცებ მურზაყანმა და თვალის დაჩაშვებებზე ლურჯას ზურგზე მოექცა.

თავნება აჯილდა განზე ვახტა და მხედრის გადაყირაგება მოინდომა, მაგრამ არანაკლებ თავნება სვანმა ისე მძლავრად მოსწია აღვირი, რომ უდრეკი კისერი ჩვარივით გაუხადა, მოსაგვა და ნებიურივით დაიმორჩილა.

კენებმა ტაში შემოჰკრეს, მურზაყანს ჰაეროვანი კოცნა შესთავაზეს. სამაგიეროდ სასახლის წარჩინებულნი გაუნაწყენდნენ უწლოვან უფლისწულს და შურის თვალი უჩვენეს.

მურზაყანმა კვლავ დასტყვივლა ლურჯას. სასახლის წინ გაშლილ მინდორზე ჯერ ნაბიჯით გააცეკვა, ქუსლი ჰკრა და გააფრინა.

გაოცებული მიჩერებიან თავზეხელაღებულ მხედარს. უკვირს მიხეილ შერვაშიძესაც.

— გადმოაგდებს! — დაიჩემა ახოსალარმა.

— დაამტვრევს! — დასძინა მარლანამ.

— არა... დაიმორჩილა, — წყენით სთქვა ნესტორ აბდიბამ და თავი შეურაცყოფილად იგრძნო.

თვალმისაწიერზე მურზაყანმა ლურჯა შეაყენა. სასახლისკენ მოაბრუნა და გამოაქანა. ამაღას მოუახლოვდა, სადაც ისე მოსწია, რომ ლურჯა ჭანდაკებასავით გააშეშა, თითქო ფეხები შეუბორკესო.

— ყოჩაღ! — შეაგება შერვაშიძემ.

— რაშია ნამდვილი! — ყრუდ ჩაილაპარაკა მურზაყანმა.

მთავარს არ გამოეპარა სტუმარ უფლისწულის შექება და აფხაზური ჩვეულების მიხედვით უმაღ დაატანა:

— თქვენი ფეშქეში იყოს, ბატონიშვილო!

მურზაყან გაწითლდა სიხარულისგან, მზიარულ გუნებაზე დადგა.

ხვითქი ჩამოსდიოდა ლურჯას. კისერი გასაპნული გეგონებოდათ. მისი სუნთქვა საბერველის ქშენას წააგავდა.

— დაეძრათ! — ბრძანა მიხეილმა და ყორანს მოახტა.

მურზაყანმა მოსაგვეული აჯილდა ნაბიჯში ჩააყენა და ამან კიდევ უფრო გააწიწმატა შეურაცყოფილი თავადიშვილები.

თამშულ მარლანია რისხვას ველარ იმპერებდა, სამაგიეროდ აღილხან გვერდში ამოუდგა სვანეთის მემკვიდრეს და გზადაგზა მასთან მზიარული საუბარი გააბა.

გავიდნენ სანადიროდ. ტყის ნადირის მოსარეკად ხალხი დაგზავნეს. აუშვეს ძაღლები და შეწრიალდა აქამდე გარინდული მიდამოები.

წარჩინებულნი ჩაესაფრენ. მოუთმენლად ელოდებიან ნადირს გამოჩენას. აგერ, შეუტყის მეძებრებმა, ნადირი ბუნაგიდან წამოაგორეს. ჩასაფრებული მთავარი მოთმინებას კარგავს...

გაისმა ლაწანი და რქებგადაწყობილი ხარ-ირემი <sup>ქართული</sup> შერვაშიძის საფარისაკენ.

მარლანამ ველარ მოითმინა და ესროლა. დააცდინა. შერვაშიძე ბრაზით აინთო. მარლანიას მატრაკვეცობა პირად შეურაცყოფად ჩათვალა, მაგრამ დამფრთხალ ნადირს თვალი მაინც არ მოაშორა, ცხენს ქუსლი ჰკრა, მოსახვევიდან წამოუარა და ალაღბედზე ესროლა.

შორს იყო, მაგრამ სულმობრძევა ირემმა უხმოდ ჩაიკეცა.

გამხიარულდა მთავარი. სტამბოლს ფალიაზე აკოცა. „ნაცადი ლულაა. ვისაც თვალი უჭრის, სირცხვილს არ აკმევს“, მოაგონდა შერვაშიძის მონათვაჭრის ქალილ-ბეის სიტყვები. ქალილმა უფეშქაშა აფხაზეთის მთავარს ეს სტამბოლი.

„გაქნილი ვინმეა, — აედევნა ფიჭვები აფხაზეთის მთავარს. — მონებით ვაჭრობს, ქვეყნის ოჭროში ხელს ურევს და გროშებზე წუწუნებს. მუდამ ზარალი აკერია ენაზე. „ზეირ იობტურ“ — ურცხვად დაიფიცებს და ისე შემოგხედავს შეგებრალემა... უჰ, ვაჭრების სინსილა! მაგათ წაბილწეს ჩვენი პატიოსანი ქვეყანა. შემოიტანეს ქუჭყი და უსაზღვრო ანგარება“.

— დიდო ბატონო! — მოულოდნელად დაარღვიეს მთავრის მყუდროება. შინაყმებმა ხელებგაკრული აფხაზი მოჰგვარეს მთავარს და მდაბლად მოახსენეს: — ნადირობაზე შევესწარიო.

— ვინ ხარ? — პირქუშად იკითხა შერვაშიძემ.

— ჰანბა გახლავარ, დიდო ბატონო!

— „ჰანბა გახლავარ!“ — დაცინვით გაიმეორა მთავარმა და ცხენს სადავე მიუშვა. — ჭურდი ბრძანებულხარ!

— ჭურდი არა ვარ, დიდო ბატონო! გაკირვებამ გამაბედვინა.

— ჭურდი ხარ... ხელწამკრავი!.

ჰანბა მიწას დააშტერდა და დანისლოლი თვალები ცრემლით შეეტბორა.

— ჭურდი ხარ! — დაადგა კბილი შერვაშიძემ.

— ეჰ, ღმერთი სად არის, რომ სიმართლე დაინახოს!

ატორდა ჰანბა. შეურაცყოფა ველარ აიტანა.

— ნანადირევი ზურგზე აჰკიდეთ, ალაიაში გაატარეთ და...

— არ გაუშვათ! — მოაგელვეს ცხენები ჯიხვს გამოდევნებულმა მონადირეებმა.

— თხუთმეტი როზგი უწყალობეთ! — დატოვა ბრძანება მთავარმა და თვითონაც ჯიხვს გამოუდგა.

მარლანიას საფარი გადაყელა შერვაშიძემ. თამშულ მარლანია შურით აინთო. საფარი გადაინაცვლა დ მარტოდ დარჩენილი ფიქრებს მიეცა.

დიდი ხანია თამშულ მარლანიას აფხაზეთის სამთავროზე უკვირებს თვალს. შერვაშიძეს ათასგვარ ხრიკს უწყობს. ბედი არ უწყალობს მარლანიას. ვერც კჳუა-გამჭრიახობით სჯობნის შერვაშიძეს და მნელი ზრახვება განუხორციელებელი რჩება.

ხმაურობა მატულობს. ძაღლები ყფით აყრუებენ მიდამოებს. მარლანიამ ადილხანს მოჰკრა თვალი და ცხენი თავქვე დააქანა.

ადილხან ნადირსაც ელოდება და... იქვე ჩასაფრებულ მურზაყანს ავზნებული თვალებით ულოლიავენს.

ადილხანს უკვე გულში ჩაუვარდა სვანეთის შემკვიდრე და ოცნებობა მასზე.

ეს შენიშნა მარლანიამ. უცებ გეზი შეიცვალა, ცხენი მიატრიალა და მურზაყანს ზურგში დაუდგა.

— თამშულ! — მოესმა მარლანიას ადილხანის წკრიალა ხმა.

— რა გნებაეთ, ბატონიშვილო! — არ დააყოვნა მარლანიამ. დადუშქელიანს პირი მოარიდა და ადილხანის შორი-ახლო შეჩერდა.

— რატომ ხართ მოწყენილი?

გაულიმა განგებ ადილხანმა.

— თავი მტკივა. სიცხემ თუ დამკრა.

მარლანიამ აბრეშუმის ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა. ცალი თვალთ მურზაყანს გაჰხედა და ცხვირსახოცი ჩოხის გულთაფაში შეინახა.

წინ ადილხანი ედგა, მაგრამ აღრენილი თავადიშვილი ისევ დადუშქელიანს მიჩერებოდა. ადილხანთან საუბარს არ იქნა ბოლო არ გამოენასკვა. ორთავენი კარგად გრძნობდენ ერთმანეთისადმი გულცივობას. ადილხანს არ მოსწონდა თამშულ მარლანია. თამშულს მოსწონდა ადილხან, მაგრამ ეჯავრებოდა კიდევ. მიზეზი მურზაყან დადუშქელიანი იყო. მახლობელ ხევში ჩოჩქოლი ატყდა. ძაღლები იერიშზე გადავიდნენ.

— შველი! — შეჰკივლა ადილხანმა.

— ესროლეთ, ბატონიშვილო! — უგულოდ შესთავაზა მარლანიამ ადილხანს.

გავარდა თოფი. შეტორტმანდა ნადირი. ერთი უკან მოიხედა და გაფრინდა.

— თქვენი მომერიდა, თორემ... — ჩააქნია თავი მურზაყანმა.

— დაჭრილია, დედას გეფიცებით, დაჭრილია... აი, თამშულს კკითხ... — მიიხედა. თამშული უკვე მინდორს უახლოვდებოდა.

— როგორ გაიპარა? — გაიკვირვა ადილხანმა, მაგრამ როდი იწყინა მარლანიას ჩამოშორება.

მურზაყან ნასიამოვნებიც კი დარჩა აბეზარ თავადიშვილის თავიდან მოშორებით.



— მურზაყან, გეფიცები, დაჭრილია!  
 — გნებავთ, გავედევნოთ? — შეპლიმა ადილხანს მურზაყანმა და ცხენს  
 ქუსლი ჰკრა.

სამხრობამ მოატანა. შეაჩერეს ნადირობა. ნანადირევს თავი მოუყარეს. ყველა განცვიფრდა დახოცილი ნადირის დანახვაზე.

მთავარი შთაბრუნებულ გუნებაზეა. სამჯერ ესროლა დღეს მთავარმა და სამჯერვე მოახვედრა.

— სადილი! — ბრძანა შერვაშიძემ. ღიღინით ჩხრიალა წყაროს მიუახლოვდა. ხელი დაიბანა, ჩრდილი შეარჩია და მოისვენა.

გაშალეს სადილი.

ჩაციებული ღვინო დოჭებით ჩამოდგეს. ფეხზე დადგენ შერიქიფენი. ვარდისფერი კამური აჩინჩხალდა სასმურებში.

მიხეილმა ნადირობის სადღეგრძელო დალია. ყანწი თამშულ მარლანის გადაულოცა.

კუშტად ჩამოართვა ყანწი მარლანიამ, გაავსო და უბრად დალია.

— რამდენჯერ დააცდინე თამშულ? — ნიშნის მოგებით ჩაუკრა შერვაშიძემ. ამით აგრძნობინა, რომ მისი საქციელით ნაწყენი იყო აფხაზეთის მთავარი.

— დააცდენ, როცა წინ გელობებიან...

— თვალის ბრალია, თამშულ! ზოგჯერ მუხის ჩრდილი მუხად ეჩვეუნება ადამიანს.

— სწორი შენიშვნაა. ხშირად ჩრდილი მუხა ჰგონია ზოგიერთებს და მუხას კი ვერ ამჩნევენ.

ქარაგმა ყველასათვის გასაგები იყო. მიუხედა და იწყონა კიდევ მიხეილ შერვაშიძემ მეტოქე თავადიშვილის თავგასულობა. ბევრი აღარ დააყოვნა: შენთან შეჯიბრი ვაეკაცობად არ ჩამეთვლება, მაგრამ გნებავს, თვალიც გავსინჯოთო, — გამოიწვია მთავარმა მარლანია და შინაყმას უბრძანა: სანიშნო წაიღეო.

თამშულს არ ესაიბონა მთავრის უდროო გამოწვევა, მაგრამ უკან დახევა ისირცხვილა.

წამოიშალენ. ასი ფეხის ნაბიჯზე დასდეს სანიშნო.

— ესროლეთ! — მიმართა მთავარმა მარლანიას.

— თქვენ ესროლეთ! — შეყოყმანდა საფიქრებელში ჩაეარდნილი თავადიშვილი.

— ადილხან სად არის? — მოულოდნელად იკითხა აბდიბამ.

შეწრიალდენ. ამაღას თვალი გადაავლეს. არსად სჩანდა.

— დადეშქელიანი ადილხანს არ მოაწყენს, — ღვარძლით შენიშნა მარლანიამ და სანიშნოს ხელმოჩრდილვით გაჰხედა.

— არც მურზაყან სჩანს? — იკითხა შერვაშიძემ. — ვაგ ხალხით კაცები-  
თამშულ, თქვენი რიგი იყოს.

— თქვენ გერგებათ, ბატონო ჩემო, ესროლეთ! — უგმობურად ეძღა  
მარლანიამ.

ესროლა შერვაშიძემ.

— წერტილში ვახლავთ! — დაიძახა შინაყმამ, რომელიც სანიშნოს  
უთვალთვალებდა.

მოემზადა მარლანია. აცახცახებული ნერვები ძლივს დაიწყნარა. დაი-  
ხარა და დაუმინა.

მინდორზე მურზაყან გამოჩნდა. წინ ადილხან მოაგელვებდა აჭაფებულ  
ცხენს.

ადილხან დაეღვებაში გაჩნდა სანიშნოსთან და თოფიც გაეარდა.

უეცრად მოხდა ეს ამბავი. გაფრთხილებაც კი ვერ მოასწრეს. ჯერ  
თოფის ხმა არ მიწყნარებულა, რომ ადილხანის ცხენმა ჩაიჩოქა... მზე-  
დარმა თავი ველარ შეიმაგრა და ბალახებში გადაეშვა.

— მარცხია!

— თამშულ!

თავზარდაცემულნი ადილხანისკენ გაექანენ.

სანამ წარჩინებულნი ადილხანს მიუახლოვდებოდნენ, მურზაყან ლურ-  
ჯადან გადმოფრინდა, ადილხან წამოაყენა და ჩურჩულით ჰკითხა: ხომ  
არაფერი გეტკინაო.

ადილხანს თავი სიზმარში ეგონა.

მურზაყანის მკლავები მკერდზე მიიკრა და ღიმილით უბასუხა: არა-  
ფერიო. ადილხან ფეხზე წამოდგა. ნაწნავები გაისწორა, კაბის კალთა  
დაიბერტყა.

ცხენი ადგილიდან ველარ იძვროდა. მარლანიას ნასროლს ჭაჩაჩი გაე-  
ხვრიტა ადილხანის ცხენისთვის.

— ყოჩაღ, კარგი სროლა გცოდნია, თამშულ! — კვლავ დასცინა შერ-  
ვაშიძემ და რაკი შემთხვევა უმარცხოდ დასრულდა, სუფრისკენ მხიარუ-  
ლად გამოემართა.

— უნებლიედ გამივარდა. — იმართლა თავი მარლანიამ. — ხმაურობა  
რომ გავიგონე, თოფის ჩამოღება განვიზრახე, მაგრამ უეცრად სასხლეტს  
თითი გამოვეკარი და...

— მარცხენა ფეხზე ამდგარხართ, თავადო! — წყენით ჩაურთო მო-  
ხუცმა აბდიბამ და აკოჭლებულ ცხენს ფეხზე მალამო დაადო.

— მაშ, ყაბულს არა ხართ, თამშულ?!

— თუ დამიჯერებთ, სიმართლეს მოგახსენებთ.

— რა უფლება გვაქვს, არ დაგიჯეროთ! — ორაზროვნად მიუგო მთა-  
ვარმა და თან დაატანა: — ესროლეთ მეორეჯერ!

მარლანიამ უყოყმანოდ გატენა თოფი, დაიჩოქა და კვლავ ესროლა.

- მარჯვენა ყურეში! — დაიძახა მოთვალთვალე შინაყმები.  
 — რას იტყვით, თავადო!  
 — მჯობნით და ეს არის... ამას ისედაც კარგად ენახებოდნენ.  
 — ისევე ჭარაგმა?  
 — არა, მარლანიების სოვლახეს ჭარაგმა ველარას უშველის.  
 — თუ ასეა თითი მოხარეთ!

მარლანიამ თითი მოხარა. გაცეცხლებულმა ყანწი გაავსო და შერვა-შიძის სადღეგრძელო დალია.

— ძალა მიჩვენე...

— გატყვევას გიჩვენებო... ჰი... ჰი... ჰი! — აჭირქილდენ შინაყმები, რომელთაგან ერთი ნესტორ აბდიბა იყო. ნესტორს ჭირივით სძულდა მარლანია. დღეს თვალდასანახავად შესძულდა, ცხენის მარცხის გამო.

მურზაყანმა ყური მოჰკრა აბდიბას ჭარაგმას და ჩუმად გაილიმა.

გაახურეს ყანწები. თავს ველარ ართმევენ წამოკრულ სადღეგრძელოებს.

მარლანია თვალმდებლღეზილი მიშტერებია მშვენიერ ადილხანს. ასლოკინებს და გაცვეთილ ქათინაურებს უშნოდ ბლუკუნებს.

სიცილს ველარ იმაგრებენ. საჭამრეზე ხელჩაჭიდებულნი იგულებიან.

გალმა დამრეცზე შვლის ნუკრმა ჩამოიბინა. დაფეთებული თვალე-ბით დახოცილ ნადირს მიაშტერდა და გულშემზარავი ხვეილი მორთო.

ჩვეილი იყო ნუკრი, დაღმართზე თავს ძლივს იმაგრებდა.

აბდიბამ ნუკრზე მიუთითა წარჩინებულებს.

მარლანია ნუკრის დანახვაზე გამოფხიზლდა და თოფს ხელი დაატანა.

— არვინ გაბედოს. — მკვახედ სთქვა შერვაშიძემ და შუბლი შეიკრა. ხმაურობაზე ნუკრი შეკრთა, ტყისკენ შეტრიალდა. ერთხელ უკან მოიხედა და გულამოსკენით დაიხავლა.

აბდიბას გული აუჩუყდა და მოწოლილი ცრემლები ველარ შეიმაგრა. გაუკვირდათ მოხუცის საჭკიილი. შერვაშიძემ თვალი მოაჩილა მოხუცის ცრემლებს და ავისებული ყანწი გადაღვარა.

აბდიბას „ნუკრი“ ამ დროს თუთუნს მარგლიდა ტრაპიზონის მიდამოებში. შვიდი წელიწადია აბდიბას შვილი არ უნახავს. ბევრიც რომ გასძლოს, შვილს მაინც ვერ ნახავს, ისე, როგორც ის საცოდავი ნუკრი ველარ იხილავს ამიერიდან დაკარგულ დედას.

აბდიბას ცრემლები ვერაუინ ვერ გაიგო. ვინ იფიქრებდა, რომ ობლად დარჩენილი ნუკრის დანახვაზე აბდიბას შვიდი წლის წინათ მონად გაყიდული შვილი მოაგონდებოდა?!  
 —

## 12. გულში ჩამარხული ხმაშიაღი



თავისუფალ სევანეთს მიაშურეს მონობას თავდახსნეულმა სევანებმა. ლატალის თემში დაბანაკდნენ, სოფელ ლახუშტში. განდგომილნი გულთბილად შეხედნენ თავისუფალი სევანეთის მცხოვრებნი. უბინაობისა და ხელმოკლეობისათვის თვითონაც ვერ დაეხწიათ თავი მწირი ქვეყნის შეილებს მაგრამ გადახვეწილებს, შეძლების მიხედვით, ხელი გაუწოდეს, ნანადირევითა და ქერით წამოეხმარნენ. ხელი შეუწყვეს კარგების აგებასა და კერის ანთებაში.

დაბანაკდნენ განდგომილნი თუ არა, შუაქაცები გაუგზავნეს თათარყანს. შეროგება და უკან დაბრუნება სთხოვეს. თუ ქალილ-ბეი თავს გამოიღებდა, — უთვლიდნენ განდგომილნი, — ჩვენ მოვეურიგდებით, ან ძალით, ან ჭრთამით თავიდან მოვიშორებთო.

საგონებელში ჩავარდა თათარყან: აქეთ განდგომილ-გადახვეწილნი... უსახლკარო აბრაგები... ერთი ხელტური რომ წამოუაროთ, გათავდა... ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ.

იქით ქალილ-ბეის საჩივრები არ აძლევს თათარყანს მოსვენებას. კავკასიის მმართველისაგან მან უკვე მიიღო წერილი. ორმაგ საყვედურს უთვლიდა: ჯერ ერთი, — სწერდა ნამესტნიკი, — არც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში მონათვაჰრობა აღარ არსებობს. თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე, მონებიც გაგიყიდიათ, ხალხი აგიჯანყებიათ და უცხო სახელმწიფოს წარმოდგენილი ბ-ნი ქალილ-ბეი მხლებლებით განსაცდელის წინაშეც დაგიყენებიათ. ჩვენ აზრად არ გვაქვს, ჩავერიოთ თქვენს სამთავრო საქმეებში და რაიმე მსჯავრი გამოვიტანოთ, მაგრამ საერთაშორისო სამართლის საფუძველით კი ნებას მივცემთ ჩვენს თავს, დაუშვებლად მივიჩნიოთ უცხოელთა მიმართ მსგავსი ქმედობანი. ნუ დაივიწყებთ, რომ ხელმწიფე იმპერატორის ხელგულეა პასუხისმგებელია ყველა იმ საქციელის გამო, რომელიც მისი უდიდებულესობის სამფლობელოს მიწაწყალზე ხდება, მაშასადამე, სევანეთის ტერიტორიაზედაც...

უკანასკნელი სტრიქონი წერილში ხაზგასმული იყო. თათარყანმა კარგად იცოდა, თუ რას მოასწავებდა ნამესტნიკის წერილის კილო და ხაზგასმული სტრიქონის მნიშვნელობა.

„ხათაბალა, თუ გნებავთ ეს არის... ქალილმა შეურაცყოფა რომ დათმოს, ზარალს არ დათმობს, მონების საფასურად აღებულ ფულს გადახდა უნდა... გაყიდული მონები კი უკან დაბრუნებასა და ოჯახებში ფეხმოკიდებას ლამობენ. ალბათ, იმედი აქვთ ცალკე რუსის ჯარის... ნამესტნიკის... იქნებ, მურზაყანისაც... მურზაყანს რას არ ასწავლიან შერვაშიძის სასახლის კარზე. რა რიგად არ წააქვებენ. მარტო კნენა კესარია რად ღირს. მაქოსავით ატანტალებს ენას. ამას წინათ გურიელს მოსწრებულად უხუმრია კესარიაზე. ამისთანა შარახვეტია დედაკაცი ჯერ არ მინახავსო... შარახვეტია... ზედგამოჭრილია, მე ნუ მოვეკდე... ჰო და,

რაკი მურზაყანის სიძეობა გადაწყვეტილი აქვს შერვაშიძის ოჯახს. რას არ მოიფიქრებენ მურზაყანისთვის ტახტის დასაბრუნებლად...

ბევრი იფიქრა თათარყანმა. მდგომარეობა ყოველმხრივ მწონდა. გაითვალისწინა შინაყმების უკმაყოფილება და დაპყრობილი რეზენევის მცხოვრებთა მისდამი მტრული განწყობილებაც, მაგრამ განდგომილ-გადახვეწილთა შერიგება მაინც არ მოუვიდა ქუჯაში და შუაქაცებისავე პირით ასეთი პასუხი შეუთვალა განდგომილებს: სანამ სვანეთის სამთავროს თათარყან და დეშქელიანი ბატონობს, ვერც მონებად გაყიდულნი და ვერც მათ თავდასახსნელად განდგომილ-გადახვეწილნი სვანეთის მიწა-წყალზე ფეხს ვერ დადგამენო.

თათარყანის პასუხს აღარსაიდან შემოველებოდა. უარი მტკიცე იყო. გარდაუვალი.

ითათბირეს.

მურზაყანთან მოლაპარაკების გამართვა გადაწყვიტეს. იქაც შუაქაცები აფრინეს. თვითონ ყასბულათმა ითავა მურზაყანთან წასვლა და მოლაპარაკება. სასახლეში დატრიალებული ამბებიც დაწვრილებით უამბო.

გადაიჩია მურზაყან. რისხვას ველარ იმაგრებდა. ბებია დიგორხანის სიკვდილის გაგონებაზე ბავშვივით აზლუქუნდა. ბევრს ეხვეწენ და ემუდარენ გული მოებრუნებია და დამშვიდებულყო, მაგრამ ამაოდ.

— ბები! — ხანდახან ცივი ხმით დიგომინებდა მურზაყან და ფითრის მარცვლისოდენა ცრემლებს ღვრიდა.

შეწუხდა შერვაშიძის სასახლე. კნენა კესარიაც ჩაერია მათ საუბარში. განდგომილებს განგებ მიეფერა. თათარყანის წინააღმდეგ წააქეზა და გააგულიანა.

დაწყნარდა ბოლოს მურზაყან. შუაქაცებთან მუსაიფს შეჰყვა. განდგომილები შეიცოდა და შუაქაცების პირით ასე შეუთვალა: თანახმა ვარ. საშინაყმო შელავათებს უკლებლივ მოგანიკებთ, ხოლო ცოტა ხანი მადროვეთ, გლოვეთ გული მოვიჯერო და ცოტათი ხელიც მოვიტხო. მერე, ღმერთია ჩვენი შემწე, ჩემო ერთგულო ძმებო!

არც მურზაყანის პასუხი ექაშნიკათ განდგომილებს... მურზაყანზე ეკვის თვალი მიიტანეს.

ნოშრევანმა თავი გამოიღო და ყასბულათს პირდაპირ მიახალა: ვნახოთ, რა გვარისა იქნება და დეშქელიანის წყალობა, შელავათები და თავისუფლებო.

— რუსები რომ მოიშველიოს — უპასუხა ყასბულათმა, — სამთავროსაც დაიბრუნებს და შემდეგ ჩვენ ზედაც არ შემოგვხედავს...

რუსის ხსენება აფრთხობდა სვანებს. უცხო ხალხის სვანეთში დამკვიდრება ღვთის რისხვად მიაჩნდათ. შიშობდნენ: შემოვლენ გადამთიელნი თუ არა, ჩვენს მამისეულ მიწა-წყალს დაეპატრონებიან. წაგვირყვნიან წინაპართა ზნესა და ჩვეულებას, წაგვიბილწივენ შიშსა და ნამუსს, სარწმუნო-

ნობას შეგვიბლალავენო. ასე მსჯელობდნენ, სვანები ყოველ შემთხვევაში, რომელი ქვეყნისა და სარწმუნოებისაც არ უნდა ყოფილიყო აგი.

მიწის სიფიწროვეს ბავშვობიდანვე გრძნობდა. აქ კანდიდატურის კურსები... „მოვლენ, დასახლებიან, ლუქმას პირიდან გამოგვაცლიან, მიშხლით ამოგვწყვეტენ“, — ერთხმად დაასკენეს განდგომილებმა.

რუსების შემოსვლით დაშინებულებმა, ნოშრევანი ძალად დააჩუმეს და გადასწყვიტეს: გვერდში ამოდგომოდნენ მურზაყანს, როცა სვანეთის ტახტის მემკვიდრე საგვარეულო გლოვას მოათავებდა, და ამ გზით ეზრუნათ სვანეთში დაბრუნებაზე.

ნოშრევანმა ტუჩზე იკბინა, მაგრამ რა ძალა ჰქონდა, განდგომილთა საერთო აზრს დაემორჩილა. ყასბულათს მაინც გაუმეორა: ვნახოთ მურზაყანის მონიჭებული თავისუფლებაო.

— კაცო, იქნებ არც ისე საშიშონი არიან ეგ რუსები?.. იქნებ ეაზვიადებთ საფრთხესა და საშიშროებას? — იკითხა ვიბლიანმა და თვითონვე დასძინა: — არა მგონია, რუსების შემოსვლა უფრო საშიშო იყოს, ვიდრე თვითონ დადემშქელიანების ბატონობაო.

ისევ დაუბრუნდნენ ათას დარჯაკში გამოვლებულ კითხვის განხილვას. წესრიგი დაამყარეს და თავიდანვე შეუდგნენ სჯასა და ახალ გადაწყვეტილებებს.

— არა, ერთის შხრივ, მეც მექვეშაარცა მოხუც ვიბლიანის სიტყვა. — წამოეხმარა ვიბლიანს ქურდან მანაგაძე. — ყური მივდეთ, სვანებო, შენც ყასბულათ! ერთი რამ მაკვირვებს ამ რუსებისა. თუ დასაპყრობად არიან მოსული, რატომ ასე წყნარად სხედან და ეკლესიების კედლებს უტრიალებენ გარშემო. ერთ თვეზე მეტია, რაც სვანეთში დაბანაკდნენ და უწყსო რამ არაფერი გამიგია...

— მიწებს რომ ზომავენ?

— მიწებს ზომავენ?! ეგ არ ვიცოდი... — დაება ენა ქურდანს და ნოშრევანს მიუბრუნდა: — მიწებს მართლა ზომავენ?!

— კი, დავინახე... ზომავდნენ.

— ეკლესიებს რომ ხატავენ!

— ნანგრევებს რომ ათვალიერებენ?!

— ო-ო, გაცოცხლათ ღმერთმა! — დაიხია უკან მანაგაძემ. — თუ კი ერთი თვის განმავლობაში მიწები აზომეს, ციხე-კოშკები და ეკლესიები გადახატეს, ვინ იბადრავებს, რომ ხვალ ზარბაზნებს არ მოგვაყუდებენ... არა, სვანებო, ეს ხალხი სანდო არ არის... გვეპარებიან, ვითომ არ გვატყობინებენ... შემდეგ, ალბათ, ერთბაშად წაგვავლებენ ყელში და...

— დადემშქელიანები? — ერთბაშად წამოიძახა შინა ოპოზიციაში მდგომმა ნოშრევანმა. — დადემშქელიანები კი თავზე ხელს მოგვისვამენ?

დადუმდა მანაგაძე. სხვებმაც მას მიბაძეს და გაცხოველებული სჯაბაასი მოულოდნელად შესწყვიტეს.

ხმაგაკმენდილია ყასბულათიც. წინ სანუგეშო არაფერქუცსუხეჭა და მოწყენილია, წარბაჩმოშვებული. საცაა განდგომილებს სავსებრთუვაშოელევით — ნადირობით თავის გატანა ხომ შეუძლებელია. ზაფხულიც ჩქარა გაივლის, ჩამოთოვს მთებს და ბარს მოსწყუდებიან. ახლა იქ უპატრონოდ მიტოვებული ოჯახები. წერილი ცოლშვილი და: „არა, საშველი არ არის ამ ცოდვილ დედაშიწაზე. შინაყმების გაჩენაში ღმერთი არ გარეულა“.

ყასბულათ თავს ველარ ართმევს ობობას ქსელივით დაბლანდულ ფიქრებს. ნაპოვნი განძეული კიდევ უფრო უკარგავს მოსვენებას. „გამოვიტან და განდგომილებს გავახარებ“, — გაუელეებს ხანდახან ყასბულათს. „ცოდვა-მადლი ამაზე შორს სადღა წავა. ხალხი თავისუფლებისათვის იბრძვის. სახსარი არ გააჩნია. იქნებ ღვთის განგებაც ერია ამ საქმეში, როცა განძეულის პოვნა მე მერგო წილად. მე ხომ დღეს ამათი წინამძღოლი ვარ. მაშ, რაღას ყოყმანობ, ყასბულათ?!“

„პო“ მაინც ვერ უთქვამს ყასბულათ მარგიანს. დალის შიშით განძეულზე კრინტი ვერ დაუძრავს.

ჩამოღრა ყასბულათ მუდმივ ფიქრებსა და გულის ხეთქვაში. საკუთარ თავთან განუწყვეტელმა ჭიდილმა დაღი დააჩინა. ზოგჯერ გადასწყვეტს ყასბულათ: დახუჭოს თვალები და ერთბაშად გამოამჟღავნოს გულში ჩამარბული ხეაშიადი... განდგომილებს შეპყრის და გაღიმებული სახით ემზადება სიტყვის სათქმელად, მაგრამ... ისევ ფიქრები შემოესევა ცრუმორწმუნე მონადირეს. დალის შიში ეუფლება მის არსებას და ხელს იღებს განზრახვის შესრულებაზე.

განდგომილნი ხედავენ მარგიანის ქაპან-წყვეტას. ამჩნევენ შემოპარულ სულიერ მღელვარებას, მაგრამ ეინ იფიქრებს, რომ განდგომილთა მეთაურის მღელვარების მიზეზი ნაპოვნი განძეულია...

„არა... თათაჯერ არა! — ჯიუტობს მარგიანი და ნაპოვნი განძეულზე კრინტის დაძვრას ერიდება. — თუ გამარჯვება გეიწერია განდგომილებს, ისედაც გვიმარჯვებთ“.

### 13. თაყვალის ქალი

მოწყინდა განდგომილებს უქმად ჯდომა და უთავბოლო ხეტიალი. მურზაყან არაფერს იტყობინება. ვერც ბართან დაამყარეს ხერიანი კავშირი. სამეგრელოში კაცის გაგზავნას ხშირად ახერხებენ სვანები, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ტყობილობენ. ერთადერთი იმედი საზამთრო სამუშაოებზე აქვთ დადიანის სასახლეში. სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი სასახლეს აშენებს ოდიშში. იციან, მუშა-ხელი ესაჭიროება. განსაკუთრებით მხერხავეები. ხერხზე მუშაობაში გაწვრთნილნი არიან სეა-

ნები. ლეჩხუმელებს არ ჩამოუვარდებიან და გადაზამორების ნუგეშიც სწორედ ეგ არის.

ჯერჯერობით კი სხედან ყურჩამოყრილი და მარტო მარტო მარტო მარტო ელოდებიან.

გავრძელდა დღეები. განდგომილებს მოთმინება გამოელია. შრომის-მოყვარე ხალხს უქმად ჯდომა მოსწყინდა. მთელი დღე ისე გადის, ერთმანეთს არ გამოესაუბრებიან. უბრად მიდიან სანადიროდ. ნადირობიდან დაბრუნებულნიც უბრად სხედან და თოფ-იარაღის წმენდით ერთობიან. ზოგი დენთის დამზადებაში აღამებს ზაფხულის გრძელსა და გამო-ზოგილ დღეებს. ზოგი ტყეას აღნობს და საფანტს არგვალვებს.

ყველაზე მეტი მოწყენა დარეჯანს ემჩნევა. მონად გაყიდვასა და ქალი-ბების ძარამზანას ადვილად აცდა იგი, განდგომილთა მეოხებით, მაგრამ ტყე და ტყე წოწიალში გული მაინც აფორიაქებული აქვს. ზის გან-მარტოებული და ხელსაქმით ერთობა. ვერ ეგუება განდგომილთა ცხოვრებას. ცხოვრების უხეშსა და სასტიკ პირობებს. ხშირად სასოწარკვე-თამდე მიდის. გადასწყვეტს თვითმკვლევლობით მოულოს ბოლო ძალღურ ცხოვრებას, მაგრამ ვაეკაცობა აღარ პყოფნის განზრახულის შესასრუ-ლებლად. ხშირად ოცნება გაიტაცებს და მურზაყანის სასახლეში დაჩვეულ გასართობებსა და დროსტარებას იგონებს. უცებ დღევანდელ ყოფას გა-დააველებს თვალს და ტანი ხორკლებით მოეფინება, თითქო ქინკრით და-სუსხესო.

ერთ დღეს კინალამ ქუთაზე შეცდა შინაყმათა წრეში ჩავარდნილი თავადის ქალი: განდგომილებმა ცალკე კარავი მოულობეს დარეჯანს და გა-აფრთხილეს — თვიური ავადმყოფობა კარავში უნდა მოიხადო გამარტო-ებულადო. აუკრძალეს თვიურის დროს მამაკაცებთან შეხვედრა და და-ლაპარაკება.

ტირილი წასკდა დარეჯანს. მთელი დღე ცრემლში იხზობოდა. სამ წელზე მეტია, რაც დარეჯან იმერეთიდან სვანეთში ამოიყვანეს. მაგრამ მურზაყანის მამის ოჯახში ასეთ უცნაურ წესებზე ყური არას დროს არ წაუკრავს. გავონილი კი ჰქონდა სვანეთში უცნაური ადათის არსებობის შესახებ, მაგრამ თავისუფლებისათვის საბრძოლველად ამდგარი სვანებიც თუ ასეთ გზას დაადგებოდნენ, ისიც უცხო ქალის მიმართ, ვერ წარმო-ედგინა დარეჯანს.

მთელი დღე ისე გავიდა, პირში ხემსი არ ჩაუდგია. ავად ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ შიშით ახლოს არავის ეკარებოდა.

ნოშრევანმა ველარ მოითმინა. დარეჯან დაიმარტოვა და ანთებული გრძნობით მიულერსა დამწუხრებულ თავადის ქალს. აუხსნა სვანეთში არსებული ადათის მნიშვნელობა. განუმარტა — ხალხში გავრცელებული ცრუმორწმუნეობა ნადირობისა და ქალის თვიურის შესახებ.

დარეჯანს გული აუჩუყდა. თავი ველარ შეიმავრა და ხმამაღალი ქვითინი წასკდა.

ნოშრევანმა თავზე ხელის მოსმით სცადა გულამოშვების ქაღალის დაწყნარება.

დარეჯანს ეუცხოვა ნოშრევანის სიახლოვე და მისი ხელის თავისუფალი შეხება. ცხვირი აიშრუა და ზიზღით დაიღმიჯა.

„ველური! სუნი უდის და“... — გაივლო გულში დარეჯანმა. — „შინაყმის მოაღერებასაც მოვესწარი. ღმერთო, ეს რა სატანჯველში ჩამაგდეს“.

ნოშრევან გაიტაცა საუბარმა და დაყვავებით მოუთხორო დარეჯანს სევანური ზნეჩვეულებები... სარწმუნოებრივი ცერემონიები, ადათები.

დარეჯან ხმას ატარ იღებდა. შეუმჩნევლად განგანზე მიიწედა და ნოშრევანს თავს არიდებდა.

მოგვიანებით შენიშნა ეს ნოშრევანმა: უცებ საუბარი შესწყვიტა და მოწუხული თვალებით ახედ-დახედა გულაზიზღებულ თავადის ქალს.

— სად მიიწევი?! — უხეშად მიახალა მან დარეჯანს.

თავჩალუნული დარეჯან პასუხს აგვიანებდა. მხრიდან გადმოცურებულ ნაწნავს ხელში აწვალებდა და გაგოროზებულ ჩაპყურებდა ბარძაყებ შუა ჩაკეცილ კაბის ხშირ ნაოჭებს.

„თავადის ქალი!“ — ნოშრევანმა ტუჩი მოიკენიტა. წოდებრივი სხვადასხვაობის სუსხი და სიცივე ჩადგა ერთი ასაკის ქალვავს შორის... ნოშრევან ახლა მეტის სიფხიზლით ჩაუყვირდა განდგომილ სევანთა სვე-ბედს. მათი მომავალი გაითვალისწინა. დღეს უფრო მეტის სიმწვავით იგრძნო ნოშრევანმა, უფლებააყრილი შინაყმების ბედი, ვიდრე მონად გაყიდვის დროს. დარეჯანის ცხვირის აწვევა უფრო მწვავედ ეტკინა, ვიდრე ქალიღბების ხელქვეითთა დაუშასხურებელი მათრახები.

დარეჯანმა თავს ძალა დაატანა და ნოშრევანთან საუბრის განახლებას შეეცადა. თავადის ქალმა თითქო იგრძნო თუ რა ცეცხლი ტრიბლებდა ამჟამად თავმოყვარე სევანის გულში. ამიტომ, ნაძალადევი ღმილით მიმართა ნოშრევანს, არ შეგიძლია ბარში წამიყვანო უფლასწულელებთანო.

დარეჯანს კარგა ხანია აზრად ჰქონდა უფლისწულებთან წასულიყო. ყაბულათს სთხოვა, შეაკაცებთან ერთად მეც წამიყვანეო, მაგრამ მაშინ გრძელი გზა მოიმიზეზეს, უთხრეს, უცებნოდ გაგიჟიდებათო და განზრახვაზე ხელი ააღებინეს. ახლა კვლავ წამოუარა დარეჯანს განდგომილთა მიტოვების სურვილმა და იმიტომ უფრო მოიბრუნა გული ნოშრევანთან საუბრის განსახლებლად.

— არ წამიყვან? — გაუმეორა დარეჯანმა, როცა შეხედა, რომ ნოშრევან პასუხს არ იძლეოდა.

— რატომ... თუ ჩვენები იტყვიან, წაგიყვან, — ცივად მიუღო ნოშრევანმა.

„ჩვენები“ ეკალივით მოხვდა გულზე დარეჯანს და თავის დაუჩვენებლად გააქროლა. მაგრამ უმაღლვე თავი დატუქსა უხეიროს და დაელოდა და ახლო წარსული გაითვალისწინა: „არა. ხალხმა მონობიდან დამიხსნა... პარამხანას ამაცდინა და... აქ კიდევ... წოდებრივი ქედმაღლობა... გაუნათლებელია და ცხოვრების სიღვივით დაბეჩავებული, თორემ ნოშრევანს რომელი თავადიშვილი წამოსძახებს თვალტანადობას, სიმარჯვესა და გამბედაობას? მიეცი გასაქანნი და ნახე, თუ ვაეკაცობაც არ დაგიმტკიცოს. კეისართა ცხოვრების აღწერილობაში ხომ სწერია: იულიუს კეისრის წინაპრები პლებეები იყვნენო. ეგეც არ იყოს, სპარტაკი ხომ მონა იყო, ნოშრევანივით უფლებდაყრილი... მონებმა არ წარმოშვეს უდიდესი და უსასტიკესი სარდლები: ჩინგიზ-ყანი და თემურ-ლენგი?! სხვას რომ თავი დაეანებოთ, ვინ იყო კორსიკანელი ბონაპარტი, უკედავი სარდალი და უდიდესი იმპერატორი? დრო და გასაქანი, თორემ... ეჰ, თუმცა გული მაინც არ მიმიწევს ნოშრევანისკენ. შორიდან რომ ვუცქერ, თვალს მოსწონს, გული კი ახლოს არ იკარებს. როცა გვერდით მიზის, ქინჯარი მსუსხავს. ცხვირწინ შშორისა და ოფლის სუნი მიტრიალებს. ცხვრის ტყაბუქებსა და ნანადირევ ტურქებში გახვეული, თვითონაც ნადირი მგონია. მინდა ჩემი თავი დავძლიო... მინდა შევეგუო მასთან სიახლოეს, მაგრამ რომ მიმიძის?! ორი თვეა. რაც განდგომილებთან ერთად ვცხოვრობ და, ღმერთო, რა სატანჯველი იყო ჩემთვის ეს დღეები! მერჩია კოშკიდან გადავვარდნილიყავ და მეც დეიდა დიგორხანის ბედი მწვეოდა, მაგრამ... ღმერთო, ეს რა მომდის?!“

ბილიკზე ყასბულათ გამოჩნდა. თავჩაქინდრული მოდის განდგომილთა მეთაური. თოფი მხარილლივ გადაუგდია.

დარეჯანმა ჩაახველა.

მოშორებით იყვნენ, მაგრამ ხმაურობა მაინც არ გამოეპარა მონადირე სვანის მახვილ ყურთასმენას.

ნაბიჯს მოუჩქარა ყასბულათმა. დამრეცი ისე აირბინა, ქუსლი მიწაზე არ დაუკარებია.

— განმარტოებულხართ?! — იხუმრა ყასბულათმა და ნოშრევანს რომ ამ ყოფაში ნახა, ესიამოვნა კიდევ.

დარეჯანმა შორს გაიგდო განდგომილთა მეთაურის ხუმრობის კილო. შეიკმუხნა, მაგრამ არაფერი სთქვა.

— ვიცი, დარეჯან, ვიცი თქვენი ეშმაკობა, — განაგრძობდა განხიარულებული ყასბულათი, — წმ. გივარგი იყოს თქვენი მფარველი! — ეს სთქვა და მოშორებით მოლზე დაჯდა.

— რას დამუნჯებულხართ? ჩემი მოსვლა ხომ არ გწყენიათ? — არ ცხრებოდა მასლაათის გუნებაზე დამდგარი მონადირე.

დარეჯანს ლოყები გაუღელვარდა. იუკადრისა უადგილო ხუმრობა. უხმოდ წამოდგა და ბანაკისკენ გასწია.

— რა მოუვიდა? ხომ არაფერი აწყენიე? — ჩააცვივდა ყველგან გაშეშებულ ნოსრევანს, რომელიც არც დარეჯანის წასვლას უკატყვდა. აიშე ყურადღებას და არც მამის უთაებოლო შენიშვნებს.

— ჩხუბი მოგივიდათ?

— არა, ხელის ჩაქნევით უპასუხა ნოსრევანმა. ნორჩი სამყურა მოგლიჯა, დასრისა და გადაავდო, თითქო ბრაზი ამოიყარაო.

— აბა, რატომ გაკუნტრულდა?

ნოსრევანმა თავი აიღო, ყასბულათისკენ მიბრუნდა და ნაწყენ კალოზე დაიწყო:

— იცი, რა მამაჩემო?

— რა გინდა?

— დადეშქელიანებთან კავშირი განდგომილებს არას გვარგებს, იცოდე.

— არაფერი მესმის. ახირებულ გუნებაზე ხარ, გეტყობა.

— დაიხსომე და შედეგიც ვნახოთ.

— არაფერი მესმის, ღერბეთის მადლმა!

— ის, რომ მთავრები და თავადაზნაურები შინაყმების საკეთილდღეო ნაბიჯს არ გადადგამენ.

— ეგ მართალია, მაგრამ... ყველანი ხომ ერთი ჯოხით გასარეკნი არ არიან?!

— ყველანი. კვიცი გვარზე ხტისო, უთქვამთ ბრძენკაცებს. განა მართო კვიცზე უთქვამთ?!

დადუმდა ყასბულათ. ნოსრევანის ქარავმა ეკეწმარიტა.

— მაშ, რა ექნათ? სხვა რა გამოსაეალი გვაქვს?!

— ეიფიქროთ. მურზაყანისა დიდი იმედი ნუ გექნებათ. რაც თათარყან, იგი იქნება მურზაყანიც და თენგიზიც. სამთავროს ხელში ჩაიგდება თუ არა, შეპირებული გადააეიწყდება. მთავარი, აბა რას დაგვითმობს უფლებააყრილ შინაყმებს?

— პირობა?

— ცრუ ოცნებაა. ფარატინა ქალაღდს რა ქკუა აქვს, როცა ძალა ხელთ ექნება?! მე მითქვამს და კარგად დაიხსომე.

— ახლა რომ არც მიწა-წყალი გვაქვს, არც სახლკარი და აღარც მამა-პაპისეულ ოჯახებში მისვლის საშუალება? თათარყანის პასუხი ხომ მოისმინე?! ცას ხომ ვერ გამოვეკრებით? ოჯახებს რაღა ვუყოთ?!

— ვაი ჩვენი ბრალი, რომ უიარაღონი ვართ, თორემ... — აღარ დაასრულა ნოსრევანმა.

„უიარაღონი“ — გაიმეორა თავისთვის ყასბულათმა და ფიქრებს მიეცა.

— იარაღი რუსის ჯარს აქვს... თუ საქმე იარაღზეა, ძალაც მათ ხელში ყოფილა, — ხმამაღლა დასძინა ყასბულათმა.

— მაშ, რა გგონია?! ბაბუაჩემი ხომ ამბობდა: ვისაც ხმალი უჭრის, ქვეყნის ბატონ-პატრონი ის არისო. დღემდე დაღეშქელიანებს უჭრიდა ხმალი და სვანეთსაც იოლად განაგებდენ. ხიშტებიან უჭურეს ხომ უყურებ, რომ მოინდომონ ერთ კვირაში გამოაცლიან ხელთ-ქალებსა და ხელისუფლებას.

— მაშინ ხომ რუს ხემწიფის კანონ-სამართალს დაგვიწესებენ.

— შერე? მონებად მაინც არ გაგვეყიდიან, კანონ-სამართალი ექნებათ.

— ნოშრევან! მეორედ აღარ გაბედო. ფიცი ხომ გახსოვს. მოლალატის კერძი ტყვია აი აქ მიდევს, იცოდე. — დაიქუხა ყასბულათმა რუსების ხსენებაზე და ნოშრევანს მტრის თვალი უჩვენა.

— სულერთია, მამაჩემო, რუსები თუ მოინდომებენ, აქაც იოლად შემოვლენ. შერვაშიძის სასახლეში ვერ უყურებდი, რაებს ამბობდენ?

— რაო?

— რაო და კავკასიაში ნამესტნიკი ზისო: სად არის საქართველოს მეფე?! მიპასუხე, სად არის? იმერეთის მეფე? გადააყენეს და გადაასახლესო, ხომ გაიგონე? გურიაში რუსის წესწყობილება დამყარდაო, ეგეც ხომ გაიგონე? გურულები მებრძოლი ხალხია, მაგრამ... ალბათ, სხვა გამოსავალი აღარ იყო.

— დადიანი ხომ მაგრა ზის საკუთარ ტახტზე? — მოუჭრა ყასბულათმა.

— მაგასაც ენახავთ. ზამთარს ხომ სამეგრელოში გავატარებთ. იქ ყველაფერი გამოჩნდება.

— არა... ღმერთმა დაგვიფაროს... არა, არა, ეგ არ მოხდება, ნოშრევან! რუსები სვანეთში ვერ იხვირებენ. ყასბულათმა პირჯვარი გამოისახა და დაღონებული კვლავ ფიქრებს მიეცა.

#### 14. გამოთხოვება

ზაფხულის მიწურულს მთები ჩამოთოვა. ქერის აღება ძლივს მოასწრეს თავისუფალ სვანეთის მკვიდრმა მცხოვრებლებმა. საცაა უღელტეხილებსაც დათოვს და გათავდა... ბარში ჩასასვლელი დაიკეტება.

უთავბოლოდ დაეხეტებიან განდგომილები. საერთო გზა ჯერ კიდევ ვერ გამოუნახავთ. აქა-იქ უკმაყოფილებამაც იჩინა თავი და შეირყა გადახვეწილთა შთლიანობა. გახშირდა უთავბოლო დავა და კინკლაობა. ზოგი ისევ თათარყანთან შერიგების გზას ადგას და ამრიგად მიტოვებულ ოჯახში დაბრუნებას ლამობს. ზოგმა თავისუფალ სვანეთში დასახლება გადასწყვიტა. მკვიდრ მცხოვრებლებთან მკიდრო კავშირი გააბა და ძველადვე პარტახად მიტოვებულ კოშკებში, სახელდახელო მოსახლეობა გამართა. ხუთი ახალგაზრდა სვანი სადღაც გაიპარა. მოგვიანებით შეიტყეს განდგომილებმა, რომ გაპარულები უცხოელ ტურისტებს გაჰყოლოდენ ღეთისანაბარად.

ღირღვა განდგომილთა მთლიანობა. გატყდა პირი და აქამდე თავდა-  
ქერილები და დინჯებიც კი აალაპარაკა შემოდგომის მოახლოებას.

— შიმშილი და გვზოცავს. — საყვედურს აცხადებენ მარგვიანს, გასა-  
გონად.

ყასბულათმა თავი ასწია და დაღვრემილ სევანებს წყრომით მიმართა:  
— რა მოგივიდათ, სევანებო?! დავიჯერო ოსმალეთში ცხოვრება გი-  
ჯობდათ, თავისუფალ სევანეთში თუ გინდ მშიერ-მწყურვალად გდებას?  
თვეთნულდს ზომ ხედავთ, სევანებო!

თავი ასწიეს განდგომილებმა. შეხედეს აელვარებულ თვეთნულდა,  
მწვერვალებს. მიხედნენ, თუ რას ნიშნავდა თვეთნულდზე სიტყვის ჩამო-  
ვდება და ხმა გაკმინდეს.

— შიმშილი მაინც ძნელი ასატანია, ყასბულათ? — უღიმღამოთ აღ-  
მოხდა მანაგაძეს.

მარგვიანი თვითონაც კარგად ხედავს განდგომილთა უმწურო მდგომარე-  
ობას. ორი თვე გადის, სხვას არაფერს ფიქრობს განდგომილთა მეთაური,  
მაგრამ გამოსავალი რომ ვერ უპოვია?! მურზაყანის პასუხს ელოდებიან,  
მაგრამ შუაკაცებს რომ ვერ ხედავენ?!

შეუმჩნევლად გულში იდაგება ყასბულათ მარგვიანი. სასოწარკვეთილი  
რას არ გაიფიქრებს, მაგრამ... „ასე რომ არ ივარგებს“. თვითონვე აძლევს  
პასუხს თავისთავს და გადამალულ განძეულზე მაინც ხმას არ იღებს.

— ჩავიდეთ ბარში. სამუშაო გავიჩინოთ, — დაარღვია მყუდროება  
ქურდან მანაგაძემ.

განდგომილებმა ერთმანეთს გადახედეს.

— სხვა გზა როდი გვაქვს, — გაექომაგა მანაგაძეს ნოშრევანი.

— მართალს ამბობთ... სხვა გზა აღარა გვაქვს. გადავიზამთროთ და  
ღმერთთა შოწყალე! — დაჰკრა დასტური ყასბულათმაც. — მოემზადეთ და  
ბარემ გზას გავუდგეთ.

— ჩვენ აქ დავრჩებით, — ცამეტე სევანის სახელით განაცხადა ხანშე-  
სულმა ვიბლიანმა. — თუ ღმერთი გიწინამძღვრებთ და შეტევაზე გადა-  
სვლას განიზრახავთ, მოძმედ გეოგულვეთ. ჩვენც გამოგყვებით.

— აგრე იყოს, სევანებო! ვინც დარჩენას არჩევთ... დარჩით! — განა-  
ცხადა გულნატყენმა მარგვიანმა და ბარში მიმავალ სევანებს კვლავ მიმარ-  
თა, მოემზადეთო.

განდგომილნი მოემზადნენ ბარში გასამგზავრებლად. აჰყარეს კარები.  
ცალეზად შეჰკრეს ბეწვეული ნანადირევი. შეახვიეს მსხვილფეხა ნადირის  
ქურჭები. საგზალი მოიმარაგეს და გზას გაუდგნენ. დაღვრემილნი ეთხო-  
ვებიან სევანეთს სევანები, თვალუწვდენ მყინვარწვერებს შეტბორილი თვა-  
ლებით შეტკერიან და ჩუმჩუმად ოხრავენ. სამშობლო მიწის გამოთხოვე-  
ბით მოხეთქილ გულისტკივილს ზედ ერთვის ღეთისანაბარად მიტოვებუ-

ლი ოჯახების დარდი და გადახვეწილთა სასოწარკვეთას საზღვარი არ უდევს.

გამგზავრების წინ გამოსათხოვარი სუფრა გაშალეს განდგომილებში. ანწლის არყით გაბრუებდნენ და „ლაშქრულიც“ დასქიპქიყვეს. ვაჟის გულს გააკეთეს და ფეხმარდი სევანები ელვის სისწრაფით დარიალალებს საცეკვარ წრეში დარქობილ ხანჯლებს შორის.

ზანზარებს უღელტეხილი. ენგური გრგვინავს. მას ერთვის საომარი სიმღერის ჭექა-ქუხილი. თავაწყვეტილი საცეკვარი და გახურებული ტაშისცემა. სიმღერით ეთხოვებიან სევანები საყვარელ არემიდამოს, შავრამ გამოსათხოვარ სუფრას გლოვის იერი უფრო დაჰკრავს.

ბოლოს, თითო მუტა მიწა აიღეს სევანებმა, ჩვარში გახვეული უბეში შეინახეს და დაიძრნ თავისუფალ სევანთიდან.

გეზი სამეგრელოსკენ უქირავეთ. სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის იმედი აქვთ: შეგვიფარებს და სამუშაოსაც გაგვიჩენსო. „დადიანი სასახლეს იშენებს. მუშა-ხელისთვის თავშესაფარს როგორ დაიშურებს?“ — ფიქრობენ გადახვეწილნი.

მძიმედ ათოკეს უღელტეხილის აღმართი. ლასილის გადასასვლელი გადალახეს. გლეტჩერები ჩაიარეს და თვალწარმტაც იალალზე გავიდნენ. ხეითქი გადახეთქია დასაბალნებულ სევანებს. ქაბანქვეშ ნაჯირითვე ცხენებით ქშინავენ.

— დავიღალე! — აღმოხდა ქურდან მანავაძეს. შეჩერდა და სავსე მკერდით ამოისუნთქა.

მანავაძეს სხვებმაც მიბაძეს. დაიმუხლეს და ჩქარა ყალიონებიც გააჩალეს.

ჩამოჯდა ყასბულათ მარგიანი. დაღვრემილ სევანებს რომ გადახედა, გულზე თავარა მოედო. „დაგელოცა ლერბეთ სამართალი!“ — წაილულულა მან თავისთვის. ამოიოხრა და ფიქრებში გადაიკარგა.

— ბიმურზა! წყალი მოგვიტანე, შენ გაზრდას! — დაუსაქმეს პირტიტველ ბიმურზას მოწყურებულებმა.

— წყალი რომ არ მოჩანს?! — შეეკყმანდა ბიმურზა, როცა უიალ მინარს გადახედა და წყარო ვერსად ვერ დაინახა.

ყასბულათ წამოეშველა საფიქრებელში ჩავარდნილ ბიმურზას. ხელი გაიშვირა და თეთრი ქვების ზვინზე მიუთითა:

— დამრეცს ჩაირბენ და წყაროსაც დაინახავ, — ანიშნა ყასბულათმა. სხვებმაც შეხედეს თეთრი ქვების გროვას. ზოგიერთებმა გაიკვირვეს კიდევ ტიალ მინდორზე თითქო განგებ შერჩეული თეთრი ქვების ზეინი.

— განგებ შეგროვებულს არ წააგავს? — წამოიძახა განცვიფრებულმა სოზარმა.

— არც ბუნებრივია, — გამოეხმაურა სოზარს ყასბულათ და ხალხური თქმულება მოიგონა ქვების შესახებ: — გამოიგონია, — დაიწყო მარგიანი-

მა, — სვანეთი ერთ დროს ძლიერი სამთავრო, ყოფილა, მეომარი, დიდი ქონებისა და ავლადიდების პატრონი. საქართველოს მეფეს გიორგის რა-  
ღაც შეურაცყოფა მიუყენებია სვანებისთვის. ამხედრებულნი კლდეები.  
ქედზე კაცი გამოსულა და ყანსავე ყიფიანის სარდლომდე დაქვემდებარ  
იმერეთის მოსაოხრებლად. აქ რომ გამოუვლიათ, ყიფიანის ბრძანებით,  
თითო თეთრი ქვა აუღლიათ ხელში მეომრებს, ადგილი შეურჩევიათ და  
კაცის თავზე თითო ქვა ერთად მოუგროვებიათ. ჩასულან იმერეთში. მოუ-  
ოხრებიათ ქუთაისი. სოფლებისთვის ხარკი დაუდგიათ და ხონის გზით  
უკან დაბრუნებულან. სვანეთს რომ შოახლოებიან ავი დარები დამდგარა.  
ცხენისწყალზე ხიდი ჩატეხიათ და უამრავი მეომარი უგზოუკვლოდ და-  
კარგულა ადიდებულ მდინარეში. აქ რომ გამოუვლიათ, ცოცხლად და-  
რჩენილებს თითო-თითო ქვა კვლავ მოუგროვებიათ. მეორე ზენის ხომ  
ხედავთ? — ყასბულათმა თითით ანიშნა სვანებს მომცრო ზეინზე. — და-  
უთვლიათ ქვები და დაღუპულთა რაოდენობა ამით გამოურკვევიათ...

— ყანსავე ყიფიანს რა მოუვიდა, ნეტავი? — იკითხა გაცხებულმა მან-  
ნაგაძემ, რომელსაც არ სჯეროდა სვანეთის წარსული ძლიერება და ყას-  
ბულათის ამბავი ზღაპრად ეჩვენებოდა.

— ყანსავე ყიფიანზე სიმღერა გამოუთქვამთ სვანებს. „უბერებელი და  
უკვდავი“ შეურქმევიათ ხანგრძლივი სიცოცხლისა და უმარცხო ომების  
ვადატანის გამო.

ყასბულათმა სიტყვა გაწვეცია. ამოიოხრა და ბიმურზას მათარა გაუ-  
წოდა, წყალი დამისხიო.

— დაეიჯერო, სვანეთს მოხარკედ ჰყავდა იმერეთი? — არა ცხრებო-  
და ქურდან მანაგაძე და ყასბულათის ნაამბობს ეკვის თვალით უცქერდა.

— ასე გადმოგვცემენ და... საკვირველი არაფერია, სვანებო! თამარ  
მეფის დროს რომ სვანეთი მოწინავე კუთხე ყოფილა, ეს სადავო აღარ  
არის.

— ყოფილა... ყოფილა და აღარ არის, — კვლავ აიღერდა მანაგაძე,  
გადახვეწილებს გადახედა და მწარედ გაიღიმა.

ცეცხლი ტრიალებდა ქურდანის გულში. უმიძიდა სვანეთს გამოთხო-  
ვება, ოჯახის ღეთისანაბრად მიტოვება. ბარში კარდაკარ ხეტიალი. სი-  
ცივე, შიმშილი და უცხო კუთხეში გადახვეწით მოსალოდნელი გაჭირვე-  
ბის ატანა. შეუახნის კაცი მოიყარა და ერთხელ არ გაუხარია ქურდანს.  
ოჯახის სითბო არ უგრძენია. ოცი წლის თუ იქნებოდა, მეზობელი რომ  
შემოაკვდა. მორიგება ვერ შესძლო და ათი წლის განშავლობაში ყანლუს  
საფრთხე არ აძლევდა მოსვენებას. ბოლოს მოურიგდა მოსისხლეს, მაგრამ  
ახლა დადეშქელიანი წაედავა: საბატონოს არ იხდი, ურჩობას მიპირებო.  
ადგა და, გაროზგინების შემდეგ, ყურმოქრილად გამოაცხადა. ცოლი შე-  
ერთო და პირველი ღამის უფლება დადეშქელიანს დაუთმო. ქალიშვილი  
წამოეზარდა თუ არა, მთავრინამ მხველად წაიყენა. მიწა არ გააჩნია და

მამული მანაგაძეს. ახლა კიდევ გარდახვეწა და კარდაკარ ხვრიალი. „რა გამოვა აქედან? ვინ გვიწინამძღვრებს, ყასბულათი? ცოდნა... რომ არა აქვს?! ბარი დაგვეხმარება? არ მჯერა. ბატონყმობა ჩემს ცეცხლშია? ვთქვათ, მრევხერხეთ აჯანყება. მერე? ტახტს მურზაყანი დაიბრუნებს და... არ ვიცი... ნოშრევანისა არ იყოს, მართლაც არ მჯერა დადესქელიანების წყალობა თავისუფლება. არც ის მჯერა, რომ ოჯახს ცოცხალი დავუბრუნდებით და ცოლშვილს როდისმე თვალს გადავაგვლებთ. ღმერთო! ნუთუ შენ წილი გიდევს შინაყმების გაჩენაში?! ნუთუ ჩვენც ადამის მოღმისანი ვართ?!“

ქურდან ფიჭრებიდან გამოერკვა. ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი დაღვრემილ მოძმეებს და მწარედ ამოიოხრა.

ოხერაზე ოხერით უპასუხეს ზოგიერთებმა. გადახვეწილთა ბედი არაფრით არ განირჩეოდა მანაგაძის ცხოვრების პირობებისაგან და საერთო მოწყენილობის მთავარი მიზეზიც სწორედ ეს იყო.

სგანეთში აღარ დაედგომებოდა გადახვეწილებს. ბარში კი თავსეაფარი იყო საძებარი.

— გავსწიოთ, ძმებო — დაარღვია სიჩუმე ყასბულათ მარგიანმა.

ზღაზენით წამოიშალენ გადახვეწილნი და გზას გაუდგენ.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).



პეტრე სამსონიძე

## მდინარეს

1

სწრაფად მიგყევარ დიღო მდინარევე  
აღელვებულო შავი ზღვასავით...  
მიმიყვამ მზესთან დამაბინადრე,  
იქ დავასრულოთ გზები სავალნი...

აგდევნებივარ, როგორც თოლია  
როგორც ფრთამალი მთის შევარდენი...  
ბევრჯერ სიმღერა გამომითქვია,  
შენი დინების სადიდებელი.

2

რა ექნა?!.. ეს გული თითქოს ზღვა არის  
ტალღები-ტალღებს ეხეთქებიან...  
მის აღელვებას არა აქვს საზღვარი,  
კუნთების ნაცვლად თითქოს ფრთები აქვს...

შეგერთებივარ დიღო მდინარევე,  
შენი ჩქერების ერთი ჩქერი ვარ...  
შენსა დინებას ბედი მივანდე,  
სხვა რამ ამ ქვეყნად რა დამრჩენია!!..

3

ადიდებულხარ დიღო მდინარევე,  
ქუხ და მოარღვევ ნაპირებს კლდისას...  
მუდამ ვიცურო შენთან მინდა მე,  
თუ არა ფერი დამედოს მკვდრისა...

წამიყვა ტალღებს საითაც დენი,  
 საითაც ქარი მიგაგრიალებს...  
 ჩვენ შენს ტალღებზე დავიბადენით,  
 და ამ ტალღებზე ვმართავთ იალქნებს...



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

4

ადიდებულხარ დიდო მდინარეც,  
 ქუხ და მოარღვევ ნაპირებს კლდისას...  
 ჩვიდმეტი წელი შენთან ვიარე  
 ჩვიდმეტი ტალღა ყოველდღე მცდიდა...

სულმოკლეობას მუდამ ვჭოლავდი,  
 როცა მგელივით იწყებდა ღმუილს...  
 გაკაკიებულვარ, როგორც ფოლადი;  
 დავიმსხვრევი და არ გავიღუნევი...



ზალვა ღადიანი

## უ რ ლ უ მ ი

რომანი\*)

ი

უტუ რომ სამზარეულოდან გამობრუნდა, წინა ეზოს მოუხედა თვალი. ფართო მოედანს ხალხი კიდევ უფრო შემომატებოდა: ზოგი სასამართლოს კარებთან იყო მიხურხლული და „განაჩენს“ ელოდა, ზოგიც თავის რიგს უცდიდა, რომ საჩივარი მოეხსენებინა სასამართლოსათვის. ამის მოლოდინში კი თან მოტანილ საგზაღს შეეჭკოდა, რადგან ამისთანა ხალხს მთავრის სასახლეში არავინ უმასპინძლდებოდა. ის კი არა, სამართლის დროს, ხალხს თვით მოსამართლეთათვისაც უნდა მოეტანა ულუფა. ზოგი იმიზეზებდა — დავითმა გადააგდო ეს ჩვეულებათ, მაგრამ ბევრი მაინც ასრულებდა ოდესღაც დაკანონებულ ადათს.

მურზას მებატონე ლოლუებიც უყურყურებდნენ სასამართლოს. საქმე სწორედ მურზას და მის ოჯახს შეეხებოდა:

ოდესღაც მურზას მამა, გოჯოგია ფაჩულია გაცემული ყოფილა მზეხათუნ დადიანის მზითვეში და უნდა წაეყვანა მოჯალაბეთ მზეხათუნის ქმარს ანტონ წულუკიძეს იმერეთში, მაგრამ ეს ფაჩულია იმეამად შეუსყიდათ ლოლუებს და მზითვეში კი სხვა გლეხი გაუყოლებიათ. ამის შემდეგ გასულა კარგა ხანი. და ეხლა თურმე წულუკიძე ხელახლა გამოჰკიდებია მზითვეს: თავის დროზე არ მიმიღიათ ამბობს და სხვისგან გაყიდულ გოჯოხიას და მის ოჯახსაც თხოულობს.

ლოლუები ამაზე წიწმობდნენ, მაგრამ მათ ამშვიდებდათ მათგან ვეჭილათ აყვანილი, დავითის მიერ დიდ ორატორად მიჩნეული, სამეგრელოს ასაბიას წევრი, განთქმული მაძინია ქოიავა.

მურზამაც მხოლოდ ეხლა გაიგო ეს ამბავი და იფეთქა: როგორ თუ მზითვეში წაიყვანენ ჩემს ოჯახს იმერეთშიო, ცოცხალი თავით არ დავნებდებიო და ლოლუებს შეუტია.

\*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 5.

ლოლუები ცოტა არ იყოს დაფრთხნენ და დამშუღდება დაწყეს, თუმცა თვითაც არ იცოდნენ საქმე როგორ გადაწყდებოდა. მოსამართლეების შეჭრათამებობა განთქმული იყო, სასამართლოს მარტულად დაშლამ პირზე ეკერათ:

„გვაცალე, მაცალე, აცალე“

და ლოლუებმაც იცოდნენ ამ სიტყვების მნიშვნელობა.

ამას გარდა მომწივანი წულუკიძე მოსარიდებელი დიდი კაცი იყო, ისიც სამეგრელოს არა ქვეშევრდომი და ეფიქრებოდათ — ვაი თუ სასამართლომ ხათრი მოიღოსო, მაგრამ რა ექნათ!

მურზა ხმას თანდათან უმატებდა, ისე, რომ ბოლოს შორი-ახლო მსხდომ შმაგი კორძაიას ჯგუფმაც მიაქცია ყურადღება.

განსაკუთრებით ჯოღორია დგებია მიაშტერდა მურზას. გულში მოეწონა ვეფხვივით ვაჟკაცი და ის იყო: ვადასწყვიტა ეს ვაფი უთუოდ ჩემი შინაყმა უნდა გახდესო.

იკითხა.

როდესაც გაიგო, რომ ეს არის განთქმული მოცეკვავე მურზა ფაჩულიაო, სურვილი გაუათქვეცდა და ლოლუებისაკენ გაემართა.

მივიდა თუ არა, ლოლუები წამოიშალნენ, სალამი უძღვნეს და გაცხარებული მურზაც გაჩემდა.

ჯოღორიამ რომ მათი ამბავი გაიგო, კიდევ უფრო გაიხარა, რადგან გაიფიქრა საქმე საქოქმანოდ ჰქონიათ და თვით დამითმობენ ამ ბიჭს და მთელს მის ოჯახსაცო, მაგრამ ჯერ პირდაპირ არა უთხრა რა და შორი-დგან მოიარებით დაიწყო.

სწორედ ამ დროს მურზამ შენიშნა ჯოღორიას:

— ვილამაც გაგზავა, ბატონო!

ყველამ მოიხედა. ჯოღორიამ წარბები შეიკრა და ისე გადახედა, მაგრამ მურზამ ჯოღორიას ჩოხის კალთაზე მიმჯდარი ძაღლის ბუზი აჩვენა და მურზას ყველამ აბატია სითამამე.

ძაღლის ბუზის მიჯდომა ცუდათ იყო მიჩნეული. მანვე სულიაო ამბობდა ხალხი, ვისაც შეეხება მას ხიფათი მოელისო. წვიმის მომასწავებელადაც სთვლიდნენ.

არ იამა ეს ამბავი ჯოღორიას, მაგრამ მაინც იხტიბარი არ გაიტეხა და ლოლუები განზე გაიხმო.

დიდხანს ევაქრა.

ლოლუებს გაეხარდათ ასეთი ვაქრის მოვლინება: შეიძლება სასამართლომ ისედაც დაგვიკარგოს მურზა და მისიანებო, მაგრამ საქმეს მაინც აზვიადებდნენ. უფრო ფულს თხოულობდნენ. ნაღდ რუსის ფულს.

ჯოღორია კი აძლედა ორ ცხენსა და ერთ დამბაჩას. მაგრამ ლოლუები მაინც თავიანს გაიძახოდნენ.

ჯერ კიდევ არ იყვნენ მორიგებულნი, რომ ლოლუებს სასამართლოში დაუძახეს.

მერტოთ დარჩენილმა ჯოლორიამ მისდა ბედათ ცხაკუნის მხატვრული დაინახა და მისკენ გაეშურა.

ფულის სესხება და ისიც რუსის ფულისა მხოლოდ ცხაკუნისაგან შეიძლებოდა. მურზა კი ისე ჩაუვარდა თვალში ჯოლორიას, რომ ის არ ეყიდა არ იქნებოდა. თვალთ ხედავდა რა ბიჭიც იყო მურზა; ეს მშვენიება იქნებოდა მის შინაყმებში. მართალია მას ჰყავდა ერთი ძალღზე უერთფულესი ძიძიშვილი, მდევივით შესახედაობის და ღონის პატრონი ბეჭუნია ჩემაია, მაგრამ მურზა სხვა უნარის კაცად მოსჩანდა. გაიგო ისიც, რომ მურზას ცოცხალი ჰყავდა დედ-მამაც, ძველი გამოცდილი მუშა და ხაბაზი გოჯოგია, დედა მურზასი ხელგამოღებული დედაკაცი, უმკროსი ძმა მახარია, რომელიც სწორედ ამ ცხაკუნის ემსახურებოდა ორპირში და ახალგაზრდა და, ედუ, ეგეც მშრომელი და სახიერი გოგონა. ყველა ამათი შეძენა ეს დიდი რამ იყო მისი ოჯახისათვის და კიდევ უფრო გაუჯდა სურვილი მათი ყიდვისა. ამისათვის ფულის სესხებასაც არ უნდა დარიდებოდა. აკი არც დაერიდა.

იმავე დროს კი უზენაეს სასამართლოში ლოლუებს ესეთი ზიბრეული ქართულით დაწერილ საბუთს უკითხავდა უზენაეს სასამართლოს მდივანი ოქროპირ ასათიანი:

„სამეგრელოს კნიაზის, აწ გარდაცვალებულის კოხტა დადიანოვის ასულის მზებათუნის მიერ მორთმეულს მისდამი არძასა ზედა მისი უგანათლებულესობა მთავარი მენგრელიისა 13-ის განსრულის აპრილიდამ, წარსულის 1852-ის წლისა, № 1172-თა თვის მოწერილობითა წინა დაუდებს მენგრელიის უზენაეს სასამართლოსა, რათამცა სასამართლომან ამან ჩვეულებისამებრ სამენგრელოისა კმნას ზედა სჯულიერი დაკმაყოფილება მთხოუნელისა სამშობლო მამულისაგან მისისა“...

მაძინია ქოიავა თავს იქნევდა ასეთ ქართულზე და ჩაულაპარაკა კიდევ სასამართლოს მდივანს:

— ბეჩა — ოქროპირ! სიტყვით რომ კარგათ ლაპარაკობ, რა ღმერთი გიწყობა, როგორ სწერ!

სასამართლოს თავმჯდომარე ტაია დადიანიც ულვაშებში იღიმებოდა, მაგრამ მაინც განაგრძობდენ ამგვარ ქართულით დაწერილ განჩინების კითხვას, სადაც მოყვანილი იყო ჯერ ის თუ რას ჩიოდა „მზებათუნ“, რა უპასუხა ბიძა მისმა „ოტია ბეჭანისძე დადიანოვმა“, ამ პასუხზე რა პასუხი გასცა მზებათუნ წულუკიძის მეუღლემ, შემდეგ კვლავ რა უპასუხა ოტიამ და ბოლოს რა დაადგინა სასამართლომ:

სასამართლო აღგენდა:

„მენგრელიის უზენაესმა სასამართლომან განიხილა რა ზემოაღნიშნულნი: განცხადებანი მომჩივან-მოპა; უხეთაგან გამოჩვეულთა მიზეზთა

გამო სასამართლო სრულიად მინგრელიისა კანონიდან ვერ განამდებ  
 ჰყოფს ოტია ბეჟანის ძეს, რომ ხელახლა იწყოს მიცემადი ძმისწულისა მი-  
 სისადმი მზითვეთა და ამა პირსა ზედა კნენია მზებანსწულისა უფარ  
 ეყოლ მის მიერ ახლად წყებულის მზითვეის თხოვას (წინა) 1911  
 ამგვარად გადაწყდა ბედი მურზა ფაჩულიასი. ის კვლავ დარჩა  
 ლოლუებს.

მხოლოდ ლოლუებმა და ჯოლორია დგებიამ მურზასა და მისი ოჯა-  
 ხის ბედი მაინც უქულმა შეაბრუნეს.

ცხაქუნიათ გაიღო ფული, ლოლუები და ჯოლორია შეთანხმდენ და  
 ნასყიდობის ბარათიც იქვე შეადგინეს.

მურზამ არაფერი იცოდა ამ ამბისა და ჩაფიქრებულ უტუს არხეინად  
 ესაუბრებოდა.

უტუმ გაუზიარა სამზარეულოში ნახული და გულის ტკივილიც გაუ-  
 მელავნა.

მურზამ თითქო ამის საპასუხოდ მკლავში ხელი მოჰკიდა და უჯანა  
 ეზოში ფერღობისაკენ ჩამწკრივებულ სადგომებთან ჩამოატარა.

რა არ იყო აქ: საღურგლო, საზენკლო, საოჭრომჭედლო, მეხანჯლისა  
 და მელეკურეების სახელოსნო, საზარნიშო, სამინაანჭრო და სხვ.

ეს იყო თითქო პასუხი უტუსადმი: შეხე სხვა კიდეც რა სიმდიდრეც  
 აქვს მთავარსაო. თითქო ამას ეუბნებოდა მურზა ამ ჩამოტარებით.

მხოლოდ შეჩერებით კი დიდხანს არსად არ შეაჩერა უტუ.  
 მარტო ერთგან უტუ ცოტა გააჯიუტდა და მანც მეტი ხანი მოათია.

ეს იყო სამკედური.  
 გაიტაცა ნაცნობ სახელოსნომ და ნაღველიც თითქო ჩამოაცილა მის  
 ქაბუჯ გონებას. მოინდომა უფრო ხანგრძლივად დათვალეერება სამკედ-  
 ლოში და განამზად ნივთებისა, მაგრამ უღმობელმა მურზამ ეხლა თავ-  
 ლისაკენ შეატრიალა.

ეს პირადათ მთავრის თავლა იყო, მხოლოდ ეხლა არ შეისვლებოდა,  
 რადგან თავლის პარმალზე ერთბამ თავი მოეყარა შინაურ მეგზინიბებს,  
 სტუმართმზღებლებს და ბალისაკენ ცნობისმოყვარეობით გაიქტირებო-  
 დნენ.

ბალის პირას მიემართებოდა მთელი ასაბია ბანოვანთა ახალგაზრდა  
 დედოფალ ეკატერინეს წინამძღოლობით. გვერდით მიუყვებოდა ყელმო-  
 ლერებით ტანწერწეტა კლეოპიკა. შორიახლოს კი — დუტუ ბატონი-  
 შვილი.

ჩაუარეს ვარდის ბუჩქებს.

დუტუ დაიხარა, საუკეთესო რამ ვარდი მოსწყვიტა და მიართვა კლეო-  
 პიკას.

კლეოპიკამ თითქო გაოცებით მიიპყრო თვალეები, თითქო არც უნდო-  
 და გამოერთანია, მაგრამ დაინახა დედოფლის ლმობიერი გამომეტყველება,

თითქო იმის დამადასტურებელი, რომ აქ ცუდი არა არის<sup>არაო</sup> და ეარდი ნაზად ჩამოართვა შეფრფინებით შემყურე დუტუს.



თან კლეოპიკას ცბიერმა ღიმილმა ოდნავ ბაგე აუთფრქვინა. ეს არ გამოპარვია დუტუს და ეხლა უფრო თამამად და ნეტარად გაჰყვა დგებიას მუღულეს.

ეს ამბავი არ გამოეპარათ არც თავლასთან თავმოყრილ მსახურთ. ერთმა ხმაც კი აიმაღლაურა. ეს შმაგი კორძიას პირადი მხლებელი იყო, სასახლეებში გამოქნილი და მისი ბატონის დიდი მესაიდუმლე ვინმე ნანეიშვილი.

— შეხედეთ ეს ბატონიშვილი როგორ დასტრიალებს თავზე ჩვენს კლეოპიკას! ჰჰმ! — მრავალ მნიშვნელოვანად გაიზმუვლა.

— კალთა-მადლიანი ხომ არ არის ეგ შენი კორძიას ქალი. — შეეკითხა მურზა.

— რა ჩვენი საქმეა! — ორმაგად უპასუხა ნანეიშვილმა და ყალიონს დაუწყო ძებნა.

ერთი ახალგაზრდა მობრუნდა და ამოოხვრით წარმოსთქვა:

— რა ქალი ყოფილა ეგ „კორძეებე!“ ნეტავი მის ქმარს... მაინც ბატონებს, რომ ყველაფერი კარგი უნდა ერგოთ!

— მაშ რა გეგონა! ტყუილა კი არ არის ნათქვამი... — და მეგრულად ჩაუღეჭა მეორემ:

„სქვამი ცირფეი ბატონიშო  
ღვა-ჭვიჭვალე, ალი ცალი,  
თოლი გვირა, ხვართქალია  
მატურინე სქვეერი ცალი!“ \*).

მსმენელთა სახეზე ხალისი გამოეხატათ.

„თომა წყურიშა ონქუ  
სირმაცალი, ოკიჩალი,  
ტანი ბროლიშე ენაკვათა  
მოჭურჭულე, ზესჭვიცალი!“ \*\*).

თვალეებმა იწყეს ეღვარება.

„ყაზახეფიშო დატებული  
დაჩხირ-გენია მონტებული

\*) ღამაზი გოგოები ბატონებსათვის (არის გაჩენილი) ღოყა-აჭვიებულე, ალის-ფერი, თვალეებ-ფართო, მოფართალე და მშველივით მოგოგმანე (კოსკასი, მარჯვე).

\*\*) თმა კოჭებამდე სცემს, „სირმისებური, დასაკეცი. ტანი ბროლივით ჩამონაკეთული, მოჭიკტიყე შაშვივით.

კონკერი ეკოტკვარტკვალერი,  
კებურს ეკოხვარცებული“... \*).



ერყინული  
გიგლირთხეა

სიცილი შემოერიათ.

„თოლი გოჩვი გინაფილი,  
კისერი გოჩვიინაფილი,  
ლერქვი გილაშინაფილი;  
უშუმური, უკკომური  
ფერი, ხორცი დინაფილი,  
ბაიაცალო ჟინაფილი,  
ქორა გოკოტინაფილი!“ \*\*).

ხარხარი შეიქნა.

უტუც ხარხარებდა, მაგრამ შეამჩნია, რომ ზოგიერთის ხარხარს სევდა  
რამ გულდამწყვეტი შიგ ჩართვოდა. თვითონ კი... მალლა იგრძნო თავი.  
მისი დაღვინა რომელ ეშხიან ქალს ჩამოუვარდებოდა. ვინ კლეო-  
პიკა, რა სათქმელია! განა დაღვინასთანა სხვა არის ვინმე!

არა, უტუც „კონკერი ეკოტკვარტკვალერი“ კი არა, „ტანი ბროლიშე  
ენაკვათა“ ჰყავს, მიელის. — მხოლოდ როდის, როდის?... ბიჭინა უნდა ნა-  
ხოს, ვაიგოს მაინც საით წავლენ ეხლა? პეტრე დადიანი არ დაითხოვთ  
მათ ეხლა, შინისკენ არ გაისტუმრებს, თუ ომი მართლა იქნება?

აირია თავში კითხვები და ნაბიჯი გადადგა ბიჭინას მოსაძებნათ მაგ-  
რამ მყისვე შეჩერდა: შორიდან, ბალის მხრიდან მოისმოდა ლარქემის \*\*\*)  
კარგა ძლიერი, თან უცნაურად მოჩქრილად ბერა. თითქო წყაროს ჩუხ-  
ჩუხილი.

ცოტა გაუკვირდა: რა უნდა აქ ლარქემს? აქ ხომ სასახლეა და ლარ-  
ქემი კი მწყემსის საკრავია? საიდან? როგორ?

მაგრამ თითქო ამის პასუხად მოესმა ზურგს უკან:

— ეგ ირმებს აბურებენ ეხლა და მისი ნიშანია.

— ირმებს? საით?

ურვენეს და გაიქცა.

ბალის შუაში, მოედანზე იდგა ვინმე ფეხშიშველა ვაქკაცი, თავზე ყა-  
ბალახწაყრული ხელთ ლარქემი ეჭირა და საოცარი რამ კრიმანქული გა-  
მოჰყავდა.

\*) გლეხებისთვის კი დატოვებულია ცეცხლ-გენია მოკიდებული წივე-დამწვარი  
და კრასთან გაქციანებული (გოგოები).

\*\*) თვალბ-გამოციებული (უაზროთ მომზირალი), კისერ-გაშეშებული, ლაფშა-  
მოსიებული. უკმელი, უსმელი, ფერ-ხორც დაკარგული, ბაიახვით (გაყვითლებული)  
ჩამომედნარი, მუცელ-გასიებული.

\*\*\*) ლარქემი — ლერწამი, მაგრამ ლარქემი ეწოდება სტილისაც, რომელსაც შეიდი-  
ლერო აქვს.

გარშემოსხდულ ტყიდან ნელი-ნელ თავსა ჰყოფდნენ მიზნადილ თვლებიანი ირმები, ცოტაზე შეჩერდებოდნენ, უსმენდნენ და რომ დარწმუნდებოდნენ თითქო — ეს ჩვენ გვეძახიანო, უკვე შამაშაძეა მოდიოდნენ მოედანზე.

ოთხი მსახური, ოთხი ფართო გობით ხელში წავიდა მელარქემესაკენ. გობზე იყო წვრილათ დაჭრილი ნესვისა და საზამთროს კანი და ზედ ქვამარილი ჰქონდა მოფრქვეული.

მსახურნი მივიდნენ და ორთავ მხარეზე შემოეღრტყნენ მელარქემეს, მხოლოდ პირი ირმებისაკენ დაიჭირეს.

მელარქემემ უმატა ირმებისთვის ეტყობა, გასაგებსა და მომხიბვლელს ფიორიტურებს.

ირმებმა ეხლა თითქო საკვების „სულიც იცესო“ ხტუნვითა და კინტრიშით მოაშურეს გობებს და დიდის წესრიგიანობით, ირმისებურ, ზღაპრულ თავაზიანობით ოთხსავე გობს დასწვდნენ, მხოლოდ ეს არ ჰგავდა პირუტყვულ ჭამას, ზერება-თქვლეფით ყლაპვას, ეს თითქო თავის შექცევა იყო მაძღარ სულიერთა.

ალტაცების ხმა აღმოხდათ მაყურებლებს.

— ლიპარტია! თუ გიყვარდე მალე დაუძახე ჩემსკენ თოლისქვამს! — ვასძახა დედოფალმა მელარქემეს.

თოლისქვამი კაცის სახელია სამეგრელოში და ნიშნავს ლამაზ თავალებიანს. დედოფალს კი ერთერთი ირმისათვის ეს საადამიანო სახელი შეერქმია.

მელარქემე ლიპარტიამ უეცრად შესწყვიტა დაკვრა. გამოეყო თავის ჯგუფს და დედოფლისაკენ წამოვიდა.

ირმის ჯოგი არ დაძრულა. ისევ ისე შეექცოდნენ.

უეცრად ლიპარტიამ დედოფლის სულ ახლო დაუკრა ლარქემს და აათრთოლა ეხლა სულ სხვა რამ ჰანგი.

— ასეთის დაკვრით თქვენც გაგიტყუებდით! — ჩუმად ჩაულაპარაკა დუტუმ კლეოპიკას.

კლეოპიკას არა უპასუხნია რა, მხოლოდ თავი დახარა და მკერდზე დაბნეულ დუტუსაგან პირთმეულ ვარდს თითქო დაჰყნოსა.

ირმის ჯოგს კი გამოეყო მართლა ყველაზე უფრო მოხდენილი ცხოველი და ლარქემის ხმაზე გამოემართა.

— ეს ჰანგი მხოლოდ ჩემ თოლისქვამისთვის არის შერჩეული! — ყველას გასაგონად წარმოსთქვა დედოფალმა. — კომპოზიტორია ჩენი ლიპარტია... ნამდვილი!.. მოდი ჩემო თოლისქვამი, მოდი!.. დაუგურგურა ეკატერინემ მოახლოვებულ ირემს და თავის ხელით შაჭრიყინული გაუწოდა.

ირემმა ყელი მოიღერა, შემდეგ ქედი მოხარა, თითქო მაქლომას იხდისო და თავაზიანობით, კბილი არ დაუქარებია ისე, მხოლოდ ფუშ-ფუშა ლაშებით მოწოდებული ჩამოართვა.

ლიპარტიამ ლარქემი მიანელა და შემდეგ სულ განუხარებია ირემი განაგრძობდა დედოფლის ხელიდან შაქრიყინულის მიღებას. — მართლა რა ლამაზი თვალები ჰქონია, მართლა თოლისქვაში ყოფილა, — წარმოსთქვა კლეოპიკამ და შემდეგ უფრო ნელა დაუმატა დუტუს ყურისაკენ გადახრილმა. — თქვენ გვავთ!

თავი ჰქონდა დუტუსკენ კლეოპიკას მიღებული, მაგრამ არ კი უყურებდა, უეცრად, სანამ დუტუ მაგიერს მოასწრებდა, კვლავ ცბიერის ღიმილით შეაპარა.

— აი ხედავთ! რა ცოტა ხანია, რაც ეს ვარდი მიძღვენით და უკვე დასკვნა კიდევ.

დუტუმ სხარტად შეუბრუნა:

— მაგ ვარდის ხანმოკლე სიცოცხლე ბედნიერი იყო, მას შეეხო თქვენი თითები, თქვენი ბაგე და დააკვდა თქვენს მზურვალე გულმკერდს...

დედოფალმა გაიგონა დუტუს სიტყვები, მიმოიხედა და უნდოდა ვინმესათვის ეთქვა, მაგრამ რომ ვერაფერს ნახა ისეთი, გულში რუსულად ჩაილაპარაკა:

— Он так восхитительно испорчен! \*)

დუტუს გულისხმობდა. თან ცრემლი მოადგა თვალზე: აბა სად არის აქ ის წრე, რომელიც გაუგებს დედოფალსა. ვის შეუძლია გაუზიაროს თავისი მოსწრებული მოსაზრებანი. და კვლავ დაუბრუნდა მის მუდმივ სანატრიონს: ეგ ეხლა პარიზში უნდა იყოს „უმაღლეს სტილის“ საზოგადოებაში, სადაც მისი საყვარელი „La haute gomme“ იკრიბება. ძალიან უყვარდა ეს ფრანგული სიტყვა, მაგრამ აქ ამასაც კი ვერ გაუგებენ! უნებლიე ოხვრა აღმოხდა მის გულმკერდს და თოლისქვამს კვლავ შაქრიყინული მოუნაცვლა.

უტუ იქვე იყო და დუტუს სიტყვები ვარდზე მანაც მკაფიოდ გაიგონა.

— მაშ ასე ლაპარაკობენ დიდკაცები? — მაშინვე გაუელვა თავში, — უუ. რა „მეტყუილე“ ყოფილან! ვითომ რა მინდაო?

კარგად მიხვდა უტუ რაც უნდოდა ვალაღებულ ბატონიშვილს და უნებლიე ზიზღი იგრძინო მისდამი.

— იმას არ ამბობს, რაც გულში აქვს, ვარდის ზღაპრით კი აღიზიანებს ქალის გულსა. ასე უნდა?

მაგრამ აღარ დასცლია ამის გამორკვევა, — სასახლის ციხეზე დიდ ზარს შემოჰკრეს.

ზარი სასახლეში იწვევდა შუადღის საუზმეზე სტუმარ-მასპინძელთ.

\*) მომზობლავით გარყენილია ეს კაცო.



უკანასკნელად მოეფერა დედოფალი თოლისქვამს და გასწია სისახლისაკენ. მას გაჰყვა ყველა, უტუს გარდა.

უტუმ თითქო ირმების ჯოგი არჩია სამეგრელოს *სამეგრელოს* "Haute-gomm"-ს და მელარქემესკენ გასწია.

მელარქემემ კვლავ აასტეინა თავისი საკრავი და ამ კვლავ შენაცვლებულ ჰანგზე ირმის რემამ იწყო დენა ტყისაკენ.

თითქო ზეიმი ვათავდაო და ირმებმა იწყეს თამაში ტყეში შესვლამდე. ზოგი დარბოდა და კვინტრიშობდა, ზოგი ერთი მეორეს გაქცევაში ეჯიბრებოდა, ზოგი ერთმანეთს აჭდობდა ყელსა.

მაინცა და მაინც ყველა მიდიოდა ტყისაკენ.

უტუ კი ზედ დასჩერებოდა ლერქემს და ლიპარტიას თითების მოძრაობას ლერწმის ნაჩერებებზე ფაციფუციო უკვირდებოდა.

ლიპარტიამ ერთი აღმაცურად შეხედა და, როდესაც უკანასკნელი ირემიც ტყეში შეიმაღა, ლარქემი პირიდან მოიხსნა და უტუს თითქო ხუმრობით შეუტია:

— რას შემომცქერი, ბიძია, ლარქემი არ გინახავს?

— ლარქემი როგორ არა, მაგრამ ასეთი რამ მართლა არ მინახავს... არც ამისთანა ჰანგები მსმენია.

— მე ობიშხელა ლიპარტია გახლავარ... ნუ კი მეხტმრები!

— ნუ გეწყინება და აქამდე არ გამიგონია...

— დროს დაუდგა თვალი, თორემ განა მე აქ ირმის ჯოგს უნდა ვმწყემსავდე?..

— ძალიან კი გაგიწვრთნია და შეგიჩვევია ირმები...

— ირმები კი არა ჩემი წინაპარი მთელ სამეგრელოს მართავდა. ლიპარტიანების ვარ ჩამომავალი... ეს სისახლეები, ეს ბალი, მთელი ავლადიდება სამეგრელოს მთავრისა მე მეკუთვნის მემკვიდრეობით...

უტუ გაოცებით უსმენდა ამ გულდაწვავით ამეტყველებულ ადამიანს.

ლიპარტიამ კი წაუსია და წაუსია. რაები არ მოჰყვა, როგორ არ შეაქო თავისი წინაპრები, განსაკუთრებით ლევენ დიდი, რომლის საბეც გამოსახულია წალენჯიხისა და ხობის მონასტრის კედლებზე. ვამეხი, რომელმაც იმერეთის მეფე ტყვედ ჩაიგდო და შეხფის ციხეში ამყოფინა, მანუჩარი, ნადირობის დროს გაჭენებულმა ცხენმა ხეზე ტეინი რომ მიასხმევინა და ბევრი სხვა.

ყოველივე ამას კი ლიპარტიამ და დიდი თავმოწონებით და რწმენით, შეუვალიათ.

ასე რომ უტუს ეკვი შეუვიდა: ეს ფეხშიშველი კაცი, ძონძებში გახეფული, დაგლეჯილ ყაბალაბ-თავწაკრული უთუოდ მთლად ვერ არის თავის ქკუაზეო, მაგრამ რაღაც სიმართლის ხმა ესმოდა მის გულის ყურს და გაჰყვა ამ უცნაურ მწყემსს.

გზაში ბევრი რამ გამოირკვა: მოლონიერებულ თავდაპირველობას ოდესღაც გაუნადგურებია ლიბარტიანების სამთავრო ოჯახი და ჩიქოვანთა სახლი გაუმთავრებია. ლიბარტიანები მოუთხრბნათ, საუწყოვებიათ, ამოუწყვეტიათ და წამლათ, ისიც შემთხვევით ვადარჩენილა შელარქემე ობიშხელას პაპა, რომელიც საღლაც გურძემში მოჯალაბე გამხდარა რომელიღაც თავადისა, მხოლოდ შემდეგში, როდესაც ამ თავადსაც დავით დადიანმა რალაც დანაშაულისათვის ყმები ჩამოართვა, ობიშხელას ოჯახიც მთავრის პირად ყმებად ქცეულან და თვით ობიშხელასათვის ლარქემის სიყვარულს უშველნია. პირადად ის მოჯამაგირე აღარ არის ეხლა. დამამცირებულ სამსახურს აღარ ეწევა და ღოშს აღარ ცეხავს. ეს ააშორა ლარქემმა. რაც უნდა იყოს, ირმის ჯოგს განაგებს მხოლოდ...

— დროს დაუდგა თვალი! რითი არ შეუძლია ობიშხელას რომ იყოს სამეგრელოს მთავარი? შესახედაობა აკლია, წარმოსადეგობა თუ ქკუა?..

უტუს არ გაცინებია. შეიძლება იმიტომაც, რომ უკვე მიადგენ ობიშხელას სამყოფს, ესრეთ წოდებულ მონადირეთა სახლს. კობტა ჯარგვალი იყო, სუფთად შენახული.

უტუს არ დასჭირვებია დიდი პატივი, შეატყო, რომ ობიშხელა ლიბარტია გუნებაზე იყო და ხელი არ შეუშალა, რომ მოზღვაგებული ნაფიჭრი ვადმოეშალა.

ობიშხელა თავის სამყოფელში შევიდა თუ არა, განჯინასთან აფუსფუსდა და თან განაგრძო:

— მაგრამ იცოდე, ჩემო ძმაო... რა გქვია შენ? უტუ? ჰო და იცოდე, ყმაწვილო კაცო, რომ არ შერჩება ამ დადიანებს თავიანთი უსამართლობა. ხალხის რისხვას ეგენი ვერ ასცდებიან... მე ვიცი დროა მოახლოვებული, ხალხის მოთმინების ფიალა აღივსო და მოვესწრები მგონია მაგათ სასახლეში ბუ და ჭოტები გაჰყოფდნენ და მაგათ ტუბუხსა \*) და დილეგებში თვალები გამოყველეფილი ჰქონდეს... ოჰ, უტუ ჩემო, ამ დღეს თუ მოვესწარ? მაგრამ აბა, აგერ დაილოცე...

და უტუს მოუტანა ერთი მუქა თხილი, პატარა „ჩალამ-კალამი“, ყვითელ საღებავით წითელ ნიადაგზე მოჭრელებული, ხელ-დოქით ღვინო და დაუსხა.

თვითონ პირჯვარი გადაიწერა. ღმერთს თავი შეავედრა და შემდეგ უტუ ასე დალოცა:

— ცხენის კარგი ბინა გქონდეს, ოჯახში ღალატი არ შემოგეპაროს, შინაურები გიცოცხლოს!

\*) სამუდამო საყანი

თ ა ვ ი მ ი ა მ ს ე  
 თ მ შ უ ლ ე ბ ა ნ ი  
 03



იმავე დროს მართა დედოფლის სახლის უკანა აივანზე ისხდნენ ივანე მუხრან-ბატონი და პეტრე დადიანი და შორეულ მთებს გასცქეროდნენ. ორთავენი წამოწითლებული იყვნენ, ეტყობოდათ ცხარეთ შეჰკამათებოდნენ ერთიმეორეს, მხოლოდ ეხლა სიღარბაისლით შეენელებინათ.

საკამათო კი მათ შორის ბევრი იყო.

ორი სულ სხვადასხვა უკიდურესობის წარმომადგენელნი სამეგრელოს ბედის გადაწყვეტაში.

ერთი უკვე გენერალი რუსეთის არმიისა, ჩინ-ორდენებში ჩამჯდარი და აშკარა მომხრე საქართველოს გარუსებისა, მაშასადამე სამეგრელოს გაერთიანებისა რუს-სახელმწიფოს „სკიპეტრ ქვეშ“. მეორე კი ჩინით მხოლოდ მილიციის პროპორჩიკი და ჩაცმული შავი მაუდის ქართულ კაბაში, აბრეშუმის გულისპირიანი და აბრეშუმისავე სარტყელ-შემორტყმული, უიარალო და უჩინო, პეტრეს არ უყვარდა ამ მოსირმულ ლაეაშების ტარება მხრებზე; თან რუსების სამეგრელოში შემოსვლის დიდი მოწინააღმდეგე იყო, თუმცა მაინც ფრთხილი ჯერ სააშკარაოზე გამოუსვლელი, არ ჰგავდა ამაში თავის ძმას, მეამბოხე გიორგი ჭკადუაშელს. ამისათვის მლამ ზღაპრებით და ჩამოკრულებით იყო მოლაპარაკე. ამგვარად ამ ორ ბევრი ჰქონდა საკამათო და ეტყობა ეკამათნათ კიდევ, მხოლოდ ვერ შეთანხმებულ იყვნენ და სდუმდნენ ზრდილობის გამო.

სიჩუმე მუხრან-ბატონმა დაარღვია:

— შენს მზესა, კნიაზო, მიბრძანე, ეს რა მთებია?

— ეგა, ჩემო ხონთქარო, აქეთ რომ ხედავ, ყველაზე უფრო მაღალი რომ არის, ზედ კოშკი რომ ადგია, სათანჯიო გახლავთ...

— სატანჯიო? სთქვით ბარემ სატანჯველი-თქო და ის იქნება — რას ამახინჯებთ ამ ქართულსა, მეგრელები?

— არა, ჩემო ხონთქარო — შეუბრუნა მუხრან-ბატონს დადიანმა — სათანჯიო მეგრული სიტყვიდან გახლავთ წამომდგარი. თანჯი ეს მიჯნასა ნიშნავს. იმერეთშიაც იტყვიან ესრეთ: „თარჯიო“, თუ არა და აგერ თქვენ სიდედრს მართა დედოფალსა ვკითხოთ.

— კარგი. ჩემ სიდედრს რად შევაწუხებთ. ქვევით... უკაცრავად!.. ეგ ვიცი... მანდ დიხა-ზურგაა. იქით კიდევ ჯვარი. ეს წინეთაც აღხსნიათ, ეხლა მახსენდება... მხოლოდ აი ზევით უფრო მოშორებით, ლურჯათ რომ მოსჩანს... ის მიბრძანეთ.

— ის, ჩემო ხონთქარო, სვანეთის მოსაზღვრე მთებია.

— აჰა. იქითა კალთაზე სვანეთია?

— დიად, ჩემო ხონთქარო. მხოლოდ ამ მთებს ბევრი სხვადასხვა სახელები აქვს მათ შორის: ყვირი, ქითა-გოლა, ცაში-კიბულა...

და ჩაიციან პეტრემ.

ქ ა შ ი ნ ე შ უ ლ ი

— ამ ცაში-კიბულზე უცნაური თქმულება გახლავთ... დასაჩქინელი...

მუხრან-ბატონმა თითქო არ მოისურვა ამ თქმულების მოსმენა და შეეკითხა:

— მაშ თქვენი ძმის აჯანყებულები მაგ მთის გადაღმა არ არიან დაბანაკებულნი?

— რათ ეძახით, ჩემო ხონთქარო, აჯანყებულებს?! გულდაწყვეტილი ხალხია მხოლოდ... ჰგონებენ, რომ აქვთ სიმართლე და მეც იმედი მაქვს, აკი წელანაც მოვახსენეთ, რომ, რაკი მობრძანდით, თქვენის ბრძნულის დახმარებით, ჩვენი მალალ-გონიერი მთავარი გამოარკვევს ამ სიმართლესა.

რალაც უნდოდა ეთქვა ივანეს, მაგრამ ჯერჯერობით გაუფიქრა და ჩაიხურა თავის თავში. ეტყობოდა, რომ არ მოსწონდა პეტრეს მიერ ნახმარი სიტყვები: „ბრძნული“ და „მალალ-გონიერი“. რა საჭიროა ეს არაფრის მოქმელი „ზედ-შესრულები?“ მაგრამ იცოდა, რომ პეტრეს ასე უყვარდა ლაპარაკი, ეს იყო პეტრეს დიპლომატია, ძალიან ადვილად გამოსაცნობი, და... აცალა.

პეტრე კი განაგრძობდა:

— მე იმას მოვახსენებდით, რომ ცაში-კიბულზე უცნაური თქმულებაა-მეთქი დარჩენილი. ვითომდა ოდესღაც ხალხს იქ მოესურვებინოს ცაზე კიბის შედგმა, მაგრამ შემდეგ ვითომ ჩამონგრეოდეთ და ერთიმეორეში არეულიყვნენ. სწორედ გითხრათ, ბაბილონის გოდოლის ამბავსა ჰგავს საიდან?

ივანემ ველარ მოითმინა:

— ამას ეხლაც ეგრე აპირებთ. თქვენი ძმა, კნიაზო, მთავარს რომ ეჯავჯვურება, ამითი რუსებსაც ეწინააღმდეგება, ეს ცაში კიბის შედგმასა ჰგავს. ეგ კიბეც დაგენგრევით და ერთმანეთშიაც კიდევ უფრო აირევით.

— რუსი რომ ჩვენ საქმეში არ ერეოდეს, ჩემო ხონთქარო, ჩვენ შინაურობაში მუდამ გამოვრიგდებით.

— აი ეხლა კი პირდაპირ დაილაპარაკეთ, კნიაზო, და ეგრეც სჯობია. თქვენ რუსები არ გნებავთ... თქვენ, ნოდელ და ქკადუაშელ დადიანებს და ერთ-ორ თავადს სამეგრელოსას... ვიცით ეს დიდი ხანია, მაგრამ თქვენ არც მთავარი დავითი გნებავთ... მეც პირდაპირ მოვახსენებთ ეხლა და ნუ მიწყენთ, კნიაზო...

— აბა როდის იყო, რომ ჩვენ მთავარ დავითის წინააღმდეგ წაველით?

— სულ მუდამ. ეს მას შემდეგ, რაც დავითმა მოხუცი მამა თქვენს დიდ ნიკოს რომ ეძახით, ვეზირობიდან დაითხოვა...

— სიცრუე მოუხსენებიათ თქვენთვის, ჩემო ხონთქარო...

— მე არატყერი ხონთქარი არა ვარ — გაფიცხდა ქართლული — და ჩემთვისაც სიცრუე კი არ მოუხსენებიათ, არამედ თვით ფაქტები ღალადებენ, კნიაზო... და იცით კი რა არის ფაქტები? ეს გხვდით თუ არა? ჩინამდვილე, რომ მამა თქვენმა გასცარცვა მთავრის ხაზინაში...

— ივანე, ივანე! — გაისმა საყვედური მართა დედოფლის, რომელიც ამდენხანს მუხლ-მოყეცილი, მორთხმით იჯდა ტაბტზე და კრიალოსანს ათამაშებდა.

— არა, ბატონიშვილს მე არას ვკადრებ — ცოტა ხმა დაუდაბლა მუხრან-ბატონმა, — მაგრამ სიმართლე კი უნდა ვუთხრა, რომ იკრდეს — ჩვენ ყველაფერი ვიცით, თუ რა ამოქმედებთ მაგათ. მაგათი მამა რომ დაითხოვა მთავარმა და ანგარიშიც მოთხოვა, ნიკოს სამი ათასი თუმანი დაედო ვალად. დავითმა აიღო და მამული ჩამოუჭრა, ზოგიერთი ყმებიც წაართვა. ამან გამოიწვია მათი აღშფოთება და შვილების განდგომა. — ჰო, თქვენ არა, კნიაზო, თქვენ ჰკვიანი კაცი ბრძანდებით და დარბაისელი, მაგრამ თქვენი ძმა, ფიცხელი გიორგი განზე გადგა იმ თავითვე: სვანეთს გადაიხვეწა, ყაბარღო მოიარა და იქ თავი ისე მოაჩვენა, ვითომ და რუსებისაგან იყოს წამებული და რუსეთის მომხრე მთავრის მიერ. ამიტომაც აიყოლია მთიულეები. მანამდე კი თვითონ ნიკო დიდი მომხრე იყო რუსებისა, აკი გენერლის ჩინიცა აქვს მიღებული, მაგრამ მთავრის შემოწყობამ საქმე სულ სხვაგვარ დაატრიალა.

— მამაჩემს რას ერჩი, ჩემო ხონთქარო. — მაინც არ გაისწორა ჩვეულება პეტრემ — უკვე ლოგინად არის ჩავარდნილი და, მერწმუნეთ, დიდათ შეწუხებულია მისი შშფოთვარე შვილის საქციელით.

— შეიძლება, მე მაგას არ გამოვუდგები. მხოლოდ ფაქტი ფაქტია. ამას ემატება ისიც, რომ აფხაზეთის მთავარიც გიორგის ემხრობა და მუდამაც... მაღლვით, მაგრამ მაინც რუსების წინააღმდეგია და დავითს ხომ დაუძინებელი შტერი. გასაკვირი არ არის — აფხაზეთის მთავარს მიხილს თქვენი და ჰყავს ცოლად...

— ჩემო ხონთქარო! მე ამ საუბარს მოვერიდები...

მაგრამ ივანე არ მოერიდა. განაგრძო:

— სვანეთის მთავარიც თქვენი ნათესავია. გიორგის დადიშეკელიანის ქალი ჰყავს და აი... ატეხილი ხართ ყველანი დავითის წინააღმდეგ, მასასადამე რუსეთის წინააღმდეგ. — მერე რა დროს? როდესაც სხვა გზა არ არის გარდა რუს-ხელმწიფის ერთგულებისა, მორჩილებისა და ქვეშევრდომობისა. როდესაც ყველანი ერთსულოვნებით აქეთ უნდა მიდიოდეთ, რომ თქვენ ჰვეყანაში შემოვიდეს წესიერება, კანონიერება, რომ აილაგმოს თავაშვებული მოქმედებანი ზოგიერთ მებატონეთა, რადგან გლებობა სამეგრელოში მეტათ დაუდგრომელი და მეამბოხე არის თავიდანვე... ამას ვერაფერს ვერა ხედავენ „ქვე-გამხრახველნი“ და პირადი, წერილმანი მოსაზრებებით იკვებებიან...

მართა დედოფალი პირში შეჰყურებდა პეტრეს, თითქო ~~წინ~~ <sup>წინ</sup> არ იფეთქოსო, მაგრამ პეტრე პირველ ხანებში წამოწითლებული, აშკარა აღელვებული. მუხრან-ბატონის სიფიცხეზე თითქო ~~ქვეყნ~~ <sup>ქვეყნ</sup> ვეღმევიდა, რადგან მისი მოსაზრება გულთან არც ერთი არ გაიკანკანდა მართა:

— ჩემო ხონთქარო! ჩვენი უბედურება ის გახლავთ, რომ გავითიშეთ და არა მართო სამეგრელოში, არამედ ერთბაშ მთელს საქართველოში. აი თქვენ, მუხრან-ბატონი, ქართლის დიდი თავადი, მეფეთა შთამომავალი რას გეიბრძანებთ — უცხოელს დამორჩილდითო... გული მტკივა, რომ ამას ვისმენ თქვენგან. მეგრელებს ერთი ზღაპარი გვაქვს. გერია ჰქვია ამ ზღაპრის გმირსა. გერია დიდი ვაჟაკია და ბევრი სანაქებო რამ ჩაიდინა, მაგრამ ერთხელ ნადირობიდან რომ ბრუნდებოდა გზაზე ქალი შეხვდა კოკით მხარზე. გერიამ ესროლა ისარი და კოკა გაუტეხა. ქალმა უთხრა: „მე რას მიმტრევე კოკას, თუ ძალა გაქვს, ეგერ, მღევი ცხრა მთას იქით რომ ცხოვრობს, ერთი ლამაზი და ჰყავს და ის მოიტაცეო“.

— მაგითი რა გნებავთ, რომ ბრძანოთ?

პეტრეს პასუხი არ დასცლია. რადგან სწორედ ამ დროს დაირეკა საუზმის ზარი და ბივანზე მთავრის ძიძიშვილი ქუთარი ორზოლიაც ამოვიდა: მუხრან-ბატონს და პეტრეს მოახსენა — მთავარი დედამისთან ბოდიშს იხდის, რომ ძვირფას სტუმრებს ართმევს, მაგრამ საუზმეზე თავისთან მიგიწოდათო.

## იზ

საუზმე დიდ დარბაზში იყო გაშლილი, მხოლოდ მთავრისათვის ცალკე მომცრო მაგიდა იდგა.

დიდძალი სტუმრები მოგროვილიყო. მათ შორის ჭყონდიდელი და შემოჭმედიელი მოსულიყვნენ.

ჭყონდიდელის მთავარდიაკონმა სანამ საუზმეზე დასხდებოდნენ, მჭეჯარე ხმით, მთავარდიაკენურად ლოცვა აღავლინა; ჭყონდიდელის მგალობლებმა სიტყვეს კრიმანჭულიანი სძლიბ-პირი, ჭყონდიდელმა დალოცა სუფრა და მხოლოდ ამის შემდეგ დასხდნენ ყველანი.

თავის სუფრაზე მთავარმა მარცხნით მუხრან-ბატონი მოისეა და მარჯვნივ ეკატერინე დედოფალი. დედოფალთან, როგორც საპატიო სტუმარი, შემოჭმედიელი დაჯდა, მას შემდეგ პეტრე დადიანი, მუხრან-ბატონის შემდეგ, როგორც უფრო შინაური — ჭყონდიდელი.

შმაგი კორძაია და მისიანები დიდ სუფრაზე თვალსაჩინო ალაგას დასვეს, საპატიო ქალებიც, ევროპიულად მამაკაცებში აურიეს, რამაც ცოტა უხერხულობა შექმნა ამის მიუჩვეველ სტუმრებში, მაგრამ იცოდნენ დავითის ამბავი, რომ ესეთ წვრილმანებშიაც მუდამ თავისას იცავდა, ბევრში არ მისდევდა დაწესებულ ადათ-ჩვეულებას და რას იზამდნენ.

მალე ახრიალდა სუფრა, მაგრამ შედარებით თავდაქოილნი. რადგან მთავარი არ იყო მზიარული. ეს მძიმე ლოდით აწვა ლალად განწყობილ შმაგ კორძაიას, მაგრამ მინცაღამაინც თავისი არ დაიშეშა. უნესეუფობზე ქალების თავშეკავებული კისკისი და მამაკაცთა ყრუგულეობა მშენებულა. განსაკუთრებით აუხირდა მის პირდაპირ მჯდომ მეგრულ თავად მიქაძეს. გვარეულობით მიქაძე და კორძაია მუდამ ექიმებოდნენ ერთმანეთს და საცა წაასწრებდნენ, არ შეეძლოთ, რომ ერთიმეორე არ გაეკილათ. კორძაიას თავი მოჰქონდა თავის ყმებით და მამულით და თავად მიქაძეს ათადან-ბაბადან თავს არ უღებდა.

მიქაძე კი უხსენებდა კორძაიას, რომ ღალატით ხარტ საჭილაოში გაბატონებული, თორემ ეს სოფელი და მთელი ეგ კუთხე მერვე საუკუნიდან მოყოლებული ჭილაძეებს ეკუთვნოდაო.

და მოაყოლა: ორი მშა ყოფილა ჭილაძე: ერთი საჭილაოში და ერთიც საჯავახოში. ახოვანები, მდიდრები და ვაჟკაცები. იმავე დროს ვინმე გიორგი კორძაია მათ კარზე მსახურებდა, როგორც ხელმოკლე აზნაურიო. ერთხელ იმერეთის მეფეს თავის კაცები გაუგზავნია ჭილაძეების მამულში სანადიროდ. ვალაღებულ ჭილაძეებს მეფის კაცები რომ დაუნახავთ, დაუთხოვნიათ და დამუქრებიან: თუ კიდევ გაგიბედნიათ ჩვენს მამულში გავლა, დაგზოცავთო. ამაზე მეფე დიდათ გამწყრალა და გადაუწყვეტია ძმათა ჭილაძეების ამოწყვეტა. ეს გაუგია გიორგი კორძაიას, ხლებია მეფეს და მოუხსენებია, ეგ საქმე მე მომანდეთო. მეფე დათანხმებულა და დიდ წყალობასაც დაჰპირებია. ამისათვის კორძაიას ჯერ მოუსყიდია ჯავახ ჭილაძის სიძე ვინმე ჩიქოვანი და ჩიქოვანსაც თავის სიმამრი ჯავახი მძინარე მოუკლავს. თვითონ კორძაია კი გაქცეულა საჭილაოში და ჯავახის ძმას შედან ჭილაძისათვის შეუტყაბდებია ძმას სიკვდილი, როდესაც შედანი ტირილითა და ღრიალით გადახვევია შემცხადებულს, კორძაიას უძერია ხანჯალი და იქვე სული გაუფრხობინებია ჭილაძისათვის. ამის გამო მეფეს დიდად დაუჯილდოვებია კორძაია და უჩუქნია კიდევ მისთვის სამემკვიდროთ საჭილაო.

ამ ამბავზე ყველამ შმაგისაკენ მოიხედა, მაგრამ ნახეს, რომ შმაგი სრულიადაც არ იყო აღელვებული და გემრიელად ილუკმებოდა, თან ეშმაკურად თვალი უციმციმებდა.

მიქაძემ თავისი მოთხრობა რომ გაათავა, ეგრეც უპასუხა:

— რა მენალღლება. ილაპარაკე! მე აგერ არხინათ ჩემთვის ხბოს ბეჭს შევექცევი, შენ დამრჩები მშვიერი ამდენ ლაპარაკში და გირჩევენია მიირთვა, თორემ შიმშილი შინაც გეყოფა — და მათ კუთხეზე კვლავ გაისმა თავშეკავებული სიცილი.

მთავრის მაგიდაზე კი უფრო ნელი საუბარი იყო. ისედაც დაღრეჯილი მთავარი კიდევ უფრო ჩამოქურუხანდა, როდესაც მუხრან-ბატონმა გადასცა საიდუმლოთ, რომ მას „ნამესტინკისაგან“ წერილი ჰქონდა გა-

მოგზავნილი, სადაც მეტად მწვავე საკითხებზე იყო ლაპარაკი. სამეგრელო-სამთავროს ბედ-იღბალზე. არც ავი უთხრა და არც კარგი და თავის თავს ჩაუღრმავდა. ასე რომ მუხრან-ბატონი იძულებულიყო წყაყყონდი-დელთან ესაუბრა.

მეორე მხარეზე კი ეკატერინე დედოფალთან მჯდომი გურიის მიტროპოლიტი, ექვთიმე შემოქმედელი პეტრე დადიანს უზიარებდა თავის დიდ აღშფოთებას სამეგრელოში საქმო შუღლის გაღვივებისათვის და უსაყვედურებდა პეტრეს ეგრე არ უნდა მოგებდინათო.

ამაზე პეტრემ ჩვეულებისამებრ ერთი ძველი არაკი მოაყოლა:

— თქვენო მეუფებავ, ჩვენში ასეთი თქმულებაა დარჩენილი. იყოვო ერთი უცოდველი ჭაბუკი და ღმერთს შესთხოვა ნება მოეცა, რომ დროებით მას ემართნა ქვეყნიერება. ღმერთმა მისცა სიბრძნით მმართველობის უფლება. და აი ჭაბუკმა მეფემ დაინახა, რომ გზაში მგზავრმა წყალი დალია და გზას გაუღდა, მაგრამ ფულით სავსე ქისა კი წყაროსთან გადმოუვარდა და დარჩა. მის შემდეგ წყაროზე სხვა ვინმე მივიდა, დალია წყალი, იპოვნა ქისა და გზას გაუღდა. ამის შემდეგაც ერთი მოხუცი კაციც მივიდა წყლის დასაღვეად და ის იყო დაეწაფა წყაროს, რომ უეცრად მოუვარდა დაზარალებული მგზავრი და მოხუცს ფულის მოთხოვა დაუწყო. როდესაც მოხუცს მოპარული ფული არ აღმოაჩნდა, ვახელუბულმა მგზავრმა აიღო და მოხუცი მოკლა. ამის დანახვაზე ჭაბუკი მეფე დიდათ შეძრწუნდა და გულის სიღრმიდან აღმოხდა: „აი თურმე რა უსამართლობა ხდება ქვეყანაზე. ჰო, დაიქტე, შენ დედამიწავ!“ და მართლაც დაიქცეოდა დედა-მიწა, რადგანაც ჭაბუკი ისეთი უცოდველი იყო, მაგრამ საბოთ ღმერთმა იგი განარჩინა მეფობისაგან და აუხსნა ჭაბუკს, რომ ამ ქვეყნად გასაკვირი არაფერია, რომ ყოველივეს თავის მიზეზი აქვს. აქაც — მოკლულის წინაპარი იყო დამნაშავე მკვლელის წინაპრის მოკელისათვის. ხოლო ფულის დამკარგველის წინაპარს უნდა გადაეხადა ვალი ფულის მნახველის წინაპრისათვის.

ექვთიმე შემოქმედელი, მიუხედავად მისი მიტროპოლიტობისა, ერთი უბრალო, გონება-შეთამაშებული ბერი იყო, მაგრამ მაინც მიხვდა პეტრე სად უკაცუნებდა და აღარაფერი უთხრა, თუ იფიქრა, სულ ერთია ამას მაინც ვერ მოვარჯულებო.

მაგრამ ავერ ეკატერინე დედოფალი გამოელაპარაკა:

— მე მაინც დიდი იმედი მაქვს თქვენი, ყოვლად-სამღვდელო, რომ ამ საქმეს მშვიდობით და ქრისტიანულად გაათავებთ. ჩემი ქმარიც ამ აზრისაა, რომ თოფი არ უნდა დაფარდეს...

— ოჰ, ღმერთმა დაიცვას, დედოფალო! ჩვენი მხრით ჩვენ არას დავაკლებთ.

— თქვენ და ჰყონდიდელს, მწყემსთმთავარო, მალე დავით ქუთათელიც შემოგემატებათ, დღეს ველოდებით და...

— ოო, ღირსეული პიროვნება ბრძანდება: რიტორი და პიროვნული...  
 — ეს ვინ, თქვენო მეუფებავ? — შეეკითხა პეტრე.

— დავით მიტროპოლიტი, ქუთათელი.

ქ ა რ ე ნ ე უ ლ ი

— ოოო! — შორისდებულთ ალაღადა პეტრე დაბნეულად შეინიშნა იცის რა არ ჩააქსოვა. თითქო განმარტებისათვის ასე დაუმატა:

— ცოტა ღვინოს რომ არ ეწყობოდეს!

— დედოფალმა თავი დაუქნია პეტრეს და გაიღიმა. შემოქმედელმა კი თვალი ზევით ააბყრო და წარმოსთქვა:

— ცოდვის კითხვა! რა ღირსეული კაცი როგორ უღირსად იქცევა ბლომათ ღვინის მიღების შემდეგ... და მიტროპოლიტმა სინანულით თავი ჩაპკიდა.

— ოო, ღვინოს ბევრი რამ შეუძლია, ჩემო ზონთქარო, — ო, უკაცრავად... თქვენო მეუფებავ! არ მოგეხსენებათ ღვინის სმა საიდან გაჩნდა?

შემოქმედელი კვლავ თავჩაკიდული იყო. მხოლოდ დედოფალი გამოეხმაურა პეტრეს:

— მამაჩემმა ერთ ლექსში ასე დასწერა:

ნოემ რომ ერთხელ ინება,  
 ყურძნის წვენი გემოვნება,  
 თვითონ ნუნუას მიუჯდა,  
 წყალი პირუტყვს მიანება!

პეტრეს გაეცინა და ასე მიმართა:

— მეც სწორედ ნოეზე მოგახსენებ. დარჩენილი ვახლავთ თქმულება, რომ ნოემ გააშენა ვენახი, მაგრამ ღვინო ვერ დააყენა და დიდთ დანადვლიანდა. ამ დროს გამოეცხადა ეშმაკი და უთხრა: თუ ძმობას შემომფიცავ, ისეთ ღვინოს დაგიყენებ, რომ მისი დამღლევი ბულბულივით აჭიკჭიკდესო. პირველ ხანად ნოემ ეშმაკი არ გაიკარა, გააგდო კიდევ, მაგრამ არ იქნა, ღვინო მაინც ვერ დააყენა. კიდევ გამოეცხადა ეშმაკი. კვლავ მოთხოვა ძმად ნაფიცობა და შეპირდა ისეთი ღვინო დაგიყენო — მისი დამღლევი ღვინოსა და შეებრძოლოსო. აცთუნა ნოე ეშმაკმა და ძმობა შეპვიცა. ეშმაკმა ასწავლა თილისმა და ნოემაც ჯერ პირველ ხანად ვენახს ასხა და ასხა წყალი, შემდეგ დაჰკლა ბატყანი და მისი სისხლით მორწყო ვახი, ცოტა ხნის შემდეგ დაჰკლა ბულბული და მისი სისხლი აწვეთა ვენახს, მეოთხეთ დაჰკლა მოზვერი და სისხლი სარებს დაანთხია. მეხუთეთ დაჰკლა ღვინო-ვეფხვი და მეექვსეთ მიამუნია. ბოლოს დახოცა ღორები და სულ მორწყო მთელი ვენახი. ამის შემდეგ არის, რომ ღვინოს თან დაჰყვა ეშმაკის თილისმა და ზოგი ღვინოს წყალივით სვამს. ზოგი დაღვების შემდეგ კრავსავით მშვიდია, ზოგიც მართლაც ისე აჭიკჭიკდება, როგორც ბულბული, ზოგი კიდევ მოზვერს დაემსგავსება და მასავით შფოთავს და ჭირვეულობს, ზოგიც ღვინო-ვეფხვივით იქცევა და სულ

შფოთვაზე გადადის, ზოგიც პირდაპირ მაიმუნი გახდება ტაქსი-მასხარობს, და სულ ჰკარგავს ადამიანის სახეს, ზოგი კიდევ ლორივით კოტრილის მოჰყვება და ტალახში სულ ამოიგანგლებს.

მიტროპოლიტს ენიშნა ეს ამბები და თავი არ აუღივს მაგრამ მისი სერძელ ქალარა წვერ-ულვაშში კი ჩაეცინა.

ეკატერინემ კი ჭმარს ფრანგულად მიმართა:

— ეს პეტრე ნამდვილად ცოცხალი ენციკლოპედიაა ხალხური თქმულებებისა და ზღაპრებისა.

დავითმა ერთი კი შეჰხედა პეტრეს, თითქო ერთხელ კიდევ გასინჯაო ეს ქალარა. მაგრამ ჯერ კიდევ დაუბერებელი, ულვაშებშეღებილი დარბაისელი და ხმა კი არ ამოიღო. კიდევ არ იყო გუნებაზე.

არ იყო გუნებაზე არც ჯოღორია დგებია.

მართალია მურზა ფაჩულია და მისი ოჯახი უკვე შეისყიდა ლოლუებისაგან და აკვიატებული სურვილი შეისრულა, მაგრამ დღეს მთავართან წარდგომისას დავითი ისეთი საყვედურებით დახვდა და ისეთი მუქარებიც მოაყოლა, რომ ჯოღორიასაც კი ეცვალა ფერი. მართალია შმაგიმ ანუ გეშა — არაფერიც არ იქნებაო, მაგრამ საღამოსთვის რომ კიდევ დაბარებული ჰყავს მთავარს ჯოღორია, ეს ნეტა რის ნიშანია. ამ დილით ძაღლის ბუზი რომ მიაჯდა კალთაზე, ნაწილობრივ აუხდა კიდევ: უსიამოვნება შეახვედრა მთავარმა იმდენ ხალხში, საღამოთი კიდევ ნეტა რა მოელის? მურზამ უთხრა პირველად ეილაცამ გაეთვალაო, ჰჰმ! ჯოღორია დგებია არ. შეარჩენს ამას, თავის დროზე გაუხსენებს მურზას. — მხოლოდ მურზასაგან ჯოღორიას მისი სიმკვირცხლე უნდა, ცხენოსნობა, ცეკვა, რომ ყველგან ასახელოს, როგორც შინაყამ, მხოლოდ თუ მაგისტანა ჩამოკრულებით დაიწყო ლაპარაკი და მოპყრობა, ეხლა ხომ ჯოღორიას ხელშია, სად წაუღა? თან ეს კიდევ რაღაა? რატომ მარტო ეს დეტუ ბერთემელი დასტრიალებს თავს კლეოპიკას. მართალია „კანევი“ ემსახურება მთავარს და სტუმრებს, ასე ყოფილა მიღებული, მაგრამ კლეოპიკასთან მაინც მხოლოდ დეტუ მიდის, აგერ ეხლაც მან მიართვა რაღაც კერძი. — პოო, ეკატერინემ მიუკითხა კლეოპიკას... მაგრამ ასე ახლო რათიხრება დეტუ კლეოპიკას მხართან? აგერ-აგერ ლოყა ლოყაზე მიადვას. თითქო უთხრა კიდევ რაღაცაო. მაგრამ კლეოპიკას რას შეამჩნევს ისე ზის წელგამართული, თითქო ბუზიც არ გაჰკარებიაო.

დეტუმ მართლა უთხრა კლეოპიკას, ჩუმად, აკანკალებულის ხმით: ჯგირი რეჭნი მუ რლოლუა,

— გურიშა ქოგიხეტოლუა! \*).

კლეოპიკა არ განძრეულა ამ გაბედულ ლექსზე, მაგრამ ჯოღორიას მოჰპერა რაღაც შორეულმა ექვმა და კიდევ უფრო უგუნებოთ შეიქნა.

\*). რა ვიყო, რომ კარგი ხარ? — გულში ჩაგიხტებ,



შმაგი კი არ ცხრებოდა. ისევ ისე მიქაძე ჰყავდა ნიშანში, ამოღებული და ბოლოს ასე მიმართა.

აბა, მიქაია, ამას თუ გამოიცნობ რა არის?

მიქაძემ ამღერეული თვალები მიაპყრო.

შმაგი გამოცანას ამბობდა:

— თავი ხეში, ფსელი შენ სვი, ნეხვი შენს მკვდარსა და ცოცხალს! ბერს სიცილი უნდოდა, მაგრამ გაჯავრებული მიქაძე წამოიმართა და შეტევა „გააპირა“. აქეთ ეს რომ ჯოლორიამ დაინახა, მიქაძე შმაგზე იწვესო, მაინც არ იყო კარგ გუნებაზე და ესეც წამოიწია, ასე რომ ერთი წუთიც და მეტად ცუდი ამბავი დატრიალდებოდა, მაგრამ შმაგიმ ყველას დაასწრო და მიქაძეს კვლავ ასე მიმართა:

— შე უბედურო მიქაია, ხუმრობის შეშენევაც რომ არ იცი? ეს ხომ მშვენიერი გამოცანაა... შე შენ არ მიგინებხარ, არც შეურაცყოფა მომიყენებია. მე სკა, თაფლსა და ფიჭზე მოვახსენე... რა არის აქ საწყენი და გამოცანა კვლავ გაიმეორა:

ეხლა კი დიდი ხარხარი მოწყდა შმაგის კუთხეს. მთავრის მაგიდამაც ყურადღება მიაქცია.

მთავარმა იკითხა. მოახსენეს. ოდნავ გაელიმა. ცოტა ხნის შემდეგ წარმოსთქვა:

— რაც უნდა იყოს მიქაძე, მაინცა სჯობს კორძაიას. და თუ ეს ასე არ არის, ჰკითხეთ ივა ხოშტარაიას.

მთავრის ეს მუნასიბი გადადიოდა პირიდან პირში და ყველამ იგრძნო, რომ ამ ხუმრობით მთავარმა აზნაურთა კინკლაობა შეაჩერა.

თვით მთავარი კი ამის შემდეგ სუფრიდან წამოიღვა და თავის კაბინეტში მხოლოდ ივანე მუხრან-ბატონი გაიყოლია.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)



რატუნ გვიბაძე

## ლაშაური საღამოები

(რ. მანი\*)

ნელა დაეჭირე თითი ფოლაქს — ზარის წკრიალი თითქოს საკუთარ გულიდან მომესმა.

მინდა წარმოვიდგინო ზარის ხმაზე შიგნით შექმნილი სურათი, მაგრამ თვალეში ნისლი მაქვს ჩამდგარი.

— იქნებ შინ არაა? ნეტავი მართლა არავენ გამომხედავდეს. ნამდვილი ხეპრე ვარ — ამ ალიონზე სტუმრობა ვის გაუგია. ღამე ნათევი მაინც არ ვიყო. რა მაჩქარებდა, მერმე მოვსულიყავი, საღამოს, ან ზვალ, ზეგ. — ვფიქრობ და გამობრუნებას ვაპირებ.

უცებ კარი იღება და ტანწერილი ვაყი ვაოცებით მომჩერებია. ალბათ მისამართი შემშლია. მაგრამ ეს ვაყი რომ სულ ზეინაბს გავს?

— რაიბულ!.. მობრძანდი. მობრძანდი! — ველარ ვარჩევ რა უფროს კარბობს მასპინძლის ხმაში: გაკვირვება, წყენა თუ სიხარული.

— უკაცრავად, ამ დილაადრიან იმიტომ შეგაწუხეთ, რომ სხვაგან მივემგზავრები და წასვლის წინ მინდოდა ეს ამანათი გადმომეცა თქვენთვის. — ენის ბორძიკით ვეუბნები და გაზეთში გახვეულ „უცნობ ქალის ცხოვრებას“ ხელში ვაჩრი.

გაფართოებულ თვალეებით დაცქერის ზეინაბი უცნაურ საჩუქარს, ხელის თითები თანდათან უფითრდება. ნუთუ ეს თითები წერდენ იმ მწარე სტრიქონებს, ნუთუ ახლა ზეინაბს ხელში უჭრავს თავის წარსული?

— შემოდით, — მტკიცე კილოთი შეუბნება ბოლოს ზეინაბი და კარს ფართოდ აღებს.

უარის თქმას ველარ ვახერხებ.

მივხვდი თუ რა დიდი ვერაგობა ჩაეიდინე და ფეხქვეშ ნიადაგი მერყევა.

ღვლექ მობმულ ცხოველივით მივეყები უკან ზეინაბს.

ის გრძნობს ჩემი ფეშქეში სიყვარულის სიგელი არაა, არც სამახსოვრო ნივთი რამ და ტანის ნერვიული რბევით ადის ხის ხვეულ კიბეზე.

\*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

ერთმანეთზე გადაკერილი ლურჯი ხალათი და დიდჯიბებიანი შარვალი ბიჭივით აცვია მას. შარვლის ტოტები კოჭებთან აქვს შეკრული. უქუსლო, ვიწრო მაშვიებში ფეხები მაჭობს უგავს. ყუჩუყუჩუჩულები ავიატორებისა და ველისოპედებზე მოვარჯიშე ქალებზე უმეტესად მინახავს მხოლოდ.

ეტყობა საღლაც მიემგზავრება. ალბად ცოტა რომ დამგვიანებოდა, ორთავე ავტოდბოლით უსიამოვნებას.

ზეინაბმა ნაძალადეგ ღიმილით შემიწვია ოთახში.

— არ შეგეშინდეთ, ცოტა უწესრიგობაა. მეც გზას ვადგვივარ. ოთახის დასალაგებლად ველარ მოვიცალე. დაბრძანდით. — ნაწყვეტ-ნეწყვეტად ბოდიშობს ზეინაბი და სავარძელზე მითითებს.

ზეინაბმა „დღიური“ პიანინოზე დადვა, თავახდელი, თეთრეულით სავსე ჩემოდანი შირმის იქით შეიტანა, შემდეგ მეორე ოთახის კარი გადარაზა და ჩემს პირდაპირ დაიდგა სკამი.

მე დამნაშავესავით ვაცეცებ თვლებს აქეთ-იქით.

ღია ფანჯრიდან შემოქროლილი სიო იატაკამდე დაშვებულ გამჭვირვალე თეთრ ფარდას გოლიათ მოხუცის წვერივით არხვეს.

ახლად ამოსული მზე იმავე ფარდაში იცრება და ოთახში ოქრო ლივ-ლივებს.

ოთახი მომცროა, მაგრამ ნივთები ისე თავდარივით აწყვია, რომ თვალი ხალვათათაა — სინათლე და პაერი ბევრია.

ერთ მიხურულ ფანჯარასთან წვრილ ფეხებიან და მოძრავ დაფიანი მაგიდა დგას. მასზე თავბრტყელა მოკლე წვეტიანი ლურსმნებით გაკრულია სქელი კრიალა ქალაღი, რომელიც უთვალავი ხაზებითაა ნასერი. ეს ზეინაბის დაზგაა. ის თავის სათუთ თითებით ამ დაზგაზე ცვლის მდინარეთა კალაპოტებს, სახავს ელექტრო-სადგურების ნიმუშებს, თხრის გვირაბებს, აგებს კაშხალებს და ვერცხლის ძაფებით ქუელვას ახალ ქვეყანას.

უცებ წარმომიდგა დაზგაზე დახრილი ზეინაბი და ჩემი თავისადმი ზიზლით აღვივსე.

რა მინდა მე აქ. რას ავხირებივარ ამ ქალს, რომელსაც იმოდენა გული აქვს, რომ მთელ საქართველოს ეყოფა ვარსკვლავებათ. ჩემი წინდაუხედაობით-კი შეიძლება ეს ვარსკვლავები უბრალო შუშის ნამსხვრევებათ იქცენ.

რა არის ეს თუ არა ბოროტება?

მჭონოდა სახლში შენახული მისი წარსულის გასაღები, ან ცეცხლისათვის მიმეცა...

თანდათან უხერხულობას ვგრძნობ. ნეტავი ის რვეული ჩიტივით გაფრინდებოდეს ახლა ამ ფანჯრიდან, შე ჭორად ვიქცეოდე, რომ მისი ბუმბული ქარს გავატანო.

— დედი, დედი. — უცრად გაისმის ოთახში და გარინდებულ ზეინაბს უკანიდან კისერზე ეხვევა 7 — 8 წლის ბიჭი.

გაფითრებული ზეინაბი ელვის სისწრაფით დგება და მისი კეფიდან, საიდანაც შემოველი მე, ბავშვი გარედ ძალად გაყავს. მშვენიერად მკაფიოდ მესმის ზეინაბის მკაცრი ხმა და ბავშვის ტირილი, ბავშვს ვილაკა ამშვიდებს და ეალერსება. ზეინაბი მასაც უწყობდა.

ვინ უნდა იყოს ის მესამე?

ალარ ვიცი რაეჭნა. ეკლებზე ვზივარ, მაგრამ განძრევას ვერ ვბედავ, ვერც კრინტი დამიძრავს.

ზეინაბი იგვიანებს, მის მოლოდინში უცნაური ფიქრები მეხვევა, უფრო ბურანში შევდივარ, მომქანცველსა და გონების წამართმევ ბურანში, ღამისთევამ და ღვინომ მიწია. თვალებს ვხუჭავ — მინდა რომ ყველაფერი ეს სიზმარი იყოს.

ირგვლივ კვლავ დამკვიდრებულ სიჩუმეს ხანდახან ბავშვის სლუქუნო არღვევს.

მალე სავსებით უუნარო ვხდები.

— ააახ! — ეს ამოძახილი ერთბაშად მაფხიზლებს.

სად ვარ? — როგორც კანტუზიაქმნილ კაცს არაფერი მახსოვს, ჩემს წინ ცარიელი სკამი დგას.

შეშფოთებული ვიხედები ირგვლივ: ზეინაბი პიანინოს მიყრდნობია და გაშვებულ ხელებში გაშლილი რვეული უჭირავს.

ნუ თუ წამეძინა?

როდის შემოვიდა?

შემკრთალი წამოვდექი.

— ვინ მოგკათ ეს რვეული? — გამოცვლილი ხმით მეკითხება ზეინაბი კარგახნის მღუმარების მერმე.

— ქუთაისში ვიპოვე, შემთხვევით!

— წაიკითხეთ?

— დიახ...

— რატომ მომიტანეთ მე?

— ისე... თქვენი მეგონა რატომღაც — ძლივს მოვაბრუნე ენა.

— გულთმისანი ყოფილხართ... დიახ, ჩემია... ქუთაისში პირველად ჩასულს მე ჩემოდანიანათ მომპარეს სადგურზე... პოვნისათვის ჯილდო გერგებათ. — კილვით ამზობს ზეინაბი და შუბლზე ხვითქს ხელისგულით იწმენდს.

— წყრომის ღირსი მაინც არ ვარ.

— რა თქმა უნდა არა. პირიქით, მიხარია, რომ დაკარგული ბავშვობა დამიბრუნეთ. მერმე და როგორი ბავშვობა, ჰაჰაჰა! ჰაჰაჰა! — ისტერიული სიცილით დაემხო პიანინოზე. ჯერ დავიბენი, მაგრამ მალე მოვედი გონს

და პიანინოზე მოკრილ ლერწმით დავარდნილ ზეინაბს მივუბრუნებოდი. მკლავებში თავჩამალული ის კვლავ განაგრძობდა შემზარავ სიცილს.

— რა მოვლით!.. დაშვიდდით ზეინაბ... — ვემუდარებოდი მან უწყობილობს სავარძელში ჩავსვა.

მხრების ბრაზიან ტოკვით მაგრძნობინა ხელი გამეშვა.

დადუმდა.

დიდხანს იყო გაყუჩებული. ბოლოს თავი მალლა ნელა აიღო და მოხალულ ხმით წარმოთქვა: — სისულელეა!

მისმა იერმა შემაშინა: სხივოსან თვალების ნაცვლად ორი ამოხაპული ორმო გაჩენოდა. ლავიწებში ძვლები უჩანდა. ნიკაპი წამახვოდა, ხოლო ცხვირი ისე გათხელებოდა, რომ შიგ სინათლე ატანდა.

— პაპიროსი გექნებათ. — თმის სწორებით მომმართა მან და დაღეწილი სხეული სავარძელამდე გაჭირვებით მიიტანა. როცა სპირალურ ღერით ამართული თუთუნის ბოლი ზევით, მზის შუქზე უცხო ვარდის სიფრიფანა ფოთლებათ გაიშალა. ზეინაბმა იქვე უხერხულად გაჩერებულს აღმაცურად ამომხედა და სხვათა შორის განმეორებით მკითხა:

— საიდან დაასკვენიოთ, რომ ის „დლიური“ ჩემი უნდა ყოფილიყო?

— მხოლოდ ქუჩაში უშანგთან თქვენი შეხვედრის შემდეგ დამებადა ეს აზრი... ნეტავი ფეხი მომტეხოდა და სულ არ გამოვსულიყავი გუშინ გარედ. ან...

— ან არ მოსულიყავით ჩემთან დღეს...

— კარგსაც ვიზამდი.

— დაჯექით.

სიჩუმე.

— თქვენ ახლა ჩემი წარსულის ყოველი წვრილმანი იცით, — თრთოლვით დაიწყო ზეინაბმა. — ჩემი თხოვნაა, და ამის მეტს არაფერს გთხოვ, სხვას ნურავის ეტყვიოთ ამ ამბავს.

— მე თქვენი ცხოვრების მარტო რამდენიმე ეპიზოდი ვიცი, მაგრამ რაც ვიცი, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, საიდუმლოთ შევიანხო.

— როგორ თუ რამდენიმე ეპიზოდი!

— „დლიურს“ დასაწყისი და ბოლო აკლია.

ზეინაბს გაუეღვა: შეიძლება „დლიურს“ აკლდესო ის ადგილიც, საცა მას აწერილი ჰქონდა მამინაცვალთან გატარებულ ღამის საშინელი სცენა, და გაბრწყინებულ სახით წამომდგარი სწრაფად მიიქრა პიანინოსთან, მაგრამ როცა რვეულის ფურცელს მორჩა, კვლავ მწუხარებამ მოიკცა.

— ბევრი არ კლებია. — სინანულით თქვა და მოსავეებული დაჯდა. თან შიშით დაუმატა:

— ლაშასთვის ხომ არაფერი გითქვამს.

— გარწმუნებთ არა... ჩვენ ერთად ვათიეთ წუხანდელი ღამე. მაგრამ მისთვის გადაკვრიათაც არ მიგრძნობინებია, თუ ამ დღით თქვენს ნახვას

ვაპირებდი. ის დარწმუნებულია, რომ მე ახლა შინ ვარ და სამგზავროთ ვიწყობ ხელს. — კვლავ ვიცრუე — ქალაქიდან გასვლა ზეინაბთან წვევის მიზეზად მოვიგონე, მხოლოდ.

— არც ლაშას უთქვამს რამე?

— არა. — უტიფრად დაფიცე. — მხოლოდ წუხდა, რომ თქვენი მოუსვლელობის გამო სერობა ჩავვეშალა. ავით ეგონე... მე თქვენ უფრო სხვანაირ ქალად მყავდით წარმოდგენილი. — უცებ შევეცვალე კილო — ვიდრე არიან მრავალნი. ის, რაც თქვენ დაგემართათ, არის უბედურება. უბედურების გამხელა-კი სრულებითაც არაა სირცხვილი. ან რატომ ფიქრობთ დამცირდებით ვინმეს თვალში თუ გამოაშკარავდა თქვენი წარსული და...

— ჩემად, — შემაწყვეტინა სიტყვა ზეინაბმა, — დედაჩემმა არაფერს მოკრას ყური, თორემ რომ გაიგოს... ჭკუას დაკარგავს, — ჩახლეჩილი ხმით მითხრა მან და სავარძელში მუჭის ტოლა გახდა, — მას ბავშვის მამა უშანგი გონია. ასე ფიქრობენ მეზობლებიც, რომელთა დასანახავად ამ ოთახში მომიყვანა მან როგორც ცოლი, მაგრამ მალე ამავე ოთახში მარტო დამტოვა და სადღაც გადაიკარგა. — ოხვრით დაუმატა და შესლილივით მიაშტერდა მეორე ოთახში გასასვლელ კარებს.

ცივმა ოფლმა დამასხა.

— კარგი. დამშვიდდით. დედათქვენი და ვერც სხვა ამას ვერ გაიგებს. არც არავინ დაიჯერებს.

— მეც არ მინდა დავიჯერო, რომ მამინაცლისაგან მყავს შვილი. რადგან ეს დედურ გრძნობას მიშხამავს, მიშლის შვილის სიყვარულს, მიშლის ცხოვრებას, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავეჭვებ... შენ თქვი, რომ უბედურება სირცხვილი არაა, მაგრამ უბედურებაცაა და უბედურებაც. ზოგ უბედურებით ადამიანმა შეიძლება იამაყოს. ჩემი უბედურება-კი მარტო ზიზლის მომგვრელია მხოლოდ... მაგალითი თვალწინა მაქვს: შენ მგონი მოგწონდი, თითქოს გიყვარდი კიდევ, მაგრამ ახლა? ახლა გასაქცევად გიჭირავს თვალი, გინდა ჩქარა წახვიდე აქედან. მე ამას ვგრძნობ... წადი. წადი. დამტოვე მტკივნეულ სულით, ცარიელი სიბრალულით შენ მას ვერ განმიკურნავ... თუგინდ ამის შემდეგ უბრალო ნაცნობებიც ნუ ვიქნებით. რა საჭიროა. დამივიწყე. დამივიწყე საწყალი ქალი, რომელმაც ამდენი ტანჯვა გამოიარა, ამდენი იბრძოლა, წვალებით გაიკვლია გზა...

ეს თქვა და ერთბაშად წელში გამართული წამოდგა. თანდათან ღონე მოიკრება. სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო.

ამ დროს ზარის რეკა გაისმა, რაც მალე ავტომობილის გუგუნმა და ძახილმა შეცვალა.

— ზეინაბ, ნულა იგვიანებ. დაჩქარდი. ავტომობილი მოვიდა. — ოდნავ გამოღებულ კარიდან შემოიძახა ზეინაბის დედამ და მაშინვე გაბრუნდა...

— სად მიდიხარ ზეინაბ? — კრძალვით ვეკითხები.

— ხრამქისის სამუშაოებზე. ალბათ იცი, რომ თბილისიდან არც ისე შორს, უნდა აიგოს დიდი ჰიდროელსადგური... — როინქისის დამთავრების შემდეგ მისი მშენებლების მთავარი ძალები ახლა იქ ყრბანს მშენებთ მითრხა და თანაც მაგრძნობინა, რომ მას ჩემთვის აღარ ეტყლა.

## VII

მზე ხანდახან ლევა ღრუბლებს ეფარება, ხან ისევ გადაწევს რძისფერ ფარდებს და როგორც ნავედმყოფარი ქალი ფანჯარაში, გაცრეცილ სახით გადმოიხედავს.

ზღვას თითქოს ბოლი ადის — ნისლია გამდგარი და კამკამა ერისიონი გამქრალა. აღარც ვაგრის ციცაბოები ჩანან.

ნაპირისაკენ მივდივარ. იქ ლაშა მეგულვება. ხელში სასიხარულო ბართივით მიჭირავს ახლად დამთავრებული ნოველა. ქალაღდს ჯერ არც-კი შეშრობია კარგად მელანი. მთელი დღლა მოვანდომე უკანასკნელ წერტილის დასმას და როცა კალამი დავდევი, ერთბაშად უჩვეულო შვება ვიგრძენი — თითქოს ეს ცა აქამდე ჩემს მხრებზე ყოფილიყოს დაბჯენილი. მსუბუქად მივდივარ.

მოკოროში ამინდია, მაგრამ პლიაქზე მაინც ბლომადაა ხალხი. ზღვას ტორტმანი დაუწყია და მორიყულ ნაპირს ტლაშუნით ცემს ქაფიან ტალღებს.

ხანგრძლივ ხეატის მერმე უშუეობა საამურათ მეჩვენება, თუმცა არც იმდენად გრილა. მარცხნივ თბილ სილაზე კალმახებივით ყრია შიშველი ქალები. ზოგან ქალ-ვაჟი ერთად გაშოტიღან.

ვილაციები ცურავენ კიდევ.

ამღერებულ გულით მივეშურები. ვიცი სადაც იქნება ლაშა.

ორი კვირის წინათ ჩვენს მიერ არჩეულ ადგილს შემიძღია თვალდახუჭული მივავნო. აქ თვითეულ ხვინჭკის მღებარეობაც უკვე ზეპირად მახსოვს.

აი ლაშაც. ის მუცლით წევს და ნიდაყვებზე დაყრდნობილი გულდასმით კითხულობს სქელტანიან წიგნს — ეკყერმანის საუბარს გიოტესთან.

მიხარია რომ ვხედავ ბრინჯაოდ ქცეულ მის სხეულს. ხანდახან მკვირს კიდევ — რამ გაზადა ასე კერკეტი. ალბათ სპორტმა, ბოლოხანებში ნიადავ ვარჯიშობს: ორძელებზე ბზრიღასავით ტრიაღებს. ვაჭენებულ ცხენს ახტება. ბურთაობაში ზომ თაეკაცია. განსაკუთრებით ცურვაში არ ყავს ბადაღი. გუნებაც გამოეცვალა: სულ ბავშვივით იცინის და ცელქობს.

ნამღვილ სასწაუღის მოწამე ვარ.

წარსულზე აღარც უნდა იფიქროს. კარგახანა შეურღდა ხვედრს. ვაგრაში წამოსვლისას ნაცოღარს, რომელიც უშანგი კახიძეს მითხოვდა, თავაზიანად ვაუგზავნა ყველა ნივთი. მის სამახსოვროდ მხოლოდ ორად-ორი მინანჭრებიანი ვაზა დაიტოვა.

თითქმის ზეინაბიც ამოიგდო გულიდან. რამდენიმე თვეა მარჯვ კლდე-კავათაც არაფერი უთქვამს. მეტადრე მას მერმე, რაც ყურმოკრულად გაიგო ზეინაბის და იმავე უშანგის თავგადასავალი. მაგრამ ზოგჯერ, ერთ-ერთი — ზეინაბის სულ დავიწყება უკირს.

არ ვიცი რატომ და მე-კი ზეინაბი სრულებით აღარ მიზიდავს. იტალიელები იტყვიან: ლამაზი ის კი არაა, ვინც ლამაზია, არამედ ის, რომელიც მოგწონსო.

მოწონება-კი ხშირად სიყვარულის სათავეა. და თუ იტალიელები მართალს ამბობენ, მე და ლაშას შორის მეტოქეობა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

ჩემს მიახლოებებისთანავე ლაშა წამოიგდა.

მეც მის გვერდით მოვიკალათე.

— აბა, მომბაჰყარ ყურნი შენნი. — ღიმილით მიემართავე და ყოველგვარ წილაღობილას გარეშე ნოველის კითხვას ვიწყებ:

ტატაშ ხვარი იჯდა გარინდებული და უხმოდ წევდა უბრალო თუთუნს უბრალო ყალიონით. დროდადრო ყალიონის ღერი ნუნებ შემოცლილ კბილებით დიდხანს ეჭირა და მოკუმულ ტუჩის მარცხენა კუნჭულიდან მწარე ბოლს წვრილად უშვებდა. ის დიდრონ ლაზო თვალებს ხან ფართეთ ახელდა, ხან მილულავდა, თანაც გამხდარ გრძელ თითებით პურის ნამცეცებს აგუნდავებდა.

ტატაშმა ერთ იჯრაზე ერთი ბოთლი წითელი ღვინო შესვა, მაგრამ ისე გრძნობდა თავს თითქოს წვეთიც არ დაელიოს. სხვა დროს სხვა გუნებაზე აყენებდა მას ეს საწყაო, დღეს-კი მალაღფეხიანმა კიქამ მაგიდაზე გადაფარებულ გაზეთს რამდენიმე ახალი რგოლი დაამჩნია მხოლოდ.

სარკმელთან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა ეგირ და წარბებშეკმუხენილი უმზერდა ზღვას, რომელიც დედის ძუძუზე რულმორეულ ჩვილივით წყნარი იყო და სუფთა.

სამაგიეროდ ეგირის ფართე და ბორცვებიანი მკერდი უჩვეულოდ ტოკავდა.

რაც დრო გადიოდა, მზისაგან გარუჯულ სახეზედაც ვაეს მღელვარება უფრო ეტყობოდა და ახლად გაპარსულ ლოყებზე ფითრი ეკეროდა.

მეორე ოთახიდან გამოდიოდა ქალის ოხვრა.

— გუ-გუ! გუ-გუ!

უეცრად გაისმა ოთახში და ტატაში შეერთა. მან რისხვით სავსე დაკაკლულ თვალეზით ჯერ ვაეს შეხედა, მერმე მეორე ოთახის ბქესთან დაკიდებულ მოგრძო ყუთს, რომლის ზევეთა ნახევარში ჩასმული იყო საათი, ხოლო ქვედა ნაწილს გაკეთებული ქონდა საგანგებოდ მოხარატებუ-

ლი ციდა კარები, საიდანაც გადმომდგარი ხის ჩიტი მართალ გუგული-  
ვით იძახოდა.

ეს უცნაური ჩიტი ყრმა ტატაშს პრინც ოლდენბურგის შუქილექს,  
თვალეზუარსკვლავებიანმა და ტანლერწამმა ქალმა უფემქსმა.

დიდხანია მას მერმე, მაგრამ ტატაშს მარად თვალცხადლივ ეხატება  
ლიმილით ოდნავ ბაგე გაპობილი პრინცესა, გუგულის ხმით გაოცებულ  
ქაბუქს რომ უცქერის, როგორც დაუგეშავ მწევარს.

მაშინ ტატაშმა ტუჩზე იკბინა, რადგან ეგონა ძვირფას ყუთში და-  
მწყვდეულმა საკვირველებამ გაამტავნა მისი მიამიტობა, მაგრამ მალე  
ვახდა მადლიერი ბუდიდან ახლად გადმოფრენილ არწივის ბარტყის  
ბედით.

და აღსრულდა მოხუც გამზრდელის არაკად ნათქვამი:

არ არის ცოლი, რომელსაც ოცნებაში მაინც არ ელაღატოს ქმრისა-  
თვისო.

როგორი გულის ხმეირებით უსეირნია ტატაშ ხეარს პრინცესასთან  
პალმებისა და ნაძვების ტევრში, რამდენი ნექტარი უგემია და ნეტარება  
უგრძენია ფიქალ ქვებით ნაგებ სასახლის აივანზე პრინცესას გვერდით!

გაგროს ციკაბობზე გადმომდგარ მთვარის შუქით მოოჭვილი ზღვა  
ისე წარმტაცად ჩანდა აივნიდან, ისე დამთრობი იყო პრინცესას აღერსი,  
რომ ტატაში ხშირად იტყოდა გამზრდელის პირით: არ ღირსვარ!

ზოგჯერ ტატაში სარაყიფოდ სოხუმიდან უალოო-ალოზე გაქრილა.  
მიაქროლებდა ვარსკვლავების ციატში ზღვის ნაპირზე ცხენს და თა-  
ნაც ველური ჟინით ყიოდა.

ცხენი გრძნობდა მხედრის ხეაზიადს და მისი ნალები ნაპერწკლებს ისე  
აბნევედენ, თითქოს ფრთებ გამოსხმულს ფეხებზე ცოცინათლები დახვეოდა.

ეს იყო ტატაშის პირველი სიყვარული და ქაბუქობის მზიანი ყავლი.  
მაგრამ ამ სიყვარულის ტყუბად ის მუდამეამ გრძნობდა ოლდენბურ-  
გის სიძულვილს.

და ტატაში გვიან დარწმუნდა, რომ:

როგორც სიყვარული, ისე სიძულვილი, რომელიც ისახება პირველ  
მეხედრისას, ხანგრძლივია.

მართლაც, ტატაშს ახლაც არ შეუძლია უზადოთ მოიგონოს ოლდენ-  
ბურგი.

თუმცა ეს სიძულვილი ერთი ნატამალითაც არ გავს ზიზღს იმ ადამიან-  
ნების მიმართ, რომლებმაც აფხაზეთის თავადს ტატაშ ხეარს ჩოხა სანატ-  
რელი გაუხადეს და ლამის არი გლაბაკად აქციონ.

ტატაშს მოდუნებულ ძარღვებში გესლი ჩაუდგა და აღრინდელ სიმარ-  
დით წამომდგარმა ბოღმიან გულის მოსაოხებლად ოთახში დაიწყო სია-  
რული.

მამის ურჩი თა უნებური ვაგი კვლავ სარკმელთან იდგა.

დღეს ეგირ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ფსკერგათქვეფილ კაობშია ჩაფლული და თუ უკანასკნელ ღონეს არ მოიკრებს, ვეროდეს მოახერხებს მწდალზე გასვლას.

ეს ჭაობი მამის სახლია.

ერკუნული  
გიგლიძისა

აქამდე დატოვებდა მას ეგირი, მაგრამ როგორ გაიმეტოს დედა, სანთელივით ფერმიხდილი, ასეთი სათნო და ტკბილი.

არა და, რაც დრო გადის, ტატაში უფრო ღვარძლიანი ხდება.

ქირდავს შეილს, რომელმაც გვარს შოფერობა და ცხენს ავტომობილი არჩია.

ეგირ პირველი აფხაზი შოფერია.

მის ავტოს შევარდენის სისწრაფით გადაურბენია აფხაზეთის ყოველი ბორცვი და თეას სიყვარულით გასალკლდევებულს საჭე ისე უჭირავს, როგორც მარულაში თავმხედარს მუხლქარა მერანის სადავე.

და ასე წინ მარბენალს ზღვიდან დაჭროლილი თბილი ბორიო თეას სუნთქვა გონია.

ეგირს თეა უყვარს არა მარტო იმისათვის, რომ მისი თვალები ამ ზღვასავით ვრცელია და ღურჯი. არც იმიტომ, რომ სპეტაკი შუბლი აქვს და ლაწვები შინდის წვეწვში ამოვლებულ ბამბის ქულას უგავს, ტანი კვიპაროსს, ხოლო მკერდი მუდამ ისე უკრთის, თითქოს უბეში მტრედები ყავდეს დამწყვდეული.

არა.

თეა ეგირს აჯადოებს თავის ალალი გულით, რომელიც მას მხოლოდ ეგირისათვის უძგერს და რომლითაც ის ეგირთან ერთად შეუპოვრად ებრძვის ხალხის დამმდაბლებელ ადათებსა და დუშმანებს.

ეგირ თეას უზიარებს პირველად თავის გულისნადებს, საწყენს და სალხინოს. ამას წინათ გაგრიდან დაბრუნებული ვიდრე ნახავდა თეას, მთავარი სული დალია.

სათქმელი და გასანდობი-კი უჩვეულო ჭონდა და ეგირმა სიამაყით უამბო სახეგაცისკრებულ თეას, თუ ზღვის გაყოლებით თასმასავით დაკლავნილ შარაზე როგორ მოყავდა სოკიდან გაგრაში უცხო, მაგრამ მამაზე უფრო ახლობელი კაცი კაცთა შორის.

ახლა ეგირ ტყვარჩელში გაიწვიეს, რომ ტყვარჩელის სამადნო გიგანტს დროზე ექნეს რკინა და ცემენტი.

ეგირს უნდა იქ წაიყვანოს თეაც, მაგრამ...

ტატაშმა სიარული შეწყვიტა და ყრუთ თავისთვის თქვა:

— მაშ ასე...

მერმე ვაჟს მიუახლოვდა:

— რა გადაწყვიტე ეგირ!

ვაჟი არ შერხებულა.

— მამა გელაპარაკება, თუ ძაღლი!

— ჩემი გადაწყვეტილება მე ერთხელ ვითხარი ვარკვევით, მეტად არაფერი მაქვს სათქმელი.

— კომუნისტობას იჩენ მამასთან, ბარაქალა შენს გუნდშია. — რალაც საწყლად, თანაც გამკილავედ უთხრა შეილს ტატაშმა და ჩამქრალი ყალიონი ხელის გულზე დაირტყა.

— რომ არ მოგცე ნება?

— მაგით არაფერი შეიცვლება. — კვლავ უპასუხა ეგირმა.

— ენახოთ. — უღიერად ესროლა ვაჟს ტატაშმა, მაგრამ მის ქაღილს ძალა აკლდა. თვითონაც იგრძნო უმწეობა და ბრაზმა თვალბში წამოანათა. — ფუ, შეგიტყვება სიყრმე, მეგონა მოსიყვარულე ვაჟს ვზრდიდი, თურმე ლეკვი გამეზარდა შენს ვაზრდას მერჩია!

მამაშვილს შორის უფსკრული თანდათან ფართოვდებოდა.

— რა გინდა ჩემგან, დამანებე თავი. ვანა მამა რომ ხარ უნდა დამახრიო! რას ჩავდივარ ასეთს. მე ჩემი გზა მაქვს და ჩემი ჭკუა, ნუ მელობები წინ! — ხმის აუწვია ეგირმა და მამას პირისპირ დაუდგა.

— ვის ეტოქები შე არამზადავ!

— მამა...

— შესდექ, ხელი არ ახლო ბავშვს. — გააფთრებით შეძახა ტატაშს მეორე ოთახიდან ძუ ვეფხვივით გამოვარდნილმა ქალმა და მამაშვილის შუა ჩადგა.

სახე მოღრცეილ ტატაშს ამართული ხელი მოჭრილ ტოტივით ჩამოუვარდა და ბორძიკით უკან დაიხია.

— რა ძვირფასი ცოლშვილი მყავს. — ხმის კანკალით ჩაილაპარაკა ტატაშმა და მოსავებული დაჯდა.

— რამ მოგიტყია ბატონო ამ ბოლოდროს მაინც ასე მხარი, რას ჩაიციებიხარ ამ ბავშვს, ხელში ხომ არ გინდა შეიკლა. როგორც ურჩევნია ისე მოიქცეს, უსუსური გგონია კიდეც თუ! გონს მოდი ტატაშ, იკმარე ჩემი წამება...

— იმ ქალის ნებას არ მივცემ, ვაიგე! არ მივცემ სანამ სული მიდგას. — მუქარით თქვა ტატაშმა და კბილები გაახრჭიალა.

დედაშვილი ერთბაშად გაურკვევემა გრძნობამ მოიცვა და ორთავეს ჟრუანტელმა ტერფებამდე დაუარა.

— რატომ ტატაშ, რატომ! ის ქალი არ მოგწონს, თუ გესიტყვება პრინცესას ნამოახლარის შვილი რძლად! — უნებურად, თითქმის საიდუმლოდ კითხა თარყვამ და მიტკალივით თეთრ შუბლზე ქალს ცივმა ოფლმა დაასხა.

— არ ეკადრება. — ბრაზით დაცრა ვაჟმა.

— ოღონდაც. თეაზე უკეთესი ქალი რამ მოსპო აფხაზეთში, ტატაშ ხვარის შვილს ვინ ეტყვის უარს. — თავაწევეით თქვა ტატაშმა და მოულოდნელად გულში იმედი ჩაესახა. მოეჩვენა თითქოს თეას აუფი კმაროდა

საბუთად, რომ ეგირს მასზე ხელი აეღო. — რა ნახეთ ამ უჯრის ქალში. შენ მაინც რამ დაგიკარგა თვალის ჩინი დედაკაცო. — დაუშარა ტატაშმა და თარყვას ლობობიერად შეხედა, ეგონა ქომაგს იპოვიდა. — ახლა შენც ჩემს მხარეს მიდგე, მაგრამ თარყვამ უცნაურად აგიზგიზებულ თვალებიდან წაქაჩა წველები მი-  
აყარა. ტატაშს სახე აეწვა და უზნეოდ თავი განზე წაიღო.

— თუ-კი ყმაწვილს თეა ურჩევნია ყველას! — ახლა გულში გაუყარა შანთი ქმარს თარყვამ და იხტიბარგატეხილ ტატაშს სასოწარკვეთა:

— ვინც გინდათ, რომელიც გსურდეთ ის მოიყვანეთ, ჯოჯო რომ იყოს დედოფლად გავიხდი, ოღონდ თეას თავი დაანებეთ...

— რათაო ტატაშ, რაა მიზეზი? — კვლავ ჩაკითხა სხვათ ქეუულმა თარყვამ.

ტატაში ხაფანგში გაბმულ ცხოველივით უმწეო ვახდა. გრძობდა ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, ნებისყოფა ეკარგებოდა. როგორც სასიკვდილოდ განმზადებულს, უცებ თვალწინ გაურბინა განვლილმა ცხოვრებამ და გაიხსენა: თუ რატომ აუჯრძალა პრინცესამ თავის საწოლ ოთახში შესვლა ქმარს, რა მიზეზით არ წაყვა უცხოეთში სამოგზაუროდ, მერმე როგორ მოლოგინდა და ახლად შობილიანად როგორ გადაიკარგა ერთგული მოახლე გაგრიდან.

ტატაშს თითქო გული ჩაწყდაო, მხრებში მშვილდევით მოიხარა და არაადამიანური ხმით იყვირა:

— ისიც, თეაც ჩემი შვილია, ჩემი შვილი!

ეგირს შეხი დაეცა. თვალებიდან ბრჭყვიალა რგოლები გამოუცვივდა. ყურებში უთვალავი წიწილების წივილი ჩაუდგა, ყველაფერი ერთმანეთში აირია, გაითქვიფა და დაიშლილა:

— ვაიმე, დედა! დედა! თეა ხომ ფეხშიძედა... საკუთარი ღის სარეცელი წამიბილწავს...

თარყვამ თვალი შეასწრო, რომ ეგირმა რევოლვერი ამოიღო და კივილით ხელზე ეცა:

— რას შვრები შვილო, არ დამლუპო!

— არა, აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე... გამიშვი ხელი.

— მოიცა ეგირ, ერთი სიტყვა მათქმევიწე, მოიცა... — ეგირის მკლავზე დღვექივით შემოხვეულ თარყვას ლავიწები შეეზნიჭა, ნიკაბი გაუწვრილდა, ოდესღაც მწყაზარი ლაწვები კორტოხებად ექცა, ნესტოები გამჭვივალე გაუხდა, სიფრიფანა ტუჩები ჩაულურჯდა, სული შეეხუთა. ძუძუებატკივებულ დედა ცხადად ხედავს შვილის წინ ამართულ საშინელ აჩრდილს, საცაა ჩონჩხი მსახერელ ხელს შეახებს და ეგირ, მისი ეგირ აღარ იქნება. რა იღონოს, რით უშველოს!.. — როგორც იქნა გამოფიტულ ხახაში თარყვამ ენა მოიბრუნა, ორმოცეში ჩაკეცილი თვალები დახუჭა და აღმოხდა:

— თუ არაა შენი და, გესმის, არაა! არც ეს კაცო ტატაში შენი მამა... შენ სხვისი შეილი ხარ ეგირ, სხვისი...

ქალს ხმა ჩაუწყდა და იქვე ჩაიკეცა.  
 ვაჟს რევოლვერი ხელიდან დაუვარდა.  
 თავი საზარელ სიზმარში ეგონა.

თვალეები მოიფშენიდა.

მერმე ბარბაკით სარკმელთან მივიდა, საკირესავით გავარვარებული შუბლი მინას მიადვა და დაბლაგვილ მშერით სივრცეს გახედა.

ცის დასალიერთან ზღვას ცეცხლი წაჰკიდებოდა.

აქა-იქ გაჩენილი ღრუბლები ჩამავალ მზისგან ოქროს ზოდებად ქვეულ-იყვნენ.

ზღვა იქოჩრებოდა.

ნავთსადგურიდან გადიოდა გემი.

ეგირ მობრუნდა.

ის მთვარეულს გავდა — გახილულ თვალეებით მძინარეს.

ხალათის ღილები შეიკრა. ქამარი შემოირტყა. ქუდი ხელში დაიკავა და მშვიდი ნაბიჯით გაემართა კარისაკენ. გამოღებულ კართან ეგირი უკანასკნელად შედგა, უნდოდა უკან მოეხედა, მაგრამ კისერი გახევებოდა, ვერ შეძლო. კარგახანს იყო ასე. მერმე კარი ნელა გაიხურა და წავიდა. პირქვე დამშობილი თარყვა მუქისტოლა გამხდარიყო.

ტატაში კედელს აკვროდა და შეშლილივით მიშტერებოდა ქალის ახლო დაგდებულ ეგირის რევოლვერს.



თავაულებლად ვკითხოლომბი ნოველას. კითხვის დამთავრებისთანავე ლაშას შეეხედე, რომ გამეგო — თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ხვარების ტრაგედიათ, მაგრამ ვიგრძენი ის ყურსაც არ მიგდებდა თურმე, და მეწყინა.

ლაშა სულგანაბული იმზირებოდა სადღაც. მზისაგან გარუჯული სახე გაფითრებული ჭონდა, ხოლო თვალეები საოცრად გაგანიერებული და ფოსფორულ შუქით საესე.

გავოცდი.

ლაშას აგრე მოქცევის მიზეზის გასაგებად, უნებურად გავხედე მის თვალთა სარბიელს:

მოსორებით ტიტლიკანა ბავშვი ზღვაში კენჭებს ისროდა. იქვე საბანაო შავ კოსტიუმში სილაზე იწვა ქალი, რომელიც დროდადრო ჩირგვში მიმალულ ხოხობივით ჩვენსკენ იცქირებოდა.

ვიცანი: ზეინაბი იყო.

საიდან, როდის ჩამოვიდა?

ნოველა ხელში შემაცვივდა. გავქვავიდი. ენა დამემა.  ლაშას  
ეტყობოდა ნიშატი.

კარგახანს ვიყავი ამ ყოფაში.

ერქვენი

ბოლოს ზეინაბი ერთბაშად წამოდგა, ყაყაჩოებიანი ~~ბზბზ~~ მოსა-  
სხამი მკლავზე გადაიგდო, ბავშვს ხელი ჩასჭიდა და სწრაფ გამომწვევ ნა-  
ბიჯით წავიდა.

ზღვა ფიცხდებოდა. ზვირთები ჯოგათ გაქცეულ აქლემების კუხებით  
ვით ხტოდნ და ნაპირს ზედიზედ აწყდებოდნ.

ჩვენ ისევ უძრავად ვიჯექით.

მალე პატარა ნავი შევნიშნეთ.

ნავი გასაოცარ სიჩქარით მიყავდა ქალს, რომელსაც წინ ბავშვი ეჯდა.  
ელდა გვეცა.

ასეთ ამინდში ქოშის ოდენა ნავით ზღვაში გასვლა კარგს არ მოასწა-  
ვებდა.

— რაიბულ, ნავში ზეინაბი ზის! — ძლივს ამოიხრიალა ლაშამ და წა-  
მობტა.

ტანზე ეკლების მწვავე ჩხვლეტა ვიგრძენი. სუნთქვა შემეკრა.

— დაილუპებიან. — კვლავ გამწარებით აყვირდა ლაშა და მაშინვე  
ზღვაში გადაეშვა.

თვალებათ ვიქეცი.

ლაშა-კი არ მიცურავდა, მიფრინავდა აწავთებულ ზვირთიდან  
ზვირთზე.

ნავი თითქმის აღარ ჩანდა.

პლიაქზე ჩოჩქოლი ატყდა. ყველა ნაპირს მიადგა.

მე ისე წამოვდექი, თითქოს ვინმეს ძალით ავეყენებინე, სხეული და-  
ბრულებული მქონდა. მთელი ძალა მხოლოდ თვალებში დამგროვებოდა.

ერთხანს ლაშა ხედვიდან დამეკარგა, მაგრამ მალე ნავის ახლო შევა-  
მჩნიე და იმედი ჩამესახა.

ამ დროს ზეინაბმა ნიჩბებს ხელი უშვა.

— რას ჩადინარ ზეინაბ! — აღმომხდა არაადამიანური ხმით და თმებზე  
წავევლე ხელები.

ნავი ჰაერში ერთი ნაფოტივით ისროლა ზეინისოდენა ტალღამ და  
მერმე ქვესკნელში ჩაიტანა.

ლაშაც ჩანთქა აბობოქრებულმა ზღვამ.

დამეხილი და ილაჯგაწყვეტილი ამაოდ გავცქეროდი გაავებულ ზღვას.  
უეცრად თვალი მოვკარი ნაპირისაკენ მოძრავ წერტილს, რომელსაც  
ბობოქარი ტალღები ხან ზევით მოიქცევდნ, ხან ქვეშ მოიყოლებდნ.

ზღვაში მოტორიანი ნავეები შეიჭრენ.

ისინი ეღვის სისწრაფით მიჭოლავდნ წინ.

აი მიუახლოვდენ კიდევ მოძრავ წერტილს, მაგრამ ახლოს მიხვლის ვერ ახერხებენ.

როგორც იქნა ნავებმა ერთ ალაგას მოიყარეს თავისი კლტახნის შერმე ნაპირისაკენ იბრუნეს პირი.

ხალხით საესე პლიაქმა ფეხი აიდგა და ყველა იმ ადგილს მიაწყდა, რომელსაც ნავები უახლოვდებოდენ.

ერთბაშად გამხნეებულმა ვაივაგლახით გვეარღვიე ხალხის სალტე და როცა ნაპირზე მომდგარ წინა ნავეში ლაშა დავინახე მკერდზე მისვენებულ ზეინაბით, გიცივით ტაში შემოვკარი.

ლაშამ ფრთხილად გადმოიყვანა ხმელეთზე მკლავებზე მჩვარივით გადაკიდებული ზეინაბი.

ცოცხალმკვდარი ქალი ლაშას სწრაფად ჩამოართვეს მახლობელ საადადმოყოფოდან დასახმარებლად გამოძახებულმა ეჭიმებმა.

ბავშვი?

ზეინაბის შვილი სადღაა?

გულბრიშის ბივანზე ვზივარ.

ლაშა ზეინაბთანაა საადადმოყოფოში.

უკუში ლამეა.

ზღვა ბობოქრობს. მისი ტალღების ზათქი და ხმაური მკაფიოდ ისმის.

პალმებისა და ნაძვების ტევრებში აქა-იქ ელექტრონის ქალები გაგიტებულ მოზერის თვალბივით ბრიალებენ.

შუალამე იქნება.

ძარღვებ დაწყვეტილს რული არ მეკარება. ვზივარ და უხმოთ გავცქერი მოკუპრულ სივრცეს. შორს, წყედიადში მიმავალ ხომალდის ანძაზე ელექტრონის სანათურებით გამოსახული ვარსკვლავი მკვეთრად კიადობს.

ხომალდის რგვალ სარკმლებიდან შუქი ისე გამოდის თითქოს ციცი-ნათელეები ერთმანეთს მიდევდენ მწკრივში.

გულისტკივილით ვფიქრობ ზღვაში დაღუპულ ბავშვზე, მის გაუხარებელ დედაზე, ვფიქრობ ლაშაზე და მაგონდება გულბაათის მოყოლილი ამბავი, მან რომ „ზღვა და სიყვარული“ დაარქვა.

ვფიქრობ და საჭიროდ მიმჩნია ზეინაბისაგან შორს ვიყო.

ლაშასთვისაც ასე აჯობებს:

ჩემი და მისი გზები დღეს სამუდამოდ გაიყარა.

ნეტავი მალე გათენდებოდეს, რომ წავიდე.

1934 ოქტომბერი — 1935 ოქტომბერი.





ქართველი  
წიგნიერები

მოსე გვასალია

## ქ ა რ ი ს კ ა ც ი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

უკანასკნელი დარტყმის დროს განადგურებულებმა თავი შეაფარეს ჯიხაშკარის ციხეს. ეს მიუვალი ადგილი იყო, საღ-კლდეზე ამართული და ფრიალოებით შემოზღუდული. დაოსებულებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ; დაჭრილ-დააეადებულები დამშვიდებულად ჭრილობების შეხვევას შეუდგნენ.

თენდებრდა. დაქინებით ჰქროდა „სევანური“. ხანდახან წვიმის წვეთებს გამოურევდა. ხეობიდან ჰენწყარის მონოტონური შხული ისმოდა. ციხე-სიმაგრის ეზოში სუროთი შემოსილ ცაცხვის ხეებზე ერთმანეთზე გადაქდობილი ტოტები დატვირთულ ურმებივით ჭრიალებდნენ.

ციხეს რომ ყველანი შეეხიზნენ, ყუმბარებით ააფეთქეს შემოსასვლელი ბილიკი, რომელიც მათ სოფელთან, სურსათთან, წყალთან, უკან დარჩენილ ნასახლკართან და აგრეთვე მდევრის მსახვრელ ხელთან აერთებდა. გზა ზედ ციცაბოზე მიემართებოდა და ადვილად ჩაინგრა.

ვილაც ვაჟაკი დაგებულ ახალუხზე ესვენა, სულს ითქვამდა საოცრად დაღლილი. ყოველწუთს მოდიოდნენ და რალაცას ეკითხებოდნენ. ისიც მოკლე პასუხს აძლევდა. თავით ახალგაზრდა ქალი ეჯდა.

მეომრები საფარებს ახაზირებდნენ, ვაზნებს ითვლიდნენ, სიბნელეში ჭებებზე დაფორთხავდნენ. ერთმანეთს დაეძებდნენ.

აფეთქების ხმა რომ გაისმა, ახალუხზე მწოლარე საქურველის ელარუნით წამოჯდა, ხოლო ალტაცებულმა ქალმა წამოიძახა:

— ახლა ჩვენ ვერავინ მოგვაწვდენს ხელს!..

ციხის ხიზნები ყურადღებით ათვალიერებდნენ ყოველ კუნჭულს. ერთმა ძველი გამოქვაბული იპოვა, საიდანაც წყარო ჩუნჩუნით გადმოდიოდა. იმავე წუთს ეს ყველამ გაიგო. გაეზარდათ, თითქოს სიცოცხლის უფლება მიენიჭათო... ბევრი მიფორთხდა გამოქვაბულთან და დაუფასებელი საუნჯე პეშვით შესვა...

საიმედო ალგას ცეცხლი დაანთეს და ავადმყოფები გაათბეს.

ყველაფერი მშვენივრად წარიმართა, და მათ, განადგურებით აზრდაფანტულებს, სრულებით არ უფიქრიათ იმაზე, რომ ხვალ ჩვეულებრივად

მოუნდებათ სადილ-ვახშამი, არც იმაზე, რომ მტერი ისე ახლოს მოსდევდათ, რომ ტყვიამფრქვევის კაკანი ვარკვევით ისმოდა, ხოლო ტყვიით დამტვრეული ცაცხვის ტოტები ქარს დაბლა ჩაჰქონდა.

ერყინული  
ბიჭუნისა

გვარდიის ოფიცერს თავად მარლანიას ცხენი შუა თემშორაზე გაეგდო, ამოწვდილ ხმაღს ჰაერში აშუშვლებდა და ხანდახან მხედრულად დასძახებდა. მარლანიას გვარდიელები მოსდევდნენ, აჯანყებულთა ჯერ კიდევ ტფილ ნაფხებურს მტერის კორიანტელსა და ბუღს აყენებდნენ. ჯიხასკარში რომ შევიდნენ მარლანიამ ციხე-კოშკისათვის ალყის შემორტყმა ბრძანა. საჩქაროდ გორაკზე ტყვიამფრქვევი დაადგმევინა, ეს მოძველებული და დანგრეული იარაღი, უფრო სულიერ ზეგავლენის მისაღწევად და დასაშინებლად იყო საჭირო... გზები შეკრა, ციხიდან ყველა გამოსასვლელი გამოთოფა, ციხის ძველი გვირაბი ქვით ამოავსო და გაამაგრა.

ყურადღება მიაქცია ბილიკს, რომელიც ფრიალოზე მრავალგვარად იკლაკნებოდა და შემდეგ სიმაგრეში შედიოდა. მარლანიამ შუბლი შეიკრა და ჩაფიქრდა: არჩევდა ყველაზე მამაც ჯარისკაცს, რათა ბილიკი საგანგებოდ დაეცვა და საჭირო დროს შეტევაც აქედან ეწარმოებია.

ყალბზე შემდგარი ცხენი დათოკა, ხმალი აღმართა და ხმამაღლა შესძახა: — ლევან მიგრიაული ჩემთან!..

ვისაც უზმობდნენ, ზანტი ძუნძულით და ოდნავი კოკლობით მოვიდა, შორიახლო დადგა და მარლანიას გამოეჭიმა.

უცნაურად ტანაყრილი, შავი, ნაყვავილარი პირისახე, ტოღალებით შემოხვეული ჯირკვებივით წვივები, სქელი კისერი, იმდენად სქელი, რომ სამხედრო წესისამებრ თავის მობრუნებას უშლიდა, მესერივით მკლავები და ვანიერი მხარბეჭი, ხოლო ზემოდან ვრუხა ქაჩორი, მას გამირის შეხედულებას აძლევდა.

მხოლოდ თვალები არ შეეფერებოდა მის გოროზ ტანს, — შავი, თითქოს სატირლად მომზადებული, დამფრთხალი თვალები ვერ მოესვენებია. ნაძალადევის სიმკვირცხლით შეხედა მარლანიას და განკარგულების მოლოდინში ერთხელაც არ შერხეულა.

ლევანი რომ ასე გამოჰქიმული იდგა მარლანიამ კიდევ ათიოდე კაცს გამოუძახა, დაამწკრივა. რამდენჯერმე გარშემო შემოუჭროლა ცხენით, თავის ჭკუით შეამოწმა კიდევ ისინი და მხოლოდ შემდეგ გასცა განკარგულება:

— სმენა, სმენაა! რაზმის ხელმძღვანელად წინაურდება ერთგული ჯარისკაცი ლევან მიგრიაული. ამოცანაა: გაამაგროთ ბილიკი, რომელიც ჩვენს პირდაპირ ძევს და მზად იყვეთ შეტევისათვის, ჰაიდა, იარ!! — და საზეიმო განწყობილებით ცხენი შეაბრუნა.

რაზმელებმა ლევანს ხარბი თვალით შეხედეს, თითქოს ეუბნებოდნენ: დახე, ბედმა გაგიღიმაო! მაგრამ მიგრიაული გულცივად იდგა, მან შეა-

მჩნია, — როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა გვარდიაში, მარტოვან ახლაც დაარღვია სამხედრო წესი: ლევანს ჯერ ბრძანება უნდა გაემეორებია და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წასულიყო იგი.

მეფის არმიაში აღზრდილ ლევანს ეს ეჩოთირა. <sup>მარტოვანი</sup> <sup>მეფის</sup> <sup>არმიის</sup> <sup>კადემ</sup> შორიახლოს იდგა, ლევანს შეეძლო გამოჰიმოდა, ბრძანება გაემეორებია და პირველი წარმატებაც გამოეჩინა, მაგრამ ის იმდენად გულცივად შეხვდა დაწინაურებას, რომ დაეხარა ნაფიქრის შესრულება. მარტოვან უღაზათოდ შეტრიალდა და ათეული დასძრა.

ვილაც გადამთიელის გამოყოფა რაზმის უფროსად სწრაფად გაიგო ყველამ. გმირობის მაძიებელი, რომლებიც აქედან სცილობდნენ მიეღწიათ წარჩინებისათვის აიმრიზნენ, თავი გამოიდეს და ჩურჩულით ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ვითომ რატომაო?!. მარტოვანს ორ კეთილშობილი ნათესავი ეახლა, ორივე უსამართლობით გულდაწყვეტილი. ოფიცერმა ისინი შემდეგი სიტყვებით ანუგეშა:

— ჩემო კარგებო, ნუ თუ ვერ ხედავთ, აქ სიკვდილ-სიცოცხლის სასწორია, თავდაუზოგველი და ჩუმი ლევანი ზედგამოჭრილია ამ საქმისათვის. მიაღწიეს მიზანს — ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება მისთვის, დაიკარგება არც ამას დაგიდევს. თქვენი თავი კი მე მბარია და ძვირადაც მიღირს. არ დაუშვებ რომ საშინელ ხიფათში ჩაგაყენოთ. წარჩინება კი, ჩემო კარგებო, რომელიც თქვენ გინდათ მოაბოვოთ ქვეყნის სამსახურში, უზრუნველყოფილი იქნება, პო, თემყვა მარტოვანის სულს ვფიცავარ.

და ასე ია-ვარდათ რომ იშლებოდა, გულზე იამანი ეფინებოდა და ფიქრობდა: „სალახანებო, სადაც ბრძოლაა საჭირო, თქვენ გულგახეთქილი უკან მირბიხართ, ტყავს უფრთხილდებით, თვალი წარჩინებაზე გიჭირაუთ და ისე გინდათ დაწინაურდეთ, რომ ეკალმა ხელი არ გაგიკაწროთ, გასწით, დამეკარგეთ აქედან!..“

რაკი ოფიცერმა თავისი მამის, თემყვა მარტოვანის სული დაიფიცა, ნათესავებს რაღა დარჩებოდათ სათქმელი, ისინი დაუბრუნდნენ საფარს, რომელიც თავიანთი ნებით მიეტოვებინათ წარჩინების ძებნაში.

ახლა ყველაფერი რიგზე იყო. მარტოვანი ერთბაშად დაწყნარდა, ხმალი, რომელიც ამდენხანს ამოღებული ეკავა, ჩააგო, ცხენიც დაამშვიდა, სულ კისერზე უთათუნებდა ხელს. ამის შემდეგ სოფელში დაბრუნდა და წერილმანებისათვის მოიკალა. ჯიხასკარი, მოზრდილი სოფელი ჰენწყაურის ნაპირას, რცხილის, წიფელისა და ცაცხვის ხეებში შეფენილი, ცარიელი დაუხვდა. მოსახლეობა გახიზნულიყო, ვინც დარჩა იმათ სიმინდის ფქვილი, თხები, ლობიო, არაყი, ყველი და ცხენებისათვის ჩალა შეაწერა. ვადათ ორი საათი დაუწესა. დაკეტულ ოჯახებს გვარდია შეუსია, ყველაფერი ეს სანოვაგე იქიდანაც გამოჰქონდათ. ამის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა და მთავრობის მიმართ დებეშის წერას შეუდგა.

ესეც მალე გაათავა, ცოტათი არყით შეხურდა, დეპეშა ზუგდიდში გაგზავნა. ის დრო იყო, როდესაც გამარჯვებულს ცოტათი უნდა მიეძინა, მაგრამ ვერ მოისვენა, ერთხელ კიდევ დაათვალიერა სანდოების განწესება.

ლევან მიგრიაული უდარდელად იჯდა საფარში. პირველი ოთხ საათი კიდევ პო, საინტერესო იყო ექპირნა გამომწვევდელ და ალყა შემორტყმულ ციხისათვის, მაგრამ შემდეგ ერთბაშად ლევანისათვის ყველაფერი მოსაწყენი შეიქნა: მას დაეუფლა უცნაური გულგრილობა ყველაფრისადმი, რაც მის გარშემო ხდებოდა.

ნაშუადღევს მოწყენილობა რომ დაეძლია, მარლანის წინადადებით მიმართა: ნება მიეცა მისთვის დაეშინა ცეცხლი და ციხე-კოშკზე იერიში მიეტანა. ამაზე უარი მიიღო. მაშინ ლევანს ამ თავდაბალ, ხელმოწერის უცოდინარ გლეხს, მარტო ისლა დარჩენოდა, მორჩილების უნარი გამოეჩინა. ფეხმორთხმით მოიკალათა საფარში და მალე წათვლიმა კიდევ

სად ჰქონდა ლევანს სოფელი და სახლკარი, რომ ასე ლოდინით მოფუყულს ახლა ამაზე ეოცნება, ფიქრებით ტკბილად გადასახლებულიყო იქ. პირველი ოთხი წელიწადი ქართლში იყო მოჯამაგირეთ, შემდეგი ოთხი წელიწადი ყვარელში სავენახეებს აბრუნებდა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ცხვარს მწყემსავდა ქიზიყში. ეს იყო და ეს, რომელი ერთი უნდა მოჰკონებოდა.

ბოლოს ჯარში გაიწვიეს. საიდან გამოძებნა ის მართლმსაჯულებამ, ვის ახსოვდა ლევანი რომ ჰეყენად არსებობდა, თვითონაც ვერ გაეგო და ეს ძალიან უკვირდა.

ერთფეროვნად დატრიალდა ცხოვრების ჩარბი, მხოლოდ ათასში ერთხელ მოხდებოდა შესანიშნავი რამ. მაგალითად, თათრების ფრონტზე ცალი ფეხით დააკოჭლეს, მაგრამ წარჩინება მაინც ვერ მიიღო, სხვებმა გაინაწილეს. არც დაინტერესებულა ამით, გაუთლელი იყო და ან ვინ მიანდობდა საქმეს.

გამოიჯექნა, აღარ უფრთხოდა ცხვირწინ ჩაქროლებულ სიკვდილს, შხელით, წივილით და სტენით რომ მიიკვლევდა გზას. ეს ლაფში ამოსვრილი ინგლისური ფარაჯები, ეშალონები, ყურთან აფეთქებული ყუმბარები, არტილერიის გრუხუნე, ცხენების ჭიხვინი და თქარა-თქური, დაუსრულებელი ხეტიალი, ჩვეულებრივ რამედ ეხატებოდა, როგორც პურის ლეწვა მკათათვეში ან ანეულის გადაშავება შემოდგომაზე.

სად იყო და სად არა, ფეხნატკენმა სამეგრელოში ამოჰყო თავი. სამხედრო ტყვეებთან ერთად ეზიდებოდა მიწას, მათი სანაპიროთა ბატალიონი ორ წელიწადს იდგა სადგურ ხეთაში.

ომი რომ გათავდა, არც კი იცოდა, სად წასულიყო. აბა სად? ამდენხანს მიწას მოწყვეტილს ისევ ჯარი ერჩია.

ასეც მოიქცა. უშველოს ღმერთმა მარლანიას, რაზმში ჩაწერა. ლევანი აქ წამოვიდა, ისე, როგორც მიდიოდა ლიახვის და ალანის სამუშაოებზე, იალალზე.

და ლევანმა აღარ იცოდა, რატომ იბრძოდა, სად <sup>ქველური</sup> ~~ქველური~~ და რისთვის. ეს ეანგმოდებული თოფი, რომელიც მარლანიამ შეაჩენა ხელში, გადაიქცა ლუკმაპურის წყაროდ, როგორც ერთ დროს ბარი და კომბალი. ბევრი გაეგონა ოფიცერ მარლანიასაგან, თვალთ კი ცოტა ენახა. მხოლოდ მესხიურებაში ჩაიჭვდა: „ველური“, „მაწანწალა“ და ლევანს ბევრჯერ ამ ადამიანების მაგიერ, რომელთაც ის ებრძოდა, მხოლოდ უცნაურობა წარმოუდგებოდა ხოლმე.

არა, კაცმა რომ თქვას, ისე საინტერესო კი იყო... ზოგიერთები ამბობენ ალალ-მართლები არიანო. შეიძლებოდა გაცნობა, მაგრამ ოფიცრები არ გაუშვებენ, პურს დაკარგავ კაცი!.. ახლა ციხეში რომ ჰყავთ გამომწყვდეული, მათი ხელმძღვანელი რა გვარია? დასწყველოს ღმერთმა მისი თავი და ტანი! ისინი რომ ბალახს გადათელავენ, სამაგიერო არასოდეს ამოვა. მიწასაც ძუძუ უშრება და იფიტება, მაგრამ ამეზისა არაფერი ეკითხებოდა ლევანს, ისე, როგორც არ ეკითხებოდა, რატომ ვაშლებს რგავდენ ლიახვის ნაპირზე, ან ყვარელში სავენახე მიწას რამდენი მანეთის მოგების მიცემა შეეძლო პატრონისათვის. ლევანს აინტერესებდა პური, რომელსაც შრომისათვის აწვდიდენ.

რევოლუციის დაწყების მეორე კვირას, საპიორთა ბატალიონი ხეთაში იდგა, პატრონი არავინ იყო, ბატალიონი არსაიდან არ ლებულობდა სურსათს. ოფიცრებმა არ იცოდენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ზოგიერთი თავის ნებით წავიდნამოვიდა. აღრევე გავრცელებულ მუცლის ჭირისაგან იმ დღეს კიდევ მოკვდა ხუთი კაცი. ცოცხლად დარჩენილმა ტყვეებმა, ლევანისათვის სრულიად გაუგებარ ენაზე, თუნუქის თეთრ ფიცარზე ხუთმეტრიოდე ბწყარი დააწერეს. თუნუქის ფურცელი დააჭედეს ხის ჯვარზე და საფლავთან აღმართეს.

ცუდ გუნებაზე იყო ლევანი:

— ვინ იცის სადაური სად ჩავიდა მიწაში, იქნებ პაწია ბავშვებიც ჰყავდა, ვაი როგორ დაელოდებიან!

უფრო მეტად იმიტომ იყო მოწყენილი, რომ მუცლის ჭირის შიშით გლეხები ახლო არ ეკარებოდენ ბატალიონის სადგომს, გასასყიდლად არაფერი მოჰქონდათ, არც ღომი და კვერცხი, არც მოხარშული სიმინდის ტარო, კომში და კვახი, — სამხედრო ტანსაცმელზე, იარაღის ზეთზე, რკინისგზის საშენ მასალაზე: შპალზე, რკინის სამაგრებზე, და ბევრჯერ რელსებზედაც რომ ცვლიდენ აქამდე. ლევანს შიმშილით სიკვდილი მოელოდა, სამი დღე უქმელობით მისუსტებული დადიოდა, შემდეგ საშველი რომ არ დაადგა, თავისი ამხანაგების მაგალითის მიხედვით, იძულებული გახდა თვით იქით მიემართა გლეხებისათვის. ერთ ეზოში რომ შე-

ვიდა, კარი გადაურახეს, — ჭირი ნუ შემოგაქვს სახლშიო. მეორე ეზოში ძაღლები მიუსიეს, მესამე ეზოში ცულიანი კაცი გადმოუხტა და თუ იქაურობას არ მოშორდებოდა, თავის ვაპობით დაემუქრა. ეგრევე წაიქცა.

სალამოს შიშობილისაგან არაქათი გამოეღია, თავბრუს დაეცხსნა! მათქმის ვულზე რაღაც მიმჯდარიყო და წოვდაო, მაშინ რომ ბედს ერთს ვაპარტახებულ ქობში არ შეეყვანა, ლევანს იგივე მოუვიდოდა, რაც სამხედრო ტყვეებს დაემართათ. ქობში ორნი ისხდნენ, ახალგაზრდა გოგო და ახოვანი ვაჟკაცი. ლევანმა რომ ჯიქურ შეალო კარი, ქალმა შეჰკივლა და წამოხტა. ვიდრე კაცი წამოხტებოდა და რამე ხიფათს დაჰმართებდა, ლევანმა დაასწრო და სათხოვარი გაამახვილა:

— ოჯახის შეილებო, ბოდიში მომიტხოვია, უნდა მისაშველოთ რამე და მაჭამოთ! — უარი რომ არ ეთქვათ მაშინვე სკამზე დაეშვა.

ლევანის გასაოცრად ამ კაცმა კეთილად გაიღიმა: — ძღაბუნია! — მიმართა მან დამშვიდებით ქალიშვილს, — აქამე ამ სალდათს რამე!

და როდესაც ლევანი გამოძლა, მხოლოდ შემდეგ მოათვალისწინა იქაურობა. საშინლად ღატაკი ქობი იყო. ასეთი რამ არასოდეს არ ენახა, სიღარიბეს ყველაფერი ჩამოეღლიტა და დაემწუხრებია, კედლებიც კი... დაენანა, რატომ შეეკამე, იქნებ ამათ არაფერი დარჩათო! ცოლქმარი ეგონა, გამოირკვა — და-ძმა ყოფილიყვნენ. კაცი დაყვავებით ელაპარაკებოდა, მაგრამ ლევანს არ ესმოდა. ამრეზილი, მზად იყო გარეთ გაეარდნილიყო. საშინელი წუხილი იგრძნო. ჯიბე ამოიპოტნა და რაც ფული ჰქონდა, ტაბაკზე დაჰყარა. ამან ცოტათი დაამშვიდა, რომ წამოდგა, გარკვევით შემოესმა კაცის ხმა:

— სალდათო, აიღე ეს შენი გროშები! სულერთია, არ მივიღებ!

ზღრუბლზე რომ გადააბიჯა, ქალმა ფული ჯიბაში ჩაუჩხრიალა.

მთელი ღამე არ დაუძინია ლევანს. ეს ოხერი, ქალი მაინც არ დახვედროდა იქ, ასე არ შერცხვებოდა. როგორ შეხედოს თუ კიდევ შემოეყარა სადმე. მაგრამ არა უშავს რა, იმ შუკას არასოდეს აღარ გაეყარება ლევანი, რაც დღეს შეემთხვა გაკვეთილად ეყოფა. მაინც რა კეთილად მოიქცა ის ქალი. ფული არ გამოართვა, რატომ ნეტავი?

სჩანს, ბედი დასცინოდა... მეორედ მოხარულ კვანს ევაჭრებოდა ერთ დედაბერს. ჰანჭიკები, ამბოხები, ორიოდ გროშიც შეაძლია, ეხვეწა, მაგრამ დედაბერი არ ეთანხმებოდა. ამ დროს უკან მოიხედა და ის თავისი მასპინძელი ქალი ძღაბუნია კი შეეფეთა. ალბათ ყველაფერი გაიგონა, შერცხვენილმა ლევანმა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. ძღაბუნია მამოიყვანა უხერხულ მდგომარეობიდან:

— გამარჯობა, რატომ არ გამოივლით ჩვენთან?

ლევანმა სამაგიერო გამარჯობა ძლივს უთხრა, ხოლო შეკითხვაზე ვერაფერი უპასუხა. აღარც ქალი ჩააცივდა გაწითლებულ ჯარისკაცს. ფეხ-

აკრებით წავიდა. საღამოზე კი პირამიდის საესე კალათა მოუტანა „საღდათს“. ახ! ძღაბუნია, ძღაბუნია!

ორი წელიწადია ხეთაში არ ყოფილა ლევანი, მათე, არც უფლებავალი იცის და არც ასავალი. ძღაბუნია რომ ჩონგურს ჩამტყუტებსა ჩქარაილა ხმით დააეღარუნებდა, ეს ხმა, ტიელი, ახლაც ჩარჩენია ყურში... ძღაბუნია თვალცრემლიანი მოსდევდა სამხედრო მატარებელს, როდესაც ლევანმა ხეთა დასტოვა!

ახლა, როდესაც ხელმეორედ ფეხი დაადგა აქაურ მიწას, ეს ერთი ფაქიზი მოგონება სადღაც შიგნით ტრიალებდა. ვინმე უცნობი ჯარისკაცი, უწყალო ბედის მსახურელი ხელით ამ ქაობებში გადმოგდებული და ძალღივით დამშეული, წავიდა, დაიკარგა უკვალოდ, როგორც ჩვეულებრივად ზღება ხოლმე. ძღაბუნიას ალბათ მოგონება ღა თუ დარჩა ტალახში ამოსერილ და გაღაფულ მის სამხედრო ხალათსა და ძიქვებზე, კაზეროკიან ქედზე და ვანიერ ქამარზე ლევანს რომ ოდნავ შეშვებულად ერტყა. ალბათ აჯანყებულებმა აიკლეს, ან ვინ იცის, სად გაირიყნენ, ხოლო ლევანი კი მათზე ფიქრებით აგერ წევს, ნესტიან თხრილში და ფრჩხილებით სიკვდილთან ბრძოლაში პოულობს მაშინ დანატრებულ პურს.

...ამხანაგმა გამოაფხიზლა მარლანია გეძახისო.

— მზად უნდა იყოთ შეტევისათვის!..

ძალიან კარგი, ეშველა, მზად იქნება!

თუ ყველაფერი მართალია, რასაც მათზე ლაპარაკობენ, რატომ აქამდე არ გააჩაღებენ ფიცხელ ბრძოლას, ეტყობათ არც იმდენად მამაცები არიან. თუმცა ამას რა ფასი აქვს? დეე, ნუ დაიწყებენ, თვითონ ლევანი მოაგონებს მათ გვარდიის აქ ყოფნას.

ღამე რომ ჩამოწვა ეს შავი, კედლებდაღარული კოშკი სიბნელეში მრისხანედ მიიმალა. განუწყვეტლივ შხუოდა ქენწყარი, სადღაც მოსახვევს ებრძოდა და ღრღნიდა. ხანდახან ქარი რომ დაპჭროლებდა, წუთით შეწყვეტდა შხუილს, შემდეგ უცებ სხვა მიმართულებიდან მალაღკრუხუნს და ტალღების დგაფუნის ხმას მოაყრიდა.

მუშტის სისხო ვარსკვლავები კიაფობდენ. მთვარე რომ ამოვიდა ჯიხასკარს პირი მოარიდა, ღრუბლებში მიიმალა, შემდეგ სანახევროდ გამოჩნდა და კოშკის მალალი ქიმი გაანათა.

მღუმარედ აწვდილიყო ქიმი და ღრუბლების დაუსრულებელ ქროლვაში, გეგონებოდა თითქოს მიიწევსო მალლა ვარსკვლავებს შორის.

ღამის სიჩუმეში ისმოდა კალიების სტვენა და ხასხასი.

შემდეგ კლდის ძირას ხრიალი მორთო ფოცხვერმა და ეს ქაობის დამპალი წყლით გაზიზინებული ღრუბლები, ვარსკვლავები, ჩამობნელებული ცა და მთვარის ნახევარი დედამიწაზე ჩამოტეხა.

ლევანთან ვილაც ამხანაგი მიფორთხდა და მკლავზე ხელი მოუჭირა. სულს ძლიეს იბრუნებდა, გრძელი გზა გაევილო:

— ლევან! იცი, რად დაგაწინაურეს? აქ ყველაზე სანიდარო და იმიტომ. მთელი რაზმი ლაპარაკობს... ლევანმა არაფერი უპასუხა, სიჩუმე ჩამოვარდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ უსტვენდნენ კალიები.

— განა სხვაგან ბამბას გამოისვრიან!.. — მიუგო ბოლოს გულცივად ლევანმა.

— კი მაგრამ, იქ ციხეში სხედან გლეხები, შენთვის უფრო მახლობელნი, ვიდრე თავადი მარღანია! გუშინდელი ჩვენი სისხლის მწოველი! ნუ თუ ვერ ხედავ?

ლევანმა გაოცებით შეხედა, ვერაფერი გაიგო ამ კაცისაგან. იქ მახლობელნი კი არა არამზადები სხედან. გაბრაზდა:

— გამშორდი თავიდან ვილაცა ხარ!

— ლევან!.. — შეაგება მოსულმა.

ჯარისკაცმა მაჯა გაინთავისუფლა და ამხანაგის მკლავები რაც ღონე ჰქონდა გვერდით გაისროლა:

— გამშორდი!.. — დაიყვირა ხმამალა ლევანმა.

მოსული ბუზღუნით და გინებით განშორდა.

ისევ ბრიალებდა კლდის ძირი, ერთმანეთზე ამრეზილ და სამტროდ მისეულ, ამ ორ მხარეს შორის ჩამდგარი. იქნებ სისხლის სუნი ეცა, ან გამარჯვებულთა გულზევიადობას და უსამართლობას დასცინოდა, ან იქნებ ქვის ტომარაში გამომწყვდეულთა მწუხარებას იზიარებდა? შემზარავი იყო და ამაზრუნე. ვილაც გვარდიელმა ვერ მოითმინა და წესრიგი დაარღვია, თოფი გაისროლა.

უჩინარი ხმით უსტვენდნენ და ხასხასებდნენ კალიები, ციხის განათებული ქიმი მოსრიალე ღრუბელთა შორის მიიწვედა მალა. ერთმანეთის პირისპირ მდგომთ არ მისძინებიათ. უკვე ცვარი გაუდდა ბალახებში, ქენწყარს კალაპოტში წასთელიმა და ნისლში გახვეულს მიეძინა...

სერზე ტყვიამფრქვევის ძლიერი ჭახჭახი გაისმა, მას თოფების უწესრიგო ხმაც აჰყვა. მთელი ხეობა გმინაედა და ეღარუნობდა.

წუთით სიწყნარე რომ დაეშეებოდა, ისმოდა ჰაერში აწივლებული ტყვიების სტვენა.

ალიონზე, გვარდიელები „ვაშას“ ძახილით შეეფინენ ციხის ფერღობს. ამ დროისათვის ლევანი ბილიკის აფეთქებულ ადგილს ებლაუჭებოდა, ცოფმორეული და გაბელებული.

კოშვიდან კანტიკენტად ისროდნენ და ყრიდნენ ქვებს. გამოზიდეს ვეებერთელა კედლის ნამსხვრევი და ზღაპრით ჩამოუშვეეს დაბლა. რიყის ქვების ხელოვნური ლოდი გრუხუნით წამოვიდა, ეს ლევანს გამოუგზავნეს...

როგორც ეტყობოდა არ ხუმრობდნენ, ფერღობზე ვეებერთელა მორი გაედოთ, — გრძელი და მსხვილი. მორი წყნელებით დაებათ. შემდეგ ქვე-

ბი მიეყარათ. ახლა წკნელი გაწყვიტეს და უცნაური ზღვი, დადაჯრუებული გრუხუნით ჩამოშეავდა. თითქოს ათი ყუმბარა ერთად დააქუხესო, ისე გმინავდა ხეობა.

ლევანი განზე რომ გაიქცა, წაფორბილდა და სამჯერ შეტრიალდა ისე დაეცა, შემდეგ დაღმართზე დაგორდა. ლევანი ზედავდა ხალათ-გადაჩეჩილ ზურგებს, უწესრიგოდ გადაყრილ ფეხებს, ზევეს რომ ჩაქონდა დაბლა. წამოდგა. გვერდებ და მკლავებ დაბეგვილი დაფანტვით ათეაღიერებდა მთელ ტანს. შეამჩნია, რომ ტოლადები შემოხსნოდა... კედელი ჩამოწვა. ყურისძირთან ტყვიამფრქვევის კაკანმა გამოაფხიზლა. შემდეგ დაინახა, რომ გვარდიელები მიიწევედნ მალლა, ის კი ჩამორჩენილიყო. მარლანიას მოჰკრა თვალი. ოფიცერი რალაცას ჰყვიროდა, მაგრამ ლევანს არაფერი ესმოდა.

— ღმერთო მიშველე!.. — აღმოხდა ლევან მიგრიაულს და ისევ ბილიკს წაეპოტინა...

მალლიდან კანტიკუნტად ისროდენ, და ფრჩხილებით ინარჩუნებდენ სიმაგრეებს, მაგრამ გვარდია მიიწევედა წინ. მერე ისევ აზევედა „ვაშა“ და ქვის ჯებირი შეანგრძიეს.

— ეგეც თქვენ! გერჩიათ მარლანიას უბრძოლველად დანებებოდით, ახლა კი სამაგიეროს მიიღებთ!

თავადი მარლანია კოშკის ეზოს შუაში იდგა. ნათესავები გარს ეხვიენენ, თითქოს რალაცას დაჭინებით შესთხოვენო. მარლანია პატაკს ისმენდა... დაჭრილთა ეინაობას არკვევდა. დაპატიმრებულებს სათითაოდ ათეაღიერებდა, კაცი იფიქრებდა ვილაცას დაეძებს და ვერ უპოვნიო.

საზეიმო განწყობილებას გაეამაყებია. ზვიადი სიღინჯით აკეთებდა თავის საქმეს.

ყველაზე მოწინავეებს, ცალ მხარეზე აყენებდა, ანგარიშობდა, ფიქრობდა, არავინ იცოდა რას უპირებდა მათ მარლანია, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ სასიკეთოს არაფერს. მათრახს ღონივრად ცემდა ჩექმის საყელოს, და ყოველ ბრძანებას კბილებში ლეკავდა.

ყველაფერი ეს ლევან მიგრიაულს აღარ ეხებოდა. მას გოლიათ სხეულზე ჭრილობები შეეხვია, მთელი ტანი ტკიოდა.

გამარჯვებულთა ამ გახანგრძლივებულს საზეიმო სიწყნარეში გაისმა სროლის ხმა და იმ წუთს ბაწრით შეკრულთა შორის ერთმა კისერი ჩაჰკიდა, უცებ მთელი ციხე აწრიალდა:

— თავი მოიკლა!..

მარლანიამ გვარდიელებს უსაყვედურა, რომ ისინი რიგიანად არ სინჯავენ დაპატიმრებულებს და ჯიბეში იარაღს უტოვებენ. შემდეგ თავის საქმე განაგრძო. ხოლო ლევანი, რომელიც სროლის ხმაზე შეხტა, ჩქარა დაშოშმინდა:

— ალბათ გულმა უგრძნო, იმ მხარეზე გადაალაგეს, საიდანაც აღარ ბრუნდებიან! — ჩაიბუტბუტა მან. ქვაზე ჩამოჯდა, ხეიროიანად ვერ მოასწრო საქმის ვითარებას ჩაფიქრებოდა, რომ ისევე ფეხზე წამოხტა. — არაფერი იქვე დარჩა. ტყვეს გამოეკიდა, რომელიც მუჯღლუგუნის ცემისა და მძახვანდით გვარდიელებს და გახარებულნი გააკვირდენ:

— ვიპოვეთ, ვიპოვეთ!

ლევანმა ხელის მოჭნევით ვაჟფანტა ამხანაგები და გაშეშდა. ტყვემაც შეხედა, ამ დროს მოისმა ქალის სასომიხდილი ქვითინი:

— ლევან, ლევან!

ლევანმა ყურადღება არ მიაქცია ამ ხმას, გაქანდა მარლანიასაკენ, ფერდაკარგული. გზა და გზა ხმამალა იძახოდა და მთელი ტანით ირხეოდა:

— ეს... ისინი არ არიან კაპიტანო!.. ისინი არ არიან!..

— ვინ? — დაუსისინა მარლანიამ და ორი ნაბიჯი გადადგა წინ.

— აი, ეს ტყვე, კაპიტანო, აგერ ის ქალი! ვიცნობ...

გაოცებული ლევანი ყვებოდა, რაც ამათ შესახებ იცოდა. მარლანია კი სრულიად გულდამშვიდებულად, როგორც ეს მას სჩვეოდა, აფასებდა მდგომარეობას და ასე ფიქრებს რომ ჰყვანდა აყვანილი, მას თვალისაგან ვერ მოეშორებია ამ ჯარისკაცის მომბეზრებელი სახე, ხშირად რომ გვარდიელების ჯგუფში ჩაჯდებოდა და თითქოს სტირისო, ისე ყვებოდა თავის საეჭვო წარსულს. არ მოსწონდა ეს მარლანიას, არ მოსწონდა და მართალიც გამოდგა, ხედავ?

კაპიტანმა ისიც იცოდა, რომ რაზმში ბოლშევიკები დაძვრებოდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ.

— აგერ ნაყოფიც, ბოლშევიკი! საჯაროდ მიდგება პირში. სალახანა! — ფიქრობდა ოფიცერი და ტუჩს იკებნდა.

— მე მათ ჭობში ვყოფილვარ, ჩემი თვალით მინახავს, ესენი ხომ ბოლშევიკები არ არიან! — შემოესმა ამ დროს მარლანიას ლევანის ხმა.

— ჭობში? აი, ამ მაწანწალებმა თავიანთ ხელმძღვანელად რომ ამოირჩიეს, ამათ ჭობში! მიადგი ფეხი, სმენა! სმენა...აი!..

ლევანი არ ემორჩილებოდა კაპიტანის ბრძანებას და ანგარიშმიუცემლად იჩნევდა მესერივით მკლავებს, მაშინ მარლანიამ საკითხი სწრაფად და მტკიცედ გადაწყვიტა:

— დააპატიმრეთ!

სიბრაზისაგან გული რომ არ გასკდომოდა ხმალი რამდენჯერმე დაამხეველა.

— დააპატიმრეთ მეთქი!.. — მიაყოლა პირველ ძახილს უფრო ხმამალა და ქირვეულად.

მარლანიას ნათესავები შემოეხევიენ ლევანს და შეეცადნენ ხელები შეეკრათ.

ჯარისკაცმა დაიხია უკან და მოუფიქრებლად წინააღმდეგობა გაუწია. ლევანმა ვერაფერი გაიგო რა ხდებოდა, მან პირისპირ ჩახედა უფსკრულს, სადაც გაუგებარ მიზეზით უნდა გადაეჩეხათ იგი. გაახსენდა მანამდე რომ ენურჩულებოდა წუხელ და ვაცოფდა. ის ეძებდა დამნაშავეს, მაგრამ ვერაინ იპოვა იმათ შორის ვინც გარშემო ეხვია, გარდა შებორკილებისა: — მიშველეთ!.. — შესძახა მაშინ ტყვეებს, ილაჯგაწყვეტილმა.

ახმაურდა მთელი ციხე-კოშკი, ტყვეებმა წამოიწიეს და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა მოინდომეს.

— შეპკარით, შეპკარით! — ყვიროდა მარლანია. ლევანი კი ფრჩხილებით ინარჩუნებდა სიცოცხლეს. და აი ასეთ დროს ხედავს, ის ამხანაგი, წუხანდელი ამხანაგი, მეორე ადგილას ებრძვის შემოხვეულ გვარდიელებს, იმასაც ლევანივით უპირებენ შებორკევას, ის კი არ ნებდება, და მიგრიული ჩაეარდა იმ ბავშვის მდგომარეობაში, რომელმაც შემთხვევით ხელი შეახო უშველებელ საშიშ მანქანას და მოულოდნელად განმანადგურებელი მუშაობა დააწყებია.

მარლანიას ნათესავები და ლევანი კინწლაობით კედელს მიეკვრენ. ჯარისკაცმა განთავისუფლებული ხელით ხანჯალი ააგლიჯა გვარდიელს, რომელიც ყველაზე წინ მოიწევდა. მაშინ სადღაც ისევ გაისმა სროლის ხმა და ზედ ლევანის თავთან ქვითყირი ჩამოინგრა. მიგრიული შეხტა, არ მოელოდა, თითქოს ის ტყვია კედელს კი არა მას მოხვედროდეს, თურმე მარლანიამ ისროლა. ლევანმა გაიბრძოლა და მის წინ გაჩნდა:

— რისთვის?! რისთვის?! — იძახოდა იგი და შეშინებულ თვალებს არ აშორებდა კაპიტანს. მარლანიამ პასუხის გაცემის მაგიერ ხმალი დაუქნია.

— ჰოი, ლორო!.. — შესჰყივლა განწირულმა ლევანმა და შეეცადა კაპიტანისათვის მუცელში ხანჯალი გაეყარა.

...გვარდიამ შეპკრა. სულთმობრძავე ჯარისკაცი ტყვეებმა მიიღეს.



## კატული

### ლექსები

ვალერი კატული დაიბადა კ. ვერონაში (რომის იმპერიის ჩრდ. ნაწილში) 87 წ. ჩვენს ერამდე. ის ეკუთვნოდა პატრიციების ძველ გვარს, და, როგორც მრავალი მისი მსგავსი, იბრძოდა რომის ხელისუფლების სათავეში მოქცევისათვის. იგი ამავე დროს ეწეოდა სამწერლო მუშაობას. მისი ლირიკული ლექსები შთაღწილი პოეზიაში შევიდა, როგორც ერთერთი ნათელი თავისი ლექსები მიძღვნილია ქალისადმი, რომლის ნამდვილი სახელი ისტორიამ ვერ შეინახა და რომელსაც კატული ეძახის ლესბიას.

ანტიკური პოეზიის ნიმუშების ქართულად თარგმანის სიძნელე უმთავრესად მათი ზომის გადმოღებაში მდგომარეობს. აქ მოთავსებულია მხოლოდ ორი ზომის ნიმუშები: საჰფიკური ლექსი და hendecasyllabus ანუ ე. წ. დაღვეური ლექსი. კატულს ზომათა მრავალფეროვანება აქვს (ჰექსამეტრი, ელეგიური დისტიქი, ქოლიამბი, ოქტონორი, ხუთტერფიანი ამბი, გლიკონი, ასკლეპიადური ლექსი, გალიამბი, ამბიციური ტრიმეტრი, პრიამეი), მაგრამ მისთვის და მისი სკოლისთვის უფრო საყვარელი ზომა დაღვეური ლექსია. ეს ლექსი ნასესხებია ბერძნული ლირიკიდან და შესდგება 4 ქორეისა და 1 დაქტილისაგან მეორე ტერფში (—ა—ა—ა—ა—ა). ამ ლექსითაა დაწერილი კატულის უმეტესი ნაშთები ლექსები. მე ვეადე ამ არა-ქართული მეტრის ქართულად გადმოღება ლათინურიდან, მიუხედავად იმისა, რომ ქართულად არსებობს თეროიმეტრ-მარცვლიანი ლექსიც, რომელიც გრიგოლ ორბელიანს აქვს ნახმარი („გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ“ —ა—ა—ა—ა—ა). დაღვეური ლექსი ვთარგმნე ფორმულით 5+6=11; ქართული სიტყვის მახვილებმა ნება არ მომცეს მეტი სიზუსტე დამეცვა, იმ დროს, როდესაც, მაგალითად, რუსულის მახვილები იძლევიან ამის შესაძლებლობას.

რაც შეეხება საჰფიკურ ლექსს ანუ, უკეთ, საჰფიკურ სტროფას, ის გაცილებით ნაკლებადაა ნახმარი კატულის მიერ. ამ სტროფის პირველი სამი სტრიქონის ტერფების ზუსტი გადმოღების ცდამ (—ა—ა—ა—ა—ა) ძალზე მკრთალი ეფექტი მოგვცა, ამიტომ იგი თითქმის ისეთივე დაეტოვე, როგორც დაღვეური ლექსის თარგმანი. შედეგადაც მხოლოდ ცეზურა: 6+5=11; უკანასკნელი (სტროფის მეოთხე) სტრიქონი კი ვადმოვიტანე ორიგინალის სიზუსტით (—ა—ა—ა). საერთოდ ვეყრდნობოდი იმ დებულებას, რომ ქართულში მახვილი, ორმარცვლიან და სამმარცვლიან სიტყვებში, პირველ მარცვალზეა და მეტმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მესამეზე.

მე ვფიქრობდი, რომ ასე სჯობდა და არ მივბაძე ლეშაძეს, ელტრანის, მურის და სხვა ცნობილი ინგლისელი პოეტების თარგმანებს, რომლებშიც არამც თუ მეტრია შეცვლილი, არამედ თანამედროვე რითმაც კვეთს მუტანლი.

ბეზლირთუქა

3. 8.

## მიძღვნა კორნელიუს ნავოტს

(„ლირიკის წიგნიდან“)

მე ამ პატარა მხიარულ ახალ წიგნს  
ხმელი პეშათი ამ წუთას გაწმენდილს  
ვის მივცემ განა? — შენ, ო კორნელიუს!  
შენ ნამდვილ საქმედ სთვლიდი ჩემს შექცევას  
იმ დროს, როდესაც ქვეყნების ამბების  
დიდ, სქელტანიან სამ წიგნად მოთხრობს:  
რომეღოთ შორის პირველი ბედავდი.  
მიიღე ჩემგან, მაშ, ეს სახსოვარი  
აგი თუ კარგი, და იქნებ ღმერთქალმა  
მისცეს მრავალი ასი წლის სიცოცხლე.

## ბელურას

ჩემი ძვირფასის ძვირფასო ბელურავ!  
მის მუხლზედ ზიხარ და ეთამაშები,  
თანაც ნებივრობ და თითებს ბროლისას  
დასდევ საკბენად პატარა ნისკარტით.  
როცა ჩემი მზე და ჩემი სიცოცხლე  
ასე ერთობა, ხარობს და იცინის  
შენთვის ზრუნვაში რომ ნახოს ნუგეში,  
რომ ვნების ტყივილი ოდნავ განელდეს, —  
მაშინ მეც შენთან თამაში მწყურია,  
რომ გული დაცხრეს და სევდამ დამტოვოს.

## ლესბიას

ვიცხოვროთ ასე და მუდამ გვიყვარდეს,  
ჩემო ლესბია! ნურაფრად ჩავადგებთ  
ბოროტ მოხუცთა გამკილავ საუბარს.  
ცაში მზეები ჩავლენ და ამოვლენ,  
ჩვენთვის კი, როგორც ჩაქრება ნათელი,  
დგება სიბნელე და ღამე მარადი.

მაშ, კვლავ მაკოცე ასჯერ და ორასჯერ,  
 კვლავ ისევ ასჯერ და ისევ ათასჯერ.  
 კვლავ ასჯერ კიდევ და კიდევ ათასჯერ.  
 ასე დავთვალათ მრავალი ათასი,  
 მერე დავკარგოთ კოცნის სათვალავი  
 რომ არ გავტანჯოთ შურით ბოროტები,  
 ამდენი კოცნა ჩვენ რომ დაგვინახეს!



### მკითხავ, ლესბია

მკითხავ, ლესბია, შენი ბაგეების  
 რამდენი კოცნა დააცხრობს ჩემს ვნებას?  
 ლობიის ქვიშა უნდა გადათვალო  
 სურნელოვანი კირენის კიდეზე,  
 სადაც ამშონის შუადღის ტაძარი  
 და ძველი ბატის აკლდამა დამდგარა.  
 უნდა დათვალო წვრილი ვარსკვლავები,  
 კაცთა სიყვარულს ღამით რომ უმზერენ.  
 ცხელი ბაგეთი იმდენჯერ დაკოცნე  
 შლეგი კატულის, რომ რიცხვი დაკარგონ  
 ცნობისმოყვარის ბოროტმა თვალეზმა  
 და ვერ გაგვექოროს ბოროტმა ენამაც.

### უკანახკნელი სიტყვები

ერთგულო ძური და კარგო ავრელი!  
 თქვენ კატულის მეგობრობით, თუნდაც ინდოეთს  
 წავიდე — იქ, სადაც ზღვა ესერის ტალღებს  
 მჭეხარე ნაპირს.

ან ჰირკანების და არაბთა მხარეს,  
 მშვილდოსან პართელთ და საკთა მხარეში,  
 ან იქ, სად ნილოსი შვიდბაგიანი  
 შესართავს ამღვრევს.

გადავიარო ალპების ყინული,  
 სად ცეზარს ბრწყინვალე უდევს ნიშანი,  
 გალლის რეინი ვნახო ან ბრიტების  
 მრისხანე ზღვები.

რასაც ბედი მომცემს, თქვენც იზიარებთ.  
 მაშ, ჩემი სატრფოც ნახეთ და უთხარიტ  
 უკანასკნელი და თანაც ბოროტი  
 ეს ორი სიტყვა:



ღე, იმეგობროს მან თავის მონებთან!  
 თუნდაც მკლავები სამასჯერ მოხვიოს,  
 არაფერ უყვარდეს. მაგრამ ბევრ მათგანს  
 უნგრეოსს გული.

ოლონდ დაჰკარგოს ჩემი სიყვარული!  
 მისი მიზეზით მე გული დამიშრა,  
 ვით ველის ყვავილი, სახნისის გავლით  
 დაჭრილი მძიმედ.

### გ ა ზ ა ფ ს უ ლ ი

ისევ მობერა გაზაფხულის სითბომ.  
 ისევ ზეფირის ქროლა უაღერსებს  
 ზამთრის დარების არეულ სიგიჟეს.  
 ჰეი, შენ, კატულლ! ფრიგიელთ ველები  
 და ცხელ ნიკეის შუადღის მიწები  
 დროა დასტოვო! ბრწყინვალე აზიის  
 ქალაქთა მზარეს დროა მივაშუროთ!  
 ო, როგორ გეათრობს მგზავრობის სურვილი!  
 როგორ ჩქარობენ გზისაკენ ფეხები!  
 აწ კი მშვიდობით, კარგო მეგობრებო!  
 დიდხანს მიყავედით ჩვენ იმ ქარს შინიდან,  
 მაგრამ სხვადასხვა გზებით დავბრუნდებით!

თარგმანი ზივი ბაჩუჩილაძის



## 6. ურუშაძე

### ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველას ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შემოქმედების ორიგინალური ხასიათი და ძალაღ-მხატვრული ღირებულება მას ქართველ კლასიკოსთა პირველ რიგებში აყენებს.

დღემდე არსებული კრიტიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას იხილავდა განყენებულად, არა ისტორიულად, არა როგორც კლასობრივ მოვლენას და გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პირობების შედეგს, არამედ როგორც ისეთ მხატვრულ მოვლენას, რომელიც ყოველივე ზემოაღნიშნულის გარეშე იდგა; მათი გაგებით თითქოს სოციალური და კლასობრივი ეჭვივალენტის გამორკვევა დაამცირებდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ღირებულებას.

სოციალისტური საზოგადოების მშენებელი პროლეტარიატი მემკვიდრეა იმ კულტურული ღირებულებისა, რაც კაცობრიობის განვითარებას შეუქმნია. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების შენება, თუ არ გვეცოდინება ის, რაც შეუქმნია კაცობრიობას წარსულ საუკუნეებში. ამ მხრივ კულტურულ მემკვიდრეობას ჩვენთვის მრავალ შემთხვევაში ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყოველი მოვლენის ისტორიული შესწავლა, იქნება იგი იდეოლოგიური თუ სხვა გვარი, ნიშნავს წარსული საზოგადოებრივი ურთიერთობის კანონზომიერების გახსნას. ყველა ასეთ გზას, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიეყვართ კომუნისტური მნიშვნელობის მატარებელია და გვეხმარება სოციალისტური კულტურის შენების საქმეში.

„კომუნისტურ მანიფესტში“ ვკითხულობთ, რომ ყოველგვარი რევოლუცია გულისხმობს წარსულის იდეებთან გარდამწყვეტ ბრძოლას. კულტურული მემკვიდრეობის მარქსისტულ-ლენინური შესწავლა გულისხმობს მის კრიტიკულ ათვისებას, წარსულის იდეებთან გარდამწყვეტ ბრძოლას. კერძოდ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განხილვის დროს ნათელი გახდ-

ბა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ისეთ იდეებთან, რომლებიც ეხმაურებიან ჩვენი სოციალისტური ეპოქის იდეებს.

ვაქვს შემოქმედების განხილვასთან ერთად საჭირო ფაქტობრივად, რომ მისი აქტუალური და ისტორიული მნიშვნელობა არც შეეძლება შემოფარგლულ იქნას მხოლოდ მხატვრული შემოქმედებით: შესწავლილ უნდა იქნას მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობაც. ეს საკითხი მომავალში თავის მკვლევარებს მოელოს.

ვაქვს შემოქმედებაში სპინოზისა და ანტიური ფილოსოფიის ელემენტების არსებობა არ არის შემთხვევითი მოვლენა. როგორც ირკვევა, ვაქვს იმ თავითვე ჰქონდა შემუშავებული ფართო ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც ანტიური ფილოსოფიისა და სპინოზას უშუალო გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა. ვაქვამ ეს თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა გამოხატა პანთეისტურ პროზაში.

ვაქვა არ იყო ამოლიტეკური პიროვნება. პირიქით, ის ეპოქის ყოველ მნიშვნელოვან საკითხს ეხმაურებოდა და თავის პასუხს აძლევდა. ვაქვა არის ავტორი აუარებელი წერილისა. ეს წერილები გაბნეულია ქართული პერიოდიკის მრავალი გამოცემის ფურცლებში. ეს წერილებია: კორესპონდენციები მთიელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ, წმინდა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მიმოხილვები, რომლებიც თვალწინ გვიშლიან ფშავ-ხევსურების სულიერ სამყაროს, მათ გონებრივ ავლა-დიდებას, ცხოვრების თანამედროვე პირობებს, პოლიტიკური წერილები, რომლებსაც შევყავართ ვაქვას სოციალურ-პოლიტიკური იდეების სამყაროში, და კრიტიკულ-ლიტერატურული შენიშვნები. აღნიშნულ წერილებში მოცემულია ვაქვას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საფუძვლები — მისი შემოქმედების უტყუარი გასაღები.

ვაქვა თავის მოგონებაში — „ჩემი წუთისოფელი“ — გვაწვდის ცნობებს თავისი ბავშვობის იმ პერიოდის შესახებ, რომელშიაც გაიფურჩქნა მისი შემოქმედების ყვაილი. ეს არის 8 — 10 წლის ასაკი. ვაქვას ამ მოგონებიდან ვტყობილობთ, რომ მისი მამა სოფლის შეძლებული კაცი ყოფილა, მას მთაში მრავალ ადგილას დუქანი ჰქონია და ვაჭრობას ეწეოდა. საკუთარი ნიჭისა და უნარის წყალობით ვაქვას მამა, პავლე, ახერხებს წერაკითხვის შესწავლას. იგი ძალიან ეტანებოდა თურმე თვითგანვითარებას. დიდი ნიჭით დაჯილდოებული პავლე მომჯადოებელი მოსაუბრეც ყოფილა. იგი ზიზღავდა თავის პატარა ლუკას ძველი აღთქმის ამბების მოყოლით. ვაქვას დედაც უხვად ყოფილა ნიჭით დაჯილდოებული. იგი განთქმული მოლექსე იყო თურმე და ამავე დროს მეტად მორწმუნე ადამიანი, რომელიც თავისი სარწმუნოებრივი მოგონებებით დაღს ასეამდა ლუკას გონებრივ ცხოვრებას. ამგვარად, ვაქვა ოჯახის პირობებში იზრდებოდა სარწმუნოებრივი გრძნობებით გატენილ ატმოსფერაში. ერთ დროს ვაქვა ბერად შედგომანებდაც კი ოცნებობდა.

ამავე დროს ვაჟას ზეგახეობი ვარემო წარმოადგენდა ხელსაყრელ პირობებს მისი ლიტერატურული განვითარებისათვის. ამის შესახებ ვაჟა შემდეგს სწერს თავის მოგონებაში: „რვა წლამდე ვმწერდებოდი ძველ წიგნებზე: „ვეფხისტყაოსანი“, „მზე-ჭაბუკისა და ჯიშქრონი“ (ჩუბინაშვილის ქრესტომატია). „გრიბული“ ჟორჟ-ზანდისა შეიქნა ჩემ საყვარელ წიგნებად. ერთხელ წაკითხვას როდი ვჯერდებოდი; რამდენჯერმე უნდა ერთი და იგივე გადამეკითხა. საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვეყავდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკველად ჩემს შემოქმედებას. ერთხანად ბერად შედგომამზედაც კი ვოცნებობდი, მაგრამ შინაურებმა მასხრად ამოგდეს და ამ ოცნებაზე ხელი ამაღებინეს“ (იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, № 1: „ჩემი წუთისოფელი“ — ვაჟა-ფშაველა).

ვაჟას მოგონების ეს ადგილი მეტად საინტერესოა მისი შემოქმედების გაგებისათვის. ვაჟას ცხოვრების შემდგომ საფეხურზე ხდება მისი გონებრივი განვითარების გაღრმავება ამ მიმართულებით, რაც საფუძვლად ედება მისი შემოქმედების გაშლა-გაფურჩქვნას.

თუ როგორ მიმდინარეობდა ვაჟას გონებრივი განვითარება გორის საოსტატო სემინარიამდე, ამის შესახებ რაიმე უტყუარი ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება. გორის საოსტატო სემინარიის პერიოდიდან კი საინტერესოა სვ. სალარიძის მოგონება. თავის მოგონებაში ეგნატე ნინოშვილის შესახებ სალარიძე ლაპარაკობს გორის ხალხოსნური წრის შესახებ, რომლის წევრად ლუკა რაზიკაშვილიც ყოფილა. ამ მოგონებაში ვკითხულობთ:

„ლუკა რაზიკაშვილს (ვაჟა-ფშაველას) ნაკლებად იცნობდნენ სემინარისტები. იგი წინდახედულად და გაფრთხილებით მუშაობდა ჩვენთან, ამიტომ ამხანაგები მასზე ამბობდნენ: „აი ადამიანი, რომელიც დადის მარტორქად“. როდესაც „ბურსაკები“ საყვედურს ეუბნებოდნენ ლუკას — რატომ არ დადიხარ კრებაზეო, მისი პასუხი იყო: „მე ვტრიალებ ჩემი დერძის ირგვლივო“. ლუკამ ადრე დააღწია თავი „კაზიონურ“ ატმოსფეროს და მთელ თავის ძალღონეს ანდომებდა ცოდნის შეძენას. მან შეისწავლა „ბნელი“ ჰერაკლიტი, სოკრატე, პლატონის რესპუბლიკა, ეპიკური; გადაიკითხა ბეკონი, კონტი, ბოკლი, დრეპერი, ლებოკი, სპენსერი, „Современный социализм“ ლაველესი, „მცენარეთა მეტამორფოზა“ გიოტესი და ბოლოს მიუბრუნდა პომპროსს, ვირგილიუსს, დანტეს, მილტონს, შექსპირს, ბაირონს და ფოხტს; მოლეროტისა და ბიუხნერის მატერიალიზმში იგი ეძიებდა პასუხს ნივთისა და სულის რაობაზე. ლუკა ეკუთვნოდა იმ მძლავრ მოძრაობას, რომლის ლოზუნგად ერთდროს იყო „ცხოვრება თანახმად ბუნებისა“. იგი ვერ ეტეოდა პროგრამ-

მის განსაზღვრულ ჩარჩოებში. არ სწამდა პრაქტიციზმი — „პრაქტიკა საქმეები“. იგი სპობდა ქვეყნის ბოროტებას ერთი ხელის დაკვრით. „ყველაფერი ან არაფერი“. ამ თვალსაზრისით ლუკა ანარქისტია. „Свободный лист“ — იყო, რომლის ფეიერბახელი ჰუმანიზმი აღწევდა კომუნისტურ სანდუქსამდე. ლუკა სტოიკი, ფიზიკულურის მოტრფიალე, პირველი ქართველ-ელინია, რომელიც შეედგა ბუნებას. აი ფაქტი: ერთ მშვენიერ დღეს ლუკამ შემოიარა ჩემთან კრივიდან ფობტის „ფიზიოლოგიური წერილებისა“ და ბიუნხერის „ძალა და მატერიის“ წიგნების წასაღებად. იმ ეამად მე ვკითხულობდი ბარიატინსკის ლექსს **გ ი ო ტ ე ს ს ი კ ვ დ ი ლ ზ ე**:

„С природой одной он жизнью дышал.  
Ручья разумел лепетанье,  
И говор древесных листьев понимал,  
И чувствовал прав прозябанье,  
И была ему звездная книга ясна,  
И с ним говорила морская волна“.

მთელი მთა სიხარულისა აღმოსკდა ლუკას გულიდან. ციბრუტივით ტრიალებდა ჩემს ოთახში და გაიძახოდა: „აი ჩემი სარკე, მე ვიპოვნე ჩემი თავიო“. ლუკა, ეს ჩანასახშივე გენიალური ნიშნების გლეხი, ბუნების შეგრძნობასა და გაგებაში ორივე ფეხით იდგა სპინოზას პანთეისტურ თვალსაზრისზე და ღმერთად მიაჩნდა სამყაროს გასულიერებული სუბსტანცია“ (იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1 ტ., სვ. სალარიძის მოგონება ევ. ნინოშვილზე).

მოგონების ეს ამონაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო ვაეას შემოქმედების გარკვევისათვის. ამჟამად ჩვენს მიერ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაესვას ლუკას დიდ ნაკითხობას და ფილოსოფიურ განათლებას ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიაში ყოფნის დროს. პანთეისტურმა შეხედულებამ ხელი შეუწყო ვაეას პანთეისტური შემოქმედების გაშლას. ამ უკანასკნელს კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ბუნების იმ დიდმა ორგანიულმა განცდამ, რომელიც ვაეასათვის დამახასიათებელი იყო ბავშვობიდანვე მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა 1879 წ. ვაეას ერთი კორესპონდენცია-ვაეა დასწრებია ხახმატის დღესასწაულს და წერილში ყურადღებას აქცევს, თუ როგორ უარყოფით გავლენას ახდენს ეს დღესასწაული ხალხის ეკონომიურ მდგომარეობაზე, რის გამოც სწერს: „თუმცა ამნაირ ადგილებში ცხოვრება ზნეობრივი მხრით არ არის უბედურება ხალხისათვის, რადგან ამნაირი მდგომარეობა უფრო აყვარებს მათ ერთმანეთს და ზრდის მათ ერთმანეთისადმი მობრალულს. ბედი მეტი არ უნდა ხალხს, თუ თვისებები არის მასში, მაგრამ ეს ხშირად დაიხშება ხალხში სიღარიბისაგან და მაშინ იძულებული შეიქნება, რომ მოიქცეს ბუნების წინააღმდეგ და მი-

ჰყოს ხელი შერსა და ერთმანეთში უსამართლოდ ჰკეცას" (გზური კრიტიკა, 1879 წ., № 166).

ამ ამონაწერში, რომელიც ჯერ კიდევ 18 წლის ვაჟის ექვთიმეის საკმაო გარკვეულობით მოისმის რუსოისტული ძაბილი ადგილობრივი კულტურის სიახლოვის შესახებ, რაზედაც ლაპარაკობს აგრეთვე ამონაწერი სალარაძის მოგონებიდან. ეს მოტივი ვაჟის შემოქმედების ალფასა და ომეგას წარმოადგენდა მთელი ცხოვრებისა და შემოქმედების მანძილზე.

ვაჟის პიროვნებაში ასეთი შეხედულებების შემუშავებას ხელი შეუწყო იმ სოციალურმა და ბუნებრივმა გარემომ, რომელშიაც ის იმყოფებოდა. ამ მხრივ უკვე წინასწარ შემზადდა ნოყიერი ნიადაგი პანთეისტური ფილოსოფიის ორგანიული ათვისებისათვის, რაც საფუძვლად დაედო მის მხატვრულ პროზასა და ნაწილობრივ პოეზიასაც.

საკმარისია ოდნავ გადავავლოთ თვალი ვაჟის უამრავ წერილებს — ფოლკლორულს, ეთნოგრაფიულს, კრიტიკულ-ლიტერატურულს და პუბლიცისტურს, რომ აშკარა გახდეს ვაჟის რუსოიზმი, მისი ძლიერი ძაბილი ბუნებისავე. თავისთავად ცხადია, რომ ეს არ არის ასოციაციური მოვლენა, როგორც ეს ჩვენს კრიტიკოსებს წარმოუდგენიათ. პირიქით, მას აქვს თავისი სოციალური და პოლიტიკური საფუძველი.

ვაჟის სოციალ-პოლიტიკური იდეები მიმართულია თანამედროვე კაპიტალისტური ცივილიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც ის უპირისპირებს სოფლის კულტურულ-იდილიურ ცხოვრებას. თვით ფაქტი მისი, როგორც ჩვეულებრივი ფშაველი გლეხის, პიროვნული ცხოვრებისა ლაპარაკობს ამის შესახებ. 90-იან წლებში პეტერბურგში მყოფი ჭარბველი სტუდენტობა დახმარებისათვის მიმართავს ვაჟს, რაზედაც ვაჟი უპასუხებს: „მე აქა ვარ ვაჟა-ფშაველა, დედა-მიწის მუშაკი, და რა გიჭიროთ, ჩემს მაგალითს შეხედოთ“.


ვაჟი ილაშქრებს ცივილიზაციის წინააღმდეგ იმიტომ, რომ, მისი რწმენით, ის რყვნის ადამიანთა ზნეობას. ასეთი აზრი ვაჟის გამოთქმული აქვს მრავალ წერილში. მოგვიყვანოთ ერთი მეტად დამახასიათებელი ადგილი ვაჟის წერილიდან: „მართლაც, განათლება, ცივილიზაციას რომ ვეძახით, სწორედ საკვირველი მოქმედება გამოიჩინა სხვადასხვა ასპარეზზე, ხოლო ზნეობის სამფლობელოში რა მოგახსენოთ. არა, მეტყვიან, ზნეობრივადაც წინ წავიდა კაცობრიობაო. შეიძლება, არც ამაზე ავიხიროდებით. ხოლო მე კი იმას ვიტყვოდი, რომ ამ მხრივ იგი ისევ პირუტყვად დარჩა, დარჩა კი არა, პირუტყვთა საერთო, საყოველთაო თვისება, რომელსაც გრძნობა თავის დაცვისა ჰქვია, უფრო ძლიერად სჩქედს დღეს მის გულში“ („ივერია“, 1902 წ., № 3, „ფიქრები“).

მკითხველისათვის ადვილი გასაგებია, რომ აქ ვაჟი იმასვე იმეორებს, რაც გამოსთქვა დიქონის აკადემიის მიერ პრემიირებულ შრომაში კაპიტალიზმის განვითარებით შევიწროებული წერილი ბურჟუაზიის კლასიკურმა

იდეოლოგმა ე ა ნ ე ა კ რ უ ს ო მ. აქ მოიხმის მძლავრო პროტესტი კაპიტალისტური ცივილიზაციის წინააღმდეგ. მაგრამ აქვე საჭიროა დაისვას კითხვა, თუ როგორი იყო ვაჟას სოციალ-პოლიტიკური იდეალები, უარყოფდა თუ არა იგი ყოველგვარ პროგრესიულ ნაბიჯს კაცობრიუთა განვითარებაში, როგორი იყო მისი პერსპექტივა, კერძოდ, ქართველი ხალხის მომავალი ცხოვრებისა, მიიჩნდა თუ არა მას შესაძლებლად დადგენა ისეთ სოციალ-პოლიტიკური წყობისა, რომელშიაც ადამიანი უფრო ახლოდგას ბუნებასთან და უფრო მალაღია ზნეობრივად? აქაც საქმე გვაქვს ისეთსავე მდგომარეობასთან, როგორც რუსოს პიროვნებაში.

რუსოს, როგორც დიდ მოაზროვნეს, მიუხედავად მისი უარყოფითი დამოკიდებულებისა ცივილიზაციისადმი, კარგად ესმოდა, რომ კაცობრიობის ისტორიის ჩარხის უკან მობრუნება შეუძლებელი იყო. ამიტომ, წინააღმდეგ თავისი იდეალისა „ოქროს საუკუნის“ შესახებ ველტურობის ეპოქაში, მას შემუშავებული ჰქონდა არსებულ სინამდვილესთან შეფარდებული სოციალ-პოლიტიკური იდეალები, რომლებიც უკეთ გამოხატავდნენ მაშინდელი წერილი ბურჟუაზიის სადღეისო ინტერესებს. რუსოს სახელმწიფოებრივი იდეალი არ სცილდებოდა განათლებული აბსოლუტიზმის ფარგლებს და, პრაქტიკული მოსაზრებების გამო, ის სრულიად არ ილაშქრებდა არსებულ კულტურულ დაწესებულებათა წინააღმდეგ. იგივე ითქმის ვაჟას შესახებ.

დღემდე ჩვენში გავრცელებული იყო შეხედულება ვაჟას ხალხოსნობის შესახებ. ამ შეხედულებას ასაზრდოებდა ის გარემოება რომ, ვაჟა გორის სემინარიაში სწავლის დროს მოქცეული იყო ხალხოსნურ წრეში და მონაწილეობას იღებდა ამ წრის მუშაობაში. ეს ნაწილობრივ სწორია, მაგრამ ვაჟას ხალხოსნობა არ გასცილებია გორში ყოფნის წლებს. ვაჟას კალამს არ ეკუთვნის არც ერთი პუბლიცისტური წერილი და არც ერთი მხატვრული ნაწარმოები, რომლებშიაც ოდნავ მოსჩანდეს მისი გატაცება ხალხოსნური იდეებით. ხალხოსნურ წრეში მოქცეული ვაჟა მას მხოლოდ დროებით მიეკედლა. ამის შესახებ საინტერესოა იმავე საღარიბის მოგონება. მოვიყვანოთ ეს ადგილიც: „1882 წ. სოფლიდან ჩამოსული პროპაგანდისტები შეიკრიბნენ სათათბიროდ სოფ. უფლისციხეში შემდეგი საკითხების გასარჩევად: 1. ფეოდალური მიწის საკუთრების კონფისკაცია, 2. გლეხთა კავშირების მოწყობა და ორიენტაცია მათ გამოსვლაზე, 3. პატარა ერების განთავისუფლება რუსეთის გახრწნილ კაპიტალიზმისაგან. რომელიც სძარცავს მათ ბუნებრივ სიმდიდრეს... კრებაზე ლუკა იღებს სიტყვას: „კოკისპირულ წვიმასა და ქარბუქში, — სთქვა მან, — მე გამოვიარე თითქმის მთელი ფშავ-ხევსურეთი და ყველგან ერთსა და იმავეს შეკითხებოდენ: როგორ გადაწყდება მიწის განაწილების საკითხი. უკეთუ გლეხებს მიეცემთ მიწას, ჩვენს მუშაობას ექნება დასაყრდენი სოფლად და წელში გაწყვეტილ გლეხობას გადმოვიყვანოთ ჩვენს მხარეზე. მაშინ საფუძ-



ველი ეცლება ჩვენს მთავრობას და ჩვენთვის საშიშარი აღარ იქნება არც მემამულეების შუქარა და არც რუსეთის ხიშტიანი ლეგიონები. გამოსავალს მე ვხედავ გლეხთა კავშირებში ინტელიგენციასთან და კავშირებში მათთან ერთობაში. შემდეგ, როდესაც ლუკამ მკაფიო სიტყვებით გადაგვიძალა სურათი სოფლის ცხოვრების სიდუხჭირისა და ბიუროკრატიული აპარატის გაზრუნისა, მან ფაფარ-აყრილი ლომივით შეარხია ფალავნური ბეჭეტი და გულგაშმაგებით წამოიძახა: ან თავისუფლება, ან სჯობს სიკვდილიო, ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი ყუმბარა წარსული მონობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. იმ ხნიდან ლუკა შეეფარა მთის უბეს და იქ მტანჯავი აზრებით სწოვდა თავის თათს, როგორც დათვი ბუნაგში.

მოგონების ავტორის დასკვნა საუცხოვოდ არის გამოთქმული და საქმის ვითარებასაც სწორად გამოხატავს. მკითხველისათვის ადვილი გასაგებია, რომ აქ ვაჟას მრისხანების ცეცხლი უფრო მეტად რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არის მიმართული და ეროვნული მოტივით ნასაზრდოები. ხალხოსნურ წრეში მისი მუშაობა სრულიად შემთხვევითი მოვლენაა. ერთ თავის წერილში ვაჟა სწერს: „ამ 12 — 13 წლის წინათ იჩინა თავი ერთმა პარტიამ. იგი წინადაც არსებობდა. თავისი წადილის გამოსახატავად მან დააარსა ყურნალი „იმედი“. ამ პარტიის წადილი იყო, რომ გლეხიკაცის კეთილდღეობისათვის ეზრუნა, მისი ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა; თითქმის მარტო გლეხკაცებისაგან შემდგარი საქართველო უნდა დაეარსებინა. დანარჩენი ეროვნული საქიროებანი დავიწყებული ჰქონდათ. დავიწყებული იყო აგრეთვე თავად-აზნაურობა, რომელსაც თითქოს არაფერი უჭირდა და მისი დასუსტება ვითომ არაფერი დანაკლისი იყო ეროვნული საქმისათვის. მოკლედ რომ ვსთქვათ, ეროვნული აზრი უარყოფილი იყო იმათგან. ეს პარტია, როგორც თვითონ იგონებო ბოლო დროს, ნაძალადევი იყო, ხუხულასავით ნაგები გამოდგა. გაიგო ისიც, რომ ჩვენს მდგომარეობას არ შეეფერებოდა ამგვარი მოძღვრება და უკან დაიხია, თავისი თავი თვითონვე უარყო“ (ციტირებულია ვაჟას ავტოგრაფიდან. საქ. მუზეუმი. წ.-კ. ფონდი, № 53 — 17).

ამონაწერში ხაზი უნდა გაესვას ვაჟას ეროვნულ თვალსაზრისს, მის დგომას ი ლ ი ა კ ა ვ კ ა ვ ა მ ი ს ა და „ივერიის“ პოზიციასზე. ეს წერილი ეკუთვნის 90-იან წლებს.

ვაჟა შორს იდგა როგორც ხალხოსნობისაგან, ისე ყოველგვარი სოციალისტური იდეალისაგან. იმავე წერილში ვაჟა ილაშქრებს იმ დროს არსებული „ივერიის“ მოპირდაპირე სხვადასხვა პარტიის დაუგუფების წინააღმდეგ, კერძოდ „მესამე დასის“ წინააღმდეგ და მას უპრინციპობას უყიენებს.

ვაჟას პირველი პერიოდის სოციალ-პოლიტიკური იდეალების ვასარკვევად მეტად საინტერესოა მისი ერთი წერილი „ფიქრების“ სათაურით, სადაც ვკითხულობთ: „ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ბევრი საწ-

ყალი ჰკიდია იმის ზურგზე და ბევრი ბედნიერად მცხოვრებელი, ბევრი მწიერი, ბევრი მადლარი. მე და შენც ვფიქრობთ და ვამბობთ: ეს ასე რად არის? წარმოიდგინე, ამ საათში ამ ფიქრმა მომიარა და ვეფხვებოდა სწორედ ასე უნდა იყოს მეთქი. რათა? იმიტომ, რომ მაღლივ ვეფხვდით ქვეყანაზე, ვხედავდეთ შეწევნას, შველას, შებრალებას. დაჩაგრულობა და ბედშეობა რომ არ იყოს ქვეყანაზე, გრძობას კაცთმოყვარულს, გრძობას შებრალებსას რაში უნდა ევარჯიშნა? მაშინ ჩემი ნახევარი ბუნება მკვლარი უნდა ყოფილიყო, რითღა უნდა აღფრთოვანებულიყავი, რაღა აზრი უნდა მქონიყო, რითი უნდა დამეყენებინა მაღლა ჩემი თავი უგულო, უგრძობ-ბელ ხარ-კამეჩებზე, ერთი სიტყვით, რით უნდა ვყოფილიყავი კაცი?

წარმოიდგინეთ ისეთი დრო, როცა შესაბრალებელი ცხოვრებაში აღარავინ იყოს, შეწყალებას ბინა აღარსად ჰქონდეს წუთი სოფელში. რა იქნებოდა მაშინ ადამიანთა კრებული და თვით კაცი? იქნებ, თუ მოსახერხებელია ეს, კარგი რამ იქნებოდა, მაგრამ ჩემთვის კი შრავალი სურათი, რომელიც ჩემს თავზე შეტად მიყვარს, მკვდარი იქნებოდა. განმეორებით გეუბნებით: ეს ფიქრი გულწრფელია და გულწრფელად ნათქვამი. იქნებ ეს ფიქრი, ეს აზრი მიტომ მომწონს, რადგან შეუძლებელია ცხოვრების ისე მოწყობა, რომ შესაბრალისი აღარავინ და არაფერი იპოვებოდეს მასში? შეიძლება ასეც იყოს. ალბათ ბუნებას ასეთი კანონი აქვს, რასაც აკეთებს, გონიერულად აკეთებს, მოსაზრებით აწყობს და ჰშლის“ („ივერა“, 1891 წ., № 113).

ამონაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო ვაჟას პირველი პერიოდის აზროვნების დახასიათებისათვის. ადვილი გასაგებია ვაჟას წვრილბურჟუაზიული ფილანტროპიული და ჰუმანური იდეალები, სოციალური უთანასწორობის გამართლებას ვაჟა აქ თვით ბუნების კანონებში ეძიებს. ეს დებულება მისი სოციალ-პოლტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი. მისი ესთეტიკური იდეალებიც ამ სიბრტყეში ძვეს, მისი მხატვრული შემოქმედების გასალებიც აქ უნდა ვეძიოთ.

ვაჟა სოციოლოგიაში ორგანიული სკოლის მიმდევარია — სპენსერის ორტოდოქსალური მოწაფე. ყოველგვარი საზოგადოებრივი მოვლენის ახსნას ის ბუნების — ბიოლოგიის კანონებში ეძიებს. საზოგადოებრივ მოვლენებს ბუნების კანონების ანალოგიით არკვევს. ვაჟას სწამს, რომ ბუნებას აქვს ურყევი მარადიული კანონები, რომლებსაც ემორჩილება საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებიც. აქედან გამომდინარეობს არსებული კანონბრივი და სოციალური უთანასწორობის გამართლება.

თუ როგორ ესმის ვაჟას საზოგადოებრივი მოვლენები, ამის ნათელსაყოფად შეტად საინტერესოა მისი შეხედულება ქალთა უფლებბრივი გათანასწორობის შესახებ. „მჯერა, მწამს, და ვერც ვერავინ შემაცვლევინებს ამ რწმენას, დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში გავლენიანი მი-

ნისტრებისა და სხვა ადგილებზე დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვანებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მალამოს დაიდება და საჭირო რეფორმებს მალე ველირებოდით... ვინაიდან ეს ცხოვრება უფრო ლმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელმა ცხოვრებამ კვლავ მეტად რას მოითხოვს, გარდა ერთი გრძნობისა, რომელსაც ეწოდება შებრალება, შეწყნარება" („სადღეისო წერილი მეგობართან“. ავტოგრაფი. წ.-კ. ფონდი, № 5317).

ეს წერილი ეკუთვნის 1905 წლის პერიოდს. აქ ცხადად სჩანს, რომ ვაჟასათვის უცხოა საზოგადოებრივი ცხოვრების რკინისებური კანონების ნამდვილი ცოდნა და კლასთა ბრძოლის თვალსაზრისი. მისი პოლიტიკური პოზიცია რეფორმიზმის გზაა. ხოლო ეს უკანასკნელი, ვაჟას წარმოდგენით, შეიძლება განხორციელდეს ადამიანთა და, კერძოდ, ჭკლთა ნაზი გრძნობებისა და ბუნების წყალობით.

იმევე წერილში ვაჟა აგრძელებს ასეთ მსჯელობას და გამობატავს თავის სოციალურ-პოლიტიკურ კრედოს. იგი მკაცრად ილაშქრებს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და ამბობს:

„არა, არა მწამს ქვეყნის გაპროლეტარების გზით სოციალიზმის დამყარება, ე. ი. რადგან ეს ცუდის მომასწავებელია და სწორედ უარყოფაა ცხოვრების ლოდიკისა, იგი უარყოფაა პიროვნებისა (ინდივიდუალიზმისა) და პატრიციზმის... არა მწამს აგრეთვე ის აზრი, რომ მუშები გაიმარჯვებენ... დღევანდელი მოძრაობა გაიმარჯვებს, ესეც იმიტომ, რომ ბევრია დღეს უკმაყოფილო: შეურაცყოფილი ცხრა მეთათედი მაინც იქნება. ეს რიცხვი მარტო პროლეტარიატისაგან კი არ შესდგება. აქ მესამე და მეორე წოდებანიც არიან და ახლა ზედ დაუმატოთ მთელი ეროვნებანი, რომელნიც მთელი თავისი შემადგენელი წოდებითურთ უკმაყოფილოდ გამოიქცირებიან, დღეს ერთმანეთში აირივა, ერთი მეორეს მიეკედლა, როგორც ეკონომიურად შეურაცყოფილი, ისე პოლიტიკურად. ბრალი კი პროლეტარიატს ედება მხოლოდ. იმიტომ ვამბობ: დღევანდელმა მოძრაობამ თუ გაიმარჯვა, ეს მხოლოდ პროლეტარიატის წყალობით არ მოხდება, არამედ სხვა წოდებათაც წილი ედება ამ გამარჯვებაში, პროლეტარიატი მხოლოდ ფორმია ამ მოძრაობისა“.

აქედან ცხადად სჩანს, თუ როგორ გაიგო ვაჟამ 1905 წლის რევოლუციური მოძრაობა და როგორი იყო მისი დამოკიდებულება ამ მოძრაობისადმი. ამონაწერიდან აშკარად სჩანს, რომ ვაჟამ ამ რევოლუციაში დაინახა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და სხვა არაფერი.

ამასვე ადასტურებს მრავალი სხვა წერილი. ასე, მაგ., ფელეტონში „ფშავ-ხევსურეთის აე-კარგი“ იგი ებება რევოლუციური მოძრაობის ხასიათს მთაში და გლეხობის განწყობილებას მისი დამარცხების შემდეგ. გლეხობა იმედგაცრუებულია რევოლუციის დამარცხებით. ვაჟა ამის მი-

ზეზს ეძიებს რევოლუციურ პარტიებში, რომელთაც თავიანთი ავტორიტეტით პროპაგანდის მეშვეობით თითქოს ხელი შეუწყეს მტრობის გაღვივებას ფშაველებსა და ხევსურებს შორის. ამიტომ ერი ჰგომბსა და შარტიას. ასეთია ფელეტონის მთავარი აზრი.

ეროვნულ საკითხს ვაჟა ეჭება მრავალ წერილში და მრავალ მხრივ გამოსთქვამს თავის შეხედულებას მის შესახებ. მისთვის ლოზუნგს ძმობას, ერთობას, თანასწორობას არა აქვს არაერთარი აზრი ეროვნულ ჩაგვრის პირობებში. თავისუფლება მისთვის ბიოლოგიური კატეგორიაა და მას სწამს თავისუფლება არა ერის რომელიმე ნაწილისა ან წოდებისა, არამედ ყველა წოდებისა ერთად. „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე წოდება, არამედ მთელი ერი... ნუ ეძებთ თავისუფლებას იქ, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას, განურჩევლად წოდებისა და გეარისშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის განაწილებული ცოდნა, ჭონება“.

ამონაწერში მკაფიოდ არის გამოხატული ეროვნული მთლიანობის პოზიცია, რომელსაც, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისაგან განსხვავებით, წერილბურჟუაზიული ელფერი გადაჰკრავს. ასეთი სოციალ-პოლიტიკური იდეალი მას სხვა შემთხვევაშიც აქვს გამოთქმული. მარქსისტების წინააღმდეგ ვალაშჭრების დროს ვაჟა მიმართავს სპენსერის ავტორიტეტს და ამბობს: „ნუთუ სოციალიზმის დასაწყარებლად სხვა გზა არ არსებობს, გარდა გაპოლეტარებისა? ამ მამაცობნებულებმა წაიკითხონ იმის (სპენსერის. — ნ. უ.) თხზულება — „საფუძვლები ბიოლოგიისა“; გადაათვალიერონ, ნამეტნავად არგებსთ და არ აწყენსთ. წაიკითხონ სტატია სათაურით: „კაცობრიობის მოსახლეობა მომავალში“. ეგონებ ურიგო არ იყოს, რას ურჩევს ჰერბერტ სპენსერი საბედნიეროდ კაცობრიობას? აი რას: გათანასწორობა ჭონებისა, გათანასწორობა სწავლისა და გათანასწორობა ცხოვრების სახსარის მოსაპოებელ საშუალებათა. ნუთუ ეს მოძღვრება მხოლოდ პარამონიულად კაცობრიობის გამრავლებას უწყობს ხელს და ეწინააღმდეგება გონიერული სოციალიზმის დამყარებას?“ („სადღეისო წერილი მეგობართან“. წ.-კ. ფ., № 5317).

როგორც სჩანს, ვაჟა საცხებით იმეორებს სპენსერის შეხედულებებს, და უგუნურება იჭნებოდა აქ რაიმეგვარი სოციალისტური ნიშანწყლის დანახვა. ვაჟა საცხებით იზიარებს სპენსერის სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს და მათ საქართველოს სინამდვილეში ეროვნული მთლიანობის იდეას უმორჩილებს. მისი თვალსაზრისი არის წერილბურჟუაზიული გამოთანაბრებელი.

ასეთია ვაჟას სოციალ-პოლიტიკური იდეალები და ეროვნული კონცეპცია. ამ უკანასკნელს კიდევ ესაჭიროება დაკონკრეტება იმ მხრივ, თუ როგორ ესმოდა მას პატრიოტიზმი და ქართველი ერის განთავსუფლების

პერსპექტივა. ამ უკანასკნელის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ვაჟას არ ჰქონდა სავსებით გარკვეული აზრი. მას სჯეროდა, მაოლოდ, რომ ქართველი ერი ოდესმე უნდა განთავისუფლდეს, მაგრამ ნაშუაგვით უნდა მოხდეს ეს, მას, როგორც უპერსპექტივო სოციალურ-წესრიგის დამოკიდებულებას, წარმოდგენილი არ ჰქონდა. ის 1905 წლის რევოლუციისაგანაც მოელოდა დაზარულ ერთა განთავისუფლებას, როგორც ეს აკაკი წერეთელსაც ჰქონდა წარმოდგენილი. ამასვე მოელოდა ვაჟა მსოფლიო ომისაგან. საავადმყოფოში მყოფი მომაკედავი მგოსანი ხშირად ამბობდა: ნეტავი ომის დამთავრებას მოვესწრებოდე, ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს რაიმე შედეგიო.

თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ვაჟას საქართველოს განთავისუფლება, ამის შესახებ საინტერესოა მისი „პოლიტიკური მსჯელობა“, რომელიც სიკვდილის წინა თვეებს ეკუთვნის. ვაჟა მოელოდა ომში დასუსტებულ რუსეთისაგან რეფორმების შემოღებას, რომელიც დაზარალებულ ერებსაც უნდა შეხებოდა (იხ. აღნიშნული წერილის ანტოგრაფი. წ.-ქ. ფ., № 1537), სხვა გზას ვაჟა ვერ ხედავდა.

ეროვნულ საკითხში ვაჟა ეკუთვნოდა ქართველი ინტელიგენციის უკიდურეს ნაციონალისტურ წრეებს. მის ზოგიერთ პუბლიცისტურ წერილს შოვინისტური იერიც გადაჰკრავს, რაც მის მხატვრულ შემოქმედებაშიც გამოიხატა.

თუ შევაჯამებთ ვაჟას სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს, შემდეგ სურათს მივიღებთ: ვაჟა იღვა ილია ჭავჭავაძის ეროვნული მთლიანობის პოზიციასზე და თავის სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს ამას უმორჩილებდა. მიუხედავად იმ პესიმიზტურ განწყობილებისა, რომელიც ახასიათებს ვაჟას სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს, მას მაინც ღრმად სწამდა ქართველი ერის მომავალი განთავისუფლება, რა გზითაც არ უნდა მომხდარიყო ეს. მიუხედავად ვაჟას უარყოფითი დამოკიდებულებისა თანამედროვე ცივილიზაციისადმი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოგვიწოდებს დავებურუნდეთ ბუნებრივ მდგომარეობას, მას პრაქტიკულად მაინც შეუძლებლად და მიუღებლადაც მიაჩნდა კაცობრიობის პროგრესიული განვითარების შეჩერება. ამიტომ მისი სოციალ-პოლიტიკური იდეალი მოითხოვდა, რომ ცივილიზაციის განვითარებასა და პროგრესს ჩვენს სინამდვილეში მისცემოდა გარკვეული კალაპოტი და სოფლად-სწავლა-განათლების გავრცელების გზით ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრება წარმართულიყო სოფლის მეურნეობის კულტურული განვითარებისაკენ. ვაჟას წარმოდგენით, ამ გზით შეიძლება ადამიანთა ურთიერთობის ბუნებრივ-იდილიურ ჩარჩოებში წარმართვა და განვითარება. სხვა გზა, გზა ქალაქური ცივილიზაციისა მას არ სწამდა. მაოლოდ სოფლის ცხოვრების გზა მიაჩნდა მას ქართველი ერის მომავალ ბუნებრივ გზად. მისი ასეთი შეხედულებები მრავლად

არის გაბნეული პუბლიცისტურ წერილებში. იგივე დაედო საფუძვლად მის მხატვრულ შემოქმედებას.

აქედან გამომდინარეობდა ვაყას შეხედულება ინტელიგენციის როლის შესახებ სოფლის ცხოვრებაში. ერთ-ერთ წერილში ვაყა მოხსენიებდა პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ დიდძალი ინტელიგენცია თავს იყრის ქალაქში, მაშინ, როდესაც სოფელი იხშობა უმეცრებასა და ცრუმორწმუნეობაში. ვაყა კითხულობს: ვინ უნდა გამოიყვანოს ქართველი ხალხი ამ მდგომარეობიდან? — და თვითვე უპასუხებს „რა თქმა უნდა, ჩვენმა თვალახილულმა ინტელიგენციამ“.

ინტელიგენციის როლის ასეთი გაგება ვაყას მიერ მკიდროდ არის დაკავშირებული მის შეხედულებასთან სასულიერო წოდებისა და თავად-აზნაურობის კულტურული როლის შესახებ სოფლის სინამდვილეში, რომლის ერთადერთ კულტურულ ძალას წარმოადგენს თავად-აზნაურული ინტელიგენცია, რადგან გლეხობაში, სამწუხაროდ, სწავლა-განათლებამ ჯერჯერობით ფეხი ვერ მოიკიდა.

ასეთი შეხედულების გამო ვაყას სიმპატიები განსაკუთრებით ძლიერი იყო სამღვდლოების იმ ფენების მიმართ, რომელნიც, მისი წარმოდგენით, იბრძოდნენ სოფლის კულტურული გათვითცნობიერებისა და კეთილდღეობისათვის.

ასეთია ვაყას სოციალ-პოლიტიკური იდეალები და კლასობრივი პოზიცია, რომლებიც საფუძვლად დაედო მის შემოქმედებას. არა ნაკლებ საინტერესოა ვაყას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევა.

ვაყას არ მოეპოვება სპეციალური ფილოსოფიური ხასიათის წერილები. მხოლოდ აქა-იქ პუბლიცისტური და ლიტერატურული ხასიათის წერილებში გვხვდება ზოგიერთი ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობა, რასაც სპორადიული ხასიათი აქვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი საშუალებით მაინც შეიძლება ვაყას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის კონტურების აღდგენა. ყველაზე უკეთეს გასაღებს მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევისათვის იძლევა პანთეისტური პროზა.

ვაყას ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა და მისი მხატვრული ანალიზისათვის საჭიროა აგრეთვე შევეხოთ მის ეთეტკურ შეხედულებებს.

ვაყა თავის წერილებში ფოლკლორისა და ლიტერატურის შესახებ არა თუ არკვევს ლიტერატურისა და პოეზიის კონკრეტულ საკითხებს, არამედ გამოსთქვამს პრინციპულ დებულებებს და მთლიან ესთეტკურ კონცეპციას, რომელიც ემყარება გარკვეულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას.

თავის წერილში — „ს ა დ ა რ ი ს პ ო ე ზ ი ა“ — ვაყა გამოსთქვამს თავის შეხედულებებს პოეზიის საწყისისა და არსის შესახებ. წერილის დასაწყისში ვაყა აცხადებს, რომ ის არავითარი თეორიით არ არის შეზღუდული, და გამოსთქვამს თავის დამოუკიდებელ შეხედულებას პოე-

ზიის რაობის შესახებ. ვაჟა კატეგორიულად ილაშქრებს ისეთი მიმართულების წინააღმდეგ, რომელიც აღიარებს, რომ პოეზია კედება და მის ადგილს მეცნიერება იკვრს. ასეთი აზრის მიმდევრებს, —  
 „არ შეუძლიათ ლიტერატურული ნაწარმოების დაფასება, რადგან მათ არ იციან მისი საფუძველი, მისი რაობა, მისი სისხლი და ხორცი, მისი დამოკიდებულება ადამიანის ბუნებასთან. ადამიანის ბუნებისა და ცხოვრების გარეშე არ არსებობს პოეზია და ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, ის, თუნდაც ლექსებსა და მოთხრობებს არ სწერდეს, მაინც პოეტია“. ასე ესმის ვაჟას პოეზიის საწყისი და რაობა.

„არის უცვალელებელი კანონი ბუნებისა, არის მასში თავისებური ჰარმონია, — განავრძობს ვაჟა. — ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე, მიზეზებზე“. შემდეგ ვაჟას გაჰყავს ანალოგია ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების კანონებს შორის და კითხულობს — რატომ უყვარს ადამიანს ია, ეს გარეული და ნაზი ყვავილი, და თითონვე უბასუბებს: „იგი არც საქმელია და არც სასმელი. თუმც სასიამოვნო სუნი არ ჰქონდეს, ჩვენ მაინც მოგვწონს იგი, თვალს უყვარს, გულს ესიამოვნება მისი დანახვა და ცქერა, ხოლო განვითარებულსა და აზრიან კაცს იგი სხვა ბევრ რამეს მოაგონებს. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იდეალისტია კაცი, იმდენად სულიერად მდიდარია იგი. ნუთუ ია, ბუჩქებითა და ეკლებით დაჩრდილული, არ მოგვაგონებს დაჩაგრულ სიმართლეს?!“

მოყვანილი აზრები, რომლებიც ვაჟას გამოყენებული აქვს პოეზიის რაობის გასარკვევად, მეტად მნიშვნელოვანია მისი გნოსეოლოგიური თვალსაზრისის გასარკვევად. ვაჟას წარმოდგენით, ადამიანსა და ბუნებას ერთი და იგივე კანონები აქვს. „ადამიანი ბუნებაშია და ბუნება ადამიანში“. საინტერესოა შემდეგი აზრი წერილიდან: „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი ბუნებაშიც არ მოიპოებოდეს. ბუნებას ჰყავს ძლიერების წარმომადგენლები: ლომი, არწივი, ვეფხი. ადამიანთა ცხოვრებაშიც მოიპოებიან ასეთები. კაცთა ცხოვრებასაც ჰყავს თავისი მზე, მთვარე და ვარსკვლავები“. ასეთია ვაჟას შეხედულება ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაზე.

აქედან ცხადია, თუ რამდენად მძლავრად ჰქონია ვაჟას ათვისებული ორგანიული სკოლის თვალსაზრისი ბუნებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების უცვლელი და გარდაუვალი კანონების შესახებ.

ვაჟას თვალსაზრისი მთლიანია ყოველგვარი საკითხის გარკვევის დროს. პოეზიის საწყისსაც იგი ადამიანთა ბუნებაში ჰხედავს. ამ საკითხს ვაჟა სხვა წერილებში უბრუნდება. მისი აზრით, დიდებული მგოსნის დიდებუ-

ლი ტიპები, როგორც არის ღონ-კიხოტი, ჰამლეტი, ტრაილერი და სხვები, წარმოადგენენ თვით ბუნების გამოხატვას. „ამ პატარა არქისა“ (ე. ი. ტიპს. — ნ. შ.) თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაზე მწუხრავს. ნამდვილად ასეა. და დიდება და სახელი იმ მწერალს უნდა მიეძღვნებინა... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებითა და ნაკლით. ამა კარგად დაუკვირდით ლამანჩელ აზნაურს ღონ-კიხოტს, შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენ მსგავსებას ნახავთ მათ შორის. რა არის ბუნება, თუ არა იგივე ღონ-კიხოტი, რომელიც თავდაუზოგველად ჰლელავს და იბრძვის, მიისწრაფვის ერთხელ არჩეულ-აჩემებულ გზაზე თავდაუზოგველად? აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრი მოსდის, უნაკლო არც ივია.

რამდენად ნიჭიერია მწერალი, რამდენად მაღალია და დიდებული მისი გრძნობა-გონება, იმდენად სავსებით ხატავს იგი ბუნებას არჩეული ტიპის მეოხებით. შექაპირი იმიტომ არის დიდებული ყველა მგოსანთა შორის, რომ ბუნება სავსებით გამოსკვივის იმის ნაწერებში... შეადარეთ ყველა გენიოსებისაგან შექმნილი ტიპები ბუნებას და დააკვირდით, რამდენი მსგავსებაა მათ შორის“ (წ.-კ. ფ., № 3517).

ამ დებულების დამტკიცებას ვაფა ცდილობს მრავალი მაგალითით, რომლებიც შეეხება ანალოგიას ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის, და დაასკვნის: „ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო, იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება. მხოლოდ მწერალი უნდა უყურებდეს ცხოვრებას ბუნების თვალსაზრისით“ (იქვე).

ასეთია ვაფას შეხედულება პოეზიის წარმოშობისა და რაობის შესახებ. თავისთავად ცხადია, თუ რატომ არ არის ეს სწორი ჩვენი თვალსაზრისით. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ვაფას შეხედულება პოეზიის დანიშნულების შესახებ. ამ საკითხსაც შეეხო ვაფა მრავალ წერილში. პოეზიის დანიშნულების საკითხში ვაფა დგას უტილიტარული პოეზიის თვალსაზრისზე და გამოსთქვამს მეტად მნიშვნელოვან შეხედულებას. „მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მისი გონებისა და ცხოვრების გაუმჯობესებისა... მწერლობა იმას გვიჩვენებს, თუ ეს სიმდიდრე როგორ უნდა იქნას მოხმარებული, რათა ცხოვრება უფრო ნაყოფიერი და სარგებლიანი შეიქნეს“ (იხ. წერილი — „რამე-რუმე“. წ.-კ. ფონდი, № 3517).

იმავე წერილში ვაფა იცავს იმ დებულებას, რომ პოეზიისა და პუბლიცისტიკის საგანი ერთი და იგივეა — ცხოვრების საჭიროებისათვის სასახური. მხოლოდ მათ სხვადასხვა გვარი ფორმა აქვთ... „პოეტი სურათებით გვემსახურება, ტიპებსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბამავს. ისეთ ტიპებს, რომლის მსგავსნი პოეტს უნდა რომ იყვნენ ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალწინ ამოღებული ნაკლი. პუბლიცისტი კი ცხოვრების მოვლენებს არკვევს და მის მიზეზებს უჩვენებს“ (იქვე).

აღნიშნული დებულების ილუსტრაციისათვის ვაყვას მოჰყავს შავალი მაგალითი ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურაში, რითაც ცხადყოფს, თუ როგორ გავლენას ახდენდა ხელოვნებაზე ცხოვრებაზე. ამაშია ვაყვას ესთეტიკური კონცეპციის კონტენტის მარტივი წარმოდგენა.

ვაყა უარყოფს თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. „ხელოვნება თან უნდა მისდევდეს ცხოვრების საჭიროებას“, — სწერს იგი და ასაბუთებს მაგალითებით: „ყველა პოეტური ნაწარმოები ასე თუ ისე ტენდენციურია, მხოლოდ თვით ტენდენცია სხვადასხვა ჯგურისაა. ამიტომ გამოუცდელ მკითხველს ერთი ეჩვენება ტენდენციურად, მეორე კი არა (იქვე).

ასეთია ვაყვას შეხედულება ხელოვნების რაობისა და მისი დანიშნულების შესახებ. იგი წარმოადგენს რუსეთის 60-იანი წლების უტილიტარული თეორიის შერწყმას ორგანიული სკოლის სოციოლოგიასთან. ვაყვას ასეთი შეხედულება ხელოვნების შესახებ ნათელყოფს, თუ რა შორსაა იგი სიზბოლისტური თეორიისაგან, რომლის მიხედვითაც ხელოვნება უსაგნოა და მას ცხოვრებასთან საერთო არაფერი აქვს.

ვაყვას ლიტერატურულ შეხედულებებში განსაკუთრებით საინტერესოა მისი ჩაწვდომა მწერლის შემოქმედების ლაბორატორიაში. მწერალი, ვინც არ უნდა იყოს იგი, განსაკუთრებით კი გენიოსი მწერალი, ვაყვას წარმოდგენით, პასიურად კი არ ითვისებს ცხოვრების მიერ მიწოდებულ მასალას. იქნება ის წიგნური, ფოლკლორული თუ უშუალოდ აღებული ცხოვრების სინამდვილიდან, არამედ ატარებს მას თავის შემოქმედების ლაბორატორიაში.

თავის წერილში „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ — ვაყა სწერს: „აქედან ცხადია, რომ თუ პოეტმა ყოველივე თავისებურად არ შეიმუშავა და თავისი გრძობა-გონების საკუთრებად არ გადააქცია, ამაოდ დაშვდება, მის ნაწარმოებს არავინ ჰქუათამყოფელი ხელოვნურს არ უწოდებ“ („მნათობი“, 1934 წ., № 11 — 12).

ზემოთმოყვანილი დებულებით და მწერლის ტენდენციურობის დაცვის თვალსაზრისით ვაყა ხაზს უსვამს მწერლის მსოფლმხედველობის როლს შემოქმედებაში.

2

ვაყვას მსოფლმხედველობის ჩვენს მიერ მოხაზული კონტურები წარმოადგენს მისი შემოქმედების სოციალური ბუნების უტყუარ გასაღებს. საკითხის სხვაგვარ დასმას საერთო არაფერი აქვს მარქსიზმ-ლენინიზმთან. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისათვის ლიტერატურა და ხელოვნება უპირველეს ყოვლისა არის იდეოლოგიური მოვლენა და ისინი მწერლის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ იმის მიხედვით, თუ რამდნად ღრმად სწვდება ესა თუ ის მწერალი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებას და ასახავს ამა თუ იმ სოციალურ ურთიერთობას მხატვრულ

სახეებში. ამგვარად, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები პირველ რიგში აყენებენ ხელოვნების შემეცნებითს ღირებულებას, ე. ი. მის რეალისტურ ტენდენციებს, და ამას უდებენ საფუძვლად თავიანთ მხატვრულუბნის კრიტიციუმს. ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ ჩვენს [ყოველწლიურ] მწერლის ათვისებას და, თავისთავად ცხადია, ვაყას შემოქმედებასაც.

ამ თვალსაზრისით მწერლის შემოქმედების განხილვის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ლენინის მიერ მოცემული ტოლსტოის შემოქმედების ანალიზი. ლენინი, წინააღმდეგ პლექსანოვისა, ტოლსტოის — მხატვრისა და მოაზროვნის იხილავს მთლიანობაში, იმ ისტორიული ეპოქის ანალიზის გათვალისწინებით, რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა ტოლსტოის, და მის შემოქმედებას უწოდებს რუსეთის რევოლუციის სარკეს, რადგან ტოლსტოიმ თავის შემოქმედებაში ასახა წინააღმდეგობანი და პატრიარქალური გლეხობის განწყობილება.

ეპოქა, რომელშიაც გაიშალა ვაყას შემოქმედება, 1890 — 1915 წლებით განისაზღვრება. საქართველოს სინამდვილეში ეს ეპოქა, ერთის მხრივ, ხასიათდება კაპიტალიზმის შედარებით მძლავრი განვითარებით და რევოლუციური მოძრაობის გაშლით მე-20 საუკუნეში, მეორეს მხრივ — საქართველოს, როგორც კოლონიალური ქვეყნის, რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის მიერ წრესგადასული ეროვნული ჩავვრით. გარუსების პოლიტიკა და თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატის ტლანქი მოქმედება უადრეს წერტილს აღწევს. ასეთ სოციალ-პოლიტიკურ ფონზე საქართველოს სინამდვილეში იდეოლოგიურ და ლიტერატურულ ფრონტზე იშლება მრავალი ჯგუფის ურთიერთ ბრძოლა.

ფშავ-ხევსურეთი, რომელმაც ჭეჭე აწოვა ვაყას შემოქმედებას, ცხოვრობდა საშუალო საუკუნეების თემურ-პატრიარქალური ურთიერთობით. ამ ეპოქაში შედარებით ძლიერად იჩინა თავი კაპიტალიზმის უარყოფითმა გავლენამ მთაში და დაიწყო თემურ-პატრიარქალური ურთიერთობის შინაგანი რღვევა. გაჩნდა მთის წვრილი ბურჟუაზია. ვაყა თავისი სოციალური მდგომარეობით და პოლიტიკური იდეალებით საზოგადოების ამ ფენას ეკუთვნის. მთის წვრილი ბურჟუაზია გლეხობის ზედაფენას წარმოადგენდა. ვაყა ახლოს იყო მთის პატრიარქალურ გლეხობასთან. ამიტომ მან თავის შემოქმედებაში ღრმად გამოხატა ამ პატრიარქალური გლეხობის განწყობილება და ტკივილები, ძველი ყოფისა და ურთიერთობის რღვევის გამო. აქ უნდა ვეძიოთ ვაყას შემოქმედების, მისი პესიმიზმის, ცივილიზაციის წინააღმდეგ გალაშქრებისა და ბუნებისაკენ მოწოდების გასაღები.

ვაყას შემოქმედების წყაროს წარმოადგენს მთა თავისი სულიერი სამყაროთი, საშუალო საუკუნეებრივი იდეალებით, წარმართული ყოფითა და მითოლოგიური მსოფლშეხედულებით, რომელიც წარმოდგენილია მდიდარი ხალხური ფოლკლორით. ამ ფოლკლორში მოცემულია მთის ხალხის მსოფლშეგრძენება.

ამ მხრივ ვაჟას შემოქმედების შესახებ შეიძლება საესეხით განმეორებულ იქნას მარქსის შემდეგი თქმა ანტიური ხელოვნების შესახებ: „ბერძნული ხელოვნების წინამძღვარს წარმოადგენს ბერძნული სინთლოგია, ე. ი. ბუნება და საზოგადოებრივი ფორმები, რომელნიც უკვე შეუგნებლად დამუშავებულია ხალხურ ფანტაზიაში. ეს მისი მასალა“.

ვაჟას დროინდელი ფშავ-ხევსურეთი თავისი საშუალო საუკუნეებრივი თემურ-პატრიარქალური ყოფით და სულიერი სამყაროთი, მდიდარი ხალხური სიტყვიერებით, რომელიც ემყარებოდა მითოლოგიურ და წარმართულ აზროვნებას, წარმოადგენს არა მარტო არსენალს, არამედ იმ ნიჟარას, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ვაჟას შემოქმედება. ამიტომ ვაჟას ფესვებიც ამ ხალხურ შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ და აქედანვე უნდა იქნას ახსნილი მისი სტილის თავისებურება, რომელიც ჩვენში დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და იწვევს.

როგორც აღვნიშნეთ, ვაჟას ეკუთვნის მრავალი წერილი მთის ფოლკლორის შესახებ. ამ წერილებით ვაჟას შეეყვართ ფშავ-ხევსურეთის პატრიარქალური გლეხობის სამყაროში, იგი გვაცნობს, თუ როგორ არის მასში ასახული ხალხის ყოფა და სოციალური ურთიერთობა, სარწმუნოებრივი, ცრუმორწმუნოებრივი, წარმართული ზნე-ჩვეულებანი და სოციალ-პოლიტიკური იდეალები. ვაჟას წერილები არ არის უბრალო ინფორმაციული ხასიათის წერილები. მათში მოცემულია ავტორის დამოკიდებულება ხალხურ პოეზიაში გამოხატულ სოციალ-პოლიტიკურ იდეალებსადმი. ამ ფოლკლორულ წერილებში ვაჟა განსაკუთრებით ხაზს უსვამს ფშაველების საშუალო საუკუნეებრივ იდეალებს: ვაჟაკობას, გულადობას, მამაკობას, სინდისს, ქალის პატივისცემას. ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ვაჟას გადმოცემით, ძველ ხალხურ პოეზიაში, მაშინ, როდესაც ახალ ხალხურ პოეზიაში, აღნიშნავს ვაჟა, ხალხი გამოსთქვამს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ძველი საზოგადოებრივი იდეალების შერყენის გამო. „ძველი დრო იყო დრო ვაჟაკობისა, ძალისა, მტრობისა, მუშტისა, ხმლისა. ეკონომიური წუხილი არც კი ისმის, მაშინ, როცა ახალ ლექსებში უმთავრესი ძალა ერის გონებისა მიმართულია ეკონომიურ მხარეზე... ხალხის გონება ისევ ძველი დროისაკენ იხედება. იდეალად ძველთა ცხოვრება აქვს აღებული“ („მომამე“, 1896 წ., № 2: „ძველი და ახალი პოეზია“ — ვაჟა-ფშაველა).

აქ და მრავალ სხვა წერილში ვაჟა ხაზს უსვამს ხალხის წუხილსა და უიმედო განწყობილებას ახალ დროში, და თავის შემოქმედებითაც ცდილობს გაამახვილოს ხალხის უკმაყოფილების გრძნობა. ვაჟას შემოქმედებაში ეს განწყობილება ყველაზე უფრო გამოიხატა ლირიკაში, რომელიც ერთ დაუსრულებელ კენესას წარმოადგენს, რასაც ვაჟა ღრმა პესიმიზმით გამსჭვალულ სიმღერებში გამოიხატავს:

„მშლება, მღერაში დნება  
ბუღა ყველა სხვა დარღისა“.



სწორედ ამიტომ, რომ ვაყვას ლექსების აბსოლუტურად შემოქმედების სიმღერები ეწოდება. ვაყვას სიმღერებში მხოლოდ მწველია; მხოლოდ უკმაყოფილება მოისმის:

„მემღერება და ვიმღერო,  
გულზე მჭირს საში იარა,  
წარსულზე ფიქრი მაწუხებს,  
აწმყოში არა ყრია რა,  
და მომავლის ფიქრებიც  
არაიენ გამოზიარა“.

ვაყვას დამახასიათებელია უაღრესი სასოწარკვეთილება. ჩვენი კრიტიკოსები ხშირად ამის მიზეზებს საქართველოს ეროვნულ მდგომარეობაში ეძიებენ. ეს შემცდარი აზრია. ეროვნული ჩაგვრის უღელს ჩვენს სინამდვილეში განიცდიდა მოსახლეობის ყველა ფენა, მაგრამ ყველასათვის არ იყო დამახასიათებელი სევდა და სასოწარკვეთილება. ლენინი ამბობს: „სასოწარკვეთილება დამახასიათებელია იმ კლასებისათვის, რომლებიც იღუპებიან... სასოწარკვეთილება დამახასიათებელია მათთვის, ვინც არ იცის ბოროტების მიზეზი. ვინც ვერ ხედავს გამოსავალს, ვისაც არ შეუძლია ბრძოლა“ (ლენინი: ტ. მე-14, გვ. 407).

პესიმოზმი და სასოწარკვეთილება უპირველესად ყოვლისა უნდა ავსნათ იმ სოციალური ფენის კლასობრივი მდგომარეობით, რომლის ინტერესებსაც გამოხატავს პოეტი. ამიტომ ვაყვას პესიმოზმის სათავე უნდა ვეძიოთ არა ეროვნულ მოტივში, არამედ მისი პატრიარქალური გლეხობის მდგომარეობაში, გლეხობის, რომელიც აწმყოში უკმაყოფილოა ძველი იდეალების შერყევის გამო და მხოლოდ წარსულზე ფიქრით კვებას თავის ოცნებას, რადგან მისთვის მომავალი გაურკვეველია. ეს გარემოება აძლიერებს ვაყვას გულის წყლულს და იგი მოსთქვამს:

„გულში კი წყლული იზრდება,  
სულსა მიხუთავს, მალონებს,  
სიკვდილი არა მწადიან,  
თუმც ტანჯვა სიკვდილს მაგონებს,  
და ჩემი ყოფნა ასეთი  
საწყალ ამირანს მაგონებს“.

ვაყვასათვის ამირანი სიმბოლოა დაჩაგრული საქართველოსი, რომელსაც ის თავის უნუგეშო ყოფას ადარებს. აქ ცხადად სჩანს, რომ მისი სევდის მიზეზი უპირველესად სხვაა, ვიდრე ეროვნული გრძნობა. პირიქით, თუ ზოგჯერ ვაყვას შემოქმედებაში გაივლევებს საბრძოლო განწყობილება, ეს ყოველთვის გამოწვეულია მხოლოდ ეროვნული განთავისუფლების იმედით. ვაყვას ხედავს, რომ ამირანი იტანჯება, რადგან ის ვერ სწევდება ხმაღს

და არც ხმალი მიდის გმირთან, ამასთანავე გოშის მიერ დაღრღინებული ჯავ-  
ვი ისევ მთელდება მეორე დილას, მაგრამ მაინც

„მომავლის სხივი აჭარვებს,  
ცბირის ოხვრას და გმინვას“

ერეკლესული  
ბიბლიოთეკა

ვიმეორებთ, მიუხედავად ღრმა პესიმიზმისა, ვაქვს ყოველთვის სწამ-  
და საქართველოს ეროვნული განთავისუფლება, მაგრამ მან ვერ მოხაზა  
ის გზები, რომლებითაც უნდა მომხდარიყო ეს განთავისუფლება. ამიტომ  
მას ლიტერატურული კრიტიკა, იპ. ვართაგავას სახით, უსაყვედურებს  
ეროვნულ უპერსპექტივობას. ვაჟა ასეთ ბრალდებას უპასუხებს, რომ მთე-  
ლი მისი შემოქმედება ამ საქმეს ემსახურება, რომ არ სწამდეს მას ერის  
მომავალი, მაშინ იგი შემოქმედებაზე მთლად ხელს აიღებდა. ვაქვს მო-  
კყავს ერთი ფშაველი გლეხის შეკითხვა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწმას, ნუ  
დამიშალავ, საქართველოს თავისუფლებას არ გულისხმობდი, „ბახტრიონ-  
ში“ რომ ამბობ: „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო“.

— იქნება ვგულისხმობდე, — ვუპასუხე მე.

— სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამი, — დაიკინა  
ფშაველმა.

ამით ვაჟა ხაზს უსვამს თავის დაფარულ ეროვნულ ტენდენციას. რწმე-  
ნა ეროვნული განთავისუფლებისა ვაქვს ყოველთვის ასულდგმულებდა,  
როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში, და მას გამოხატავდა ზოგჯერ  
ისეთ ფარულ ტენდენციებში, როგორიც მოცემულია „ბახტრიონში“, ხო-  
ლო ზოგჯერ სიმბოლიურ ფორმაში.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი იმედი ვაქვს შემოქმედებაში ხშირად სა-  
ბრძოლო განწყობილებით არის გამოხატული. საამისო მაგალითი ვაქვს  
ლირიკაშიც აუარებელია, რაც იმაზე მიგვიჩივებს, რომ ვაქვს სეედან  
ასაზრდობდა გარკვეულ, ნიადაგ-გამოცლილი წრის უკმაყოფილება — წი-  
ნათ არსებული მდგომარეობისა და ძველი საგმირო იდეალების შერჩევით  
გამო. ასეთი განწყობილება მშვენივრად არის გამოთქმული მესტეირტლის  
მოთქმაში, რომელიც მიმართულია სოფლის მკვლეველი მედუქნისაკენ  
მთელი სოფელი გლოვობს თავისი საყვარელი გმირის დაკარგვას. მესტეი-  
რის მოსასმენად არავის სცალია. ეს უკანასკნელი მხოლოდ დუქანში ახერ-  
ხებს თავისი დარდების დამღერებას:

„სოფელში მკვდარსა ჰგლოვობენ,  
დუქანში მუდამ ღზინია,  
შენც ხომ არ იწყენ, მედუქნავ,  
რომ ავაღერო სტვირია?  
„პატოსანი“ კაცი ხარ  
და სოფლელების ჭირია,

რუმპივით ფაშვსა დაათრევ,  
ლოჭოს მივიგავს პირია,  
თვალეზი მექათმე მელას,  
ტივის პოლორჭკის ცხვირია“.



ქართველთა  
შიშვენიერების  
კავშირი

ისე, როგორც ხალხურ ფოლკლორში, აქაც მოსჩანს ვაეას სატირული დამოკიდებულება იმ ახალი ძალისადმი, რომელსაც თავის მტაცებლური მიზნებით და მოქმედებით დისონანსი შეაქვს მთლიან სოფელში. ეს უკანასკნელი გლოვობს გმირის დაკარგვას. მესტვირე ასე მიმართავს მედუქნეს:

„საკმელ-სასმელი წვრიბალი,  
ყველა შენ გააძვირია,  
რაკი დაბლს იქით გადასცდა,  
მანათად ფასობს ჩხირია,  
ვინ გყავს პასუხისმგებელი,  
რომ არ ვსთქვა გასაჭირია.  
იცი რომ მიწამ შეკამა,  
ის მარაბდელი გმირია,  
ქვეყანა დაობლებულა  
და უპირობა სჭირია“.

სოფლის პირისა და ერთიანობის დამრღვევი მედუქნის წინააღმდეგ გაბოროტებული პოეტი მესტვირეს ათქმევინებს:

„იფიქრე საბოლოოდა,  
თუ რა სოფელის ზეალია,  
ვა თუ დავადგავს გულზედა  
ეს გამოხრული ძეალია.  
თუ სხვა მხრივ წაეხდით, მკლავშია  
ხომ კიდევ გვაქვს ძალია,  
გვაკმარე ამდენი თმენა,  
უფალო შეგვიწყალია!“

აი წყარო ვაეას სევდისა და სასოწარკვეთილებისა, რომლის გაქარვე-ზასაც ის სცდილობს სიმღერებში. ვაეა ღრმად სწვდება პატრიარქალური გლეხობის განწყობილებას და ცდილობს ეს განწყობილება გამოხატოს ყოველ სიმღერაში. ამიტომ ის ხალხურ კილოზე ატყუვებს თავის ჩანგს.

ასეთი განწყობილება ვაეასათვის დამახასიათებელია მის შემოქმედების ყველა პერიოდში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაეამ ვერაფერი გაიგო 1905 წლის რევოლუციაში. ის აშკარა უარყოფით შეხვდა მას, წინააღმდეგ ჰქალარა აკაკისა, რომელიც აღფრთოვანებით შეეგება რევოლუციას, რადგან მასში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალა დაინახა. ვაეას შემოქმედებაში კი არაერთარი ცვლილება არ მომხდარა. მას ამ დროსაც ახასიათებს ისეთივე პესიმისტური განწყობილება და რუსოისტული ძახილი ბუნებისაყენ. იგი სჩივის მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების

ზნეობრივ დაცემაზე. ეს მან გამოხატა მრავალ ლექსში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა“, სადაც ვკითხულობთ:

ყოველდღე ტანჯვას მიმარჯვენს  
წუთისოფელი ვერაგი“.

ვ. ჯ. კ. ნ. შ. უ. ჯ.  
გ. მ. ზ. ი. მ. მ. მ.

ასე მოსთქვამდა ვაჟა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. არც ერთხელ არ აუთრთოლებია ვაჟას შემოქმედების სიმები საბრძოლო განწყობილებით ამ რევოლუციურ მოძრაობას.

ვაჟას ასეთი განწყობილების შესახებ, დასკვნის სახით, კიდევ მოვიყვანოთ რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში. ვაჟას სული ეხუთება თანამედროვე ყოფის პირობებში და ასე მოსთქვამს იგი:

„მიყვარს საგმირო პანგები,  
სიტყვა და აზრი ციური,  
მაგრამ გულს იქით არ მიდის  
გრძნობა და ფიჭო ღვთიური;  
ფრთებს მიკვეცს, აღმაფრენასა  
ამბავი ყოველდღიური“.

ასეთი ყოფა რაინდს აიძულებს მწარედ მოსთქვას ქვეყნის გაუტანლობასა და უმადურობაზე, ქვეყნის, რომელსაც მან შესწირა მთელი თავისი სიკოცხლე. მისი უკანასკნელი სიტყვებია:

„მინამდე ვიყავ, ზომ ვიყავ,  
ზომ ვატრიალე ხმალია;  
მიჭირს და არეინ მიწნდება,  
დამალევინოს წყალია.  
ღმერთო, შენ გებრალეზოდე,  
ღმერთო, შენ შემობრალა!  
ეს სთქვა მცხოვეინმა რაინდმა,  
დიდვა თავით ხმალია,  
ხანჯარი, ფარი, ჩაჩქანი  
და ისე სული დალია“.

აქ ძლიერია განცდა ძველი რაინდული იდეალებისა, რომლებთანაც მჭიდროდ იყო შეზრდილი ვაჟა-ფშაველა. სწორედ ეს გარემოება აძლევს სიცხოველესა და შინაგანი განცდის სიძლიერეს მის სევდასა და ნაღველს.

ვაჟა ილაშქრებს თანამედროვე ცივილიზაციის წინააღმდეგ. მისი იდეალია მთა თავისი საშუალო საუკუნებრივი მორალითა და წყობით. მაგრამ ის ხედავს, რომ მთაში იჭრება ახალი დამრღვევი ძალა, იხრწნება ძველი რაინდული მორალი და საუკუნეებით შემუშავებული ტრადიციები, მის ნაცვლად კი ჯერჯერობით ვერ შემუშავებულა ახალი ზნეობრივი და სოციალური ნორმები. ბუნებრივია, რომ ასეთ გარდამავალ წყობაში პატრიარქალური გლეხობის განწყობილება ღრმა პესიმიზმითა და სასოწარ-

კვეთილებით არის შეპყრობილი. ვაჟა ღრმად ჩასწვდა ახეთ განწყობილებას და ასახა იგი თავის შემოქმედებაში. ვაჟას შესახებ შეიძლება განმეორებულ იქნას ლენინის სიტყვები ტოლსტოი ფიქტურულ ნინი აღნიშნავს, რომ ტოლსტოიმ, როგორც მხატვარად მოქმედებდა და მქადაგებელმა, გამოხატა პატრიარქალური გლეხობის განწყობილება, მისი უსუსური წყველა კაპიტალიზმის წინააღმდეგ და აგრეთვე მისი სასოწარკვეთილება. ისტ, როგორც ტოლსტოი, ვაჟაც მთლიანია, როგორც შემოქმედით და მოაზროვნე, როგორც გამომხატველი მთის პატრიარქალური გლეხობის განწყობილებისა და მისი ფსიქო-იდეოლოგიისა. ასეთია ვაჟას პესიმიზმის სოციალური ექვივალენტი.

კიდევ უფრო შორს მიდის ვაჟა მთის ხალხის სულიერ სამყაროში ჩაწვდომის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას მიღებული ჰქონდა საკმაო განათლება და თავისი ეპოქის მამოძრავებელი იდეების კერსში იყო, მისი აზროვნება და შეხედულება მაინც ვერ გასცილდა მთის ხალხის აზროვნებას, ამიტომ შესძლო მან ქართველი შვითხველის თვალწინ გადაეშალა პრიმიტიული აზროვნების მჭონე მთის ხალხის სულიერი სამყარო. მისი მითოლოგიური მსოფლგაგება.

ვაჟა საუცხოოდ გამოხატავს მთიელი ხალხის რწმენას დევებისა და სხვა მანვე ძალების არსებობის შესახებ. ვაჟას შეხედულებით, დევები ადამიანის მსგავს უხარმზარ არსებებს და ბიროტ ძალებს წარმოადგენენ. იინი ებრძვიან ადამიანებს და მათი კლანჭებისაგან ხალხის ხსნა მხოლოდ ბუმბერაზ გმირებს შეუძლიათ. მთიელ ხალხს ასეთი რწმენა გამოხატული აქვს მრავალ თქმულებაში. ვაჟას ორგანიულად აქვს ათვისებული ხალხის ასეთი მითოლოგიური მსოფლგაგება. მართალია გ. ქიქოძე როცა ამბობს ვაჟას შესახებ: „ინვიათია მეორე ქართველი მგოსანი, რომელსაც ასეთი ინტენსიური შინაგანი ხილვა ჰქონდეს. თითქოს ხელებით ეხებოდა იმ ზღაპრულ მოჩვენებს, რომელთაც თავის პოემებში ხატავდა“.

ყოველივე ზემოთ თქმული ვაჟას შემოქმედებაზე, შეეხებოდა მხოლოდ მის ლირიკას. ეს ერთი ნაწილია ვაჟას მდიდარი შემოქმედებისა, რომელშიაც რელიეფურად არის გადმოკეცილი მისი სუბიექტური განცდები. უფრო მნიშვნელოვანია ვაჟას შემოქმედების მეორე მხარე — მისი პოემები. მთლიანად აღებული ეს პოემები წარმოადგენენ მთის ეპოსს. ვაჟას შემოქმედების ეს მხარე შედარებით რეალისტურია. მასში გადაშლილია მთის ხალხის ყოფის მთავარი მომენტები, მათი იდეალები, საუკუნეებით შემუშავებული ტრადიცია და ამ ტრადიციის რღვევის პროცესი. შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით ვაჟას შემოქმედების ეს მხარე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა პოემებში, გვეძებნა რეალიზმი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რაც გულისხმობს რომელიმე ეპოქის სოციალური ისტორიის მოცემას მხატვრულ სახეებში. ვაჟა თავის შემოქმედებას ასეთ

მიზნებს არ უსახავს. მისი პოემების დიდი უმრავლესობა რომანტიკულია. სადაც პირველ პლანზე წამოწეულია ავტორის სუბიექტური განცდები და მისი დამოკიდებულება თანამედროვე ურთიერთობისადმი. ამ მხრივ გამო-  
ნაკლისს წარმოადგენენ პოემები: „გოგოთურ და აფშაველას“ „ქე-  
თელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“. ვაჟა აქ შედარებით რეალისტურ  
პოემებში მისთვის შესაძლებელი თბიქტიობით გამოხატავს მთის ყოფის  
დამახასიათებელ მთავარ მომენტებს და მათი რღვევის პროცესს.

ვაჟას პოემები, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, ნასაზრდო-  
ვებია ხალხური შემოქმედებით. პოემებში, განსაკუთრებით პირველი ჯგუ-  
ფის პოემებში, ლირიკის მსგავსად დაუსრულებელი კენესაა, აწყობის წყვე-  
ლა-კრულვა და წარსულ-გმირობის იდეალიზაცია. ამ სეველიან კენე-  
საში სოციალური მოტივი პოემების უმრავლესობაში იმდენად გადა-  
კვანთულია ეროვნულთან, რომ ვაჟას შემოქმედების განხილვის დროს  
შეუძლებელი ხდება მათი ერთმანეთთან განსაკუთრება. ასეთია „დაჩაგ-  
რული მესტვირე“, „მოხუცის ნაამბობი“, „ივანე  
კოტორაშვილი“ და სხვ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ვაჟას პირველი პოემა „დაჩაგრული მე-  
სტვირე“ (1881 წ.). თბოლი მესტვირე მოსთქვამს სიმუხთლესა  
და გაუტანლობაზე, რაც მას აიძულებს დიქტორს თავის მოკვლაზე:

„ჯერეთ ვიფიქრე თვი მოვიყლა,  
შოვრე ამოდენ წვა და დავგისა,  
მაგრამ ბოლო დროს თავს გავუჯავრდი,  
ვუთხარ: სიკვდილი ეს მოხდის დარდა?“

**მესტვირე გადასწყვეტს:**

„ესთქვი: ვანუგეშო მე დაჩაგრული,  
ვექმნე მე იმას წყლულისა წამლად,  
გულიდან შოვხსნა მძიმე ნაღველი,  
გული მომიწყავს ჩემს მადლსვე მადლით.  
ბევრი ვიგონე, ეს მოვიგონე:  
ერთი საითმე სტვირი მეშოვნა,  
წამოვსულიყავ, ქუჩებზე მეველო  
და ჩაგრულების ბედი მეტირნა“.

სტვირი ახალგაზრდა შგოსნისათვის ჩანგის სიმბოლოა, რომელსაც მან  
უბიწო ყმაწვილის ენა ჩაუდგა და მან წმინდა გულით დაიწყო უბიწო  
ქლერა, მაგრამ:

„მისი ხმა იყო ხმა სინანულის,  
შემარიგები ხმა და მლოცველი  
და არა შფოთვა შურის და წყველის,  
კაცობრიობის აღმშფოთებელი“.

ეს ტაეპი მეტად მნიშვნელოვანია ვაჟას დემოკრატიული განწყობილე-  
ბის დახასიათებისათვის პირველ პერიოდში. ვაჟა იმ თავითვე ღრმა პე-

სიმისტია. მის ჩანგს არასოდეს ბრძოლის ხმაზე არ უყვებოდა მისტვირე კენესის და მოსთქვამს იმის ვამო, რომ ადამიანთა შორის მტრობა და შურია. მას სურს აკენესოს სტვირი ხალხთა შორის მშობის დასამყარებლად. პოეტი მოუწოდებს ხალხს:

გ ი ზ ლ ი რ თ ე ა

„და მართლაც, ძმანო, აქ რა შეგვრჩება,  
მშურად გადავსდით ერთმანეთს ხელი,  
დავიწყეთ მშურად ლხინი, ღრეობა,  
ერთ-ერთს ჩაუდგათ თავ-თავის გული.  
ჩვენსევე ძალით უნდა ვეცადნოთ,  
არ ვაგაზინოთ ქვეყნად საწყალი.  
ქვეყნის მივცეთ ქვეყნულად ვალი,  
შვილებს აუნთოთ ჯვულში ლამპარი,  
იქნებ არ ჩაქრეს მათ გულში ალი,  
სიყვარულსა, ჩვენში ამღვზნარი.  
იტორე მედო, იკენესე გულო,  
მარტო ესაა შენი ნუგეშო.  
მაშ არ იცოდი, ძამია ჩემო,  
რომ კაცო სიღოცხლე არს თამაში?  
დაეა, მე ვაეღვრებ აქ ჩემ ყრუ სტვირსა,  
იქ ყრუ დაბზაში მართავენ ლხინსა“.

სეველით შეპყრობილი ახალგაზრდა მგოსანი ხედავს ჩაგვრას, მონობას, უთანასწორობას და ეს ასაზრდოებს. აღრმავებს მის უნუგეშობას. ასეთი მდგომარეობა არ იწყევს მის აღმფლეთემას ბოროტების წინააღმდეგ, რადგან ეს ბუნების გარდაუვალ კანონად მიაჩნია. ვაჟა ქადაგებს „ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწყველობას“, რაც მის განწყობილებას პირველ პერიოდში ანათესავენს ტოლსტოის მოძღვრებასთან. ბოროტების მიზეზს ვაჟა ეძიებს არა მის კონკრეტ მატარებელში, არამედ გარე საგნებში. ვაჟა ხედავს, რომ ჭრისტეს მოძღვარნიც, „წმინდა“ მამებიც ლალატობენ თავიანთ დანიშნულებას და სძარცვავენ გლეხებს, იმის ნაცვლად, რომ მალამოდ დაედონ მათ ქრილობას. ვაჟა შემდეგნაირად მართავს „სულიერ მამას“:

„მე შენ ამაში კი არ გამტყუნებ,  
ეს ცოდვა არის გარე საგნებში,  
მაგრამ ამ საგნებს გადაასაგნებ,  
თუ სტვირს მიხსენებ ღვთის ვედრებაში“.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას არ მოსწონს მღვდლების თანამედროვე საქციელი, ის მაინც არ იმეტებს მათ გასაკიცხად. ასე ეტყევა ვაჟა ბატონსაც, რომელიც მას უყვარს, როგორც კაცი:

„შენ მე მიყვარხარ, როგორაც კაცი,  
არ მემეტები საცინლად გახდე.  
ჩემთვის წმინდაა თვით სიტყვა „კ ა ც ი“.

ვაჟა აქ წერილობურეთუხიული ჰუმანიზმის მქადაგებლად გვევლინება. მონობისა და ჩაგვრის მიზეზებს იგი ხედავს არა კლასებში და მათი ინტერესების დაპირდაპირებაში, არამედ რაღაც სხვა საგანში, სადაც კი-  
 ვაჟას წარმოდგენით, არის ფული.

ბიზნისმენი

„დიახ, კარგია ფული ქვეყნისთვის,  
 მასზე ჰკიდია სულ სამართალი,  
 მაგრამ რა გითხრა, მესტვირისათვის  
 ეს ხომ არ არის გულის წამალი“.

ის არ იღებს ბატონის მოწყალებას, რომელიც გართობისათვის მას ფულს გადმოუყრის:

„თავი დავუყარ გულკეთილ ბატონს,  
 ფულებიც ერთად მოვაკოწიწე,  
 უწყოდე ამა, უსულო საგანს,  
 უნდა, მესტვირეც, შენ თავყანი სეც“.

ნიშნად პროტესტისა მესტვირე ფულს მიწაში ჩაჰფლავს და ეტყვის:

„აქ იყავ, აქვე იხარე“.

როგორც პოემის ანალიზიდან ჩანს, აქ უკვე მოცემულია ვაჟას შემოქმედების საწყისები, გამოსკვივის მისი ღრმა სევდა და მითითებულია ამ სევდის მიზეზებზედაც, რაც თანამედროვე სოციალურ ურთიერთობაში მდგომარეობს. მაგრამ მისი სევდიანი განწყობილების მიზეზი სხვაც არიბ. ადამიანთა შორის ყველგან აბუჩად აგდებული და ტანჯვის საგნად ქცეული მესტვირე ბუნებას მიმართავს და იქ ეძიებს სევდის გაჭარბებას. იქ, მთებში მოთავსებული წინაპართა სულები მოუწოდებენ მესტვირეს აკენესოს თავისი სტვირი, რომ გააღვიძოს ის, ვინც არის მისი ძიების საგანი და სევდის მიზეზი. ეს არის კლდეზე მიჯაჭული ამირანი.

პოეტს სწამს თავისი სტვირის ძალა, რომელმაც თანდათან გამოაღვიძა მიძინებული მონა:

„რაც დავატყე, რომ სტვირი შველის,  
 ჩემი ძალღონე ზედ დავაზმარე,  
 საშველად ამა ბედკრული მონის“.

პოეტს სწამს, რომ:

„თავისუფლება მის გაუღიძებს,  
 მაშინ ექნება კეთილდღეობა,  
 მტანჯავი სენით გულს გაიმართლებს,  
 თუმც ძველი წყლული ზედ დააჩნდება“.

ამ პოემის ვაჟას შემოქმედების გასარჩევად დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ვცანით მასზე ასე ვრცლად შეჩერება.

თუ გადავხედავთ ვაჟას სხვა ლირიკულ პოემებს, დავინახავთ იმავე მოტივების გაღრმავებას და ისეთსავე სევდიან განწყობილებას, შემოქმედების ყველა საფეხურზე. თუნდ მოვეუსმინოთ მოხუც კარაქელს („ივანე კოტორაშვილი“), რომელიც მოსთქვამს დროს წახდენს: „ჩემთვის და-ცემასზე, ძმათა შორის შურსა და მტრობასზე, როდესაც ერთიმეორეს ფეხ-ქვეშ თელავს და პქელავს, იმის ნაცვლად, რომ, ძველი დროის მსგავსად, ერთმანეთი დაინდონ, ერთმანეთს დაეხმარონ, ამიტომ მოსთქვამს მოხუცი ძველ გმირულ დროზე:

„სად ვაქჩრი, ძველო დროებზე,  
ძველო ძმობა და სალამო?  
ძველს დროში თოფი და ხმალი,  
მთელი კლდე გაუტეხელი,  
და ერთმანეთთან სავალად  
წყალს ხიდი ჩაუტეხელი;  
აი იმ დროის ელფერი,  
ჩისი მადლი და დიდება,  
ახლა რას ვხედავ მის ნაცვლად  
ან გული რისგან გვიყვებება?“

ახალ დროს მოაქვს ჩარჩობა, ვაქრობა, რაც იწვევს ოჯახური პატრი-არქალური ურთიერთობის დარღვევას. ამას ვერ ურიგდება ვაჟა-ფშაველა და ამ მოტივით იგი ყოველთვის სასტიკად ილაშქრებს მის, როგორც სა-ზოგადოების ზნეობრივად შემრყენელი, ძალის წინააღმდეგ, ასე იქცევა ვაჟა როგორც თავის წერილებში, ისე პოემებში.

## 3

ეროვნული მოტივი ვაჟას შემოქმედების ერთი ძირითადი მოტივთაგა-ნია როგორც ლირიკაში, ისე ეპოსში. მაგრამ ვაჟა აქ თავისებურია. ის არ მიიმართება ჩვეულებრივი ტრადიციული გზით, როგორც ილია ჭავ-ჭავაძე ან აკაკი წერეთელი, ვაჟაც მიმართავს წარსულის იდეალიზაციას, მაგრამ ამისათვის ის მასალას არ იღებს საშუალო საუკუ-ნეებიდან, არ მიმართავს ქართველთა მეფეების, ერისთავების, თავად-აზნაურობის და ბერ-მონაზვნების იდეალიზაციას; იგი იდეალურ გმირთა სახეებს მხოლოდ მთიელთა ცხოვრებიდან იღებს. ქართველ მეფეთა შორის ვაჟა ბრწყინვალე შარავეანდედით მოსავეს თამარისა და ერეკლეს სახეებს. ეს მეფეები ვაჟას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც მათი ისტორიული მოღვაწეობა დაკავშირებულია მთის ხალხის გმირულ ბრძოლასთან სა-მშობლოს დაცვისათვის. ამ მზრივ ვაჟა განსაკუთრებული შარავეანდედით მოსავეს ერეკლეს სახეს.

სამშობლოს დაცვისა და ქართველი ხალხის გმირობის დასურათებისა-თვის ვაჟას არ სჭირდება სხვა მასალა, ვარდა ფშავესურეთის გმირობის

ჩვენებისა. ნ... მიერ შექმნილი იდეალური სახეები გამოიხატებოდა ილიას და აკაკის სახეებისაგან, რადგან არც წარსულში და არც მე-19 საუკუნეში ფსევდო-ხევისურეთმა არ იცოდა წოდებრივი დაჯგუფებები, უფრო გმირი მზად არის ემსახუროს თავის კუთხისა და თემის დაცვას; მტრებთან ბრძოლისაგან და ვინც ამას არ სჩადის, ის ლაჩარია. თემი მას დიაცს უწოდებს და თავის წრიდან გარიცხავს. სამშობლოსა და თემის ერთგული გმირების სახელებს კი ხალხი შარავანდელით მოსაყვს. ვაჟას შემოქმედებაში ასეთ გმირთა სახეებია: სულა და კურდღელა, კვირია, ლუხუმი, ლელა, სანათა და სხვა მრავალი, რომელნიც მხოლოდ ქვეყნის დაცვის ინტერესებით ცოცხლობენ და რომელთაც ყოველივე პიროვნული უკუგდებული აქვთ.

ასეთი გმირების ეპოპეას წარმოადგენს ვაჟას ისტორიულ კანვაზე აგებული დრამატული პოემა „ზახტრიონი“. პოემის მასალად აღებულია როგორც ხალხური ლექსები, ისე „კალმასობიდან“ მწიგნობრული მასალა, რომლებიც ხალხის გმირობაზე მოგვითხრობენ. რაც შეეხება პოემის სიუჟეტს, ის პოეტის ფანტაზიის ნაყოფია. ვაჟა აღნიშნავს, რომ ხალხური თქმულება იძლევა ერთგვარ მასალას მეზობელი ტომების ურთიერთ მტრობის შესახებ. პოემა კი მათ შორის სოლიდარობის ფონზეა აგებული და მასში გამოხატულია სამშობლოს მტრების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის იდეა. ვაჟა აქ გარკვეული პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდა და მიზნად ისახავდა ქართველთა ეროვნული გრძნობის გაღვივებას. ამისათვის ის ქმნის როგორც გმირი მამაკაცების, ისე ქალების სახეებს, რომელთა შესახებაც არაფერი მოიპოვება არც ხალხურ თქმულებაში და არც მწიგნობრივ მასალაში. მათი უმრავლესობა ვაჟას ფანტაზიის ნაყოფია.

მთის ხალხის იდეალიზაციისა და მისი გმირული სულისკვეთების დასურათებას იძლევიან ვაჟას საუკეთესო ნაწარმოებები — „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვები. ჩამოთვლილი პოემები ვაჟას საუკეთესო ნაწარმოებებია მხატვრობითა და შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით. როგორც აღვნიშნეთ, ეს პოემები ეპიურ ტილოებს წარმოადგენენ, სადაც შესაძლებელი ობიექტიურობით შლის ვაჟა მთის ხალხის ცხოვრების რეალისტურ სურათებს, ასახავს ძველი პატრიარქალური ურთიერთობის რღვევასა და ინდივიდუალიზმის ვალეიდებას თემის ერთპიროვნული მთლიანობის შიგნით.

„გოგოთურ და აფშინა“ ვაჟას პირველი ეპიური ტილოა, რომელშიაც ვაჟამ გოგოთურის სახით გამოაქანდაკა თავისი იდეალური გმირი. იგი ბუმბერაზია, უძლეველი ძალის პატრონი, ბუნების შვილი, ქვეყნის ერთგული, მისთვის თავდადებული, მტრების მმუსრავე, პატიოსანი მშრომელი და განხორციელება მთიელი ხალხის სინიდისის, რომელიც არ არის შერყენილი ცივილიზაციის მსახვრალი ხელით. ვაჟა არ იშურებს ნიჭს თავისი იდე-

აღური გმირის გამოქანდაკებისათვის. ამ პოემაში მან გამოხატა მთელი თავისი სოციალური ფილოსოფია, მაგრამ აქ ვაჟა ჯერ კიდევ ვერცხვებს თემის რღვევის საკითხს, თუმცა არც ეს მოვლენა დაჩქარებულია და რღვევის პროცესი გამოხატა ისეთ ეპიურ ტილოებში, როგორც არის „აღუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძლობა“.

აღუდა ქეთელაური თემის ერთ-ერთი იმ გმირთაგანია, რომელმაც „ბეერ ქისტს მაპკრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი“. აღუდა თემის ნამდვილი შვილია. მისთვის ძნელია თემის წინააღმდეგ ვალაშქრება და იგი არც უპირისპირდება მას. აღუდა ცდილობს თავისი პიროვნული „მე“ ისე შეუთანხმოს თემურ წყობილებას, რომ ერთიცა და მეორეც შეუღლები დარჩეს. მაგრამ მასში მომწიფდა შეგნება თემის ზოგიერთი ველური ტრადიციის წინააღმდეგ და ის ქისტს აღარ მოსპრის მარჯვენას. აქ ხდება მისი ინდივიდუალობისა და კოლექტივის დაჯახება. თემის წინააღმდეგ გაბოროტებული აღუდა გაიძახის:

„მტრს მოკლავ, კიდევ არ ვავსტრ

მარჯვენას მაგათ ჯაბრითა.

„წესი არ არის მტრის მოკვლა,

თუ ხელ არ მასჭერ დანიოა“.

ვაი ვგეთას სამართალს,

მონათლულს ცოდვა-ბრალითა“

ასე შორდება პიროვნება და კოლექტივის გზები ერთმანეთს. თემი მოითხოვს პიროვნების სრულ დამორჩილებას, მის პირად „მე“-ს სრულ დახშვას. წარმოუდგენელია პიროვნების წინააღმდეგობა თემის მიმართ, ისეთ შემთხვევაშიაც კი, როგორც არის სტუმრის შეუვადლობის გარდაუვალ წესის დარღვევა. თემი დასჯის თავის წევრს ამ წესის დარღვევისათვის, მაგრამ თემი მოითხოვს მის დარღვევას, როცა ეს წესი ეჯახება თემის უფრო ძლიერ ტრადიციას — სისხლის აღებას. პიროვნება უძღურია თემის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღუდასაც და ჯოყოლასაც, როგორც თემის წესების დამრღვევთ, თემი დაპყმობს და მოჰყვეთს საერთო ოჯახს, მაგრამ ვაჟას სიმპატიები ამ დაგმობილი გმირების მხარეზეა. აღუდას და ჯოყოლას ტრავმების ვაჟა მთელი თავისი ორგანიზაციით განიცდის და მათ თანაუგრძნობს. ავტორი ყოველმხრივ დადებითად სახავს ამ გმირებს და უაღრესად განიცდის მათ გამოუვალ ტრაგიკულ მდგომარეობას. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა ტრაგიულობის ისეთი განცდა, როგორც მოცემულია ვაჟას ამ პოემებში. აქ ვაჟა, ცხადია, ინდივიდუალიზმის დაცვის საფუძველზე სდგას. როგორც დავინახეთ, ეს ვაჟას საერთო მსოფლმხედველობიდანაც გამომდინარეობს. ამიტომ შემცდარია ისეთი დებულება, რომელიც უარყოფს ვაჟას დგომას ინდივიდუალიზმის საფუძველზე. გმირების ტრადიციული დასასრული არ ნიშნავს, რომ ვაჟა გმობს მათ საჭი-

ელს. ინდივიდუალიზმის დაცვა საფუძველად უდევს სპენსერის მოძღვრებას, რომლის ორტოდოქსალური მიმდევარია ვაჟა, როგორც შობ-როვნე ისე შემომქმედი.

ვაჟა უტილიტარული და ტენდენციური ხელოვნების საფუძველზე სდგას. აღნიშნულ პოემებშიაც ვაჟამ გამოამჟღავნა თავისი ტენდენციურობა მაღალ მხატვრულ ფორმაში და არა პუბლიცისტურ ფორმაში. ასეთივე ტენდენციურობის მაღალ მხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს ვაჟას პოემა „ეთერიანი“, რომელსაც საფუძველად უდევს ცნობილი ხალხური „ეთერიანი“. ვაჟას პოემა დაწერილია 1890 წ. მასში ვაჟა ყველაზე უკეთ გამოხატავს თავის სოციალ-პოლიტიკურ კრედოს.

ხალხური „ეთერიანი“ არსებობს მრავალი ვარიანტით და მათ შორის ფშავეური ვარიანტითაც. უეჭველია, ვაჟაც ამ უკანასკნელ ვარიანტიდან გამომდინარეობდა. ყველა ამ ვარიანტისათვის დამახასიათებელია ერთი ძირითადი მოტივი და პოლიტიკური განწყობილება — ხიდნატეხილობის გამოხატვა მაღალ და დაბალ წოდებათა შორის. ხალხს ღრმად სწამს, რომ წოდებათა შორის აღმართულია უფსკრული, რომლის ამოვსება არ შეუძლია სიყვარულის თვით უძლიერეს გრძნობას, არც სააქაოს და არც საიქიოს. ხალხური „ეთერიანი“ გაშლილია რეალისტურ სახეებში და გამოხატავს ხალხის შეხედულებას წოდებათა შორის არსებულ ხიდნატეხილობის შესახებ.

იგივე იდეა საფუძველად უდევს „ოთარაანთ ქვრივს“, რომელშიაც ილია ქავჭავაძემ გამოხატა თავისი სოციალ-პოლიტიკური კრედო.

ვაჟას შემოქმედებითი მეთოდი არ არის საცესებით რეალისტური. მასში წამყვანია პოეტის რომანტიულ-სუბიექტიური განცდა, რომელიც რომანტიულად აფერადებს არსებულ სინამდვილეს. ვაჟა, გოდერძის სახით, „ეთერში“ ქმნის ისეთ იდეალურ სახეს, რომელიც, მიუხედავად თავისი სამეფო გვარეულობისა, სთმობს ყველაფერს — სამეფო ტახტს — და გამოეთიშება თავის მშობლებს. ამგვარად, ვაჟამ თავის „ეთერში“ ამოავსო წოდებათა შორის არსებული უფსკრული. ვაჟა ამჩნევს, რომ წოდებათა შორის ხიდი ჩატეხილია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას გამოხატოს მათ შორის ჩატეხილი ხიდის გამთელების შესაძლებლობა.

ხიდნატეხილობის პრობლემა 80-იან წლებში აქტუალური პრობლემა იყო. ამ დროს დაიწერა ილია ქავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“. იმავე წლებში „ჩატეხილი ხიდის“ სათაურით „ივერიაში“ დაიბეჭდა მოთხრობა. ამ ხანებში ვაჟას ეკუთვნის პუბლიცისტური წერილი, რომელშიაც იგი ეხება „ოთარაანთ ქვრივს“ და ხიდნატეხილობის პრობლემას. ამ წერილში ვაჟა სდგას ილია ქავჭავაძის ეროვნული მთლიანობის პოზიციაზე. ეს მან გამოხატა თავის პოემა „ეთერიანშიც“, რომელსაც საფუძველად უდევს წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის გამთელე-

ბის იდგა. მოაზროვნე და შემომქმედი ვაჟა აქ მთლიანობაშია მარცხებული. ამ თვალსაზრისზე იდგა ვაჟა ყოველთვის.

მაგრამ აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ვაჟასთვის არც კულტურული ტენდენციურობა იყო უცხო. როგორც ლირიკაში, ისე პუბლიცისტურ და მხატვრულ პროზაშიაც, განსაკუთრებით მისი შემოქმედების მეორე პერიოდში. პუბლიცისტური ტენდენციურობა ვაჟას შემოქმედებაში გამოწვეულია პოლიტიკური სიტუაციის გამძაფრებით და კლასთა ბრძოლის გამწვავებით, რომლის მიმართ ვაჟას გარკვეული პოზიცია ეჭირა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ვაჟას შემოქმედებას არ ახასიათებს მისთვის ჩვეული ძლიერი პოეტური გზნება. ვაჟას ასეთი ლექსები მრავალ შემთხვევაში ალევგორიული მანერითაა დაწერილი და წარმოადგენს ამბის უშუალო გაღიქმებას, ვიდრე მხატვრულ შემოქმედებას. ასეთია ვაჟას ლექსები „ბაყაყის სიმღერა“, „დათვის ტირილი“, „ექსპროპრიატორის სიმღერა“, „თმაგრძელა-ჭკუათხელა“ და სხვა სიმღერები, რომლებშიაც ვაჟა ამჟღავნებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას რევოლუციური მოძრაობისადმი.

პოემა „მთათა ერთობაში“ დაპირისპირებულია ორი ერთობა: ერთობა მთებისა და ერთობა ბარისა. ბარი ამოქმედებულია ძმობისა, ერთობისა, თანასწორობისათვის. პოემა მოკლებულია ფაბულას. მისი შინაარსი იშლება მთების (იალბუზი, მყინვარი, ბორბალო და სხვა) დიალოგის ფონზე. მთებს აწუხებთ ბარის მდგომარეობა, სურთ მისი დახმარება, მაგრამ არ მოსწონთ ის ერთობა, რომლისთვისაც ბარი იბრძვის. იალბუზი შემდეგნაირად მიმართავს ელჩებს:

„ხმა ერთობისა შაგვესმა,  
გამოგზავნილი ბარითა,  
ბალახი, ტყე და ლოდები  
იმსკვალვის ამა მსკვალვითა,  
ქორნი, არწიენი, ყორნები  
ნეტავ გვაჩვენა თვალთა.  
ისინიც ერთობისათვის  
თითქმის არიან ძალითა

მგლებიც ერთობას ღმერთად  
ნებსითად თავის ჯარითა.  
მთელი ბუნების ლაღადმა  
ჩვენც ჩაგვაფიქრა ყველანი.  
რად დავრჩეთ სხვებზე უკანა,  
აზრით, მშვენებით, ქებულნი!  
როგორღაც გვეჩოთიობა  
რომ ვიყვნეთ გამოკლებულნი“.

აქ თითქმის თანავრძობის ნოტები მოისმის. მაგრამ მთები არც თუ ისე ვრძობიერნი არიან, რომ დახმარება გაუწიონ მოძმეს ისეთ საჭმეში,

რომელიც არ ეთანხმება მთაში განბატონებულ ბუნებრივ წესრიგს. მტების  
საერთო აზრს ისევე იალბუში გამოხატავს თავის გრძელ მონოლოგში:



ვარკენელი  
გიგლიძისძე

„ერთობის ცნობა მთათ შორის  
მანია უხმარ ბარგადა,  
ერთხელ რაც ძალა შეგვძინა  
ღმერთმა იმავე თავითა,  
მას ვერც შევმატებთ. ვერც შევკვეთ  
ვერც ხეწნით, ვერცა დავითა.

მე მგლებს ვერ გაწყავებთ, ვერც ვეფხვებს,  
მომერგებიან შეილადა,  
თუმც მაგაერებენ ბევრგელა.

მე ვერ მოვიტომენ, არწიენი,  
ჭორები ვისწყდენ . . . . .  
როცა არწივი მიმოჰჭრის,  
მე ვერ მივიღებ ცივადა,  
შემომთამაშებს თვალწარბში,  
სამურია ფერიდა“.

მთები ერთსულოვანი არიან. მათ თათბირს ამ საკითხში დასკვნას  
უკეთებს ბორბალო, რომელსაც არ მოსწონს ადამიანთა საზოგადოების  
წესრიგი:

„ღმერთმა გვაშოროს, მოვიქცეთ  
ჩვენც ადამიანთ გვარადა:  
თუ ერთმა მეორე ერთ  
დაიპურო, დაიმონავა,  
გაინადგურებს, გააქელავს,  
არ შეიბრალებს ოდნავა:  
ვინ მოსთელის უსამართლობას  
საწყალს დამართებს რამდენსა!  
ღმერთმა გვაშოროს, არ ვიზამთ  
ჩვენ მაგისტანა საქმესა!“

პოემის დედა აზრი გამოხატავს იმას, რომ მთებში არსებული წესრიგი  
და ერთობა ბუნებრივია და ღმერთისაგან დანაწესი, ამიტომ ის ბარისა-  
თვისაც სანიმუშო უნდა იყოს. მთების რჩევა ბარისათვის მოცემულია ამი-  
რანის შემდეგ სიტყვებში, რომლის ხმა კლდიდან მოისმის:

„გველამ თავის თავს უშველოს,  
ყოფნამ სხვის შველის ამარა  
მე არა მარგო. ნალველმა  
მოლოდ გულმკერდი დაღარა.  
ძალის შეძენა გვიშველის

მეც და სხვას, ვინაც ტანჯულა,  
 მართლა თუ უსამართლოდა  
 სხვა არა გამოჩნხულა,  
 მის გარდა საშუალება,  
 როგორც მიცნია სოფელი.  
 ხომ ხედავთ, რა ყოფაში ვარ,  
 ქვეყნის კეთილის მყოფელი,  
 ხალხისთვის თავდადებული,  
 როგორც შეილი თვის მშობელი?!“



ამგვარად, პოემის ანალიზი ცხადპყოფს მის პუბლიცისტურ ტენდენ-  
 ციურობას, მისი მხატვრული მხარე სუსტია. ის მხოლოდ ამბის უბრალო  
 გალექსვას წარმოადგენს. ასეთივეა პოემა „ქაოს და ქართლოს“, რომელ-  
 შიაც ვაყამ გამოხატა ნაციონალისტური ინტელიგენციის შეხედულება  
 სომეხ-ქართველთა ისტორიულ ურთიერთობაზე. ეს პოემა არც იდეურად,  
 არც მხატვრულად არაფერს მატებს პოეტის შემოქმედებას.

ყოველივე შემოთქმული ვაყას შემოქმედების შესახებ ნათელყოფს იმ  
 გარემოებას, თუ რამდენად მოკლებულია საფუძველს შეხედულება ვაყის  
 აპრლიტიკურობის შესახებ. ვაყა უფარესად პოლიტიკურია როგორც მო-  
 აზროვნე და შემოქმედი. საკმარისია ოდნავ გადავაჯლოთ თვალი ვაყის  
 რეალისტურ პროზას, სადაც იგი სოფლის სურათებს შლის, რომ ვაყას  
 შემოქმედების ამ სფეროს მაგალითებზედაც ცხადი გახდეს აღნიშნული  
 დებულების სისწორე. თავის რეალისტურ პროზაში, რომელიც მეტწილად  
 ნარკვევის ხასიათისაა, ვაყამ კიდევ უფრო პოზიტიურ ფორმაში გამოხატა  
 თავისი მსოფლმხედველობა. ასეთია მისი „სოფლის სურათები“. აქ ვაყა  
 იძლევა თავისი დროის სოფლის სურათს, მიუთითებს მის წამოჩენილო-  
 ბასა და უვიცობაზე, ილაშქრებს სოფლის იმ ძალების წინააღმდეგ, რო-  
 მელიც მეტბოროცი არიან, და იძლევა ისეთ დადებით სახეებს, რომელ-  
 ნიც მალაშოდ უნდა დაედონ სოფლის ცხოვრებას.





ქართველნი  
განვლიერთნი

ლევან ასათიანი

## ვაჟა-ფშაველა

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ვაჟა-ფშაველამ სამუდამოდ დაკეცა თავისი არწივის ფრთები.

ფშაველებმა წრეულს ალბათ მეოცე „საკარგყმო“ დალიეს თავის ღრეობებზე ვაჟას მოგონების დროს და ფანდურზე დაამღერეს მისი გმირული ლექსები.

ვაჟა-ფშაველა მთის ნიაღვარის მქუხარებით მოიჭრა ქართულ ლიტერატურაში. მან მოიტანა თან არაჩვეულებრივი მგზნებარე ტემპერამენტი და მანამდე უცნობი, სრულიად ორიგინალური ხმა, და პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა საქართველოზე — ეს იყო გაოცება და უდიდესი აღტაცება.

ჰაინეს სიტყვებია, რომ ჰემზარიტი ტალანტი პირველადვე ლომის ბოკვერს შობს და არა კატის კნუტსაო.

ვაჟა-ფშაველამაც თავისი პირველივე პოემებითა და ლექსებით საპატიო ადგილი დაიკავა მაშინდელ ქართველ მწერლებს შორის.

როდესაც ვაჟა მოვიდა, ქართულ ლიტერატურაში მას დახვდა ორი გოლიათი — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ესენი ამ დროს თავისი საზოგადოებრივი და ლიტერატურული დიდების ზენიტში იყვნენ.

ილიამ პირველმა შეაფასა ახალგაზრდა ნიჭის განუზომელი სიღრმე. მან პირველმა უწოდა მას გენიოსი. ილიასვე მიაწერენ მეტად ნიშნულ სიტყვებს, რომ ესლა ძველებმა კალამი უნდა ძირს დავდეთ და გზა ვაჟას დაუთმოთო.

არც აკაკიმ დაიშურა ვაჟასთვის ქების სიტყვები. მან ლექსიც კი უძღვნა მთის პოეტს და უწოდა მას „მარგალიტების მთესველი“.

მაგრამ განსაკუთრებული დაფასება და სიყვარული ვაჟას წილად ერგუნა თავისი ხალხისაგან. ეს ითქმის განსაკუთრებით საქართველოს მთაზე, სადაც იშვიათია მწყემსი, მხედარი, თუ მიწის მუშაკი, რომ არ მღეროდეს ვაჟას სიმღერებსა და პოემებს. მან ხალხურ შემოქმედებაში ნაპოვნი საუნჯეები ახალი პოეტური ბრწყინვალებით ისევ ხალხს დაუბრუნა და ამით შეასრულა წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლითაც იგი მიმართავდა თავის მშობლიურ ქედებს და მის კალთებზე ამოსულ ბალახებს:

„თქვენგანა გულობს ეს გული  
შიგ გრძობა უდღეს ღვათინი.  
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ  
ღლიან-ბარაქიანი...  
მეც მიგმებავ იგი რძე,  
რითაც თქვენ დაიზარდენით,  
თქვენავე გარგებთ, დობილნო,  
თუ უხვად დაიხარჯენით“.



იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაში პოეტი, რომლის ბიოგრაფია იმე ჩაქსოვილი იყოს მის შემოქმედებასთან, როგორც ვაჟასი.

ვაჟა-ფშაველა თავისი პირადი ცხოვრებით დაკავშირებულია იმ მრისხანე მთის ბუნებასთან, რომელიც მუდმივ ფონს წარმოადგენს ყველა მისი პოეტური ნაწერისათვის. მივარდნილი მთების პრიმიტიულ და პატრიარქალურ ყოფის გარემოცვაში, მიუწვდომელ ჭიუხებისა და უძირო ხეობათა შორის, ვაჟამ შეგნებულად გაატარა თავისი ადამიანური და შემოქმედებითი ცხოვრების საუკეთესო წლები. და ის ცხოვრობდა იქ, ჩვეულებრივი მთიულის ცხოვრებით. ისე, როგორც მისივე მეზობელი ფშავები და ხევსურები, როგორც მისი პოემების ზეიადი გმირები: ალუდა ქეთელაური და ძაღლიკა ხიშიკაური, ბრძენი მინდია და გმირი გოგოთური, ლუხუმი და ზეზევა, ზეიადური და ქისტეი ჯოყოლა.

ვაჟა-ფშაველას ამ „გაქცევას“ ქალაქური, კაპიტალისტური ცივილიზაციისაგან — მიუვალი მთების პირველყოფილ თემობრძე წყობილებისაკენ, ჰქონდა თავისი ღრმა მიზეზები. მისი ახსნა უნდა ვეძებოთ უმთავრესად ვაჟას მსოფლმხედველობასა და იმ პოეტურ თავისებურებაში, რომელიც მას ახასიათებდა და გამოარჩევდა მის თანამედროვე მწერლობისაგან.

ყოველ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველასათვის კარგად იყო ცნობილი ყველა ის კულტურული სიმაღლეები, რომელიც კაცობრიობას შეექმნა თავისი მრავალ ათასეული ისტორიის მანძილზე.

ვაჟა-ფშაველას საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული. საშუალო სასწავლებელი მან გაათავა ჭალაქ გორში, შემდეგ ის, როგორც თავისუფალი მსმენელი, ლექციებს ისმენდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. სამშობლოში დაბრუნებული ერთხანს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი საუცხოოდ იცნობდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ლიტერატურას, თანამედროვე ფილოსოფიურ და პოლიტიკურ იდეებს. პირველ ხანებში მონაწილეობდა ხალხოსნურ წრეებში და ნაროდნიკულ იდეებით გატაცებას ამჟღავნებდა თავის შემოქმედებასა და აგრეთვე პუბლიცისტურ და ეთნოგრაფიულ ხასიათის ნაწერებში. პოეტებში მას ხიბლავდენ

„ვეფხისტყაოსნისა“, „ჰამლეტისა“ და „ფაუსტის“ ავტორები, თავის პოეტურ წინამორბედათ კი იგი სთვლიდა და ავით გურამი შევიდა.

შაგრამ ვერც პოლიტიკურმა მოღვაწეობამ, ვერც ბუნებრივად ქალაქის კულტურამ, ვერც რედაქციებმა და მუზეუმებმა და ექსპოზიციონერმა კარიერამ ვერ მოხიბლეს ვაჟა-ფშაველას გული. მან ქალაქს გაჩირალდნებულ ელექტრონებს გორის ფხაზე შემომჯდარი მთვარის შუქი არჩია, ასფალტიან ქუჩებს — დეკითა და ღვიით დაფარული სამშობლო მთები, თეატრალურ სპექტაკლებს ხეცურთა ღრეობები და ფარიკაობა, სიმფონიურ კონცერტებს — ფანდურის სიმების ჩუმი ელერა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მან მიაშურა თავის მთებში მივარდნილ სოფელ ჩარგალს და იქ პაწია, ღარიბულ ჭოხში გაატარა ცხოვრების 27 წელიწადი: ის ცხოვრობდა ისე, როგორც ყველა ფშაველი: ხნავდა, თესავდა, ნადირობდა, დადიოდა ხატობაში, სვამდა ლუდსა და ამღერებდა ფანდურზე.

ის ღარიბი იყო, როგორც ფიროსმანი, და როგორც უკანასკნელს არ გააჩნდა საღასარი ტილოსა და საღებავის შესაძენად თავისი გენიალური სურათებისათვის, ისე ვაჟასაც ხშირად არ ჰქონდა ფული, რომ ეყიდნა ნავთი ლამფის ასანთებად, და ბევრი ლექსი და პოემა მას დაწეროილი აქვს კერიის მკრთალი ცეცხლის შუქზე.

წელიწადში ორჯერ იგი ჩამოვიდოდა ტფილისში და ხურჯინით, საგზალთან ერთად, ჩამოიტანდა თავის ახალ ლექსებს. უკანასკნელად იგი ჩამოვიდა 1915 წლის გაზაფხულზე, ავადმყოფი, უკვე ნახევრად მოხუცებული. ეს იყო უკანასკნელი ჩამოსვლა, რადგან მას აღარ ელირსა თავის საყვარელ მთებში დაბრუნება.

ვაჟა გარდაიცვალა ცხელი ზაფხულის დღეს, მონატრული მთის გრილი ჰაერის და კლდიდან გამონაჩქერი ნაკადებისა. ის წაგაგდა მის ლექსში აღწერილ შეუბოვარ ვეფხს, თავის მძლავრ ტოტზე მომკვდარს.



80-იანი წლები, როდესაც ვაჟა-ფშაველა გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, მეტად დუბჭირი პერიოდი იყო საქართველოს ცხოვრებაში. პოლიტიკურად ეს იყო დრო რუსეთის თვითმპყრობელობის მძვინვარებისა ჩვენს ქვეყანაში, ისე, როგორც ყოფილი იმპერიის ყველა განაპირობებარეებში. რუსული ცარიზმი სდევნიდა ქართულ ენას, შკოლას, იგი ცდილობდა ჩაეხშო ქართველ ხალხში ყოველგვარი ნასახი ეროვნული თვითცნობიერებისა.

ეკონომიურად ეს პერიოდი ხასიათდება კაპიტალიზმის ინტენსიური განვითარებით, ფეოდალური ურთიერთობის დაშლით, ბატონ-ყმობის უღლისაგან განთავისუფლებული გლეხობის ფენებად დაყოფით. ვაჟას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამ დროს დატანგული ხმალი „გორდაი“ გვერდზე

იყო გადადებული და „ჩოთქი“ და „არშინი“ ბატონობდა ცხოვრების ასპარეზზე. მრეწველობისა და სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ამ დროს ჩვენში ისახებოდა და ძლიერდებოდა მსწრაფი კლასი, ყალიბდებოდა მისი კლასობრივი-რევოლუციონური ჩღვრისკენი.

ამ საზოგადოებრივმა და ეკონომიურმა პროცესებმა თავისი გამოხატულება პპოვეს ქართულ ლიტერატურაში. დანიელ ჭონქაძემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ეგნატენინოშვილმა და სხვებმა მკვეთრად ასახეს თავისი დროის სინამდვილე და ის სოციალ-პოლიტიკური იდეალები, რომელიც ჰკვებავდა ჩვენს კლასებად და წოდებებად დაყოფილ საზოგადოებას.

ვაჟა-ფშაველასათვის, როგორც ხალხოსნურ იდეებზე აღზრდილ ადამიანისათვის, ახლობელი და გასაგები იყო როგორც ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ზრახვები, ისე პოლიტიკურად დაბეჩავებული და ეკონომიურად წელში გატეხილი ქართველი შრომელი ხალხის სულისკვეთება. იგი პრაქტიკული ცხოვრებით და აგრეთვე შემოქმედებით, — პირველ ლიტერატურულ გამოსვლისთანავე, — შეებრძოლა ყოველგვარი სახის ძალმობრეობას, პოლიტიკურ და სოციალურ უსამართლობას.

ეს კონფლიქტი საზოგადოებრივ გარემოცვასთან და ძლიერი პროტესტის სული მან გადაიტანა თავის ლირიკულ ლექსებში, რომელთა უმეტესობის მთავარ მოტივს შეადგენს დაბეჩავებული სამშობლო ქვეყნის მდგომარეობის ალგორითულ ფორმებში გამოხატვა.

თავის ერთ საუცხოვო პატარა ლექსში ვაჟა-ფშაველამ მშობლიური ქვეყანა შეადარა დაჭრილ და ფრთამოტეხილ არწივს, რომელსაც გულზე ჭრილობიდან ნაკადთ ვადმოდის სისხლი. მას ესევიან ყვაფ-ყორნები, მაგრამ დაჭრილი ფრინველი მაინც გაშმაგებით ებრძვის თავის მტრებს.

ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებსა და სიმღერებში აღრმავებს პატრიოტული ლირიკის იმ ხაზს, რომლის სათავეები დავით გურამიშვილის შემოქმედებაში უნდა ვეძებოთ და რის საუკეთესო წარმომადგენლებად მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში ითვლებიან ნიკო ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ოთხივე ამ წინამორბედ პოეტთან იგი ნახულობდა უდიდეს შემოქმედებითი ნათესაობას. ამიტომ იყო, რომ ვაჟა-ფშაველამ თითოეულ მათგანს უძღვნა შესანიშნავი ლექსები, სადაც მან გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ პოეტებისადმი და მასთან ერთად აგრეთვე აღნიშნა თავისი საპატრიო ადგილი იმ პოეტურ ხუთეულში, რომელიც სამართლიანად ითვლება ქართული პოეზიის, მთავარ დასაყრდენ ბურჯებად.

მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედებისა და ცხოვრებისათვის გადამწყვეტი იყო მაინც მისი „ურყოფა“ კაპიტალისტური სისტემისა და მის წიაღში აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობის. უნდა

ითქვას, რომ მის მიერ ბურჟუაზიული სამყაროს „არ მოიღება“ კონფლიქტი ბურჟუაზიულ ცივილიზაციასთან, გამოწვეული იყო არა მუშათა კლასის იდეურ პოზიციებზე დგომით, ამ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველას ისტორიულად განწირულ თემურ-პატრიარქალური წყობილების წინააღმდეგობის შეგნებიდან გამომდინარე.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მთავარ მომენტს შეადგენს ბრძოლა თავისუფალი პიროვნებისათვის, ბრძოლა შეუზღუდავ ადამიანობისათვის, მაღალი მორალისა და რწმენისათვის, და ასეთი შინაგანი თავისუფლებით, შეუბღალავი და მთლიანი ხასიათით აღჭურვილი ადამიანების პოვნა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ვაჟას შეუძლებლად მიიჩნდა. ეს ადამიანები, კაცობრიობის დიდი მორალურ იდეალების ტვირთვას რომ შესძლებდნენ, ვაჟა-ფშაველას ეგულებოდა პირველყოფილ თემურ წყობილებაში, იქ, სადაც ადამიანი შედარებით თავისუფალი იყო ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ურთიერთობის შემბორკვე პირობითობისაგან. ეს საზოგადოებრივი არე ვაჟა-ფშაველამ, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობის ადამიანმა, საქართველოს მთაში იპოვა, და მან, როგორც პოეტმა იმავე მთას და მთის ხალხს მიმართა პოეტური შთაგონებისათვის.

ეს მობრუნება მთის თემობრივი სოციალური გარემოცვისაგან და ხალხური პოეზიის ძირებისაგან, გარდამწყვეტი იყო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. მან იპოვა თავისი თავი როგორც პოეტმა, როგორც თავისუბურმა, შეუდარებელმა და ზეიადმა შემოქმედმა სტიქიამ.

ვაჟა-ფშაველას სიძლიერე მის ეპიკურ პოემებშია. მან, როგორც ჰომეროსმა დააგროვა ხალხური ძველი თქმულებები და საგმირო ამბები და შექმნა ახალი გმირული ეპოსი, სადაც მოცემულია მონუმენტალური ფიგურები თავისუფლებისა, მეგობრობისა და სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანების.

თუ ნიკო ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა „ქართლის ცხოვრებაში“ და საქართველოს ისტორიულ წარსულში ნახეს შთაგონება თავისი პოემებისათვის, ვაჟა-ფშაველამ საქართველოს მთის საგმირო ეპოსში იპოვა დაუსრულებელი მარაგი პოეტური გზნებისათვის. მაგრამ ეს იყო აქტიური შემოქმედის მისვლა ხალხის გულთან; იგი თავის „საკუთარ სულიერ ქურაში“ აღნობდა ხალხის ნათქვამ გულგებრყვილო ამბებს და ამ ნედლი მასალისაგან ქმნიდა ეპიკური პოეზიის შედეგებს. „უნდა ყველამ კარგად იცოდეს, — სწერდა ამის შესახებ ვაჟა ერთ თავის კრიტიკოსს, — რომ ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოევა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბი-

ნას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელმწიფურ წარმოებათ ჩაითვლება“.

ქართული პოეზიის შედევრებს წარმოადგენენ ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელი“, „სტუმარ მასპინძელი“, „აღუდა ქეთელაური“<sup>1</sup>, „მასტრონი“, „გოგოთურ და აფშინა“ და მრავალი სხვა, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევს.

ამ უდიდესი პოეტური ექსპრესიით დაწერილ, უბადლო მხატვრული სახეებით მოქარგულ და ბუნების გულწარმტაც სურათებით შემკულ სურათებში მოცემულია კულტი გმირობის, რაინდობის, თავისუფლების, ამხანაგური სიყვარულის, სამართლიანობის, გულუხვობისა და სამშობლოსათვის თავდადებისა.

„სტუმარ მასპინძელ“<sup>2</sup> — ში ვაჟა-ფშაველა გვიხატავს ორი გმირის — ხევსური ზვიადურისა და ქისტის ჯოყოლას ტრაგედიას.

ზვიადური, მესჩხლე ქისტებისა, მთებში გზადანუელი, ესტუმრება ქისტ ჯოყოლას. სტუმართმოყვარეობის ადათის მიხედვით ქისტი პატივით მიიღებს უცხო ვაჟაკს, გაუმასპინძლდება და მოასვენებს თავის სახლში. მაგრამ ქისტები გაიგებენ ხევსურის მოსვლას მათ სოფელში. ისინი მოითხოვენ ჯოყოლასაგან ზვიადურის გაცემას, რომ სისხლი აიღონ ხევსურთა მიერ ამას წინეთ მოკლული ქისტი ვაჟაკისათვის. ჯოყოლა უარს ამბობს სტუმრის გაცემაზე, — ეს ეწინააღმდეგება მის ვაჟაკურ და რაინდულ ბუნებას. მაგრამ თემი თავისას თხოულობს. ჯოყოლა ხანჯლით ხელში შეებრძოლება თავის სოფლელებს და ერთ მათგანს კიდევ მოჰკლავს.

ზვიადური მიჰყავთ და ადათის მიხედვით ჰკლავენ მიცვალებული ქისტის საფლავზე. ზვიადური, როგორც შეუპოვარი ვაჟაკი, უშიშრად ხვდება სიკვდილს.

ჯოყოლა, ურჩობისა და თემის ადათის დარღვევისათვის ირისხება თემის მიერ. მაგრამ იგი მაინც არ ტყდება და სურს დაუმტკიცოს თავის თანამოძმეებს, რომ მათზე ნაკლებად არ უყვარს თავისი ქვეყანა და მშობლიური თემი. ზვიადურის მოკვლისათვის შურის საძიებლად მოსულ ხევსურებს იგი ებრძვის მარტოდ-მარტო, თემისაგან განცალკევებით და იღუპება. ასეთია ჯოყოლა. იგი თავის რწმენას არ ღალატობს და ეწირება მეგობრობას და სტუმარ-მასპინძლობის ვაჟაკურ წესს.

ასეთივე რაინდული თვისებებით არის დაჯილდოვებული ხევსური აღუდა ქეთელაურიც (პოემა „აღუდა ქეთელაური“). იგი მოჰკლავს ქისტების განთქმულ ვაჟაკს — მუცალს. მაგრამ აღუდა მოხიბლულია მუცალის გულადობით და შეუპოვრობით. ადათისა და ძველი წესის მიუხედავად იგი „ლილველ მგელს“ არა სჭრის მარჯვენას, რადგან:

„ი აცხონებულს მუცალს  
რკინა სდებიყო გულად“.

აღუდა ქეთელაური ხელცარიელი ბრუნდება შინ, მას არ მოაქვს მოკლული მტრის მარჯვენა. სოფელი მას დაცინვითა და წყრობით ხედება ადათის დარღვევისათვის. სოფელი ექვს გამოსთქვამს ყვეფეყვეფე ფიქრობს, რომ იგი გამოექცა მუცალს; მაშინ ხევსური მანძილს ქაღალუდას სოფლის წყრომისაგან. იგი მიდის მკვლელობის ადგილას, რომ დაარწმუნოს ხალხი აღუდას სიმართლეში. მინდია ჩქარა ბრუნდება და თან მოაქვს მუცალის ხელი. ეხლა უკვე ყველას სჯერა, რომ აღუდა გმირია და მართალს ამბობდა; აღუდას შიართმევენ მუცალის ხელს, როგორც მის კუთვნილ ნადავლს. მაგრამ აღუდა გაჯავრებულია. იგი უარს ამბობს ხელის წაღებაზე. მის გულს დარდად დარჩენია ვაგაკი ქისტის სიბრალული. მას არ მოსწონს თემის მიერ ადათად მიღებული წესი მოკლული მტრისათვის ხელის მოჭრისა, იგი მწუხარებით დასცინის ამ ადათს და ამბობს:

„ვი ვეფთას სამართალს  
მონათლულს ცოდეა-ბრალითა“.

აღუდა ეწინააღმდეგება თემის ჩვეულებას, მაგრამ ის კიდევ შორს მიდის. მუცალის გმირობით მოხიბლულს აღუდას გადაწყვეტილი აქვს ზვარაკი შესწიროს ქისტის სულის მოსახსენებლად. ეს კი მეტისმეტად მიაჩნიათ მის თანამოძმეებს. ხევის ბერი ბერდია უარს ამბობს დაკლას აღუდას მიერ ზვარაკად მოყვანილი კურატი, რადგან მუცალი ქისტია და ურჯულო. ქრისტიანს კი არ შეფერის ურჯულოსათვის ლოცვა. მაშინ:

„გაჯავრდა ქეთელაური,  
ფერი დაიდვა მგლისაო,  
ხელი დაიჭრა ფრანგულსა,  
შუქი ამოხთა მზისაო,  
უქნივა მოზვერს ქედზედა  
თავი მიგორავს ძირსაო“.

აღუდა თავისი ხელით სწირავს ზვარაკს „მოუნათლავ გმირის“ მუცალის დასალოცვად. ამ ადათის შებღალავს კი ველარ ითმენენ ხევსურები. აღუდას რისხავენ თავისი წრიდან, უნგრევენ სახლკარს, ართმევენ ქონებას. მაგრამ აღუდას გული ფოლადისაგან არის ჩამოსხმული, იგი ვაუტყხავია და მტკიცე ხასიათის, — მიუხედავად თემის რისხვისა, იგი მაინც არ ურიგდება ძველ ადათებს და გაჯიუტებული შორდება თავის მშობლიურ სოფელს.

ასეთივე მონუმენტალური და ზვიადი ფიგურები ჰყავს დახატული ვაჭა-ფშაველას თავის სხვა პოემებშიც: ასეთებია გოგოთურ და აფშინა, ლუხუმი და ზეზვა, ძალღიკა ხიმიკაური და გიგლა, თორღვაი და გველის მჭამელი მინდია.

თუ მთას და მის თემობრივ წყობილებას არჩევს ვაჭა, ეს იმიტომ რომ აქ ბართან (ფეოდალურ და კაპიტალისტურ ურთიერთობასთან) შე-

დარებით უფრო არის შენახული პიროვნების თავისუფლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟა და მასთან ერთად მისი გმირებიც კედს იხრიდნენ თემისა და მთის ძველი, უსამართლო ტრადიციების წინაშე. პირიქით, ვაჟას პოემების გმირები აჯანყებულნი მუშაკების წინაშე აღმშობებებს წარმოადგენენ. ისინი ებრძვიან გაყინულ, შემშუთვევლ ტრადიციებსა და ცრუმორწმუნეობას, — ისინი ებრძვიან უსამართლობას და სამშობლოს მტრებს და ავტორის სიყვარული და სიმპატიებიც სწორედ ამ მშფოთვარე და უშიშარ გმირების მხარეზეა. ეს გმირები დიდი მორალური იდეალების მატარებელი ადამიანები არიან, ისინი იბრძვიან სამართლიანობისა და კაცობიერებისათვის, შინაგანი ინდივიდუალური, ზნეობრივ თავისუფლებისათვის და თუ ამ დროს მათი კეთილშობილი სულისკვეთება და რაინდული რწმენა წინააღმდეგობაში ვარდება თემისა და ოჯახის მიერ შექმნილ ტრადიციებისა და პრინციპების მიმართ, — ისინი უკან არ იხევენ და შეუღრეკელი გულით ხედებიან ბედის განწირვას, — ისე როგორც მათი სამშობლო მთების სალი კლდეები — მეხთა ტყრციალს.

ხასიათით ისინი უფრო პრომეთეებს ჰგავან, ვიდრე ჰამლეტებს, ისინი სტოიკოსები არიან და სპარტანელები გულით, მათი სული ასეთი დიდი პიროვნული და საზოგადოებრივი კოლიზიების დროს კი არ იღუნება, არამედ მტკიცედ და ურყევად სდგას, ან სრულიად იმსხვრევა. აქედან გასაგებია ის ტრაგიულობაც, რომლის ბეჭედსაც ატარებენ ვაჟას პოემის გმირები. ისინი უსწორო ბრძოლაში ტიტანებივით იღუპებიან, მაგრამ იდეურად და პიროვნულად გამარჯვებული რჩებიან.

ვაჟა-ფშაველას ჰქონდა უდიდესი გრძნობა კომპოზიციის, ხალხურ მართე თქმულებებს იგი აძლევდა საოცარ სიუჟეტურ სიმბაფრეს და დრამატულ დაძაბულობას.

მისი პოემებისა და სიმღერების მუდმივ ფონს წარმოადგენს, როგორც ვთქვით, მთის მრავალფეროვანი ბუნება. და ამ ბუნების გამოხატვაში ვაჟა იჩენს უბადლო ოსტატობას. ამ მხრივ იგი მიუწევდომელ მწვერვალს წარმოადგენს ქართულ პოეზიაში და სრულიად განსაკუთრებულ მოვლენასაც მსოფლიო ლიტერატურაში.

ვაჟა-ფშაველამ, როგორც მისი პოემის „გველის მჭამელი“-ს გმირმა მინდიამ, რომელმაც ქაჯების ტყვეობაში დაპყრო თორმეტ წელიწადს და ისწავლა გულთამხილავობა, იცის იღუმალი ენა თავისი მშობლიური მთების, ხევების, წყლების და მცენარეების.

არავის ქართულ პოეზიაში, გარდა გრ. ორბელიანისა მის ზოგიერთ ლექსებში, არ უჩვენებია ჯადოსნური და თვალის მომჭრელი სილამაზე ჩვენის მთების ბუნებისა. ვაჟა თავის პოემებში არჩვეულებრივი გრძნობით და განცლით გვხატავს მას და მუდამ უბრუნდება ისევ, თითქოს ვერ ძლება მისი სიმშვენიერით. იგი მომზიბლავი ფერადებით აგვი-

წერს ამ მთის ბუნებას იმ სახით, როგორც იგი ეჩვენება მას არაკრეულებრივად მახვილ პოეტურ მზერას, წელიწადის სხვადასხვა დროს — გაზაფხულსა და ზაფხულზე, შემოდგომასა და ზამთარში, დიდძალ და მარტოობაში, მზიან დღეში და ბნელი ღამის ბურუსში — თითქმის ყოველმხედრობაში, რომ უფრო მეტი და მეტი საღებავები გადმოიღოს მათგან და შეამკოს თავის პოეტური შედეგები.

ვაჟას ახასიათებს ენერგიული და ლაპიდარული გამოთქმა, იგი შეუდარებელი ოსტატია მეტაფორის, ეპიტეტის, სახის. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთ მთავარ ხერხს ვაჟას შემოქმედებაში წარმოადგენს პოეტური მხატვრული სახე.

ვაჟა თავის პოემებსა და სიმღერებს შეგნებულად სწერდა მთის დიალექტზე. აქ არას მისი ორიგინალური, თავისებური სიმღერე და არა სისუსტე, როგორც ფიქრობდა ზოგი, აქაი მას უწოდებდა „მარგალიტების მთესველს“ და ამავე დროს უწუნებდა ენას, რადგან ვაჟა ფშაურ კილოზე სწერდა, რაც აქაის აზრით დაუშვებელი იყო. მაგრამ ვაჟა-ფშაველასათვის ამ ფშაური დიალექტის გამოყენება ეპოსსა და ლირიკაში შეგნებულ პოეტური ხერხი იყო, რადგან ეს ოდნავ არქაული, ძველი ქართულის მსგავსი კილო რაღაც ტრაგიულ პათეტიურობის ტონს აძლევდა მის გმირულ პოემებსა და ლირიკულ სიმღერებს. აქი სწერდა კიდევ იგი თავის საბასუხო ლექსში აქაის, რომ: „ენა მთისაა სიმტკიცით, მსგავსია კლდისა საღისა“-ო, და სწორედ ეს ენა შეეფერება ჩემს პოეტურ მეტყველებასო. იგი შეგნებულად ხაზს უსვამდა ამ გარემობას, თუნდაც იმით, რომ თავის პატარა პროზაულ თხზულებებს („შელის ნუკრის ნაამბობი“, „ქუჩი“, „ხმელი წიფელი“, „მთანი მალაღნი“) სწერდა კლასიკური ქართული ლიტერატურული ენით და არა დიალექტით. ეს პროზაული ნაწერები, როგორც ნიმუშები ქართული ენის პარმონიული მეტყველებისა, შესული არიან ქართულ ლიტერატურაში, როგორც სამაგალითო საუნჯე. და მართლაც, უნდა ითქვას, რომ ვაჟას ეპიური პოემები წარმოდგენილია ჩვენთვის ფშაური დიალექტისა და ხალხური შაირის გარეშე. ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანი“ თექვსმეტ მარცვლოვანი მეტრის გარეშე, ან „ილიადა“ უკვე ზამეტროთ.

ვაჟა-ფშაველამ თავისი შემოქმედება შეადარა მთიდან გადმომდგარ ხარ-ირმის ყვირილს. განვლო დრომ და ეს ხმა დღესაც ისევე მქუხარედ ისმის, როგორც მის სიციცხლეში. იგი ვადავა თაობიდან თაობაში, რადგან ეს ხმა დაბნეულია ხალხში და მას ყურს უგდებს მთელი საქართველო. და აუხდა ვაჟა-ფშაველას თავისი წინად ნაგრძნობი, რომელიც გამოხატა საოცრად მალეღებულ ლექსში:

„სიტყვა ვადავად ერშია,  
სიტყვა, რა სიტყვა? ვული  
ტანჯულის გულის ნაცრემლი,  
ჯავრით ნაკვები, სნეული,

გულგამირული, ბეჩავი,  
 თავს-მანდილ ჩამოხეული.  
 ასე წვა-დაგვით გაზრდილმა  
 რას ეფიჭრებდი, იხარა...  
 წვერს მარგალიტი ოცხბა,  
 ტანი ზურმუხტით იფარა,  
 მთელს ქვეყანაზე სხივსა ჰფენს,  
 როგორც ცამ გამოიდარა...  
 ... ისაა ქვეყნის ნუგეში,  
 იმას შეზარის სოფელი.  
 მე ჩემთვის ჩემად ვიციანი  
 მისი კეთილის მყოფელი.  
 ვიციანი... იმას, ქვეყანას  
 ან რა საჭმე აჭვს ჩემოანა?  
 მიხარის ჩემმა გაზრდილმა,  
 რომ ბინა ჰყოფი ერთანა“.



ვაჟა-ფშაველას ლექსებზე აღიზარდა ბევრი თაობა. მ.ამა მგზნებარე და ვაჟაკურმა პოეტურმა სიტყვამ ალაფრთოვანა თავისი ხალხი. ვაჟა-ფშაველა დღეს ცოცხლობს ჩვენი ხალხისა და პოეტური თაობისათვის. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება ჩვენთვის გადაუდებელი ამოცანაა.





## ლავერენტი არდაზიანის შემოქმედების სოციალური საფუძვლები\*)

ლავერენტი არდაზიანი XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან იგი ივანე კერესელიძის მიერ განახლებული ჟურნალის „ცისკრის“ (1857 წ.) მუდმივი და ნაყოფიერი თანამშრომელი შეიქნა. არდაზიანის ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო: უპირველეს ყოვლისა იგი ქართული სინამდვილის ნიადაგზე აღმოცენებული ორიგინალურ რომანების შემქმნელია („სოლომონ მეჯღანუაშვილი“ და „მორჩილი“); შემდეგ, იგი თავისუფალი მთარგმნელია პოლიტიკური ეკონომიიდან (პოლემარი — „ყოველივე მოიპოვება შრომით“), ისტორიიდან და ლიტერატურიდან (შექაპირის „ჰამლეტი“) და, დასასრულ, ცნობილი პუბლიცისტიკა (კამათი ბერძენოვთან ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო და „მამებსა“ და „შვილებს“ შორის წარმოებულ ბრძოლის გამო დაწერილი „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“, რომელიც 1862 წელს ჟურნალ „ცისკარში“ „ძია თონიკეს“ ხელმოწერით დაიბეჭდა).

პერიოდი, რომელშიაც ლავერენტი არდაზიანს ლიტერატურული მოღვაწეობა უხდებოდა, ხასიათდებოდა: ერთის მხრით — ფეოდალური კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევით, ხოლო მეორეს მხრით — სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებით.

ფეოდალური ურთიერთობის რღვევა საქართველოში, რაც ადრევე იყო დაწყებული, აშკარა ხდება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ამ ნიადაგზე მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველო სრულიად ახალ პირობებში იწყებს ცხოვრებას.

ლავერენტი არდაზიანის შემოქმედება თავიდან ბოლომდე გამოიხატება ახალ სოციალურ ძალთა განვითარებით შერყეული თავდაზნაურული წოდების დაცვაში და მისი მომავალი ცხოვრების ახალი წესის მიხედვით მოწყობაში.

\*) შეიცავს შემოკლებულ ნაწილს იმ წერილისა, რომელიც დავითის ლ. არდაზიანის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას. ვ. კ.

ლ. არდაზიანი, როგორც რეალისტი მწერალი და ქართული რეალისტური რომანის მამათამაშარი, მაშინდელ სინამდვილეს გვერდს ვერ აუვლიდა.

მეჯღანუაშვილი ფულის საშუალებით შეიჭრა საზოგადოებაში ცხოვრების უმაღლეს წრეში, სახლიც ევროპულ გემოვნებაზე მოაწყო და იმდენად დაწინაურდა, რომ მის წინაშე თავს იხრიან „წარსულთა დროთა დიდებულნი და წარჩინებულნი“, და „პრავედენიაში“ აღზრდილი ალექსანდრე რაინდიძე, რომელმაც დაასრულა კურსი და მრავალი ქვეყანა ნახა, და რომელიც საქართველოში თავისი დიპლომის შესაფერად გილს მოელოდა, მაგრამ ეს ადგილი მეჯღანუაშვილის შვილმა ისაკიმ „მოიგდო“ ხელში და რაინდიძე დაამარცხა.

მიუხედავად ამისა, მეჯღანუაშვილი მაინც ყოველთვის ქედს იხრის რაინდიძის წინაშე და მოწიწებით ეპყრობა მას და მის ოჯახს. იგი ზნეობრივად და გონებრივად მარცხდება ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლის რაინდიძის წინაშე, მაშინ, როდესაც ავტორს შეეძლო მეჯღანუაშვილის ბედი ისე წარგმართა (ამის საშუალებას ისტორიული განვითარებაც იძლეოდა), რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი მომავალი ცხოვრების პერსპექტივის ჩვენება. მაგრამ კლასობრივი ინტერესებით გამსჭვალული მწერალი არდაზიანი ასე არ მოიქცა და მომავლის ის პერსპექტივი, რომელიც მეჯღანუაშვილისათვის უნდა მიეცა, წაართვა მას და ქალაქად დამარცხებულ რაინდიძეს, ისტორიის მიერ განწირული კლასის წარმომადგენელს მიანიჭა.

თავის კლასობრივ ინტერესებზე მტკიცედ მდგარი არდაზიანი დროებით დამარცხებულ რაინდიძეს ქალაქიდან სოფლად წაიყვანს და იქ მოაწყობინებს მეურნეობას ახალი წესით, ისე რომ იგი ბედნიერად ცხოვრობს და მომეტებულს აღარც ნატრობს.

„დიად, მე ვარ ბედნიერი, — წერს რაინდიძე, — მომეტებულს აღარას ვნატრობ. ასე გასინჯეთ, ბუნებაც კი ჩემთან იშვებს. წარმოიდგინეთ ძალადი კორდი. ამ კორდზე დგას ჩემი სახლი, რომელიც დაჰყურებს ერთი მხრით მდინარესა, მეორეს მხრით ლელესა, ამას იქით სოფელ წითლიანსა, წინ, აღმოსავლეთით, მწვანით შემოსილ ვრცელს მინდორსა, რომელზედაც ჩვენს ახლო აქა-იქ ხარობენ დიდი კაკლის ხეები და სხვადასხვა ხეხილები, დასავლეთით ზვარი, მშვენიერად შემუშავებული. დილით ადრე უმზეოდ წარმოდგებით და ასი ათას სხვადასხვა ფრინველთა საკვირველი გალობით დატკბებით. წმინდა ცხოველი ჰაერი ჩავიდგამთ ძარღვივში ყვავილებიდან შეკრებილ სურნელებასა და ძალას; მდინარე გაგაფხიზლებთ, გაგაცხოველებთ, გაგაყმაწვილებთ; ტყე, მინდორი, მწვანე ვენახები დაგიტკობუნ და ამშვიდებენ ყოველ თქვენ გრძობას; აქ მდინარის ამიანობა და ფოთოლთ შრიალი, იქ მწყემსის სალამურის სტვენა აამებენ თქვენს სმენას. რა შეედრება ბუნების მშვენიერებას?! სად ვიშოვნით იმის

მსგავსს ჭალაქში? ...მაგრამ არ გეგონოთ, რომ მოკლებული ვიყავით ჩვენ ყოველ სიამოვნებასა, არა. თქვენ გაქვთ თეატრი, ჩვენი თეატრი კი ბუნებაა და ჩვენი თეატრი სჯობია თქვენსასა; თქვენი თეატრი არაა დახატული, მაგრამ ბუნებისთანა მშვენიერი რათ იქნება?! თქვენ რაკეტარზე ათი, ასი ათას წილად უკეთესად და მშვენიერად ვალობენ კონცერტს, უკვრენ ასი ათასი ფრინველნი, რომელნიც გულს ატკობენ, სულს ახარებენ. თქვენი დეკორაციები დახატულია, ჩვენი ნამდვილია. მგონია მილიონჯერ ნამდვილი სჯობდეს მოთხუბნილ ტილოებსა... ჩვენ კიდევ მით ვჯობივართ, რომ ყოველდღე უფასოდ ვსიამოვნებთ ჩვენს თეატრში“...

აი ნამდვილი იდეალიზაცია სოფლის ცხოვრებისა, რომელიც დაგვიხატა ლ. არდაზიანმა რაინდიძის სოფლად მოწყობილი მეურნეობის სახით, სადაც აშკარად ჩანს ჭალაქური კულტურის უარყოფა.

მეჯღანუაშვილი ავტორის მიერ მთელი რომანის მანძილზე ისეთ ადამიანად არის გამოყვანილი, რომელიც თუმცა ყველაფერს სძლეეს თავისი სიმდიდრით — თეატრში სამეფო ლოჯის გვერდით ლოჯას იკავებს, სოლოლაქში ორსართულიან სახლს ყიდულობს, — მაგრამ იგი ყოველთვის და ყველგან ცხოვრებისათვის შეუფერებელი ტიპია. ამას მშვენიერად გრძნობს თვითონ მეჯღანუაშვილი და ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. ბოლოს არდაზიანი მეჯღანუაშვილის ცხოვრებას იქამდე მიიყვანს, რომ ბედს აწყველინებს და აწმყოთი უკმაყოფილო — ცოლის პირით შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„არც აქ ჩამოვედით, თითქმის ყოველ დღე მწუხარებაში ვართ. ავადმყოფი არ გამოგველია: ჯერ ისაკი გვეყვანდა და კინალამ ხელიდამ გამოგვეცალა, ახლა თამარია და, ღმერთმა იცის, რა მოგვივა. საკვირველია! ციხის უბნის ქოხში ერთობრივ მთლიანად ვიყავით: არც სიცივე და სიცხე, არც სიშიშველე და ნოტიო სახლი, არც შიმშილი და მწყურვალეობა არას გვავენებდა. აქ კი, ღვთის წყალობით, ყოველივე უხედა გვაქვს... პაერი უკეთესია, ნებიერობა, სიამოვნება, სტუმარი, საზანდარი არ გვაკლია, მოსამსახურეები სულ თავს გვევლებიან, სულიერ მამათაგან კურთხევა ხშირად მოგვეცემა ხოლმე. წყევა არავისაგან არ გვჭონია, მაგრამ ვეღარ ვიხერეთ (კურსივი ჩვენია). აი, მეცა, მგონია, დავსწეულდი; შენც, სოლომონ ისაკიჩ, ველარა ხარ უწინდებლად მხიარული“...

აი ახალი ადამიანის როგორი ცხოვრება დაგვიხატა ლაერენტი არდაზიანმა ძველი ფეოდალის რაინდიძის გვერდით. ეს ახალი ადამიანი ნატრობს ძველ მამა-პაპურ, ციხის უბანში მდგომ პარატა ქოხს, სადაც მშვირტიტველნი ეყარენ და ლუქმას ვერ შოულობდენ, მაგრამ, ახალ ცხოვრებასთან შედარებით, არდაზიანის აზრით, უფრო ბედნიერად ცხოვრობდენ. არდაზიანი ამით დაკმაყოფილდა და ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ნიადაგზე წარმოშობილი უკმაყოფილებით შეპყრობილ მეჯღანუაშვილს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „ოჰ! ნეტავი მწყემსად გავზრდილიყავ,“

სიმდიდრე, პატივი და ღირება არ მქონოდა და ჩემს გულს არა ჰყოლოდა მტერი!..“

ასეთია ახალი, აღმავალი კლასის ბედი არდაზიანი წარმოდგენით. მაშინ როდესაც ისტორიისაგან განწირული კლასის წარმომადგენლის, რაინდიძის ახალი წესით მოწყობილ მეურნეობას შემდეგნაირად გვიბატავს:

„მე მივიღე გამგეობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი, ყოველივე დავაყენე სწორ გზაზე. ყოველივე ჩემ თვალწინ კეთდება, და მე არც მეთაკილება, არც მეზარება. რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა, ახლა იმასვე უნდებიან ორი კაცი ორს დღესა. ამ მცირე ხანს, საცა გუთანს არ გაველო, ვაიარა, საცა ბარი არ მოხვედროდა, მოხვდა, საცა ვაზი არ იყო, ვაზით გაივსო, საცა წისქვილი არ იყო, ვაკეთდა; მრავალი გავაკეთე, გავამშვენიერე; ყოველივე აყვავდა. ყმას შეუმსუბუქდა ერთნახევრად სამსახური და მადლობელი არიან ჩემი გლეხკაცები. შრომა არ მიფუჭდება, ბუნება უხვად მეწევა. ამიტომ გლეხკაცი მუშაობს გულმონდომებით, სიტკბოებით, ერთგულებით; ჩემი შემოსავალი გავრცელდა და ამ შემოსავალსა, სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ქალაღში არ წავაგებ, ანუ არ ვაგებნევა სათამაშო ნივთზე... ელენემ მოაწყო, მოკაზმა სახლი კარგად, რომ უკეთესად მორთვა საჭირო აღარ არის. ელენემ მიიღო გამგეობა სახლისა და დაუზარებლივ აძლევს იგი სახლში განკარგულებას. თქვენ ნახავთ სახლში სამაგალითო სისუფთავესა, მოსამსახურეებს წმინდათ ჩაცმულსა; თქვენ ნახავთ ყოვლის სიკეთით სავსეს სახლსა; თქვენ ნახავთ წესსა, მშვიდობასა, სიხარულსა, ბედნიერებასა; თქვენ ნახავთ როგორათაც მოსამსახურენი დაუზარებლივ, სიხარულით, ერთგულად ასრულებენ თავიანთ თანამდებობასა; ვერ გაიგონებთ ორგულობასა, წინააღმდეგობასა, დრტვივასა, საჩივარსა, ლანძღვასა და სხვა ურიგობასა. ყოვლის ამ სიკეთისა არის მიზეზი ელენე. ოხ! ელენეს არა სძინავს. ელენეში ვერ იპოვით გამბნევესა, დაუდევნელსა და გამფუჭებელს ქალსა. ელენეში ვერ იპოვით უგუნურ ამპარტავენობასა, მედიდურობასა, თავის თავის მოარშიყვესა და დაუდგრომელ ქალსა“...

ამ ძალზე ვრცელი ამონაწერით მინდა ვაჩვენო მკითხველს, თუ სანამდის მიჰყავს ლავრენტი არდაზიანი კლასობრივ ინტერესების დაცვის სურვილს. მისი აზრით, შესაძლებელია ყმისა და ბატონის ისე ცხოვრება რაინდიძის მიერ მოწყობილ მეურნეობაში, რომ ვერ გაიგონებთ ორგულობას, წინააღმდეგობას, საჩივარსა და ურიგობას, რომ ამ ახალ მეურნეობაში, რომლის სათავეში ელენესა და რაინდიძის სახით, დგას ახალ ცხოვრებასთან შეგუებული, შეზრდილი ბატონი. ყმას „ერთნახევრით“ შეუმსუბუქდა სამსახური და იგი მადლობელია ამით. ბატონმა ყოველივეს წესი მისცა და სწორ გზაზე დააყენა, ყოველივე მის თვალწინ კეთდება.

შრომა არც მას ეთაკილება და ეზარება, და რასაც ხუთთ-კაცი ხუთ/ დღეს აკეთებდა, ახლა მას ორი კაცი ორ დღეში აკეთებს.

აი არდაზიანის საბოლოო გამოსავალი წერტილი ახალი ცხოვრებისა-გან შერყეული და ისტორიისაგან განწირული თავად-აზნაურული მემამულის დასაცავად. მან ახალ ცხოვრებას შეგუებული მემამულე დაუპირისპირა მეჯღანუაშვილს და ეს უკანასკნელი, თავიდანვე ათვალისწინებული და კომიკურ ფორმებში გამოყვანილი, დააჯახა თავად-აზნაურობის წარმომდგენელს და ამ დაჯახების საფუძველზე მიწასთან გაასწორა.

რაინდიძის მიერ ახლად მოწყობილი მეურნეობის იდეალურად დახატვით არდაზიანი მოუწოდებს კალაპოტიდან ამოვარდნილ და სასიკვდილოდ გამზადებულ ფეოდალურ თავად-აზნაურობას — რაინდიძისებურად შეეგუოს ახალ ცხოვრებას. არდაზიანის მთავარი მიზანი იყო — მშვიდობიანი გზით შეეზარდა ძველი (ფეოდალური) წყობილების ელემენტები ახალი, კაპიტალისტური ვითარებისათვის, რათა თავად-აზნაურობა კვლავ გადაექცია წამყვან სოციალურ ძალად.

ლ. არდაზიანი, როგორც ლიბერალური თავად-აზნაურობის იდეოლოგი, ქადაგებს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ საფუძვლებზე მოწყობას, ისე რომ კაპიტალიზმის გვერდით, კლასთა თანამშრომლობის საფუძველზე, შესაძლებელი შეიქნას ფეოდალური მეურნეობის არსებობაც.

ლ. არდაზიანი მთელს თავის შემოქმედებაში და, კერძოდ, „სოლომონ მეჯღანუაშვილსა“ და „მორჩილში“ ახალ ადამიანებს მეტად მოხერხებულად უპირისპირებს თავად-აზნაურთა ოჯახების იდეალურ სახეს. გაიხსენეთ, თუ გნებავთ, ერთის მხრით, რაინდიძის და სოლომონის და მისი დედის, ზოლო მეორეს მხრით — ალექსანდრას („მორჩილში“) და მისი მოსამსახურე ქალის მარიკოს დამოკიდებულება.

გაიანეს (სოლომონის დედას) მცირეწლოვანი სოლომონით, — გადმოგვცემს ავტორი, — რომლებიც უპატრონოდ ეყარნენ ქუჩაში, წაიყვანს სახლში ახალგაზრდა რაინდიძე, რომელსაც კნენა ისე უფრთხილდებოდა, რომ უბრძანა გამდგელებსა და სხვა მოსამსახურეებს — არამცა და არამც არ ეწყეინებიათ მათთვის ან სიტყვით, ან წარბით, ან საქმით. ბოლოს, არდაზიანი, მეჯღანუაშვილის სახით, დასძენს: „ვინაიდან მოსამსახურეებს ვაგიეებით უყვარდათ ჭალბატონი, წმინდათ აღასრულეს ბრძანება მისი და 17 წლის განმავლობაში არც დედაჩემსა და არც მე არ გვინახავს იმათგან რაიმე მცირედი წინააღმდეგობა ან წყენა“. მეტიც. მეჯღანუაშვილმა, რომელიც რაინდიძის ოჯახში „17 წელიწადი ნებიერ ცხოვრებაში იყო“, ისწავლა იქ „წიგნი, ზნეობა, ზრდილობა და სტყვა-პასუხი“. „მე რა მოვიზარდე, — გადმოგვცემს მეჯღანუაშვილი, — კნენამ იაზრა ჩემთვისაც. მიმბაზრა თავიანთ მოძღვარს, რომელმაც მასწავლა წიგნი და წერა. თვითონ კნენა მასწავლიდა დავითნსა და მაკითხებდა ზოლმე „ვეფხისტყაო-

სანსა“ და სხვა ქართულ წიგნებს; აგრეთვე მასწაველიდა ზნეობასა, ზრდილობასა და სიტყვა-პასუხსა“.

ჩვენის აზრით, ამაზე მეტად მაშინდელი დროის ფეოდალურ-ლოგიის არცერთ წარმომადგენელს არ უმტკიცებია მშობლიური და მოკიდებულება ბატონსა და გლეხს შორის და არ წაუშლია ის კლასობრივი დაყოფა და მძაფრი დაპირისპირება; რომელიც ვაბატონებული იყო მაშინდელ საქართველოს სინამდვილეში.

ასეთივე ჭეშანჭური დამოკიდებულება „არსებობდა“ ვითომ მოსამსახურე ქალს მარიკოსა და მის ქალბატონს ალექსანდრას შორის. მარიკოს ისე უყვარს ქალბატონი, რომ ერთი წუთით ვერ წარმოიდგენს მოსცილდეს მას და ცალკე იცხოვროს. მარიკოს ბატონის უბედურება თავის უბედურებად მიიჩნია. „თუ თქვენ იქნებით უბედური, მე როგორღა ვიქნები ბედნიერი? რათ მინდა მე ის ბედნიერება, თუ ჩემი საყვარელი ქალბატონი იქნება უბედური! არ ვინდომებ, არ ვინდომებ, თქვენი ქირიმე, კეთილ დღესა; მეც თქვენთან უნდა ვიტანჯო“...

ალექსანდრასაც უყვარს მარიკო.

„ალექსანდრამ გაზარდა, განასწავლა და გონებაში ჩაავლო მარიკო. თუმცა მოსამსახურე იყო, მაგრამ ებრალებოდა უსწავლელი არ დარჩენილიყო. ასწავლა წიგნი და წერა, თავისუფლად გადმოღება ქალაღმზე აზრისა, ასწავლა ზრდილობა და, როგორც იტყვიან, სიტყვა-პასუხი... კერვა, ქსოვა, გამოჭრა და უთო. ნამეტნავად ალექსანდრა ცდილობდა ჩავგონებინა, რომ ქალი არ არის დაბადებული როგორც საშუალება და დასაკმაყოფილებლად ვაჟის გულისთქმისა, რომ ქალი და ვაჟი ღირსებით და პატივით თანასწორნი არიან“.

ან კიდევ: მარიკო წინააღმდეგია ჯვარისწერისა მანამდე, სანამ მისი ქალბატონი ალექსანდრა არ გათხოვდება, თუმცა ალექსანდრა არ გათხოვდება, თუმცა ალექსანდრასაგან ამის ნება მიცემული აქვს.

„ჩემი ჩამგონებელი, აღმზრდელი და გამაბედნიერებელი არის ჩემი საყვარელი ქალბატონი ალექსანდრა. იმან გამინათლა გონება სწავლით; სწავლა მიიხევენს ღირსებას, რომლითაც შემოძლიან ავიცილინო უბედურება, რომელიც წარმოდგება მოუთმენლობისაგან, ამიტომაც მე არ მინდა ჩემის მოუთმენლობით შევაწუხო ჩემი კეთილისმყოფი. ერთის სიტყვით, სანამ ალექსანდრა არ გათხოვდება, მე შენზე ჯვარს ვერ დავიწერ“.

ასეთი მამაშვილური დამოკიდებულებაა, არდაზიანის წარმოდგენით, თავადსა და ყმა-მოსამსახურეს შორის, მაშინ, როდესაც რამდენიმე წლით ადრე დანიელ ჭონჭაძის მიერ დაწერილ „სურამის ციხეში“ ბატონსა და ყმას შორის ღრმა უფესკრული, კლასობრივი წინააღმდეგობა არსებობს.

ლ. არდაზიანის ლიბერალური თავად-აზნაურობის პოზიციებიდან ცხოვრების ჭერეტას ადასტურებს მისი რომანის მთავარი გმირის რაინდობის საუბარიც თამართან.

„მოხარული ვარ, — ამბობს თავადი რაინდიც, — რომ ევროპის განათლება გადმოვიდა საქართველოში, რომ ყველა ეტრფის განთლებასა: ამასთან უფრო მოხარული ვარ, რომ ჩვენი ძველი დემოკრატიული წყვეულება, მაგალითებრ, ქართველი ქალის ჩაცმა-დახურვა მტკიცედ უკმარესად გადაუღვლია. ამ მცირედის გარდა, სხვანი ამტკიცებენ, რომ იმათ აქვსთ მამა-პაპის თვით მდგომარე ხასიათი; აქვსთ ამპარტავენება დაიცვან თავიანთი საკუთარი ჩაცმა-დახურვა, რომ ქვეყანამ ყოველთვის გვიყუროს და იცოდეს: ერთხელ ჩვენც ვიყავით და კიდევაცა ვართ“ (კურსივი ჩვენია).

ვფიქრობ, დიდ კომენტარიებს არ საჭიროებს შემომოყვანილი ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეჯღანთაშვილის არსებობის შეგნება (თუმცა მისი მომავალი წარმოდგენილი არა აქვს) აიძულებს ლავრენტი არდაზიანს, როგორც ლიბერალური თავად-აზნაურობის წარმომადგენელს, უთანაგონოს ევროპის განათლებას, რომელიც შემოვიდა ჩვენში, მაგრამ ამავე დროს უფრო მოხარულია იმით, რომ კაპიტალისტური ცხოვრების განვითარებასთან ერთად, დატულია მამა-პაპის ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა, ამპარტავენება და თვით „მდგომარე ხასიათი“.

ლ. არდაზიანი ლიბერალურ თვალსაზრისზე დგას აგრეთვე სიყვარულისა და კოლ-ქმრული ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტაში, რაც სამოციან წლებში საკმაო ყურადღებას იქცევდა ჩვენში. მაგალითად, არდაზიანს არ მოსწონს რომანის ერთ-ერთი მომქმედი პირის, კონსტანტინეს, აზრი იმის შესახებ, რომ ის ქალის გათხოვებაში უცვლელად მამა-პაპის კვალზე დგას.

„შენმა შუმე მარიამ, — ეუბნება კონსტანტინე კოლს, — სჯობს ისევ მამა-პაპის კვალზე ვიაროთ. ჩვენ ვიფიქროთ, ავირჩიოთ და ვინც ღმერთმა გვაგონოს, იმას შევერთოთ ალექსანდრა. ჩვენ ერთმანეთი რომ სიყვარულით არ შევიერთეთ, ვითომ რა ცუდი მოგვივიდა? ღვთის მადლით, სიყვარულით, სიტკბოებით შევებრდით, ერთმანეთისაგან ერთი შწარე ზიტყვა არ გავგივონია. ჩვენ ვხედავთ მრავალ მაგალითს ევროპაში და სხვაგან — ვინც გაგივებულ სიყვარულით ერთმანეთს ირთავენ, იმათ უფრო კეთილი ბოლო არა აქვთ: მესამე დღესვე ერთმანეთი სძაგთ, ასე რომ ერთი აღმა მიდის და მეორე დაღმა, ერთმანეთი რომ არ დაინახონ. ჩვენ, ქართველებს, სიყვარული წყნარ-წყნარ გველეიძება, ძარღვებში გვიჯდება, თანდათან გვიცხოველდება და საუკუნოთ გვიყვარს ერთმანეთი“...

ლ. არდაზიანი, როგორც აღვნიშნეთ, წინააღმდეგია კონსტანტინეს ასეთი შეხედულებისა და მის საწინააღმდეგოდ მარიამს შემდეგ აზრს გამოათქმევენებს:

„მე ვერ დაგეთანხმებით სრულიად, მე, ჩემის აზრით, ვამჯობინებ: ქალს არ არის ჯერი მიეცეს სრული უფლება, მარტო თვითონ აირჩიოს საქრო, ამიტომ რომ ვაეკაცის ცბიერობით მალე მოტყუვდება, რადგა-

ნაც სუსტია და გამოუცდელი. მაგრამ მეორეს მხრით ქალიც ბრალია, თუ აურჩევნ სხვანი განუსჯელად, წინ დაუხედავად, გამოუძიებლად საქმროსა... ამიტომ საჭიროა: ქალმა რომ აირჩიოს საქმრო, შეჭრულებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევაში, ე. ი. გამოსცადონ, გამრტყელქანთნ ხასიათები არჩეულის ვაჟკაცისა, რადგანაც ისინი უფრო დაგულისხმებით გასინჯვენ სასიძოს, ვინამც სიყვარულით აფეთქებული ქალი“.

მართალია, მარიამი თითქმის წინააღმდეგია კონსტანტინეს გადაწყვეტილებიას, მაგრამ რომანში, თავისი აზრის საწინააღმდეგოდ, იგი ისევ ძველი წესით მოქმედებს და ქალის გათხოვებას მაქანკალზე სრული ნდობის გამოცხადებით გადაწყვეტს. მაგრამ ავტორი — რომანის უკანასკნელ თავში შეაგნებინებს მარიამს თავისი მოქმედების შეცდომას:

„ხომ დავიღუბებოდი, ჩემი შეცდომა რომ არ გასწორებულიყო... დიად მე შეეცდი!.. ავეყვი ერთი დედაკაცის სიტყვისა (ლაბარაკია მაქანკალზე) და მეგონა, ეს-ეს არის უღირსი ბედნიერება მოადგა მეთქი ალექსანდრასა... არა, მე არ მაშწონს ჩემი ხასიათი... კინალამ ამ ჩემის ხასიათით არ დავღუბე შეილი!“

ასე მსჯელობს არდაზიანის შთაგონებით მარიამი, რომელიც რწმუნდება, რომ მამა-პაპის კვალზე უცვლელად სიარული დაღუპვამდე მიიყვანდა. არდაზიანის მოთხოვნაც თავად-აზნაურობის მიმართ სამოციან წლებში იმაში მდგომარეობს, რომ შეიგნოს მან თავისი ხასიათების ზოგიერთი უვარგისობა და ახალ ცხოვრებასთან შეგუების მიზნით მიიღოს ახალი, მაგრამ მასთან ერთად დაიცვას ძველიც.

ლ. არდაზიანი არც თავისი კლასის წარმომადგენელთა უარყოფითი მხარეების გამომჟღავნებას ერიდება. მიზანი ერთია — მათი გამოსწორება და ახალ ცხოვრებასთან შეგუება. ამის ნიშნულს წარმოადგენს თავადი თეიმურაზი, რომელსაც ოჯახი თუმცა ევროპულად აქვს მოწყობილი, მაგრამ ამ ოჯახში გამეფებულია ჩხუბი და სიძულვილი, როგორც დედასა და შვილს, ისე ძმასა და დას შორის. სწავლა ზერეღე აქვთ მიღებული. სკოლაში სიარული მხოლოდ დროს დაკარგვად მიაჩნიათ. ბარბარეს შეკითხვაზე — ლიტერატურა გეყვარებათო, უპასუხებს: „ღმერთმა დასწყველოს, რის მაქნისია: სრულიად არ მიყვარს; ასე ვასინჯეთ, ვაზეთსაც არ ვკითხულობო“. არდაზიანი ასეთ თავად-აზნაურებს ცუდად იხსენიებს და მათ ბარბარესა და ალექსანდრას სასაცილო ობიექტად ხდის. ჩვენს მწერალს თეიმურაზთან ერთად არ მოსწონს გოჩუნაც, რომელსაც უხეში ბატონის ხელში დაუკარგავს ყოველგვარი ზრდილობა და ადამიანური ღირსება. ის ყველას მიერ სასაცილოდ ასაგდები ტიპია. ყველა, ვინც კი მოინდომებს, გამოიყენებს მას ბატონის საწინააღმდეგოდ. ბატონის ოჯახში მწიერ-ტიტველი გოჩუნა მიდის იმასთან, ვინც აჭმევს და გააძღებს. გორჯასპი სარგებლობს გოჩუნას ასეთი მდგომარეობით და თეიმურაზის საიდუმლო გადაწყვეტილებებს ვაიგებს მისგან.

გორჯასპიცი უარყოფითი ტიპია არდაზიანის ჩვენებით, ის ბოროტია, მას შურს სხვისი ბედნიერება. საინტერესოა, სხვათა შორის, როგორ აგვიწერს არდაზიანი გორჯასპის მოსამსახურე ქალს, რომელსაც „ქუჭყის“ ბატონის ხელში არ აკლია ცემა და გინება, რომელიც ილია „ქუჭყის“ ლაშაზისეულის მსგავსად („კაცია აღამიანში“) არის წარმოდგენილი. „ის იქნებოდა ცამეტის ან თოთხმეტის წლისა, — ვადმოგვეცემს არდაზიანი, — თმა ჰქონდა აწეწილი, დაუვარცხნავი — თავზე არა ეხურა რა. კაბა ეყო ჭუჭყიანი და დაგლეჯილი. სიძველის და ჭუჭყის გამო ვერ მიხვდებოდით, რა ფერის იყო. გოგო იყო ფეხშიშველი ხელპირ დაუბანელი, ფეხებ მოტყურტნული“. ბატონსაც არ ეთაკილებოდა გოგოს ჭუჭყი და უსუფთაობა, შეჭარი, რომელიც გოგომ ბატონს მიართვა, ერთ წამში გაქუჭყიანებულყოფიერად გოგოს ხელში, მაგრამ ბატონმა არ დახედა გოგოს ხელებსა და შეჭარს და, ჩააგდო ჭიქაში.

ასეთია არდაზიანის მიერ დახატული, ერთის მხრივ, თეიმურაზი და გორჯასპი თავიანთი მოსამსახურეებით და მეორეს მხრივ, რაინდიძე და კონსტანტინე თავიანთი ოჯახით და მარიკოთი.

ლ. არდაზიანისათვის, როგორც რეალისტ მწერლისათვის, არც მაშინდელი მთავრობის აგენტების მეჭრთამეობა და ბოროტმოქმედება დარჩენილა შეუნიშნავი. გაიხსენეთ, რა მოხდენილად ამოთრახებს („სოლომონ ნეჯღანუაშვილში“) მთავრობის მოხელეებს — ბოქაულს და დესეტნიკ „წიპლონკას“.

ლ. არდაზიანი, როგორც ფეოდალური კლასის გავლენის ბევრ მყოფი მწერალი, მეტად მოხერხებულად იყენებს თავის კალამს ამავე კლასის გაჯანსაღების მიზნით თავის პუბლიცისტურ წერილებშიც. მისი ერთ-ერთი პუბლიცისტური წერილი — „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“ (დაიბეჭდა ჟურნალ „ციცქარში“ 1862 წელს) „ბიძია თონიკეს“ ფსევდონიმით დაწერილია „მამებსა“ და „შვილებს“ შორის წარმოებული ბრძოლის გამო. აღნიშნულ წერილში არდაზიანი ამოთრახებს თავდაზნაურობის ორივე თაობას. ამ წერილში არდაზიანი, ერთის მხრით, გამოხატავს უკმაყოფილებას ახალი თაობის მიმართ, რომელიც, არდაზიანის თქმით, მიდის პეტერბურგს, მიიხედ-მოიხედავს, მოუშვებს წვერს, ჩამოვა აქ, დაღის ტფილისის ტროტუარზე და „ქეშმარიტების ნატყებს“ დაეძებს. ლიპარაკი დიდ-დიდი აქეთ, საქმით კი ჩხირის გადატრიალებაც არ შეუძლიათ. გაზეთის გამოცემისათვის არა ზრუნავენ და სხვ. მეორეს მხრით, ამავე წერილში მოვიხიტე ქალის და ტროტუარზე მეჭორე „ურცხვადის“ სახით გამოყვანილია ისეთი ჯგუფი საზოგადოებისა, რომელიც ტროტუარზე სიარულისა და ჭორიკანობის მეტს არაფერს აკეთებს, უსინდისოდ და შეუსაბამოდ იხსენიებს ყმაწვილ კაცებს. ამით არდაზიანი, ერთის მხრით, სირცხვილში აგდებს ყმაწვილ კაცებს, რომელთაც თავიანთი სწავლით საკმაო ნაყოფი ვერ გამოიღეს მისი აზრით, და მეორეს მხრით,



ალ. ჩავჭავჭავაძის

## ლიტერატურული სახის პრობლემები \*)

2

ლიტერატურული სახე იდეის გრძნობად კონკრეტული ინდივიდუალისაა. იდეური კი ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული მატერიალურია. ეს ფორმულა წარმოადგენს ზოგად მეთოდოლოგიურ დებულებას, რომელიც გარკვევით გამოხატავს იმას, რომ ნაწარმოების შინაარსი სინამდვილეა და არა აბსოლუტური იდეა.

კვლევა-ძიების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს მატერიალურის იდეური გადამუშავების პროცესის ანალიზი. რომ იდეური მართო ადამიანის თავში გადატანილი მატერიალური ყოფილიყო, მაშინ აღარ იქნებოდა განსხვავება რეალურ კონკრეტულსა და გონებრივ კონკრეტულს—შორის. აზროვნებითი კონკრეტულობა შეცნობის შედეგია და არა ცნების პროდუქტი, ამიტომ იგი გვევლინება, როგორც გაერთიანების პროცესი, რომელშიაც რეალურ კონკრეტული აღდგენილია მის შინაგან კანონზომიერ ურთიერთობაში — მოცემულია ადამიანისათვის ცნობიერ მდგომარეობაში. ამგვარად, სინამდვილე, როგორც მატერიის მრავალსახიანობა, რომელიც ობიექტურად არსებობს, ადამიანის შეგნებაში არ აისახება, როგორც ქაოსი, არამედ ემორჩილება განვითარების გარკვეულ კანონზომიერებას, და შემეცნებითი გადამუშავების პროცესი, ე. ი. „თავის დიალექტიკა“, სინამდვილის დიალექტიკის ასახებას წარმოადგენს. შემეცნების პროცესის ანალიზი დაგვანახებებს, რომ ნაწარმოების იდეა არის მოვლენის არსის ვახსნა, რის საფუძველზედაც იგი სინამდვილის შემეცნებისა და მისი გარდაქმნის ძლიერი საშუალებაა.

მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შემოქმედების გზით შემეცნებაა, ამიტომ, როგორც შემეცნების თავისებური ფორმა, ემორჩილება შემეცნების ძირითად კანონებს, წესს და პრინციპებს. ამ უკანასკნელს კი, როგორც აღვნიშნეთ, დიალექტიკური ლოლიკა შეისწავლის: „ლოლიკა არის მოძღვრება შემეცნებაზე. შემეცნება არის ადა-

\*) იხ. „მნათობი“ № 7—8.

მიანის მიერ ბუნების ასახვა“ \*), ე. ი. შემეცნება რაიმეს შემეცნებაა, მას გააჩნია საგანი, რომელსაც ობიექტური სინამდვილე ეწოდება, მაგრამ ქვეყნის კონკრეტული შინაარსი ყოველთვის რეალური მრავალსახეობით არსებობს და არა აბსტრაქტულად. აზროვნების გამოსავალი და გვექვერტის საგანი — ეს კონკრეტულია. ხოლო შემეცნებამ უნდა ახსნას ამ კონკრეტულში მოქმედი კანონზომიერება, მაგრამ, რაც მთავარია, ადამიანის გონებას იგი არ ეძლევა უშუალოდ, რადგან წარმოადგენს კონკრეტულის შინაგან არსებას. ამ მრავალსახეიანობის ცოცხალი ქვერტიდან გონება მიისწრაფის აბსტრაქტულისაკენ.

შემეცნების ეს პროცესი ლენინმა გენიალურად დაახასიათა: ცოცხალი ქვერტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და მისაგან პრაქტიკისაკენ, — ასეთია ქვეშარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა \*\*).

შემეცნების ობიექტის დაყვანა უმარტივეს კატეგორიამდე და ამის საშუალებით რეალური კონკრეტულის შემეცნებითი ასახება სწარმოებს ანალიზ-სინთეზის საშუალებით. ეს უმარტივესი კატეგორიები თავისი შინაარსით ზოგადია, მაგრამ არა განყენებულ, ე. ი. მეტაფიზიკურად აბსტრაქტი, არამედ რეალურ კონკრეტულის ზოგადი, რომელიც თავის თავში შეიცავს „კერძობისა, ინდივიდუალურისა და ცალკეულის ყველა სიმდიდრეს“. დიალექტიკური განყენების გზით გამოყვანილი ზოგადი არის მისი არსი, მისი კანონი, რომელსაც ფილოსოფიის ენაზე ცნებები ეწოდება. მატერიალურის იდეური ვადამუშავება სწარმოებს ამ ცნების საშუალებით. ცნება არის ბუნების ასახვის ფორმები ადამიანის შემეცნებაში. არა ცარიელი გარსი, არამედ „საკვანძო პუნქტები“ ობიექტური ქვეყნის ასახვისა. ცნებების საშუალებით ჩვენ გვეძლევა საყოველთაო და აუცილებელი კავშირი სინამდვილის მრავალფეროვან მოვლენებს შორის. საყოველთაო ცნებებს კი ლოდიკური კატეგორიები ეწოდება. ამ ზოგად ცნებებს იმიტომ აქვს რეალობის გამოხატვის უნარი, რომ ისინი გამოხუშავებულია ადამიანის საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესში. ასე, მაგალითად, „ადამიანის მოქმედების წყალობით შეიქნა წარმოდგენა, რომ ერთი მოვლენა არის მეორის მიზეზი“ (ენგელსი). მართალია, როგორც ლენინი ამბობს, ეს ზოგადი ცნებები მკვდარია, არა საესე, მაგრამ მხოლოდ ისინია „საფეხურები ქვეყნის შემეცნებისა“, ისე რომ „ზოგადი ცნებების, კანონების etc, უსასრულო ჯამი იძლევა კონკრეტულს მის სისრულეში“ \*\*\*).

აქვე ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: ცნება რეალურ კონკრეტულის ცნებაა; კონკრეტული კი ყოველთვის მოძრავია. მატერიალური

\*) В. Ленин. „Философские тетради“, გვ. 176.

\*\*) იქვე, გვ. 166.

\*\*\*) В. Ленин. „Философские тетради“, გვ. 285.

ქვეყანა მისთვის, იმანენტურად თანხლებული თვითმოდრაობის გამო, მინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება. თუ შემეცნების საგანი მოძრავია, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ასახვა არ შეიძლება იყოს სტატიური. შემეცნება და ცნება იცვლება შემეცნების ობიექტის ისტორიულ ცვალებადობასთან ერთად და ამიტომ შეგვიძლია დავადგინოთ ერთგვარი მეთოდოლოგიური დებულება: „ადამიანის ცნებები უმოძრაო არ არიან, ისინი მუდამ მოძრაობენ, გადადიან ურთიერთში, შეერწყმიან ერთი მეორეს, — უამისოდ ისინი ვერ ასახავენ ცოცხალ ცხოვრებას“. ცნებების ეს ურთიერთთან შერწყმა თუ ურთიერთში გადასვლა დიალექტიკური პროცესია, ე. ი. ხორციელდება ნახტომების, წინააღმდეგობა-დაპირისპირების გზით და სხვა.

ასეთია მოკლედ ლოლიკური ცნებების შემეცნებითი არსება. მაგრამ ცნებების ანალიზი ჯერ კიდევ არ იქნება ნათელი, თუ არ გავითვალისწინებთ მათი წარმოშობის ონტოლოგიურ მხარეს, ე. ი., მართალია, ცნება „სუბიექტურია თავის აბსტრაქტულობაში, მოწყვეტილობაში“, მაგრამ, როგორც ლენინი ამბობს, ამავე დროს ობიექტურია „მთლიანობაში, პროცესში, შედეგში, ტენდენციაში, წყაროში“. თუ ცნებების გამომუშავების პროცესის ეს მხარე არ იქნა გათვალისწინებული, ყოველად გაუგებარი იქნება ის, თუ ამ სუბიექტურ და აბსტრაქტულ ცნებებს რატომ აქვთ სინამდვილის შემეცნების უნარი. ცნებების გამოყოფა სწარმოებს პრაქტიკული მოქმედების გზით. საზოგადოებრივი ადამიანი მოქმედებს გარე ბუნებაზე. არსებობისათვის ბრძოლის პროცესში გარე ბუნება ზექმედობას ახდენს ადამიანის გრძნობათა ორგანიზმზე და სუბიექტში იწვევს ფსიქურ შეგრძნებებს, რომლებიც წარმოადგენენ შემეცნების უმარტივეს ელემენტებს. ყოველი წარმოდგენა და ცნება დაფუძნებულია ამ შეგრძნებებზე. აღქმის მასალა განიცდის გადამუშავებას გონების გზით, ახდენს მის განზოგადებას, მაგრამ განზოგადობის ცნება იმგვარად არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს აპრიორულად არსებობდეს წმინდა გონება, რომელსაც გრძნობათა ორგანოების მიერ მოწვედილ მასალაში შეჭკონდეს გარკვეულობა და წესრიგი. გონების როლის ასეთი შეფასება წმინდა კანტისური იქნებოდა. პირიქით, ის ზოგადი ცნებები, რომლებიც გონებას გამოჰყავს შეგრძნებებიდან, თვით ამათშია მოცემული, მხოლოდ მის უმდაბლეს განსაზღვრულობაში. შეგრძნება ასახავს ბუნებასაც და მის კავშირებსაც. გონება ამოზრდილია გრძნობადი შემეცნების საფუძველზე და წარმოადგენს შემეცნების უმაღლეს საფეხურს. მართალია, „ცნება არ არის რაღაც უშუალო“, ამბობს ლენინი, ე. ი. იგი განსაზღვრულია (опосредственно), მაგრამ სამაგიეროდ ცნება გამოხატავს და არის „საგნის არსი“, რომელიც ყველაზე უკეთ გვაწვდის თავისთავად არსებული საგნების რაობას და იძლევა მათი შემეცნების სრულ შესაძლებლობას.

სეთია მოკლედ ცნებათა ონტოლოგიური გენეზისი და გნოსოლოგიური არსება.

ყოველი ლიტერატურული ფაქტი წარმოადგენს მხატვრულ მსჯელობას სინამდვილის რომელიმე მოვლენის, მისი რომელიმე მხარის შესახებ. გვიჩვენებს რა მოვლენებს, ამით იგი ამბობს რაიმეს. მაგრამ ამბობს არა იმას, რაც უკვე თქმულა, — მას მიზნად აქვს მოგვაწოდოს რაიმე ახალი, რომ ამით გაამდიდროს სუბიექტის ცოდნა. ახლის თქმა კი მოვლენის არსს გახსნის გარეშე შეუძლებელია. სწორედ ეს არის ხელოვნების შინაარსი: სინამდვილის ცოდნის გარეშე შემოქმედება შეუძლებელია. ცოდნა არსის ცოდნაა და იგი განსაზღვრავს არა მარტო სახის შემეცნებითი ღირებულებას, არამედ მის მხატვრულობასაც. „ყოველი ნიჭი ცოდნით უნდა იკვებებოდეს“, — უთქვამს გოეთეს. „შირობა სიბრძნისაა ერთი დარგი“, — ამბობს შ. რუსთაველი. ლენინმა კი გენიალურად დაახასიათა მხატვრულობის მიმართება ცოდნისადმი: „როდესაც ავტორი თავის მოთბობას თავისთვის უცნობ თემას უძღვნის, გამოდის არა მხატვრული ნაწარმოები. მის შესახებ რომ ნიჭიერად დაწერო, საჭიროა მისი ცოდნა“.

ერთია, როდესაც მწერალი ისეთ რამეზე წერს, რაც არ იცის, მეორეა, როდესაც იცის, მაგრამ თავისი კლასობრივი განსაზღვრულობის გამო შეგნებულად ამახინჯებს მას, არ გვაწვდის მას, არ გვაწვდის ისე, როგორც ცოდნის საგანი ნამდვილად არსებობს. ეს უკანასკნელი სინამდვილის ფალსიფიკაციაა და, როგორც ვნახეთ, ყალბი იდეის სახით გვევლინება. უკვე აღვნიშნეთ, რომ ყალბ იდეაზე შეიძლება დაიწეროს მხატვრული ნაწარმოები, მაშინ, როდესაც უცოდინარობაზე შეუძლებელია ესთეტიური ფაქტის აგება.

სახე შემოქმედების ცნებაა, რომლითაც მწერალი გამოხატავს თავის ცოდნას სინამდვილის შესახებ. ყოველი ლიტერატურული სახე სინამდვილის არსის გამოვლენაა, ამიტომ იგი ზოგადი ცნებაა, მაგრამ რომ იგი სხვა არაფერი ყოფილიყო, მაშინ ხელოვნება აღარ იარსებებდა. ობიექტურ ქვეყანას მეცნიერება შეიმეცნებდა და მხატვრული ლიტერატურა ფუნქციას დაკარგავდა. ხელოვნების არსებობა კი ფაქტია და ამ ფაქტს ახსნა ესაჭიროება. ამ შემთხვევაში უპირველესად იმაზე უნდა მივეთითოთ, რომ მეცნიერება თავისი ცნებებით ერთეულის, ინდივიდუალურის განზოგადოებაა, რომელიც, გაიგებს რა მათ არსს, მოგვაწვდის ლოლიკურ ფორმებში. ეს ფორმულები, გამოიყვანება რა კერძო თუ განსაკუთრებულ მოვლენიდან, აბსტრაქტიულობა. სახე კი, გაივლის რა ამ პროცესს, არ დარჩება ზოგადის სფეროში, ის მოცემულია იმასთან ერთად, რის ზოგადიც იგია.

ამ გეგმად, სახე არის განზოგადოებული ერთეული და ინდივიდუალიზებული ზოგადი. იგი გვევლინება, როგორც ამ ორი მომენტის ერთიერთ

შექრავრძნობად კონკრეტულ ფორმაში, იმდენად ადაც სახე სინამდვილეს ცალკეულ მოვლედებს ანზოგადებს და მათში ეძებს არსს, იმდენად ადაც შემეცნებაა, მაგრამ რამდენად ადაც იგზამდეს იძლევა მის ერთეულებრივ და ინდივიდუალურ გრძნობად კონკრეტულ ფორმაში, იმდენად იგი ხდება შემეცნების სპეციფიურ ფორმად, ე. ი. მხატვრულ შემეცნებად.

ამ პროცესს სხვაგვარად ეწოდება ტიპიზაციის პროცესი შემოქმედებაში. საერთოდ, ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე ტიპად გულისხმობს ადამიანს. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს არის ტიპის ვიწროდ გაგება. ფართო გაგებით ტიპიზაცია უნდა იყოს იმ პროცესის ამლენიშენელი, რომელსაც მხატვრული განზოგადობა ეწოდება. და მართლაც, ტიპიურობა შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო ადამიანში, არამედ სინამდვილის ყოველ მოვლენაზე, როგორც სულიერში, ისე უსულში. ამიტომ სახის ტიპიურობა არ ნიშნავს აუცილებლად მის ადამიანურობას. ტიპის ამგვარი გაგება პერევერზევის ცნობილი თეორიის რესტავრაცია იქნება, რადგან მისთვის სახე მხოლოდ სოციალური ხასიათის პროექციაა.

მეორე შენიშვნა იქნება ის, რომ ტიპიურობა არ ფარავს სახის მხატვრულობას. ზოგიერთ მკვლევარს კი ჰგონია, რომ თუ სახე ტიპურია, იგი, მაშასადამე, მხატვრულიც არის. მაგ., ნუსინოვი ამბობს: „არ შეიძლება მხატვრულად და არა მხატვრულად ტიპიზირება. სახის ტიპიურობის ხარისხი არის მხატვრულობის ხარისხი“. ჩვენ კი გვგონია, რომ სახის ტიპიურობის ხარისხი არის მისი შემეცნებითი ღირსების ხარისხი და არა მხატვრულობის მაჩვენებელი. მართალია, როდესაც ტიპიურობის შესახებ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ზოგადის ინდივიდუალიზაციას, მის კონკრეტიზაციას, მაგრამ ყოველივე ეს ხომ შესაძლებელია მოხდეს არა მხატვრულ ფორმაში, ე. ი. არ იყოს მოცემული გრძნობად ფორმაში. ყოველგვარი ინდივიდუალიზაცია არ არის გრძნობად კონკრეტული და ამიტომ არც ყოველი ტიპიზაცია შეიძლება იყოს მხატვრული, რადგან, ჩვენის აზრით, გრძნობადი და მხატვრული ინდენტური ცნებებია. ლიტერატურის ისტორიაში ბლომად მოიპოვება იმის ფაქტი, რომ სახე გრძნობად კონკრეტულად ინდივიდუალიზებულია, ე. ი. მხატვრულია და არ არის ტიპური. მაგ., ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივში“ გიორგი სავსებით მხატვრულია, მაგრამ არ არის ტიპური, რადგან მის მსგავს ადამიანს სინამდვილეში ვერ შევხვდებით. იგი არ წარმოადგენს სხვა ადამიანების ზოგადი არსების შემკრებ პუნქტს. ისტორიას არ ახსოვს, რომ, ილ. ჭავ-

ჭავჭავაძის გიორგის გარდა, სხვა გლეხი ნამუსის ქუდ-თავდახურველი დადი-  
ოდეს გლეხებში და ეუბნებოდეს მათ: ბატონს ერთგულად ემსახურეთო.  
ასეთი მოვლენა არ იყო ტიპური. მიუხედავად ამისა, გიორგი მხატვრულ-  
ლად არის მოცემული. იგი უდიდესად ინდივიდუალურად გამოდგება, მაგრამ,  
სინამდვილის შემეცნების თვალსაზრისით, ახალს არაფერს იძლევა.

სახის ტიპიურობა მისი შემეცნებითი ღირსებაა და სწორედ ეს პირობა  
მხედველობაში მ. გორკის, როდესაც ამბობდა:

„ლიტერატორი, აღწერს რა ერთ ნაცნობ მედღეწეს, მოხელეს, მუშას,  
მოგვეცემს სწორედ ამ ერთი ადამიანის ცოტად თუ ბევრად მოხერხებულ  
ფოტოგრაფიას, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ სოციალურ-აღმზრდელიობით  
მნიშვნელობას მოკლებული ფოტოგრაფია, და იგი თითქმის არაფერს  
მოგვეცემს იმისათვის, რომ გავაფართოვოთ, გავაღრმავოთ ჩვენი შემეცნება  
ადამიანის, ცხოვრების შესახებ“ \*).

ამიტომ გარკვევით უნდა ითქვას, რომ ტიპიურობა და სახის ზოგა-  
დობა შინაარსის საზომია და იგი არ გამოდგება მხატვრობის კრი-  
ტერიუმად, რადგან ხელოვნება არის არა სპეციფიური შინაარსი, არა-  
მედ შინაარსის გამოხატვის თავისებური ფორმა. როდესაც სახეს სინამდვი-  
ლეს ვაღარებთ, ვამბობთ: იგი არ არის მართალი, მაგრამ მხატვრულია,  
ან მხატვრულია, მაგრამ არა სიმართლის მთქმელი. ყოველივე ამის გამო,  
მხატვრობა არ არის თვითმიზანი ხელოვნებაში. ოღონდ მხატვრულად  
იყოს თქმული და სულერთია, რას ვიტყვიო. მხატვრულ ნაწარმოებს  
კლასიკურ ფაქტად მართვის არ პქმნის, რომ იგი  
მხატვრულია, არამედ ის, თუ რამდენად ფართოა  
მისი შემეცნებითი დიაპაზონი. ნაწარმოების ფუნქციო-  
ნალური გამძლეობა დამოკიდებულია მის ამ მხარეზე. ისტორიას  
უძლებს მხოლოდ ისეთი ნაწარმოები, რომლის შინაარსად აღებულია არა  
მართო გულწრფელად განცდილი იდეა, არამედ ისეთი იდეა, რომე-  
ლიც მოთავსებულია სინამდვილას ისტორიული  
შემეცნების და მისი გარდაქმნის აღმავალ ხაზ-  
ზე. მართოდენ გულწრფელობა გარდამავალი კატეგორიაა, რომელიც გა-  
დაიყოლებს ნაწარმოების მხატვრობას. მხოლოდ ისეთი მხატვრული  
ფაქტები, რომლებიც ამდირებენ ადამიანის შემეცნებას, უძლებენ  
დროთა ბრუნვას და გვაგრძნობინებენ მიუწვდომელ სიამოვნებას, მიუხე-  
დავად იმისა, რომ აღარ არსებობს მათი წარმომშობი სოციალური გარემო.

სახის შემეცნებითი არსება ის ღერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს  
მხატვრობა, ფუნქციონალური დანიშნულების შესრულების თვალსაზ-  
რისით.

\* ) М. Горкий: „О литературе“. 1934, გვ. 171.

ყოველი დიდი მწერალი შემოქმედების პროცესში ამ ზოგადს აქცევს ყურადღებას. მისთვის ყოველი ინდივიდუალური და დეტალური მხრივ იმ მხრივ არის ღირებული, თუ რამდენად ავლენს ზოგადეკლარაციულ ვაძებს და ლუარსაბ თათქარიძის შორის ასეთი საუბრის უკმარისა.

ლუარსაბი: რაღა მე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა!

ილია: აბა უფრო მაგისტვის წავავლე, რომ შენ ათასა ჰგეხარ და ათასი შენა, რაც ბევრს ემგვანები, უფრო კარგია! \*).

როგორც ხედავთ, ილიას მიერ აქ ხაზგასმულია ლუარსაბ თათქარიძის სწორედ ის მომენტი, რითაც იგი სხვას ჰგავს. სწორედ ამაშია სახის ტიპიურობის არსება: რაც უფრო ბევრს ემგვანება იგი, მით უფრო კარგია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ილიამ გააუქმა ის, რითაც ლუარსაბი სხვისგან განსხვავდება. ნამდვილ შემოქმედებაში მსგავსება არ შეიძლება აბსოლუტურ იგივეობამდის ავიდეს. ასეთ შემთხვევაში ხელოვნება დაჰკარგავდა განმაზოგადებელ უნარს და სინამდვილის ერთეული მოვლენების ფოტოგრაფიულ გადაღებად იქცეოდა. მსგავსების სასრულიანი შემოცობა ინდივიდუალურში ჩაკეტვა იქნებოდა. ტიპის ეს შინაგანი ბუნება ბელინსკიმ გენიალურად დაახასიათა: „მკითხველისათვის ყოველი ტიპი არის ნაცნობი უცნობი“-ო.

ი. ჯავჭავაძეს ბელინსკის ეს მოსაზრება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ერთ თავის დაუბოლოებელ წერილში შემდეგი აზრი გამოსთქვა ტიპიზაციის შესახებ: „ესთქვით, მიდიხართ და ხედავთ ლუსკუმას (СТАТУЯ) მარმარილოდამ გამოკვეთილ ადამიანის სახეს და აგებულობას... ესთქვით, თქვენს სიციცხლეში გინახავთ ვაჟაკი, დიდებული, თავგამოდებული ადამიანი. ესთქვით, ამ ლუსკუმის ყურებაზე მოგაგონდათ იმ ადამიანის სახეც და შეხედულებაცა. ახლა გინდათ, რომ ეს ორი, ლუსკუმა და იმ ადამიანის სახე ერთმანეთს შეადაროთ. შეადარეთ, მაგრამ ნახავთ, რომ ეს ლუსკუმა ვაჟაკობაში, დიდებულებაში, თავგამოდებაში ჰგავს იმ თქვენს ნაცნობსა და სხვაში სრულიად არა, — ერთის სიტყვით ეს მარმარილოს სახე იმ კაცის სახე არ არის... მთელი ქვეყნის ვაჟაკების, დიდებულების და თავგამოდებულების სახეები ამ მარმარილოს სახეს რომ შეადაროთ, არც ერთი არც ეგვანება და ეგვანება კიდევ. გიკვიროთ თქვენ, მაგრამ საკვირველი აქ არა არის-რა. ჰგავს იმიტომ, რომ რაც საზოგადო ნიშნები ჰქონიათ მთელი ქვეყნის ვაჟაკებს, დიდებულებს, თავგამოდებულებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილნი ამ მარმარილოს სახეზედ და ამიტომ გვანან და ამიტომაც ადვილად მიუხვდით გა-

\* ი. ჯავჭავაძე. ტ. II, გვ. 307.

მომკვეთელს აზრსა; და რაც კი კერძობითი ნიშნები ჰქონიათ, რაც კი ერთსა ქონია და მეორეს კი არა, იმათთვის გული არ უთხოვებია გამოკვეთსა, ამიტომ არა ჰგავს. რაც საზოგადო ჰქონ ფრთხილად მოკვეთს, კრეფია გამოკვეთს და რაც კერძობითი ნიშნების თვის თავი დაუნებებია. იმითომაც ისინი ჰგვანან კიდევ და არცა ჰგვანან. ამ საზოგადო ნიშნების ერთად წყობილად შეკრეფითა იზომება სიბრძნე და გონიერება ხელოვანისა“ \*)...

ცხადია, ი. ჭავჭავაძემ აქ სცადა თავისებურად გადაწყვეტა ის რთული საკითხი, რომელსაც ტიპიზაციის პროცესი ეწოდება. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური შეხედულებანი დღემდე რატომღაც უყურადღებოდ არის მიტოვებული. ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა მას არც კი შეხებია, მაშინ, როდესაც ამ მხრივ ი. ჭავჭავაძე წარმოადგენს საინტერესო პიროვნებას, რომელმაც, დაამუშავა რა ხელოვნების თეორია, მოგვცა აგრეთვე მისი შემოქმედებითი რეალიზაცია. მართალია, ილიას არ დაუწერია ცალკე წიგნი ესთეტიკურ საკითხებზე, მაგრამ იგი გაბნეულია მის სხვადასხვა წერილში, რომელთა სისტემატიზაცია და სწორი ანალიზი წარმოადგენს მარქსისტ მეცნიერთა გადაუდებელ ამოცანას.

ჩვენ თემასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძე უფრო რაციონალისტური ესთეტიკის დამცველია, ვიდრე ფსიქოლოგისტურის. კერძოდ, იგი, გამოდის ჰეგელისა და ბელინსკის ესთეტიკური შეხედულებებიდან, რის საუკეთესო დამამტკიცებელ ფაქტს წარმოადგენს მის მიერ ტიპიზაციის საკითხის გადაწყვეტა.

როგორც ზემომოყვანილ ამონაწერიდან სჩანს, ილია ჭავჭავაძე ტიპის არსებას მის ზოგადობაში ხედავს, რომ იგი არის საზოგადო ნიშნების ერთად შეკრება და გამოკვეთა. ზევით აღვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ ასეთი შეხედულება სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ზოგადი ნიშნების კრებადობად“ ვიგულისხმებდით მოვლენის არსის გამოხატვას და არა მათ მექანიკურ შეკრებას. ტიპის ზოგადობა მისი შემეცნებითი ღირებულების მაჩვენებელია, მაგრამ მისი მხატვრული ფუნქციონალური დანიშნულება ამით არ ამოიწურება. ტიპის მეორე თვისება, რომ იგი არის არა მარტო ზოგადი ნიშნების შეკრება, არამედ კერძობითი და ინდივიდუალური ნიშნების თანხლებაც, აქცევს ტიპს მხატვრულ ფაქტად. მხატვრულობა შეუძლებელია ამ მეორე მომენტის გარეშე. ჭავჭავაძე კი თავის ხელოვნების თეორიაში იგნორაციას უშვება ტიპის ამ მეორე მხარეს, ამიტომ ვამბობთ, რომ იგი რაციონალისტური ესთეტიკის წარმომადგენელია. მართალია, სახე — ტიპი სწორედ ეს ზოგადი ცნებაა, მაგრამ თუ მასში მარტო ეს ზოგადია შეკრებილი და არა ჩანს მისი მატარებელი კონკრეტული ინდივიდი — ერთეუ-

\*) იხ. ილ. ჭავჭავაძე, „წიგნების სრული კრებული“, ტომი IV, გვ. 402 — 3

ლი, მაშინ ხელში შეგვრჩება რეალობისაგან მოწყვეტილი აბსტრაქტული ზოგადი. ჩვენ კი ვიცით, რომ სინამდვილეში არ არსებობს მეტაფიზიკური, მისი ინდივიდუალური გამოვლენებისაგან მოწყვეტილი ზოგადი, ისე, როგორც „ნაყოფი საერთოდ“ მისი გრძნობად კონკრეტული მონაცემების გარეშე. როგორც „ნაყოფი საერთოდ“, ისე მატერია, „როგორც ასეთი“, „სხვა არაფერია, თუ არა იმ ნივთიერებათა ერთობლიობა, რომელთაგანაც აბსტრაქტირებულია ეს ცნება“ \*).

ამგვარად უნდა ვიმსჯელოთ ლიტერატურული ტიპისა და მისი ზოგადობის შესახებ. მხატვრულ შემოქმედებაში, მარტო ზოგადი ნიშნების ამოკრეფის გზით შექმნილი ტიპები წარმოადგენენ მშრალ სქემებს, რომლებიც მოკლებულია ესთეტიკური ზედმოქმედების უნარს. სქემატიური ტიპიზაცია კი სოციალურად დეტერმინებულია და ახასიათებს მომავლადი კლასის ლიტერატურას. როდესაც მომავლადი კლასი ამოვარდება ცხოვრების კალაპოტიდან და მისი საბოლოო დაღუპვა ცხადი გახდება, მაშინ ამ კლასის მწერლები ქმნიან ათასგვარ უტოპიურ კონცეპციებს თავისი კლასის გადასარჩენად. თეორიულად მოიფიქრებენ რა ამ „უებარ წამალს“, იწყებენ მხატვრული რეცეპტების წერას, ხოლო იდეების მხატვრულ ენაზე გადატანის პროცესში თავს იჩენს სახის სქემატიურობა, რადგან სინამდვილეში შეუძლებელია მათი იდეების მატარებელი ინდივიდების პოვნა, იმ მხრივ, რომ მათ ნამდვილად შესწევდეთ სინამდვილის განვითარების შეჩერების უნარი. მწერალი წინააღმდეგობაში ვარდება სინამდვილის განვითარების ობიექტური ტენდენციის მიმართ, ამიტომ მის მიერ მხატვრულად მოცემული ტიპები ზღვრიან მწერლის პოლიტიკურ შეხედულებათა უშუალო გამოძახების რუბორებად. გოგოლმა დაიწყო რუსი კაცის ზოგადი ბუნების ძებნა. რუსი კაცი კი, როგორც ასეთი, კლასობრივი დიფერენციაციის გარეშე, არარეალური აბსტრაქციაა, რომლის საფუძველზე შეუძლებელია სრულქმნილი ტიპის ჩამოყალიბება. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გოგოლმა ვეღარ გვიჩვენა ვერც ერთი დადებითი ტიპი თავის შემოქმედებაში. კოსტანუოვლო ისე სქემად დარჩა და მან ხორცი ვერ შეიბა, რადგან იგი არ იყო სინამდვილის ტიპი.

ი. ჭავჭავაძემ კი ხელი მიჰყო კაცობის, „როგორც ასეთის“, ძებნას. ყოველი კაცი ადამიანია, მაგრამ ყოველი ადამიანი კი არ ყოფილა კაცი. კაცობის ზოგადი აღება მისი კლასობრივი დიფერენციაციის გარეშე, — ასეთია ილიას შემოქმედების ერთი მხარე. „ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს“, — ამბობს ილია ერთ თავის წერილში. კაცი რომ კაცს ნიშნავდეს, საჭიროა იგი ნამუსიანი იყოს. „ნამუსის ქუდი“ შეიქნა კაცობის კრიტერიუმად. „ნამუსის ქუდი“ მეტაფიზიკური აბსტრაქციაა, რომელიც ილიამ მხოლოდ თავის თავისაგან გამოიყვანა.

\*) ფ. ენგელსი. „Диалектика природы“, 1930 წ. გვ. 107.

იგი არაა გამოკვეთილი საერთო ნიშნების საფუძველზე, რადგან იმგვარი ნამუსი, როგორც გიორგის აქეს, მხოლოდ ილიას გიორგის თუ შეიძლება ბოდა ჰქონებოდა, თორემ სინამდვილეში ასეთი გიორგიები არ არსებობდნენ იმ დროს. ამიტომ გიორგი ის კაცია, რომელსაც მალევე დაწვრივს ქუდი თავზე და თან მისთვის მიუღებელი აზრებიც მოახვიეს. მართალია, გიორგის ტიპი მხატვრულია და ძლიერი ემოციური ზედმოქმედების უნარით ხასიათდება, მაგრამ იგი მაინც არ არის შინაგანი მთლიანობის მატარებელი, თავისი კლასის ფსიქო-იდეოლოგიური არსების გამოხატვის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ამომავალი ბურჟუაზიის იდეოლოგებს ბრძოლა მოუხდათ იმ სქემატიზმის წინააღმდეგ, რომელიც გამეფებული იყო ცრუ კლასიკურ ლიტერატურაში. ცრუ კლასიციზმი ფეოდალური აბსოლუტიზმის ესთეტიკური გამოხატულება იყო, ბუალოს ნორმატიული პოეტიკა კი მისი თეორიული ტრაქტატი. გონების ფეტიშიზაციის საფუძველზე ბუალო ადგენს შემოქმედების წესებს და ნორმებს, რომლებშიაც მწერალმა უნდა გამოხატოს მეფის სასახლის ცხოვრება, მეფეთა მოქმედება და მათთვის გმირული თავდადება. ამის საფუძველზე შეიქნა სქემატიზმი, რომელმაც გამორიცხა პიროვნება და მისი გრძნობად კონკრეტული ინდივიდუალობა.

გერმანიის უდიდესმა თეორეტიკოსმა ლესინგმა მახვილი ჩასცა ბუალოს ესთეტიკას. მან, დაიცვა რა ამომავალი ბურჟუაზიის ინტერესები, წამოაყენა მრავალსახიანობის პრინციპი. არა ერთფეროვნება და სინამდვილის გალამაზება, არამედ მისი ყოველი მხარის ინდივიდუალური თავისებურების ჩვენება. თავის „ჰამბურგის დრამატურგიაში“ მან აშკარად ვაილაშქრა სასახლისა და მისი სქემატიური გამოხატვის წინააღმდეგ: „მე დიდი ხანია იმ აზრისა ვარ, რომ სასახლე არ არის ისეთი ადგილი, სადაც პოეტს შეეძლოს ბუნების შესწავლა. მაგრამ თუ მორთულობამ და ეტიკეტმა ადამიანები მანქანად აქცია, მაშინ პოეტის მოვალეობაა ხელახლად გადააქციოს ეს მანქანები ადამიანებად“<sup>\*)</sup>. როგორც ვხედავთ, ლესინგი ილაშქრებს ადამიანების უსულო მანქანებად დახატვის წინააღმდეგ. არა სქემატიური ტიპიზაცია, არამედ განზოგადოება ინდივიდუალიზაციის საფუძველზე, — ასეთია მისი მოთხოვნა ხელოვანთა მიმართ. ლესინგმა არა მარტო თეორიაში მოგვცა ამომავალი ბურჟუაზიის მოთხოვნები, არამედ მას პრაქტიკული დასაბამიც მისცა: „ემილია გალოტის“, „ნათან ბოშენის“, „მის სარა სამსონის“ და სხვა მხატვრული ფაქტების სახით.

ამ მოკლე მიმოხილვით ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებია, რომ ტიპიზაციის პროცესი შეპირობებულა ისტორიულად, და ყოველივე კლასი მხატვრული განზოგადოებისა თავისებურ პრინციპს აყენებს.

\*) ლესინგი. „Гамбургская драматургия“. Собр. соч., ტომი V, 1904 წ. გვ. 231.

აქვე უნდა აღინიშნოს ტიპიზაციის პროცესის ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით გაგება. რადგან ჩვენ უმთავრესად საკითხებს პუბლიცისტური დალაგება გვაქვს განზრახული, ამიტომ მოკლეთ შეფასებებებზე პრინციპიალურად შემცდარია მხატვრული განზოგადოების გაგება ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით. მაგალითად, პრ. ი. გლიცენკო თავის წიგნში: „პოეტური გამოხატულება და რეალური სინამდვილე“ ტიპების კლასიფიკაციის ახდენს არა მოვლენის არსის გამოხატვის თვალსაზრისით, არამედ მოვლენების გარეგანი ნიშნების ჭვანტიტეტური შეკრების საფუძველზე. მისი აზრით, ინდივიდუალური გამორიცხავს ტიპიურს: სახე ან ტიპური უნდა იყოს ან ინდივიდუალური. ტიპური სახე მოცულობით ფართოა, შინაარსით კი ღარიბი. ხოლო ინდივიდუალური — შინაარსით მდიდარია, რადგან მასში შედის ყველა ნიშანი, მოცულობით კი ღარიბი, რადგან არა ვრცელდება სხვა მოვლენებზე. „ელემენტების რაოდენობა არის ძირითადი ფაქტორი გამოსახულების კლასიფიკაციის დროს“ (გვ. 134). ცხადია, საკითხის ამგვარი დაყენება ფორმალური ლოგიკის აპოლოგიაა, რადგან იგი წარმოადგენს ცნებების შესახებ ფორმალური ლოგიკის მოძღვრების გადატანას მხატვრულ სახეებზე. ტიპური სახისათვის დამახასიათებელია არა კერძობითი ნიშნების რაოდენობითი შეკრება, არამედ მოვლენის არსების გამოხატვა, რის საფუძველზე იგი არის ტიპიურის ინდივიდუალიზაცია და ინდივიდუალურის ტიპიზაცია. სახის ეს დიალექტიკური ბუნება მიუღებელია ფორმალური ლოგიკისათვის.

ი. ჭავჭავაძემ, ერთის მხრით, სწორად შენიშნა ტიპის ნამდვილი ბუნება, როდესაც იგი მის ზოგადობაში შოთათესაა. სამწუხაროდ, ი. ჭავჭავაძე თეორიაში ამით დაკმაყოფილდა და სახეთა მსგავსების საფუძველიდან გამორიცხა მათი ინდივიდუალური თავისებურება. მაგ., როდესაც ილია ამბობს, „რაც კერძობითი ნიშნები ჰქონია, მისთვის თავი დაუნებებია გამომკვეთსო“, — არ არის სწორი, რადგან ნამდვილად მწერალი, ეძებს რა საზოგადო ნიშნებს, უდიდესი გულმოდგინებით აგროვებს იმ კერძობით და ინდივიდუალურ ნიშნებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ტიპის შექმნა. ეს დეტალები, კერძობითი ნიშნები იმისათვის არის საჭირო, რომ ამით გაცოცხლდეს მკითხველის წინაშე გამოსახატავი ობიექტი, რომ იგი თვალწინ დაუდგეს ამდკმელს, როგორც სინამდვილის ფაქტი, რომელიც თითქოს იმ წამში შედის შეგრძნების ორგანოებში. ნ. გოგოლა გენიალურად დაახასიათა ტიპიზაციის ეს მომენტი: „რაც უფრო მაღალია აღებულ პირის ღირსება, მით უფრო საგრძნობად, მით უფრო შესახებად უნდა აისახოს იგი მკითხველის წინაშე. ამისათვის არის საჭირო ყველა ის უამრავი წერილმანი და დეტალი, რომელიც გვეუბნება, რომ აღებულ პირი ნამდვილად ცხოვრობდა ამ ქვეყნად; წინააღმდეგ შე-

მთხვევაში იგი გახდება იდეალურ პირად, მკრთალი იქნება და ჩამდენი სიკეთეც არ უნდა მოახვიო თავზე, არარაობად დარჩება\*).

აქ გარკვევით არის თქმული იმ სპეციფიურობის შესახებ, რომელსაც ასრულებს „უთვალავი წვრილმანი“ შემოქმედების ბრუნვა უწყვეტონ ილ. ჭაქვაძემაც თავის შემოქმედებით პრაქტიკაში ამ გზით მიდის. ლუარსაბ თათქარიძის რეალობა არა მარტო იმით ჩანს, რითაც იგი „სხვას ჰგავს“, არამედ იმითაც, რომ იგი სხვას არ ჰგავს და გვევლინება როგორც განსაზღვრული ინდივიდი — საკუთარი ინდივიდუალური თავისებურებით. „კაცია ადამიანიში“ მოცემული ხასიათების შესახებ გარკვეულად შეიძლება ითქვას ენგელსის გამოთქმა: „ამა თუ იმ წრის ხასიათი დასურათებულა ინდივიდუალიზაციის თქვენთვის ჩვეულებრივი გარკვეულობით; ყოველი პირი ტიპია, მაგრამ ამასთან სახესებით გარკვეული პიროვნება, „ეს“, როგორც იტყოდა მოხუცი ჰეგელი, — სწორედ ასეც უნდა იყოს\*\*).

რომ ლუარსაბი მარტო მკვეთრად ინდივიდუალიზებული, ე. ი. მარტო „ეს“ ყოფილიყო და მეტი არაფერი, მაშინ საქმე გვექნებოდა, იმავე ენგელსის სიტყვით რომ ვთქვათ, „უხეირო ინდივიდუალიზაციასთან, რაც გამოიხატება წვრილმან ჭკუა-დატანებაში“. მაგრამ ლუარსაბ თათქარიძე ასეთი არ არის და ამაშია მისი ღირსება, როგორც სახე-ტიპისა, რომელიც წარმოადგენს ერთიანობას და ურთიერთ შეჭრას იმისა, რითაც იგი ჰგავს სხვას და რითაც განსხვავდება სხვისაგან. რაში მდგომარეობს ლუარსაბის ეს უკანასკნელი მხარე, რომ იგი არის „ეს?“ ავიღოთ თუ გინდასეთი მომენტი: მართალია, იმდროინდელი თავადები გადაგვარების გზაზე იდგნენ, ჭამა-სმის მეტს არაფერს აკეთებდნენ და გონებრივად წყალწალბებული იყვნენ, მაგრამ ყველა არ იყო ისე გამოკრუნტინებული, რომ ორმოცდაათ ბუზზე ეთქვა: გაფრენილა, თორემ ორმოცი იყო.

ამავე „კაცია ადამიანიში“ ლუარსაბის ძმა დავითი თავისებური ხასიათია. იგი ლუარსაბივით შინ არ ზის. გაქნილი და ვაიძვერაა, მან არ დაინდო თავისი ძმა ლუარსაბი და ფულზე გაჰყიდა ცოლის შერთვის დროს.

ზოგადის მკვეთრად ინდივიდუალიზაციის საუკეთესო მაგალითს ეგ. ნინოშვილის შემოქმედებაც წარმოადგენს. ეგნატემ აიღო ერთეული გოგია უიშვილი, და მის პიროვნებაში შეკრიბა იმდროინდელი გლეხების ზოგადი არსება, ისე რომ ამ ზოგადს არ წაუშლია უიშვილის ინდივიდუალური თავისებურება. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ღარიბი გლეხაკობის პასიურად მჭვრეტელი ფილოსოფია. უიშვილში შეიკრიბა მსგავსი მდგომარეობა, მაგრამ ამ ვითარებიდან გამოსვლისათვის მან ვერ აწარმოვა აქტიური ბრძოლა. თავი მოიკლა და ამით გამოამყვანა თავისი

\*) ნ. გოგოლი. „Авторская исповедь“, ტომი VIII, გვ. 39.

\*\*) „Маркс и Энгельс об искусстве“. გვ. 62.

ინდივიდუალური უძლურება და თავისი „ეს“ მკვეთრად განსაზღვრა, გოგონას ადგილზე რომ სხვა ინდივიდი და ხასიათი ყოფილიყო, შეიძლებოდა სხვაგვარად მოქცეულიყო, შეიძლებოდა კაცია მუნჯად ეყავეო და არ დაედვა რუსულზე. განა სხვაგვარად არ მოიქცა სიმონა ჭლადეძე/მწიგნობროსავალი ჰპოვა აქტიურ ბრძოლაში და წუთისოფელს გამოასალმა სისხლის მსმელი დავით დროიძე. ეს არც გასაკვირია, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ სიმონა იყო შვილის-შვილი პროტესტანტ გაბრიელ ძალაძისა, რომლის ოჯახშიც ბატონი ავი თვალით ვერ ჩაიხედავდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიმონას აქტიური მოქმედების მიზეზი უნდა ავხსნათ მისი ტემპერამენტით; იგი გამოწვეულია იმ სოციალური სიდუხჭირის საპასუხოდ, რომელიც სულს უხუთავდა იმდროინდელ გლეხკაცობას. როგორც ვხედავთ, ინდივიდუალური თავისებურება შემოქმედებაში არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ ემსახურება ზოგადის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას.

მკვეთრად ინდივიდუალიზებული ტიპის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე ილია ობლომოვის მოსამსახურე ზახარი. იგი ისევე ზარმაცი და პასიურია, როგორც მისი ბატონი. მიუხედავად ამისა, იგი ხასიათდება საოცარი ტყვეებით, რასაც თითქოს არ ჩაიდენს სხვა ბატონის ყმა: გამოხვეტდა ჯერ ოთახს, შემდეგ მაგიდას, ამიტომ ოთახი მუდამ დანავიანებული იყო. ან და დიდხანს არ დაგვიდა ოთახს, რომ დიდძალი ნავავი დაგროვილიყო, რათა შემდეგ ერთბაშად გამოეხვეტა. იგი ერთად ინახავდა: ჩოთქს, ვაქსს, ფეხსაცმელს, თეფშს, საჭმელ პურს, რომ მათი ძებნა არ დასჭირებოდა, რომ ყველა ხელთ ჰქონოდა. მკითხველს უკვირს ზახარის ინდივიდუალური თავისებურება, მაგრამ მასში მაინც ზოგადის გამოვლენას ხედავს, რადგან ობლომოვის მსგავს ბატონს არ შეიძლება სხვაგვარი ყმა და მოსამსახურე ჰყოლოდა.

რომ ტიპი მხოლოდ ადამიანი არ არის, როგორც ზოგიერთ მეთოდოლოგს ჰგონია, ჩვენ მოვიყვანთ ერთ ასეთ მაგალითს. ტურგენევის ერთ-ერთ ნაწერში საჭმე გვაქვს მონადირე ძაღლის, პეგასის, ტიპიურ გამოხატვასთან. ეს ძაღლი მონადირე ძაღლის ზოგადი ბუნების გამოშატყეულია, მაგრამ ამასთან ერთად იგი ხასიათდება თავისი ინდივიდუალური თავისებებით, რომლებსაც ყოველთვის ამჟღავნებს ნადირობის პროცესში და ამით განსხვავდება თავისი ჯიშის მონადირე ძაღლებისაგან.

განა ვაჟა-ფშაველამ ტიპიურად არ გამოსთქვა თავისი იდეა „ჩიკეთა ჭარწილის“ აღწერით, ფრინველთა ნადიმის ტიპიზაციით?

ამიტომ ვამბობთ, რომ ტიპიზაციის ქვეშ, მისი ფართო გაგებით, უნდა აღინიშნოს ის შემოქმედებითი პროცესი, რომელსაც მხატვრულ-სახეობრივი განზოგადობა ეწო-

დება. ტიპიურობა შეიძლება გამოვლინდეს ყოველ მოვლენაში, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში წამყვან ტიპებად ადამიანთა გვითვლინება. ისინი ერთ-ერთი წამყვანი ტიპები არიან სხვა ტიპებს შორის და არა ერთადერთი.

თუ მხატვრული განზოგადოების თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ზოგადი მოგვეცეს თავის ინდივიდუალურ და ერთეულეზრივ განსაზღვრულობაში, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ყოველი ინდივიდი და ერთეული არ გამოდგება ზოგადის გამოსავლენად, რადგან სინამდვილის ყოველ ერთეულში ზოგადი არ არის მოცემული მთელი თავისი მოცულობით. ერთ ერთეულში ზოგადის ერთი მხარეა მოცემული, მეორეში — მეორე, რომ არსი და მოვლენა ერთმანეთს ემთხვევოდეს, მაშინ, როგორც მეცნიერება, ხელოვნებაც არ იარსებებდა. — კ. მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ. თუ მწერალს ტიპიური მოვლენა შეხება, მაშინ იგი გამოხატავს ტიპურ სინამდვილეს, რომელიც ნარკვევის სპეციფიკაა. მაგრამ მეტწილად მწერალს უხდება სინამდვილის ტიპიური გამოხატვა. სინამდვილის ტიპურად გამოხატვა და ტიპიური სინამდვილის გამოხატვა არ არის ერთი და იგივე, ისე, როგორც ჩერნიშევსკის სიტყვით რომ ვთქვათ, დავხატოთ ლამაზი სახე და ლამაზად დავხატოთ სახე არ არის ერთი და იგივე. როდესაც სინამდვილის ინდივიდუალურში ზოგადი მოცემულია მთელი თავისი სისრულით, მაშინ მწერალს აღარ უხდება ერთეულის „გამოგონება“, მისი ძებნა. მაგ., ნიკიტა იზოტოვის ცხოვრების აღწერა იქნებოდა დამკვრელი მუშის არსების მოცემა მის მრავალ განსაზღვრულობაში.

ვიმეორებთ: მეტწილად მწერალი ეძებს, „იგონებს“ ერთეულს, ამიტომ ზოგადის გამოსავლენად უარყოფილ უნდა იქნას ტიპიზაციის ის თეორია, რომელიც დაახასიათა ჯოზეფი ეკერმანთან საუბარში. მისი აზრით, მწერალი კი არ ეძებს ერთეულში ზოგადს, არამედ ხედავს. ერთეულში ზოგადის დანახვა არის არსებითად მწერლის ბუნება. მწერალი „გამოხატავს ერთეულს და არ ფიქრობს ზოგადზე, არ მიუთითებს მასზე“. მართალია, სინამდვილის ერთეული და კერძო ზოგადის გამოვლენაა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყოველი ერთეული გამოდგება ზოგადის გამოსავლენად. ტიპიზაციისათვის ტიპიური ერთეულის აღებაა საჭირო. მაგრამ რადგან ასეთი ერთეული იშვიათია, ამიტომ მწერალს უხდება მრავალ ერთეულში გაბნეული ზოგადის სხვადასხვა მხარის შეკრება — მოძებნა და მისი კონდენსაცია ერთ ერთეულში. მხატვრული განზოგადოების ეს მხარე ჰქონდა მხედველობაში მაქსიმ. გორკის, როდესაც თქვა:

„სინამდვილეში მე არ შემხვედრია ისეთი კაცი, რომელიც ფაქტურად ჩამოყალიბებული იყოს ისე, როგორც ჩემი მიაჩნია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ვურჩევდე მწერალს „გამოიგონოს“ ადამიანი, რომელიც ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ლიტერატორს უფლება აქვს — და მე ეს მის მოვალეობადაც მიმაჩნია — „სავესებით გაააზროს“ ადამიანი. ლიტერატორმა უნდა ისწავლოს — ამყნოს, მიაწეროს ერთეულს თავისი კლასის უფრო დამახასიათებელი თვისებები“.

თვით ნარკვევში არ ხდება ერთეულის ისეთი გამოხატვა, რომ მწერალი არ ფიქრობდეს ზოგადზე. ჩვენ ვნახეთ, რომ ზოგადი ადამიანის თავში არ გადადის მექანიკურად და შეუგნებლად. პირიქით, მწერალი უპირველესად ამ ზოგადზე ფიქრობს და ამის გარეშე მსოფლმხედველობის წამყვანი როლი მოიხსნებოდა. გორკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მწერლის მიერ გამოძებნილი ერთეული არის არა ავტორის ფანტაზიის ნაყოფი. არამედ სინამდვილის ერთეული, რომელსაც შემოქმედებებითი წარმოსახვის საშუალებით აცრილი და დამყნობილი აქვს იმ ზოგადის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც გამოვლენასაც იგი ემსახურება.

სოციალისტური რეალიზმი მოვლენის ყოველგვარ გამოხატვას არა სთელის ტიპურად. მისი ვაგებით, ტიპურია მხოლოდ ისეთი განზოგადოება, რომელიც ტიპურია მხოლოდ ტიპურ გარემოებაში. მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობით შეიარაღებულ მწერალს შეუძლია მოვლენის ტიპური განზოგადოება, ჩვენ ვნახეთ, რომ ტიპური არის არა ფორმალური ნიშნების მათემატიკური შეკრება, არამედ მოვლენის არსის გადმოცემა, არსი კი არ არსებობს სტადიურად, იგი იმყოფება განვითარების გარკვეულ ტენდენციაში. ამ ტენდენციის სწორად გადმოცემა ნიშნავს სწორედ იმას, რასაც ენგელსი უწოდებს „ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში სწორ გადმოცემას“. როდესაც ნაწარმოებში იგნორირებულია სინამდვილის განვითარების ობიექტური ტენდენცია, მისი კანონი, მაშინ მოვლენის არსი გაყალბებულია, რადგან, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, „კანონი და არსი ერთგვარია და ერთი რიგის ცნებებია“. განვითარების ტენდენციის მოკვეთა კი მაჩვენებელია მწერლის კლასობრივი მსოფლმხედველობისა, მისი იდეის ნაირობისა. როგორც ვამწერლის მსოფლმხედველობა, ისეთივეა მისი ტიპიზაცია და სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ სახე არის იდეის და არა ტიპურის ინდივიდუალისა. ზოგადი, ტიპური, ერთეული და ინდივიდუალური დაქვემდებარებული ცნებებია: „ცნება ჯერ კიდევ არ არის უმაღლესი ცნება: მასზე მაღლაა იდეა“ (ლენინი).



ი. მანსვიტაშვილი

ჩემი წარსულიდან\*)

1886 წელს დაეწყო მუდმივი თანამშრომლობა ყოველდღიურ გაზეთ „ივერიაში“, რომლის რედაქტორად და მეთაურად იყო ილია ჭავჭავაძე. მუდმივ თანამშრომლად იმ დროს ითვლებოდნენ: გიგა ყიფშიძე, ილია ხონელი (ი. ბახტაძე), სტ. ჭრელაშვილი („სანოს“ ფსევდონიმით), ალ. ნანეიშვილი. თანამშრომლობდნენ აგრეთვე, თუმცა მუდმივად რედაქციაში არ მუშაობდნენ, ხიზანაშვილი („ურბნელის“ და „პლებსის“ ფსევდონიმით), სოფრომ მგალობლიშვილი („გუმცაძის“ ფსევდონიმით). ცოტა მოგვიანებით მუდმივ თანამშრომლად შემოვიდა არტ. ახნაზაროვი. გვაწვდიდნენ წვრილმან წერილებსა და ლექსებს აკაკი და რაფიელ ერისთავი. გიორგი წერეთელმა მოათავსა გაზეთში თავისი მოთხრობა „მამიდა ასმათი“.

ილია ხონელი გვაწვდიდა კვირეულ სხარტულა ფელეტონებს. „სანო“ უფრო ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდა. იგი მოიღინჯებდა, მაგრამ თავის ჩვეულებრივ სიცილს, მწარე სიცილს, მაინც ჩაურთავდა ხოლმე. სტ. ჭრელაშვილს ერთი უცნაური ჩვეულება ჰქონდა, მგონი, ბუნებრივიც იყო ეს მისთვის: ტუჩებზე მუდამ სიცილი ეკერა. ამიტომ რედაქციაში მეტ სახელად ვეძახდით l'homme qui rit-ს (ლომ-კირი), ე. ი. კაცი, რომელიც იცინის. ბევრს ეხსოვება ვიქტორ ჰიუგოს გამოჩენილი რომანი ამ სათაურით.

სოფრ. მგალობლიშვილი თავისი ჩვეულებრივი მოსწრებული სიტყვით, მოხდენილი ხალხური ჰუმორით შეამკობდა ხოლმე თავის ნაწერებს. არტ. ახნაზაროვი ცოცხალ, მზიარულ სცენებს სწერდა უფრო ქალაქის ცხოვრებიდან.

ყველა ერთგულად, გატაცებით ვეკიდებოდით საერთო საქმეს. მაგრამ სულის ჩამდგმელი, გზის მაჩვენებელი, ენის მასწავლებელი მაინც ილია იყო. უნდა გენახათ, ეს უკვე ხანში შესული კაცი როგორი ახალგაზრდური ხალისით, გატაცებით მუშაობდა ჩვენთან ერთად. სულ იმას ცდილობდა, რომ შეთანხმებით გვემუშავნა, გაზეთს ერთი სული ჩაადგომოდა.

\*) გაგრძელება. იხ. „მთობი“ № 6.

ერთი მიმართულება ჰქონოდა. მეტადრე მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიფაქიზეს.

რა ენა წახდეს, ერთი დაეცეს, — უყვარდა ხშირად მისი გამწვანება. ენა უნდა დავიცვათ შერყენილობისაგან, ენას ისე უნდა ვუვლილოთ. მოვეუაროთ, როგორც დედა უელის თავის პირმოშო შვილს.

ამიტომაც იყო, რომ არც ერთი წერილი, დიდი თუ პატარა, არც ერთი ფელეტონი, არც ერთი კორესპონდენცია მანამ არ გაიგზავნებოდა სტამბაში ასაწყობად, სანამ მთელი სიგძე-სიგანიტ, ძირიან-ფესვიანად არ გადაეთვალეირებდით, არ გავრანდავდით, არ გავაშალაშინებდით. მთელი კოლეგია, ილიას მეთაურობით, ვისხედით ღამის ორ-სამ საათამდის და გულდასმით ვასწორებდით, ვამზადებდით მასალას დასაბეჭდად.

გვიკვირდა, რა დაუშრეტელ წყაროდან მომდინარეობდა ის საოცარი ცოდნა ქართული ენისა, რომელსაც ილია აქ გამოიჩენდა ხოლმე. შევიდოდა სიტყვიერების სიფრცე-სიღრმეში, დაიწყებდა მეტყველების საღაროში კვლევა-ძიებას, და ქართული ენის სიმდიდრიდან საუცხოო მარგალიტებს გადმოგვიფენდა.

ხშირად გვესმოდა ყვიჩინა და საყვედური, რომ „ივერიამ“ ზრდილობიანი ქართული ენა სრულიად გააბამბულა, გაამასხარავა, მდაბიო ხალხის, გლეხურ ენად გადააქციაო. ეს მღვდლისა და დიაკვნის შვილები რომ დაეპატრონენ გაზეთს და ასეთი ენით სწერენ, არც გასაკვირია, მაგრამ ამ ილიას რალა დაემართა, იმათ ფეხის ხმას როგორ აჰყვავო!

ამის მთქმელთ ილიას აზრი რომ მოესმინათ ამ საგნის შესახებ, სულ სხვა პანგზე მოაწყობდნენ სიმღერას. არ იცოდნენ, რომ ილია იყო პირველი შთამოგონებელი და მქადაგებელი იმ აზრისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ქართული გაზეთი ან წიგნი. ბევრჯერ მთელი საღამოები გავგიტარებია და სჯა-ბაასი გვქონია იმის შესახებ, თუ ვინ არის დღეს ჩვენი მკითხველი ან სად უნდა ვეძიოთ ეს მკითხველი. ილია იტყოდა ხოლმე:

ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარი, იმათ ქართულიც და ქართველობაც — ორივე ფეხებზე ჰკიდიათ. ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაცვა იქნება.

ჩვენი რუსულ ინსტიტუტებში გამოზრდილ თუ სხვა ამგვარ ნასწავლ ქალებისათვის? ესენიც სულ მთლად დაკარგულები არიან ჩვენთვის. და სამწუხარო უფრო ის არის, რომ ესენი თავიანთ შვილებსაც გადაგვარების გზაზე დააყენებენ. ამათთვის ვსწეროთ? ეს ხომ ენის უაზრო ბრგვევი იქნება! აბა რას გავაგებინებთ იმათ, ვისაც ისიც კი დავიწყებია, თუ რას ჰქვიათ პანტა. განა სავალალო და სამწუხარო არ არის, რომ ქართველი ადამიანი ქართულ სოფელში მიდიოდეს და კითხულობდეს: *guest ce que la panta?* ე. ი. რა არის პანტაო.

იქნებ ჩვენი ინტელიგენციისთვის უნდა ვწეროთ? მაგრამ ინტელიგენტებსაც რუსული გაზეთების კითხვა უფრო ეხერხებათ, ვიდრე ქართულისა. ამათთვისაც წერა ყრუთათვის ზარის რეკვას მცემს დასტავად.

რედაქციაში ხშირად იმართებოდა კრებები. ესწრებოდენ უფრო ისეთნი, ვისაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ მწერლობასთან თუ მწიგნობრობასთან. აქ ნახავდით ანტ. ფურცელაძეს, დიმიტრი ბაქრაძეს — ისტორიკოსს, ი. გოგებაშვილს — ჩვენ სასიკაღულო პედაგოგს და მოღვაწეს, ნ. ცხეველაძეს — საზოგადო მოღვაწეს, რაფ. ერისთავს — პოეტს, პეტრე უმიკაშვილს, გრ. ვოლსკის — პოეტს და საზოგადო მოღვაწეს და მრავალ სხვას. თუ ქალაქში მოუხდებოდა ყოფნა, შემოივლიდა ხოლმე გ. წერეთელი. იშვიათად, კუდიანი ვარსკვლავივით გამოჩნდებოდა აკაკი. ვანო მაჩაბელი რედაქციას სრულიად არ მოჰყარებია. მიზეზი, მგონი, ის იყო, რომ ვაზ. „დროების“ დახურვის შემდეგ (მთავრობის განკარგულებით), „ივერიაში“, რომელმაც „დროების“ ადგილი დაიჭირა, მაჩაბელი არ იყო მოწვეული თანამშრომლად.

ციმბირიდან დაბრუნებისას დაიარებოდენ რედაქციაში ივ. ჯაბაძარი და გ. ზდანოვიჩი. ეს უკანასკნელი თანამშრომლობდა კიდევ „ივერიაში“. სადაც ათავსებდა პოლიტიკურ-ეკონომიურ წერილებს მიაიშვილის ფსევდონიმით.

დაუღიწყარი შთაბეჭდილებანი და მოგონებანი დამრჩა ამ კრებების გამო. ბევრი საკითხი ყოფილა აღძრული, ბევრი საყურადღებო ფიქრი და აზრი გამოთქმულა ამა თუ იმ საგნის შესახებ. გულს სიხარული ეფინებოდა, როდესაც უყურებდი და უსმენდი, როგორი ხალისით, გატაცებით, თავდავიწყებით ბჭობდნენ, ეკამათებოდნენ ერთმანეთს ახალგაზრდანი. ოდნავ წვერ-უღვაშით შემოსილნი, კალარა-შერეული შეახნის ვაეკაცნი და ღრმად მოხუცებულნი. მაგრამ ყველაზე მეტად ილია გაგვიტაცებდა ხოლმე. უნდა გენახათ მისი აღფრთოვანებული სახე, ანთებული, ცეცხლის მფრქვევი თვალები, რომ დარწმუნებულებიყავით თუ რა სულიერ და ჰქუის ძალას შეიცავდა ეს ადამიანი. მისი ნათქვამი არ იყო უბრალო სიტყვების რახა-რუხი, ყურის მოსატყუებელი ჟღარუნი ექვენებისა, თვალის ასამბელო შუშხუნა. ყოველ მის სიტყვაში ჩაქსოვილი იყო აზრი და ასე აზრი მოსდევდა აზრს და არა სიტყვა სიტყვას.

აქ საჭიროდ მიმაჩნია დაგხატოთ ილიას სურათი, მაშინ უფრო სრულს და საესე წარმოდგენას იქონიებთ და ადვილად მიხვდებით იმას, თუ რა იყო მიზეზი, რომ ილია ასეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვისაც ილია პირადად, ცოცხლად მოლაპარაკე არ უნახავს, იმას ფოტოგრაფიის სურათი ვერას ეტყვის. ფოტოგრაფიას არ ძალუძს გადმოგცეთ ადამიანის სულიერი არსება, მისი სრულქმნილი მშვენიერება.

ილიას ოცი წლის განმავლობაში ახლო ვიცნობდი, მინახავს სხვადასხვა გარემოებაში, სხვადასხვა მდგომარეობაში. გადმოგცემთ ყველა მთავრადილებას, რაც ჩემ გულში ჩაჩენილა ამ ხნის განმავლობაში. შეკრებილს, შეფარდებულს, მთლად ჩამოსხმულს, და ვგონებ: ჩემს ადამაბლოვებითი სინამდვილე იქნება ილიას სურათისა.

ილია დაბალი ტანისა იყო, ჩახშული, კარგად ჩასქელებული, კისერ ჩარგული, ერთის სიტყვით, „ბურთივით „მრგვალი“, როგორც მოსწრებულად დაახასიათა იგი გრ. ორბელიანმა. მაგრამ ამ ტანზე, რომელსაც ვერ დაეწამებთ სილამაზის ნიმუშობას, იჯდა თავი, ილიას თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიუსის ქანდაკებისა. წარმოიდგინეთ მაღალი, გამლილი, გადატკეცილი შუბლი, სწორე, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, გამოქანდაკებული ცხვირი, მრგვალი მოძრავი ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით, მოკუმული ისე მაგრა, რომ კბილებს არასოდეს არ გაჩვენებდათ, შემორგვალებული, ცოტად წინ წამოწეული ნიკაპი და თვალები, ჭკვიანი როდესაც მეგობრულად გამოიყურებოდნენ, ხან არა ამ ჭკვენიური, როდესაც შემოქმედების სივრცეში დაკურავდნენ, ხან მრისხანე, ცეცხლის მფრქვევი, როდესაც მტერს შეებრძოდნენ, — წარმოიდგინეთ ყველა ეს და თქვენ თვალწინ გეყოლებათ ცოცხალი ილია. მაგრამ ეს სურათი არ იქნებოდა სრული, თუ არ დაეუმატეთ კიდევ შემდეგი. ილია რომ ალაპარაკებოდა, ეშხში რომ შევიდოდა, კამათის ეინი რომ გაიტაცებდა — სახე აენთებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, გაუნათლდებოდა რალაც იდუმალი შუქით, სხივებით, გეგონებოდათ, შიგნით. გულის სიღრმეში რალაც ლელავს, ზვირთებს ისერის და ტალღებით უნდა წალეკოს თავისი მეტოქე, მოკამათეო. ამითი უნდა აიხსნას ის ძლიერი ლოლიკა, რომელიც მას ძლევამოსილებას ანიჭებდა, უძლეველად ხდიდა.

სხვანაირად წარმოვიდგებოდათ ილია შემოქმედების დროს. თვალები ცოტა მიბნედილად, ლმობიერად, ზეალმატქერით გამოიყურებოდნენ, ტუჩებზე რალაც ნეტარების ღიმილი უთამაშებდა, სახე ნაზად განათებული ჰქონდა, იფიქრებდით, სახე შარავანდელით აქვს დაგვირგვინებულო.

სულ სხვა იყო ილია, როდესაც საბრძოლველად გამოვიდოდა მტრის წინააღმდეგ. მაშინ ის მოგაგონებდათ გააფთრებულ ვანრისხებულ ლომს: სახეზე აღმური ასდიოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და ვაი იმას, ვისაც მოხვედებოდა მისი ტორები ბასრიანი ბრჭყალებით, დიდხანს დაახსომდებოდა და მეორედ მასთან ბრძოლას ადვილად ვეღარ გაბედავდა.

ასეთი იყო ილია, ასე წარმომიდგება მე მისი საეცე და სრული სურათი. დაუღალავი მუშაკი იყო ილია, როდესაც საქმეს გულით ეკიდებოდა. „ივერიის“ გამოსვლის პირველ ხანებში ისე მუშაობდა, გეგონებოდათ, ოცი წლის ქაბუკიყო. ორი-სამი საათიც რომ ყოფილიყო ღამისა, ძილი და

მოსვენება ფიჭვადაც არ მოუყიდოდა, ვიდრე ახლად დაბეჭდულს, სველ-სველ გაზეთს არ მოუტანდნენ.

მუშაობდა ილია ვატაცებით, მაგრამ თანაც გვაფრთხილებდა: ყმაწვილებო, არ მიღალატოთ, თორემ, სომ იცით, თუ ბაჭყალი ქრახმაწვერი ზოგრღვა, ვათავდა, პაქიჭი ბოლომდე ჩაირღვევა, მისი შველა შეუძლებელია. მეც ასეთი თვისება მაქვს, მე შუა გზაზე დადგომა არ ვიცი. ამასაც გეტყვი: კამბეჩის ჯიშისა ვარ, რაც უნდა მძიმედ დატვირთული ურემი იყოს, უკან არ დავიხვე, ხრამიდანაც ამოვიტან, თუ უღელში შესაფერი ტოლები მეყოლებიან, მხარს დამიჭერენ. მაგრამ ოჩანი ცხენის ზნეცა მჭირს: თუ ერთი შევედქი, დავიჩნდი, — ვათავდა, მერე კეტებით რომ მცემოთ, წინ ფეხს ველარ გადამადგმევენებთ.

ეს უბრალო, ლიტონი სიტყვები არ იყო ილიას პირში. ასეთი იყო მისი ბუნება: ჭირვეული იყო ყველაფერში, როგორც მუშაობაში, ისე სიზარმაცეში, როგორც სიყვარულში, ისე მტრობაში.

მახსოვს, როგორ სწერდა „ოთარაანთ ჯვრიც“. ჩაიკეტებოდა თავის კაბინეტში, მიუჯდებოდა მაგიდას და სწერდა განუწყვეტლივ, თავაუღებლად, დღით და ღამით. ვამბობ ღამით, იმიტომ რომ ხანდახან კაბინეტში შესვლა რომ მოგვიხდებოდა რაიმე საჭირო საქმისათვის, ილია უძრავად იჯდა თავის ალაგას და ვაცხარებული სწერდა. ილია მოგვიბრუნებდა სახეს, მშვიდი ნათელით გაბრწყინებულ თვალებს, მოგვეცმდა მოკლე პასუხს ისეთი კილოთი, თითქოს ოცნების ბურანიდან ვერ გამოორკვეულაო. და მიუბრუნდებოდა ისევ წერას.

მუშაობდა ასე: დაავიწყდებოდა ჭამაც და სმაც. ერთ ფინჯან ყავას თუ შეუტანდნენ და პატარა თეთრ პურს, თორემ სხვა საჭმელს არაფერს მიეკარებოდა. შეუღლე ილიასი შემოგვიჩვილებდა ხოლმე: ღამე წამოვდგები, მივალ ილიას ოთახთან და კარებს ცოტად შევალე, მინდა შევიტყოხომ არა უნდა რა. ეხედავ, ილია წამოწოლილია ტახტზე, კაბინეტში რომ უდგა, ჩაცმული, ტანგაუხდელი და სძინავს კურდღლურად. ფეხაკრეფით გამოვბრუნდები, რომ არ გამეღვიძებინა.

ასე გაშმაგებით იცოდა მუშაობა, საჭმელსაც კი აღარ ეკარებოდა. მხოლოდ თამბაქოზე არ იღებდა ზელს, პირში გაუქრობელი ედო პაპიროსი და მის ისეც პატარა კაბინეტში, ახლა ჩაკეტილ-ჩახურულში, ისეთი დახშული, შეკომლილი ჰაერი იდგა, რომ ახლად შესულ კაცს თავბრუს დაახვევდა. ილია ამას აინუნშიაც არ აგდებდა.

ვათავებდა მუშაობას, გამოვიდოდა თავის დროებით საპყრობილედან და ვინ იტყოდა, რომ რამდენიმე დღე უქმელ-უსმელი იყო, ღამეები უძილოდ გაუტეხიო, — ისეთი მხიარული, ჯანსაღი სახით გამოიყურებოდა. ვინ არ შენატრებდა, ვის არ შეშურდებოდა ილიას ჯანი: სწორედ რომ ქვითკირითა და რკინით იყო ნაშენი მისი აგებულობა.

გაათავებდა წერას, მიაგდებდა კალამს და მთელი კვირითაა აღარ დაუბრუნდებოდა საქმეს. ვაღიცივამდა თავის ჭრელ ხალათს, დანიხურავდა თავზე ფეხს და ჩაიკეტებოდა ისევ თავის კაბინეტში, მხარობდა მუშაობისათვის: წამოწვებოდა მხართემოზე, აიღებდა სეკრეტარს და მიეცემოდა აზიურ *far nientes*-ს, ჩვენებურად რომ ეთქვათ, განცხრომას. სიზარმაცეს. თუ ამ დროს მოვიდოდა ვინმე საქმისათვის, ახლოს არ მიიკარებდა, სალაზღანდაროდ მოსულს სტუმარს კი დიდის სიამოვნებით გაუმსახინძლდებოდა. თუ ვინმე მახლობელი შემოვიდოდა და ეტყოდა: ილია, მოდი ერთი კამათელი გავაგოროთ, ილია დიდის სიამოვნებით დაეთანხმებოდა, მოუჯდებოდა ნარდს და კამათლებისა და ქვიშნარების ჩახაჩუბში ყველაფერი დაავიწყდებოდა.

ქართული გაზეთის გამოცემა იმ ხანებში ადვილი საქმე არ იყო. გზა, რომელიც მაშინ ქართულ მწერლობას უნდა გაეცლო, არ იყო ვარდითა და იით მოფენილი, ეს იყო გზა ვოლგოთისა, გზა ეკლიანი გვირგვინისა, გზა ოხვრისა და გოდებისა, გზა შიმშილისა და მწყურვალობისა. ამას დაუმატეთ ქართველი საზოგადოების გულგრილობა, კილევა და ღრეკვა, დაუცხრომელი მტრობა თვითმპყრობელური მთავრობისა. ეს არა კმარა. გაზეთს წინ ედვა კიდევ ერთი განსაცდელი, ერთი სახიფათო ადგილი, სადაც ბეწვის ხიდი იყო გადებული. შესდგებოდა ამ ხიდზე და შიში აიტანდა: აი ეს-ეს არის ჩაწყდება ბეწვი და ხიდთან ერთად შენც თან ჩავიტანს უფსკრულში. მოდი და ახლა იქიდან ამოსავალი გზა ეძებე. ეს სახიფათო ხიდი გვაწვა და სულს გვიხუთავდა. ეს იყო ჩვენი სულთამხუთავი, ჩვენი „სული ბოროტი“.

გაზეთს მასალას დავუმზადებდით რედაქციაში, სტამბაში ააწყობდნენ ამ მასალას და კოხტა პატარძალივით მორთავდნენ, მაგრამ ვერ დაებუჭდავდით და მკითხველს ასე მოკაზმულ-მორთულს ვერ მიუძღვნიდით. ჯერ გაზეთს უნდა გამოეცლო კიდევ ერთი გალიბული, საშიში გზა. ეს გზა მიგვიყვანდა ხოლმე იმ ადგილას, რომელსაც სახელად ერქვა ცენზურა. ვინხედით და ველოდით გულის ცახცახით, რა სახით დაგვიბრუნდებოდა შინ ეს წვითა და დაგვით შემზადებული გაზეთი.

აგერ მოგვიტანეს გაზეთიც. დავეხდავდით და გულს ელდა ეცემოდა. გაზეთი გაზეთს აღარა ჰგვანდა, სულ წითელი მელნით იყო შეთითხნილი, ჯვარედინად გადახაზულ-გადმოხაზული. ეს იმას ნიშნავდა, რომ წითელი ხაზებით გადაჯვარედინებული ადგილები უნდა ამოგველო და სხვა რითიმე შეგვევსო. ეს არც ისე ადვილი იყო. დავღონდებოდით, დავძმარდებოდით. გაზეთის ამგვარად გამოშვება შეუძლებელი იყო: მოცდენილ ყანას მოგაგონებდათ, ალაგ-ალაგ რომ მოტიტვლებული ადგილები ჩანს. ილია თავს მოიკლავდა, ასე დამახინჯებული გაზეთი საქვეყნოდ გამოტანილი რომ ენახა. დაგვეტოვებინა ცარიელი ადგილები და შენიშვნა მიგვეცა, რომ „საცენზურო პირობათა გამო“ გაზეთი ამ სახით გამოდის:

ნება არ გვექონდა კანონის ძალით. შეიძლებოდა კიდევ სხვა გზით შეველა-  
ამგვარ შემთხვევისათვის დამზადებული და აწყობილი გვექონდა სთაღა-  
რიგო მასალა, რომელსაც ჩავაკვირებდით ხოლმე წაშლულ ქვეყნულ ადგილას.  
იყო კიდევ მესამე გზაც: წავსულიყავით ცენზორთან და ვუჩვენებდით, ან  
მუდარით, ან მოსაზრებით დაგვეჯერებინა, დაგვეერწმუნებინა, რომ წა-  
შლილ ადგილებში არავითარი საშიშო და საწინააღმდეგო ვისიმე არ  
მოიპოებოდა.

ამგვარ შემთხვევისათვის „სამწუხრო მსხვერპლად“ განწირული გვეყავ-  
და გიგა ყოფილიყ.

ქშენითა და ხენეშით ამოგოგდა გიგა რედაქციაში. ჯერ ფეხი არ შე-  
მოედგა კარებში, რომ ხონელმა ხელში მიაჩენა ცენზორის მიერ დასახიჩ-  
რებული ნომერი და მიადება:

— აბა, გიგა, ჰე, დაიძარ და სულ ბრიგინ-ბრიგინით გასწი ლუკას-  
თან (ასე ვეძახდით ცენზორს) და შეეწირე ზვარაკად საკუთხვეცელისა  
ზედა „ივერიისას“.

ერთს მწარედ ამოიხზარა და მორგვევით აგორავდა ლუკასაკენ.

ცენზორად დანიშნული იყო მაშინ ლუკა სტეპანიძე ისარლოვი (ისარლი-  
შვილი). ეს კაცი იყო ქონდრის ტანისა, ბაჯაჯღანა, მახინჯი სულითაც და  
ხორციითაც, წვერ-ულვაშ მოპარსული, ფლიდი ენის პატრონი. რაღაც უცნა-  
ური სიცილი იცოდა, რომელიც გოგოლის პოპრირიშინის ხითხითს მოგა-  
ვონებდათ. რომელ არქივში გამონახეს და გამოამზევეს ეს არაკაცი, არ  
ვიცი. ის კი ყველამ ვიცოდით, რომ ეს წყალობა მოიღო და ამით ქართული  
მწერლობა გააბედნიერა ლევან მელიქიშვილმა, იმ დროს მთავარმმარ-  
თებლის თანამეწევე, ხოლო წინად დაღესტნის ბატონ-პატრონმა, ე. ი.  
გენერალ-გუბერნატორმა: ამბობდნენ, ვითომ ლუკა ისარლოვიც იქ, და-  
ღესტანში, პოლიციის რაღაც დაბალ მოხელედ ყოფილიყოს, და აი გე-  
ნერალმა ლ. მელიქოვმა ამაზე უკეთესი არა გამოიმეტა რა ქართველები-  
სათვის. მაგრამ ან კი რა მოეთხოვება გადაგვარებულ დიდ მოხელეს.

ლუკა ნამდვილი ძველი დროის პოლიციელი იყო: გულით გაქვავებუ-  
ლი, ჰკლუთ გამოფიტული. ვერც შენი წრფელი სიტყვა, ვერც შენი საღი  
სჯა, ვერც ხეწენა და მუდარა ვერ მიაღწევდა იმის გულსა და ტვინს.  
მას სწამდა და სჯეროდა ნება და ბრძანება თავის წარმომავლინებლისა,  
დანარჩენს მისთვის ერთი ბისტის ფასიც არა ჰქონდა. აი ამისთანა კაც-  
თან გავვზანეთ საწყალი გიგა და ნუ გაიკვირებთ, თუ შინ ხელცარიე-  
ლი დაბრუნდა, დაღონებული, დამმარებული. გიგას დანახვაზე, უსიტყვოდ  
მივხვდით, რომ მოხდა ის, რასაც მოველოდით. წუწუნის და ჩივილის დრო  
აღარ იყო. ლუკას ლანძღვა-გინებასაც აზრი არ ექნებოდა. სხვა გზა არ  
იყო, საქმეს უნდა შევედგომოდით, შენახული, დაზოგილი მასალა უნდა  
გამოგვეყენებინა. მოვიწვიეთ სათათბიროდ ჩვენი დიომიდე (ასოთამწყობი,

კილაძე), სტამბის მეტრანჰაეი, დაულაღვი, წარბშეუხრელი მუწაკა, რომელიც ჩვეული იყო ლუკას ამგვარ ოინებს. საქმე გაჩარხდა. გაზეთი თავის დროზე გამოვა. ხვალ დილით ჩაიზე ან საუზმეზე მრგვალი მკითხველს. მკითხველი გადაშლის გაზეთს, გადაავლებს თვალს და რა ღიხნახავს მთელ სვეტებს ხალხური ლექსებით სავსეს, დაძველებულს, უცხო ენიდან ნათარგმნს გაქიანურებულ მოთხრობას, ალბათ გვერდზე გადასდებს გაზეთს და რედაქციას კიდევ შემოუყურთხებს: აი დაჰლახვროს ღმერთმა! კიდევ აბდა-უბდით გაუფსიათ გაზეთი! ნეტავი სად პოულობენ ასეთ აშშორებულ, ობ-მოკიდებულ ამბებს?!

მკითხველის გულისწყრომა, გულახდილად რომ ეთქვათ, სამართლიანი იყო. მაგრამ, სულქვეშ რომ ეთქვათ, განა რედაქცია კი დამნაშავე იყო? და მთელი ტრაგედიაც მაშინდელი მკითხველისა და მწერლისა, აი სწორედ აქ იყო. მკითხველმა რა იცოდა, თუ რა წვითა და დაგვით იყო გაზეთი შედგენილი, მკითხველმა რა იცოდა, ვინ იყო ცენზორი — ლუკა ისარლოვი, მკითხველს რა საქმე ჰქონდა, თუ ათიოდე კაცმა მთელი ღამე უძილოდ გატეხა, ათასი ტანჯვა და ვაება გამოიარა, ოღონდ კი მკითხველს ნაბუქდი ფურცლები მაინც მიერთვას ხვალ ადრიან. დაგვიანებისთვისაც გაგვირისხდებოდნენ და დაგვეკომბდნენ.

ასე და ამგვარად იყო საქმე დაყენებული. მწერალი სწერდა, მკითხველი კითხულობდა, ხოლო რა გარემოებაში სწერდა მწერალი, რამდენი ტანჯვა და ვაგლახი უნდა გამოეცლო, ვიდრე მკითხველს ორიოდე ცოცხალ სიტყვას მიაწოდებდა, — ამას არავინ კითხულობდა. მეორეს მხრით, არც მწერალმა იცოდა, მკითხველი კითხულობს მის ნაწერს დროს გასატარებლად ან როგორც რაღაც სავალდებულო ბეგარის თავიდან მოსაშორებლად, თუ ანგარიშს უწევს მწერლის გულის წუხილს, იზიარებს მის ნაზრევს, ნაფიჭრებს. და აი სწორედ აქ იყო, როგორც ზემოდაც ვთქვით, ტრაგედია: მწერალსა და მკითხველს შუა ხიდი იყო ჩატეხილი, სხვადასხვა ნაპირზე იდგნენ, ერთმანეთს ხმას ვერ აწვდიდნენ. ერთიმეორის სულის ტანჯვას, გულის პასუხს ვერ უზიარებდა.

ერთხელ კიდევ ვებრუნდები ჩვენი მწერლობის სულთამხუთავს ლუკა სტეპანის ისარლოვს. მეც მხედა წილად მესვა ცენზორის სამსალით საესე ფილა. ასე მოხდა ეს. თუმცა ხშირად არა, მაგრამ დროგამოშვებით მაინც მწერალს ხედება წილად ასეთი ბედნიერება: თავში მოუფეა მშვენიერი აზრი. ამ აზრს გულის სიღრმეში ამოავლებს, სულს შთაბერავს, ხორცს შეასხამს, სიტყვებით შემოსავს, და ეს სიტყვები, როგორც მომწიფებული ხილი, შენ დაუკითხავად, დაიწყებს დენას კალმის წვერიდან. მაშინ ქალღმერთზე იბადება ცოცხალი, ხორცშესხმული, სულჩადგმული ნაწერი, რომელიც სიხარულს გვგვრის, სულიერ კმაყოფილებას გიღვიძებს. გიხაროვან კიდევ უფრო იმიტომ, რომ გრძნობ: ხვალ მკითხველი წაიკითხავს და ისიც შესწავლით გაიხარებს, იმასაც შენსავით კმაყოფილებას აღუძრავს გულში.

ერთი ასეთი ბედნიერი წუთი მეც მარგუნა ბედმა. აღუბეჭდეს ეს წუთი ფურცლებზე, შევაცურე ზვირთებზე და ვეძლევი ფიქრს: ფინს გავა თუ სადმე ჩასძირავს. ლუკა სტეპანიჩს რომ ჩემი გამჩენს ~~გაჩვენებს~~ და წითელი სისხლის ჯვარი დაასვას ზედ? მაშინ? მაგრამ ~~ჩნდება~~

მიდის აწყობილი ფურცლები ლუკასთან. ველი გულის ძვრით უკან დაბრუნებას. აგურ მოიტანეს. დავხედე და — ვაი შენს მტერს: ისე იყო აობრებული, როგორც სეტყვისაგან განადგურებული ყანა. სხვა შეველა არ იყო: უნდა მე თითონ შევდგომოდი ეკლიან გზას გოლგოთისას, რომელსაც მაშინ ცენზურა ეწოდებოდა, მენახა ჩემი წერილის ჯალათი ლუკა, რითიმე და რაიმე სახით მომეღობო და მომენადირებინა მისი გამხმარი გული. შევედი და ლუკა რომ დავინახე, კინაღამ სიცილი წამსკდა. ამის მიზეზი იყო შემდეგი. ზემოთ ხომ დავიხატეთ ლუკას სურათი, მაგრამ მაშინ ერთი რამ წერილმანი დამრჩა აღუნუსხავი: მისი ამობურცული წითელი ლოყები, ისეთი წითელი, რომ იფიქრებდით, ჰქონდა ფერით აქვს შელებილიო. ამის დანახვაზე უცბად მომაგონდა ჩოლოზ-ჩოლოზ მაიმუნი, აი ქუჩებში რომ დაჰყავთ თათრებს ბავშვების გასართობად. მხოლოდ არ გეგონოთ კი, რომ მთელი მაიმუნი გამახსენდა, არა მარტო ის ნაწილი მაიმუნის სხეულისა, სადაც le dos perd son nom, როგორც ფრანგები ამბობენ.

მაგრამ თავი შევიმაგრე, სიცილი შევიკავე და ზრდილობიანად მოვახსენე ლუკას, რა საქმეზედაც ვიყავი მასთან მისული.

— არა, რასაც მთხოვთ, მაგის ასრულება ყოველად შეუძლებელია. რაც ამოვშალე, ის ამოსაშლელი იყო, წაღმა ველარ გადავატრიალე. ჰო და რას სწერთ? სიტყვის გადაკრით, იგავ-არაკებით გინდათ თავი შეგვიხვიოთ, თვალები აგვიბათ? არა, კარგად გვესმის, რაც გაქვთ გულში. თავი მიანებეთ მაგვეს. ისეც, ვინ იცის, რას არ ლაპარაკობენ თქვენ გაზეთზე. მადლობა მითხარით, რომ ბევრს ამოვიშლით ხოლმე, თორემ აქამდის გაზეთს სრულიად დავიხურავდნენ.

მე ბევრი სიტყვა დავხარჯე; ბევრი ვეცადე დამეჯერებინა, რომ ჩემ წერილში არაფერია არც კანონის, არც მთავრობის წინააღმდეგი. მე ჩემი ვქენ, იმან თავისი, მაგრამ არა გამოვიდა რა. შეჯდა ჯორივით და ფეხი ველარ მოვაცვლევი. შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი. სულ ერთს გაძახხოდა: არ შემიძლიან, არ შემიძლიან!

ერთბაშად შეწყვიტა ლაპარაკი, დაიწყო თავისებური ხითხითი, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— რას ჩამოსციებიხართ ამ იანოვსკის, მაზრის უფროსებს, მამასახლისებს! მიანებთ თავი! აი ჰიპაძეზე რატომ არა სწერთ?

— ვინ ვახლავთ, ლუკა სტეფანიჩ, ეგ ჰიპაძე? — ვეკითხები.

— იმერეთში სცხოვრობს. ერთი მოუსვენარი, აბეზარი კაცია. მოსვენებას არავის აძლევს.

— კეთილი, ბატონო, მაგრამ მე ვე პირველად თქვენგან მესმის. მაგაზე არავითარი კორესპონდენცია რა მოგვსვლია. ამბები არავინ მოუწოდებია და აბა როგორ დაეწეროთ?

ლუკა მე თითქოს ყურს აღარ მიგდებდა, და განაგრძობს თავისებური ხითხითით:

— კაი გვარია: ჭიპაძე. კარგი იქნებოდა ფსევდონიმად ამოგერჩიათ. თორემ აი ვილაცა სწერს თქვენ გაზეთში და დონ-იაგოს აწერს. აბა რა ფსევდონიმია? არა სჯობს — ჭიპაძე მოაწეროს! — და განაგრძობს ისევ თავის ხითხითს.

ემშაკობდა ლუკა. მან კარგად იცოდა, რომ დონ-იაგოს ფსევდონიმით მე ვწერდი და, მაშასადამე, მე გადმომკრა მათრახი.

მივხვდი, რას ნიშნავდა ლუკას ხითხითი, ჭიპაძეზე და ფსევდონიმებზე გადაკერით ლაპარაკი: უნდოდა თავიდან მოვეშორებინე. მეც დავაპირე წამოსვლა. მხოლოდ არ მინდოდა ისე წამოვსულიყავ, რომ მეც ცოტა არ მეკებინა ლუკასთვის. ილიასაგან გაგონილი მქონდა: თუ გინდათ ლუკას აწყენინოთ, გააჯავროთ, ლუკა სტეპანიჩის მაგიერ — ლუკა ისარღიჩო უთხარითო. მაშინვე ყალბზე შედგება და მოსისხლე მტრად გადაგეჭყვეათო.

ჯანი გაპვარდეს-მეთქი, ვიფიქრე, ამ არა კაცისაგან ხომ შემდეგშიაც არა გამოდნება რა. მე ამის კარებს აღარ მოვადგები და ამით მინც ვიყრი ჯავრს და გულს მოვიოხებ. ავკრიფე ჩემი ბარჯი-ბარჯანა, ე. ი. წითლად შეთითხნილი ნომერი გაზეთისა, ავდექი, მივაძახე: „მშვიდობით ლუკა ისარღიჩ!..“ — და გამოეწიე კარებისაკენ.

ერთხელ ივ. ჯაბადარმა, რომელიც, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ციმბირიდან დაბრუნებისას, ხშირად ესწრებოდა ხოლმე რედაქციის კრებებს, გვითხრა: ვრცელი წერილი მაქვს დამზადებული რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ჟურნალ „Северный Вестник“-ში ვაპირებ ამ წერილის დაბეჭდვას, მაგრამ წინად მინდოდა თქვენთვის წამეკითხა და თქვენი აზრი შემეტყო.

მალე მართლაც მოიტანა და წაგვიკითხა. დაწერილი იყო კარგად, კარგი ლიტერატურული ენით, ცოდნით, ხოლო რაც შეეხება მის შინაარსს, აქ კი ბევრად მოიკოჭლებდა. არ იყო დაცული ისტორიული სინამდვილე, ვერ შეევსო ავტორს რუსთაველის გმირების სულისკვეთება, გულის ძეგრა, მათი საქციელი ისტორიული ეპოქის შესაფერად. ის უკიეინებდა ნესტან-დარეჯანს, ტარიელს პასივობას, უძრავად, გულხელ დაკრფვით ჯდომას ერთ ადგილას, განუწყვეტელ ჩივილს, წუწუნს და ცრემლის ღვრას. ავტორს უსათუოდ უნდოდა, რომ რუსთაველის გმირები ისე მოქცეულიყვნენ, როგორც, მაგალითად, გმირები ჩერნიშევსკის რომანისა: „Что делать?“.

ილია თავისებურად გაცხარდა და გაცეცხლებულმა უთხრა: არა, ბატონო, ივანე, ჩვენ ვერც ადვილად ვერ დავითმობთ რუსთაველს. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოვლისა უნდა შეიტყუოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა ბჭრძნის მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი შაჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისტქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა. — და კიდევ ბევრი მწარე სიტყვები შესთავაზა ილიამ ჯაბადარს.

ერთი რამ მაკვირვებდა: ჯაბადარი თითქმის არაფერს უპასუხებდა ილიას, თავს არ მართლულობდა. შემდეგ შევიტყე, რომ ეს წერილი საესებით მისი არ ყოფილიყო. ამას მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გადმოცემა ეკუთვნოდა, დაწერა, გაშუქება და კრიტიკული განხილვა მისი ცოლისა ყოფილიყო. ჯაბადარის ცოლი, შთამომავლობით რუსი, ლიუბატოვიჩის ქალი, დიდის ხნის რევოლუციონერი იყო, „ნაროდოვოლცების“ წრეს ეკუთვნოდა, დიდი მეგობარი თურმე იყო, როგორც ლიუბატოვიჩი იხსენიებს თავის ბეჭდვით მოგონებაში, იმ ტეროროსტისა, რომელმაც ეანდარების უფროსი მეზენცოვი მოკლა.

ჯაბადარმა მაინც დაბეჭდა თავისი თუ ლუბატოვიჩის წერილი „Северный Восток“-ში, ხოლო „ივერიას“ კი შემოსწყრა და მას შემდეგ რედაქციაში აღარ გაუვლია.

ჩემს ერთ ფელეტონში ამ წერილის გამო მეც გადაეკარ ჯაბადარს ორიოდ სიტყვა დაცინვის კილოთი. ქუჩაში შემხვდა ჯაბადარი და ცოტა წყენით მისაყვედურა: შენც ილიას აპყვეიო. მე ჯაბადარს წინადაც ვიცნობდი და ამ ბატარა ამბავს ჩენი მეგობრული განწყობილება არ შეუწყვეტია.

კახეთში განეზრახათ დიდი საქმის დაწყობა. შეედგინათ საკმაოდ ვრცელი, დალაგებული წერილი ჩენი ეკონომიური დაქვეითების გამო, გამოორკვეული იყო მიზეზები ამ დაქვეითებისა და ნაჩვენები, თუ რა საშუალებით შეიძლება ეშველოს ამ საქმეს. იყო აგრეთვე კარგად შემუშავებული გეგმა მოქმედებისა და წესდება იმ საზოგადოებისა, რომელიც ამ საქმეს თავში უნდა ჩასდგომოდა.

ყველა ეს წარმოუდგინეს ილიას, რადგან უილიოდ არაფერი თვალსაჩინო და საეაღდებულო საქმე არ დაიწყებოდა. ილია იყო ავტორიტეტი. მისი სიტყვა სჯეროდათ, მის ცოდნას, გამოცდილებას, ჭკუას დიდად აფსებდნენ. სადაც ილიას ზელი ჰქონდა მოწერილი, ის მტკიცე თამასუჭ იყო და არავინ უარს არ იტყოდა მიელო ეს თამასუჭი გასანაღდებლად. ილია ძალიან ფრთხილი, თავდაქრილი კაცი იყო, ადვილად ვერ გაიტაცებდით მას ლამაზი სიტყვებით, მაღალფარდიანი ფრაზებით შედგენილ პროექტებით. ეს სულ თვალის მოსატყუებელი შემზუნებიაო, — იტყოდა

ხოლმე ილია. მაგრამ ამ ახლად განზრახული საქმის აზრი მოეწონა. შიშობდა მხოლოდ, ვაი თუ საქმის შესაფერი ხალხი ვერ ვიპოვებო.

დღე-აზრი ამ საეაქრო დაწესებულებისა იყო შემდეგი: ჩვენ ყველანა უხვია და მადლიანი. ხალხს უყვარს საქონლის მოშენებამდე მოგვეპოება ყველი, ერბო, მატყლი; ჩვენ ვენახებს განთქმული აქვს სახელი, ვიცით ამ ვენახების მოვლა, ღვინის დაყენება და ჩვენი ღვინო უცხოელებისას ძირს არ ჩამოუვარდება; დიდი ღირსების და ათასგვარი ხილულობა თავზე გვაქვს საყრელი. — ყველა ეს უღიღესი სიმდიდრეა ჩვენის ქვეყნისათვის, ყველა ამას რომ რიგიანი და გულშემმატკივარი პატრონი გამოუჩნდეს, მოუაროს და გასავალი მისცეს, ჩვენი ხალხის ბედს ძალი ვეღარ დააყუდდა. მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, მთელი ეს სიმდიდრე ხელში უვარდებათ სოფლის თუ ქალაქის მტაცია-მგლეჯელებს, ჩარჩ-მოვაჭრეებს და მოვახშეებს, ესენი ჯიბეს ივსებენ, მდიდრდებიან, ჯანს იკიდებენ, ღიპს უშვებენ, ჩვენი ხალხი კი მშიერ-მწყურვალნი, შიშველ-ტიტველი დაიარება, სიღარიბისა და გაჭირვებისათვის თავი ვერ აუცდენია.

და აი ჩვენი ზრუნვა და საქმიანობაც სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიართული. უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენსავე ხალხს შერჩეს ხელში, ჩვენი ნაშრომით ჩვენვე ვისარგებლოთ. მოვიშოროთ თავიდან ჩარჩნი, შუამავალნი. ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი ავლა-დიდება ჩვენი ხელითვე შეაწოდოთ მომხმარებლებს. და რაც ჩვენ გვჭირდება — ფარჩეული, თუ სხვა რამ, — ყველა ეს ჩვენ თითონვე შევიძინოთ პირველ ხელიდან და ჩვენ მომხმარებელ ხალხს პირდაპირ, უშუამავლოდ მივაწოდოთ. ამის მისაღწევად საჭირო იქნება გავმართოთ ჩვენი საწყობები, გავხსნათ საეაქრო დუქნები, დავაარსოთ კოოპერატივები, მოვაწყოთ სოფლებში პატარა ბანკები, გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებები. ჩავაბათ ამ საქმეში ჩვენი ხალხი, მივაჩვიოთ ამხანაგობების შედგენას.

ჩვენ ბედზე მაშინვე გამოჩნდნენ ისეთი მუშაკნი, რომელთაც კისრად იღვეს ამ საქმის განხორციელება. ამათ უნარი და საქმიანობაც გამოიჩინეს და საქმის სიყვარული და ერთგულობაც. დავასახელებ მათ შორის ნადირაძეს და ლადო აღნიაშვილს. მოვალედ ვრაცხ თავს, ორიოდ სიტყვა ვსთქვა ამ დიდად ღირსეულ, ჩემ, არა-მყვირალა მოღვაწეთა შესახებ. რომელთაც დიდი ღვაწლი და სამსახური მიუძღვით ჩვენი ხალხის წინაშე.

ნადირაძე იყო კახელი, ქიზიყელი, სოფელ მაჩხაანიდან, სადაც მასწავლებლობდა. საუცხოვო მცოდნე ქართული ენისა, ქართველი ხალხის ცხოვრებისა, მისი წეს-ჩვეულებისა. დიდი მოსარჩლე-მომამაგე და გულშემატკივარი ჩაგრულთა და დევნილთა. ხალხსაც დიდად უყვარდა, სჯეროდა მისი სიტყვა, მხარს უჭერდა ყოველ საქმეში, რაც კი ქვეყნისთვის გამოსადეგი იყო. ამ ნადირაძემ ვახსნა მაჩხაანში კოოპერატივი და დეპო, საქონლის საწყობი. სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჩარჩებს, ცარცვია-მგლეჯელებს, ხალხის სისხლის მწოველ წურბელებს. დიდი მხნეობა გამოიჩინა: თითონ

მიდიოდა მოსკოვში, პირველ ხელიდან იძენდა, რაც სოფლისთვის საჭირო იყო — ფართლეულს, ავეჯეულს, რკინეულს. ცდილობდა ამგვარადვე სოფლის საქონელი მომხმარებლისათვის პირდაპირ მიეწოდებინა. ხალხისთვის ჩამოეცალა შუამავალნი. მანხაანის დემოს და კოოპერატივის სახელი ქექდა და ქუხდა. მიმბაძველნი სხვაგანაც აღმოჩნდნენ, გაჩაღდა კოოპერატივების და სასოფლო ბანკების მართვა. ხოლო რა ბოლო ჰქონდა ამ ბრწყინვალე დაწყობილებას, ამაზე ცოტა ქვემოთ მექნება ლაპარაკი.

ნადირაძეს მანხაანელის ფსევდონიმით ფეხი ედგა მწერლობაშიც. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობა „ძმური სიტყვა“, რომელიც „ივერიაში“ იბეჭდებოდა. მერე ცალკე წიგნადაც გამოვიდა. საკვირვლად მდიდარი, მრავალი ფერადოვანი ენა, ამოჭაჩული ხალხის სიტყვიერების წყაროდან, — აი რა ახასიათებს ამ წიგნს.

ლადო აღნიაშვილი დიდი ინიციატივის ადამიანი იყო. რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, უსათუოდ ბოლომდე მიიყვანდა, განზრახვას ხარკს შეასხავდა. უცნაური ადამიანი იყო. სრულიად სმენას მოკლებულმა, განიზრახა ქართული ვალოზის და სიმღერის აღდგენა.

შეადგინა ქალ-ვაჟთა ხორო, სათავეში ჩაუყენა ოპერის მომღერალი რატილი, ტომით ჩეზი, და გაისმა თეატრში კონცერტებზე ტკბილი ქართული სიმღერა. ქართველი საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა. აღნიაშვილის ხორო მარტოდ არ დარჩა. მიმბაძველები გამოჩნდნენ, შესდგა სხვებ ხოროებიც, ტფილისიდან გაიფანტნენ პროვინციებში და ამგვარად მთელი საქართველო მოიფინა ქართველი მომღერლებით, გაისმა ნამდვილი, არა გადაგვარებული ქართული სიმღერა. დიდად მადრიელი უნდა ეიყოს ლადო აღნიაშვილისა, რომელმაც პირველმა ჩაუყარა საძირკველი ამ საშვილიშვილო საქმეს და ქართული სიმღერა იხსნა განადგურებისა და გადაგვარებისაგან.

ლ. აღნიაშვილი უცნაური, თავისებური კაცი იყო, ორიგინალი. ერთ დღეს გადასწყვიტა, რომ ევროპული ტანისამოსი აღარ უნდა ეტაროთ. და შეიმოსა ქართულ ძველებურ ტანისამოსში. ჩაიცვა ქართული მოკლე ყურთმაჯებიანი გულამოჭრილი ქულაჯა, გაიკეთა გულზე ლამაზი ატლასის დოშლული, ფეხთ ჩაიცვა ქვინტებიანი მაღალყელიანი ქართული წულები, თავზე მოიგდო ბუხრის ქუდი, გვერდზე კობტად ჩატეხილი, და დაიარებოდა ასე ქუჩაშიაქ და სამსახურშიაქ. ბევრი დასცინოდა: მასკარადის ტანთსაცმელიაო. ლადო აინუნშიაქ არ იგდებდა ამ დაცინვას და იტყოდა ხოლმე ღიმილით: ეს ნამდვილი ქართული ჩაცმულობააო. ესეც უნდა ითქვას: აღნიაშვილი მოხდენილი ტანისა და სახის კაცი იყო და ეს ტანისამოსი უფრო უხდებოდა, ვიდრე ევროპული.

სამწუხაროდ გაათავა საწყალმა ლადომ თავისი სიცოცხლე. რაღაც უცნაური სნეულება დასჩემდა. ჩაიკეტდა სახლში, გარეთ აღარ გამოვი-

ლოდა და ყველა მნახველს იმას შესჩიოდა, რომ მკებენარებმა შენაწუხესო, სიცოცხლეს მიწამლავენო, და გამოიშვირდა ვატიტვლებულ მკლავს.

— რას ამბობ, კაცო, სად ხედავ მანდ მკებენარებს? *არეჩინაჲსა სუტყთაა,* აი როგორც ჩემი ხელი, — და აჩვენებდა მკლავს. *გინგლირისუქა*

— არა, თქვენ ვერ ჰხედავთ, თორემ მთელი მკლავი და მთელი ტანი სულ აკუნწული მაქვს მკებენარებით. დღე არა მაქვს მოსვენება და ღამე ძილი მათი გადამკიდე, — გვეტყოდა დაღონებული, მწარედ ჩაფიქრებული.

ეჭვი არ იყო, ლადო რაღაც უცნაური ფსიქიური სნეულებით იყო შეპყრობილი. მართლაც დიდხანს არ გაუვლია და ამ სნეულებამ თან ვადიტანა და წუთისოფელს გამოასალმა ჯერ კიდევ ჯანით და ღონით, მზნეობით საესე ახალგაზრდა კაცი.

ირანიდან რომ დაბრუნდა, მაჩხანის კოოპერატიული მუშაობის ამბით გატაცებული ლადო აღნიაშვილი მხურვალედ შეუდგა ტფილისში ამგვარ საქმის მოწყობას. შეადგინა საზოგადოება, შეკრიბა საწევრო ფული და გახსნა სავაქრო ღუქანი. პირველ ხანებში აქაც საქმე კარგად წავიდა, მაგრამ ბოლო ამ დაწყებულებასაც ისეთი მოჰყვა, როგორც მაჩხანის კოოპერატივს. პირველი დაიშალა და მეორეც თან მიჰყვა.

ვისაც ძველი „ივერიისთვის“ თვალი უდევნებია, ეხსომება, რომ ლექსები ძალიან იშვიათად იბეჭდებოდა მაშინ. მიზეზი ის იყო, რომ ილია ძალიან მკაცრად და სასტიკად ეკიდებოდა ლექსებს და ბევრს მოსთხოვდ. მოლექსეს. როცა ლექსების დაფასება მოგიხდებოდა, ნუ დაივიწყებთ ჰკვიანურ თქმულებასო:

თავი ყველას ნუ ჰგონია  
მელექსეთა კარგთა სწორი,  
განაღა სიტყვას ერთი-ორი  
უმზავესო და შორი-შორი.

თუ რა არის უმზავესო ლექსები, ადვილი გასაგებია, — დარჩებათ ვეაძლევა ილია: თუ ლექსში შეგვხდებოდა სიტყვები: საგანი, ფიგურა, ვარდი, ბუღბუღი, მთვარე და სხვა ამისთანები, ბოლომდე ნულარ ჩაიკითხავთ. გვერდზე გადაავადებთ, დროს ნუ დაჰკარგავთ. ეს ლექსი კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნაცოდვილარი და ლექსად ნაჯღაბნიო. რასაკვირველია, ამათ რიცხვში მოჰყვებოდნენ ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას და ხალხური ლექსები. მაგრამ ილია და აკაკი ისეთი ძუნწები იყვნენ, რომ „ივერიას“ მათი ლექსების ნახვა არ ჰღირსებია. რაც შეეხება ხალხურ ლექსებს და ვაჟა-ფშაველას, ამათ ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდათ გაზეთში. ვებუდავდით აგრეთვე დავითაშვილის ლექსებს.

კარგად მახსოვს იოსებ დავითაშვილი, მშვიდი, წყნარი, მორიდებული. მორცხვი. მოვიდოდა რედაქციაში, შემოაღებდა კარებს და გაჩერდებოდა.

— გამარჯობა, იოსებ! რას სდგებარ მანდ, მოდი, აი სკამზე ჩამოჯექ.

იოსები მაინც ადგილიდან არ იძროდა და მხოლოდ ტუჩებით ოდნავ ღიმილი მოუვიდოდა. ისე ეჭირა თავი, თითქოს რაღაც დანაშაული მიუძღვის ჩვენს წინაშე და ბოდვის იხდისო.

— იოსებ, შენ უსაქმოდ არ მოხვდილდი, გეტყვობა ~~ბნებულობით~~ <sup>ნაკლებად</sup>, რომ ცოტათი ვაგვემხნევებინა და გაბედულობა მიგვეცა.

მაშინ იოსები უფრო მზიარულად გაიღიმებოდა, წაიღებდა უბეში ხელს და ამოაძვრენდა იქიდან რამდენჯერმე დაკეცილ ქალაღს. კარგად ვიცოდით რაც იყო ქალაღში. მაინც ვკითხავდით:

— იოსებ, ეს რა არის, რაზე გარჯილხარ?

ახლა კი გაბედავდა ხმის ამოღებას და გვეტყოდა მორცხვობით:

— აი პატარა ლექსი მოგიტანეთ.

ვადმოგვეცემა და ისევ მოწყენილი სახით დადგებოდა კარებთან. ლექსს გადავიკითხავდით. თუ მოეუწონებდით, ისე გაეხარებოდა, თითქოს დიდი, ძვირფასი რამ საჩუქარი მიგვეცეს. წარმომიდგენია მისი სიხარული და ნეტარება მეორე დღეს, როდესაც თავის ლექსს დაბეჭდილს ნახავდა. ჰეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ როდესაც დავითაშვილი ლექსს სწერდა, მთელ თავის არსებას შიგ აქსოვდა, რომ ლექსი მისთვის დასვენება კი არ იყო ან გასართობი რამ სათამაშო, არა, ლექსი იმისათვის მთელი მისი სიცოცხლე იყო, მთელი მისი სული და გული. გულუბრყვილო იყო იოსები, როგორც ბავშვი, და უმეტეს ნაწილ მის ლექსებშიაც ასეთი გულუბრყვილობაა გამოხატული. ტყუილად ხომ არ აიღო საყმაწვილო ქურნალმა „ჯეჯილმა“ თავის გამოცემის დღეიდან დავითაშვილის ლექსი:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო.

დავითაშვილი ხელოსანი იყო, დურგალი, მუდამ რაღაც დატანჯული სახით გამოიყურებოდა. როცა კი მინახავს, სულ ერთი და იგივე ტანისმოსი ეცვა: ტანზე გარუჯული, გახუნებული შალის ჩოხა, თავზე ასეთივე გახუნებული გალიბანდის ქუდი და ფეხზე ხარაზის ჩუსტები. ეს იყო მთელი მისი სამკაული.

არ დამავეწყებდა, როგორ დაღონდებოდა და დაეღრიჯებოდა ხოლმე სახე, თუ ლექსს დავუწუნებდით. სწორედ პატარა ბავშვს მოგავგონებდათ, რომელიც ტუჩებს ჰკლამავს და სატირლად ემზადება, თუ მშობლებმა სურვილი არ აუსრულეს. დასამშვიდებლად და სანუგეშებლად ვეტყოდით ხოლმე:

— რას წუხარ, იოსებ? განა მარტო შენა ხარ? ხშირად დიდ პოეტებსაც ვერ გამოუვათ ხოლმე კარგი ლექსი, რა უშავს? დღეს ლექსი სუსტი გამოვიდა, ხვალ უკეთესს დასწერ. გულს ნუ გაიტებ. პირველად ხომ არ სწერ? რომ შენ ნიქს ვაფასებთ, აი იქიდანაც დაინახავ, რომ „ჯეჯილს“ პირველ გვერდს შენი ლექსი ამშვენებს: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო“...

ამ უკანასკნელ სიტყვების გაგონებაზე, ცოტა გული მოუღებოდა და შინ დაშვილებული წავიდოდა. ერთი-ორი კვირის შემდეგ ჩვენი ოსები ისევ გამოჩნდებოდა, ისევ კარებში აიტუზებოდა და ჩვეულებრივად დიმილით სუფთად დაკეცილ ქალაქს ვადმოგვეცემდა.

სოფრ. მგალობლიშვილმა მუდმივ მუშაობას თავი დაანება. მის მაგიერ უნდა მოგვეწვია ვინმე. სწორედ ამ დროს ვაქა-ფშაველა უადგილოდ დარჩა და, რადგან მე და გ. ყიფშიძე კარგად ვიცნობდით, ვარჩიეთ ილიასთან მოგველაპარაკა და ვაქა რედაქციაში მოგვეწვია მუდმივ თანაშრომლად. რა გამოვიდა ამ თანაშრომლობიდან, ქვემოთ გაიგებთ. ჯერ კი ცოტა უკან უნდა დავბრუნდე და გაგაცნოთ ვაქას ვინაობა.

ვაქა-ფშაველას ნამდვილი გვარი იყო ლუკა რაზიკაშვილი. ლუკა მლედლის შვილი იყო სოფელ ჩარგლიდან. ეს სოფელი ფშავეთის ერთ შივარდნილ ადგილშია, უწინდელ თიანეთის მაზრაში. ლუკას სამი ძმა ჰყვანდა. ორი მათგანი — თედო და ბაჩანაც მწერლები იყვნენ. თედო მოხდენილად სწერდა უფრო საყმაწვილო პატარა-პატარა მოთხრობებს. ბაჩანა დიდად ნიჭიერი პოეტი იყო და ზოგიერთი მისი ლექსი სიმძლავრით და პოეტურ აღმადრენით ვაქას ლექსებს არ ჩამოუვარდებოდა.

ვაქას მამაზე ბევრისაგან გამიგონია, რომ ბუნებით დიდი ჰკუნის კაცი იყო, წიგნის მოყვარული და დიდი მცოდნე ქართული ისტორიისა.

ვაქა-ფშაველა პირველად გავიცანი სოფელ თონეთში, რომელიც მანგლის ახლოს მდებარეობს, სულ ოთხი ვერსის სიშორეზე. ვაქა მასწავლებლად იყო თონეთის სკოლაში, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას ექვემდებარებოდა. ერთხელ საზოგადოებას ქალაქი მოუვიდა, საიდანაც ვიცანით, რომ ვაქას რაღაცაზე ჩხუბი მოსვლია მანგლისში მყოფ ჯარის აფიცრებთან და ხელის შეხებით შეურაცყოფა მიუყენებია. საზოგადოებამ დაადგინა, გავგზავნა მმართველობის რომელიმე წევრი ადგილობრივ საქმის გამოსაკვლევად. მე მაშინ საზოგადოების მდივანად ვიყავი და მე მომიხდა თონეთში წასვლა. აქ ვაქას ნაამბობიდან შემდეგი გავიგე. თონეთში სამი რუსის აფიცერი მოსულიყო და ლუქანში ქეიფი გაემართა. მიეწვიათ ვაქაც. სმის დროს ერთ აფიცერს რაღაც არასაკადრისი სიტყვებითვეა ქართველების შესახებ. ეს ვაქას შეურაცყოფად მიელო და სილა გაერთყა აფიცრისათვის. ატეხილიყო ჩხუბი, აურზაური, ვაქასთვის ბევრი ეცემათ, მაგრამ მასაც არ დაეკლო. გაუშველენბიათ, და ამით გათავებულ იყო საქმე.

თუმცა მაინცა და მაინც დიდი არაფერი მომხდარიყო, მაგრამ შეიძლებოდა საქმე ცუდათ დატრიალებულიყო. რაც უნდა იყოს, მაინც აფიცერი იყო შეურაცყოფილი. ვაქა თითონაც გრძნობდა ამას და მოთხრა: თუ საზოგადოებას რაიმე უსიამოვნება მოელის ჩემი გულისათვის, მე თითონ დაეანებებ თავს აქაურ მასწავლებლობას, მაინც გულიც არ მიდგება ამ გადაყრუებულ ადგილას.

ვაქას სკოლაში ჰქონდა ბინა და მეც მასთან ჩამოვხდი. საღამოს, ოჯახობამ რომ მოისვენა, მე და ვაქა მარტოდ დავრჩით. ვაქამ ლეჟარკი ჩამოავდო „ივერიაზე“ და, სხვათა შორის, მკითხა: აი ლეჟარკი და პატარა მოთხრობები მაქვს დაწერილი და „ივერია“ ხომ არ დამბეჭდავს? მერე ვადმოალაგა დიდრონი რვეულები და წამიკითხა ჯერ „შვლის ნუკრის ნაამბობი“, საყმაწვილო მოთხრობა, მერე პოემა „მოხუცის ნაამბობი“. ჩემს ალტაცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვუთხარი:

— შე კაი კაცო, თუ მაგისთანა ძვირფასი მარგალიტები მოგეპოებოდა, აქამდის რას ინახავდი ძუნწივით ზანდუკში ჩაკეტილებს? მომეცი, ხეალვე წავიღებ „ივერიაში“ დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ და სასყიდელსაც მიიღებ.

ვაქა ნასიამოვნები დარჩა, მხოლოდ მითხრა: მოთხრობა უკვე გავგზავნე საყმაწვილო ჟურნალში დასაბეჭდად, „მოხუცის ნაამბობს“ კი ცოტა კიდევ გადავთვალეიერებ, ჩქარა მე თითონ ჩამოვალ ქალაქში და ამუშავებ ცოცხალ ჩამოვიტან. სხვაც ბევრი მაქვს ნაწერიო, და მაჩვენა ერთი კარგად მოზრდილი რვეული, სადაც მოთავსებული იყო დიდი პოემა, სახელად „თამარიანი“. მერე, აღარ მახსოვს, ასე დაბეჭდა ეს პოემა, თუ შესცვალა და სხვანაირად გადააკეთა.

მეორე დღეს გაკვეთილებზე დავესწარ სკოლაში.

ტფილისში დაბრუნებისას ერთხელ კიდევ გადავიკითხე საყმაწვილო ჟურნალში დაბეჭდილი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და იმ დღესვე მოვათავსე „ივერიაში“ რეცენზია, სადაც, სხვათა შორის, ვამბობდი: ასეთი მოთხრობის დაწერა შეუძლია მხოლოდ დიდს ნიქს-მეთქი. ამ მოთხრობას ერთგვარი სიამოვნებით წაიკითხავს როგორც დიდი, ისე პატარა მკითხველი. და სწორედ ეს არის უტყუარი საბუთი ნიქის სიდიადისა. და შესაძარებლად მოვიყვანე დიდებულ გოეთეს „რეინეკე ლისი“, რომელიც ერთგვარად სასიამოვნო წასაკითხი და საგულისხმიეროა როგორც დიდი ადამიანებისათვის, ისე პატარა ბავშვებისათვის. ამას ვუმატებდი: ვაქას ერთგვარად ეზერბება წერა როგორც პროზით, ისე ლექსად, ორივეს აზის დიდი პოეტური შემოქმედების უტყუარი ნიშანი. ასეთი შეზავებული ნიქის პატრონი დიდს იმედებს იძლევა და, ეჭვი არ არის, ვაქა-ფწაველა საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენ დიდ მწერალთა შორის მეთქი.

ილიამ რომ ეს რეცენზია წაიკითხა, შემოვიდა რედაქციაში და გვითხრა: აბა ერთი მაჩვენეთ ეგ მოთხრობებიო. წავუკითხეთ. კითხვის დროს ილიას სიამოვნების შუჭი გადაჰკრავდა სახეზე. კითხვა რომ გავათავეთ, ილიას ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა: წარმავალმა დიდმა ნიქმა ვუღოთ იგარსო მომავალი დიდი ნიქი.

— კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაქცი უნდა გამოვიდეს მაგ ვაქასაგან, შორს წავა, შორს! — გაიძახოდა ილია თავისი ჩვეულებრივი შორსმჭერტელობით.

მომავლანდა რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსის ბელინსკის სიტყვები, თქმული ლერმონტოვის შესახებ, როდესაც ეს უკანასკნელი პირველად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და როდესაც მან თავისი ტექსტებით ყველა გააკვირვა, გააოცა. ჰკითხეს ბელინსკის: ეს მერსენ-ჟუშკისაა თუ არ არის? ბელინსკიმ იწინასწარმეტყველა: „Нет, он далеко пойдёт, превзойдет Пушкина: слишком широко шагает“.

შემდეგ, ცოტა გვიან, ვაჟამ თავისი „მოხუცის ნაამბობი“ მოგვიტანა „ივერიაში“ დასაბუქდად. რედაქციაში შევიკრიბებით თანამშრომლები და ბელტანაწერი წავიკითხეთ. მკითხველის მოვალეობა კისრად ედგა გიგა ყოფიძეს, რომელსაც რედაქციის მედავითნეს ვეძახდით. გიგამ თავისებურად გრძნობით გადააბულბულა.

— გიგა, აბა ერთი კიდევ გადაიკითხე! — ეუბნება ილია.

გიგამ გადაიკითხა, ილია დიდხანს ჩაფიქრებული იჯდა. ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება იქონია წაკითხულმა. მერე, თითქოს ძილიდან გამოერკვია, ალტაცებით წამოიძახა შემდეგი სიტყვები, რომელიც ბელინსკისებურად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა:

— არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა ძირს დაესდვათ. გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!

იქნება ეს სიტყვები ცოტა გადამეტებულიც იყო, მაგრამ სიმართლეს კი არ იყო მოკლებული. რომაელები იტყოდნენ *ex ungue leonem*, ე. ი. ბრჭყალებზე სცანით ლომიო. ილია მიხვდა, რომ ამ ახლად გამოჩნდებულ ლომის ლეკვისაგან დიდი და მძლავრი ლომი გამოვიდოდა.

ვაჟას რედაქციაში მოწვევა მუდმივ მუშაობისათვის გარდაწყვეტილი იყო. მხოლოდ ილია ცოტა ეჭვობდა და გვეუბნებოდა:

— კარგსა შერებით, გამოგვადგება? ან კიდევ რომ გამოგვადგეს, ცოდო არ იქნება, მაგისი ნიჭი გაზეთის მუშაობაში ჩავკლათ?!

მართალს ამბობდა ილია. აქაც წინასწარმა გრძნობამ არ უმტყუნა, და მალე თვით ვაჟამ მოგვცა პასუხი ზემოთ მოყვანილ საექვო საკითხზე.

ვაჟამ რედაქციაში იმუშავა მხოლოდ სამ დღეს. ვაძლევდით გადასაკითხად და გასასწორებლად კორესპონდენციებს, ვათარგმნინებდით ბატარა წერილ ამბებს რუსულ გაზეთებიდან. ორ დღეს მუშაობდა, თუმცა მის მუშაობას დიდი ხალისი არ ეტყობოდა. მოვიდა რედაქციაში მესამე დღეს. ცოტა ჩაფიქრებული იყო, მივეცი რუსული გაზეთი, მოვეხაზე ერთი ადგილი უცხოეთის ცხოვრების ამბებიდან და ვუთხარი:

— აბა, ლუკა, ეს ადგილი მალე გადათარგმნე, თორემ სტამბა ძალას გვატანს, მასალა კი ცოტა გვაქვს.

მე საქმეებში გავერთე და ვაჟა დროებით გადაამევიწყდა. მომავლანდა და ვუთხარი:

— რა ჰქენ, ლუკა, გადათარგმნე?

წინ დაწერილი ქაღალდი ედგა. ვიფიქრე, ეს სწორედ <sup>ნათარგმნი</sup> იქნება-მეთქი და ხელი დავავლე გადასათვალისებლად. <sup>დავხედე —</sup> ლექსია.

— ეს რა ამბავია, ლუკა? — ვეკითხები.

— თარგმანს ვერ შეველოე. სამაგიეროდ ეგ ლექსი დაწერე. თარგმანის მაგიერობას გასწევს.

ამავე დღეს ვაეამ გამოგვიცხადა, რომ რედაქციას თავს ანებებს: მე აქ მუშაობას ვერ შევძლებო. რედაქციას თათბირი ჰქონდა და ასე გადაწყვიტეთ: მიგვეცა ვაეასთვის თვეში ხუთი თუმანი. ვაეას სამაგიეროდ ევალეზოდა, თვეში რაიმე ნაწარმოები უსათუოდ მოეწოდებინა.

ვაეა ააბარგა და გასწია თავის ჩარგალში. ვაეა სინიდიციერად ასრულებდა თავის მოვალეობას. დროგამოშვებით ჩამოვიდოდა ვაეა ტფილისში ხურჯინით აკიდებულ ცხენით. ხურჯინში ელაგა საგზალი — ხორცი, პური, — ტფილისში საცხოვრებლად, და ლექსები, მოთხრობები, პომეები და კიდევ სხვა ნაწერები. დაუტოვებდა ყველა ამას რედაქციას და ისევ გაემგზავრებოდა თავის საყვარელ მთებისკენ. და ასე და ამგვარად მთის კაცი, ვაეა, ჰკვებავდა სუსტს ქართულ მწერლობას, როგორც პატარა ნაკადული. მდინარედ ქცეული, რწყავს და სულს უღვამს ბარის გადამხმარში.

ერთ დღეს ჩვეულებრივ შემოვიდა ვაეა, მთიდან ჩამოსული, და წარმოგვიდგა წინ თავისი ძღვენი — ბოლჩაში გამოკრული ლექსებით და პომეებით, მხოლოდ რა სახით წარმოგვიდგა. მაგრამ წინასწარ საჭიროდ ვრაცხთ ორიოდ სიტყვის თქმას. ვაეა გარეგნობით მშვენიერი სახის კაცი იყო: მაღალი, ტანადი, ბრგე, ჯან-ლონით სავსე. მისი გულ-მკერდი და თვალეები ხომ ნამდვილ მთის არწივს მოგავგონებდათ. ხასიათით, ზნითაც ნამდვილი არწივი იყო, ამაყი, შეუპოვარი. დღეს აი ეს ბრგე კაცი წარმოგვიდგა წინ და რა სახით: ჩამომხმარი, წელში მოხრილი, თვალე-გადმოხრუნებული, ჩამობლღერძილი. სწორედ დასნეულებულ, ფრთებ დაშვებულ ბებერ არწივს მოგავგონებდათ. შეგვაძრწუნა ან სანახაობამ და ერთხმად მივაძახეთ:

— ლუკავ, რა მოგსვლია? რა დაგმართნია?

აქ ვაეამ გვიამბო თავისი ჩვეულებრივი ეპიური დინჯი კილოთი შემდეგი სამწუხარო თვეგადასავალი. მთაში დაეკლათ ჭირიანი ძროხა, ხორცს დანატრულებული ხალხი არ მორიდებოდა ჭირს და საკლავი სულ გაეტაცნათ. ვაეაც სულს წაეძლია და ეყიდა ხორცი. ეფიქრა: საცა ამდენი ხალხი, მეც იქაო, ამის იმედიც ჰქონდა: კარგად გავრეცხავ, მოვხარშავ და ჭირი რაღა ჭირს მომჭამსო. არ გაუმართლდა ვაეას ეს იმედი, და ახლა დასნეულებული, დასაბიჩრებული ადამიანი იდგა ჩვენ თვალწინ. ეს კი იყო: სნეულება ხორცს მოჰრეოდა, სულისთვის კი ვერა რა ევნო. რედაქ-

ციაში მოტანილს ლექსებს ისეთივე ბეჭედი ესვა დიდი, გაუნულებელი ნიჟიერებისა, როგორც აქამდის ვიყავით მიჩვეულნი ვაჟასკან.

ისედაც სიღარიბისაგან დაჩაგრული ვაჟა, ამ სნეულქვეშა ჯგუფში ფურო დიდს გაჰირვებაში ჩაეარდა. წვრილშვილი იყო, ბევრს წყნარად, წელეზე ფეხს იდგამდა, მაგრამ მთის მწიბრი მიწა საკმაო საზრდოს არ აძლევდა, სიღარიბისათვის თავი ვერ აერთვა. დაგლეჯილ ხობაში გახვეული, მიღრეცილ-დაჯღანებული ფეხსაცმელებით, თვალეზე შავი მუქი სათვალეებით აფარებული შემოდოდა რედაქციაში. გაჰხსნიდა თავის ბოხჩას და ამოალაგებდა ისეთ მარგალიტებს, როგორც „გოგოთური და აფშინა“, „ბახტრიონი“ და მრავალი სხვა.

ქართულ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილშიაც“ ვთანამშრომლობდი. ჩვენი გამოჩენილი პოეტები თანაუგრძნობდნენ ამ ჟურნალს. იქ წაიკითხავდით აკაკის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ლექსებს. ჩვენი შიო-მღვიმელი ხომ ნამდვილი შიოს მარანი იყო: უხვი, პურადი, გულადი. ისე ნომერი არ გამოვიდოდა „ჯეჯილისა“, რომ შიოს თავისი ძღვენი, ნობათი არ მიერთო პატარა-მკითხველებისათვის. ამით რომ ჟურნალი გადაეშალათ და შიოს კატუნიები, ფისუნიები, თავუნები და ჩიტუნები არ ენახათ, გულნაკლულნი, დაღონებულნი იტყოდნენ: ძიჲ შიო რატომ არ არისო?

ჟურნალის რედაქციას გულს აკლდა, რომ ილიამ არაფრით სცა პატრივი. შე ვიდრე კისრად, ეს ნაკლი შემეცსო და შევეუნდი ილიას. როგორც იყო დავიყოლიე: ილია დამპირდა პატარა ლექსის მოცემას. მთელი თვე მომიხდა უკან დევნა, სანამ ილია გაბედავდა თავის დანაპირის შესრულებას. მომცა თავისი იმ ხანებში დაწერილი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. დიდი სიხარული იყო ჟურნალისა და მკითხველებისათვისაც ამ ლექსის დაბეჭდვამის მიზეზს მიხვდებით, თუ გაიხსენებთ ამ მდიდარს როგორც გარეგანი ფორმით, ისე აზრიანი შინაარსით ლექსს.

ილიას ვუჩვენე დაბეჭდილი ლექსი და ვკითხე, ხომ ლამაზია მეთქი. თანაც დავუმატე: ესე გამოჰქვეყნებული არა სჯობს, ვიდრე უჯრაში მაგრა ჩამალული მეთქი. ილიამ ამაზე მიპასუხა:

— რა ვითხრა? მანამ ლექსი ჩემთან არის — ჩემი მგონია, მახარებს. და რაკი დაიბეჭდება, საქვეყნო გახდება, ისეთს გრძნობას განვიცდი, თითქოს გულიდან საყვარელი, ღვიძლი შვილი მომგლიჯესო.

იქნებ ამითაც აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ილია დიდხანს ინახავდა კალთის ქვეშ ამოფარებულს თავის პირში შვილებს და სანამ ასაკის ხანში არ შევიდოდნენ, არ იმეტებდა მათ საქვეყნოდ გამოშვებას.

რაკი ეს ერთი ნავსი გავტეხეთ, ახლა უფრო მეტი გაბედულობა მოგვეცა, შევეუნდით ილიას და მოსვენებას არ ვაძლევდით, გვინდოდა, რომ „ივერიისთვის“ რაიმე ახალი მოთხრობა მოეცა. იმისთვის ეს ძნელი არ იყო, რადგან ვიცოდით, რომ ჩანასახად უკვე აქვს დაწყებული მოთხრობა.

რომლისთვისაც წინად განზრახვა ჰქონდა, მგონი, „გიორგი“ ეწოდებინა სახელად, მერე კი „ოთარაანთ ქვრივი“ დაარქვა.

ერთ მშვენიერ დღეს ილია ჩვეულებრივ ხალათში ~~განსვამდა~~ თავზე ფესი მოიგდო, ჩაიკეტა კაბინეტში და პირიდგან განტყდებოდა. საპაროსით მოუჯდა მაგიდას. შეიძლება ითქვას, რომ რედაქციის ყველა თანამშრომელი მოწმე იყო ამ შემოქმედებითი პორცესისა: ილია ხანგამოშვებით წაგვიკითხავდა ხოლმე დაწერილს.

ამასობაში გაიარა ერთმა თვემ, და იშუა ის მოთხრობა, რომელსაც „ოთარაანთ ქვრივი“ ეწოდება სახელად. ახლად შობილს მონათვლა უნდოდა. ვანუკრელი, უცვლელი ნათლია ილიას ნაწარმოებისა დავით სარაჯიშვილი იყო, იმდენად გულუხვი, პატივისმცემელი ნათლია, რომ ნათლობასაც თვითონ იხდიდა თავის სტუმართმოყვარე სახლში. ასე იყო მონათლული „განდგეილი“ და ამ წეს-რიგს არც ახლა გადაუდგა სარაჯიშვილი.

სიღამოს რვა საათი იქნებოდა. სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელი, ქართველნი შვერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ: მოხუცი პოეტი რაფაელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უშიკაშვილი, გრ. ვოლსკი, კარგი მცოდნე ქართული ენისა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, და კიდევ ბევრი სხვა.

ილიამ წაიკითხა თავისი მოთხრობა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ილია კარგი მკითხველი იყო, თუმცა ხმა ცოტა მოყრუო ჰქონდა, თითქოს გულზე ჰქონი აქვს მოკიდებული და ეს უშლის სიტყვის მკაფიობასაო. კითხვა გაათავა. ჩამოვარდა სიჩუმე. ილია აქეთ-იქით იყურება.

თუ ხსოვნა არ მალაატობს, პირველად ხმა ამოიღო გრ. ვოლსკიმ და ასე სიტყვა: მაგ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა, „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდიო. ქვრივი, როგორც ტუპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადაამეტა, გადააქარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრულად, ფერადების სიუხვით ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა-პასუხით მშვენიერია, შეუდარებელი. მხოლოდ გიორგის დიდბუნებოვანება, მისი სულიერი დიდობა არა სჩანს. მეჯინიბეს მადლიანად სცემია და მოჯამავირეს ტყვეშგვერდები ჩაამტერიაო, — ეს მაინცა და მაინც არც ისეთი დიდი გმობაა და არც დიდსულოვნობა. მაშ რაზე ჰკიცხავთ კესოს, რომ გიორგის სიყვარულს ვერც კი მიუხედაო. რაში გამოიჩინა გიორგიმ თავისი სულიერი სიღამაზე, გონების წარმტაცებლობა, რომ კესოს თავი დაჰვიწყებოდა და გული შესტოკებოდა? რა ვქნა, ილია, არ მომწონს გიორგი. იგი ლანდია და არა ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანი.

ახლა წამოდგა ნ. ნიკოლაძე და ესეც კესოს გამოცხადება ილიას არ მოსწონს, რომ კესომ შორს დაიჭირა თავი და გიორგის სუფრეზე დაჯდა ვერც კი შეიმჩნაო, და მიზეზად იმას ასახელებს, რაოდენ უფლებები ხალხნი არიანო, ერთი თავადის ქალია, მეორე — გლეხის შვილი, მათ შუა უფსკრულიაო. სხვადასხვა ნაპირასა დგანან, ხმა ვერ მიუწვდენიანთ ერთმანეთისათვისო, ხელს ვერ აწვდიან ერთმანეთს, რადგან ხილია მათ შორის ჩატეხილიო. აქ ჩატეხილი ხილი არაფერს შუაშია. ხიდი რომ გასდოთ კიდევ, კესო და გიორგი მაინც ერთმანეთს ხელს ვერ მისცემენ. კესო გიორგის გულის წადილს პასუხს ვერ მისცემს. რატომ? მიზეზი აქ ხიდის უქონლობა კი არ არის, არც გვარიშვილობა, აქ კულტურული დაშორებაა. ამა გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლელი, უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ, რომ გიორგის სწავლა მიეღო, ყოფილიყო, ვთქვათ, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, როგორ გგონიათ, კესო გულცივად შეხედებოდა გიორგის, ამას რომ თავისი გრძნობა ემცნო? არა, ეს შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა. კესო არც კი იკითხავდა, გიორგი გლეხია, თუ თავადიშვილიო. სწავლამ, კულტურამ მათ შორის ჩატეხილი ხიდი შეაკეთა, გაამაგრა.

ზოგმა დაუწუნა ილიას გიორგის სიკვდილი: არა ბუნებრივია. შემთხვევითიაო, თვით მოთხრობის მსვლელობიდან არ გამომდინარეობს როგორც აუცილებელი, საბედისწერო შედეგი იმ მოვლენათა გადახლართვადმოხლართვისა, რომელსაც ცხოვრება ჰქმნის. თვით სიკვდილი გიორგის: „პირ-აღმა ვადმოქცეული წამოვიდა მალლიდან გიორგი და ურმის ქალს ზედ დაეგო ზურგიითაო“. — არ მოსწონდათ, არაესთეტიურიაო.

ასეთ და კიდევ სხვა წვრილმან ნაკლულოვანებას აღნიშნავდნენ. საზოგადოდ კი შთაბეჭდილება მოთხრობისა დიდი იყო. ამასობაში კარგა ხანმა გაიარა. შუალამე გადასული იყო. პურადმა მასპინძელმა დავით სარაჯიშვილმა ყველანი ვახშმად მიგვიწვია. შევედით დიდ სასადილო ოთახში, სადაც დიდებული სუფრა იყო გაშლილი. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მეტადრე ლაზათი დასდო სუფრას თამადამ, მოხუცმა რაფ. ერისთავმა, რომელიც განთქმული იყო არა მარტო როგორც ჩვენი მწერლობის „პატრიარქი“, რაფიელი იყო ამასთანავე ენა-წყლიანი, ჭკუა-მახვილი, ოხუნჯი, ხოლო მისი ოხუნჯობა იყო ნამდვილი, ძველებური, დარბაისლური. ვის სადღეგრძელოსაც დალევდა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვითაც მიმართავდა, ხან ექსპრომტად ლექსსაც ჩააკერებდა.

მახსოვს, ალექსანდრე ჩოლოყაშვილის სადღეგრძელო. ეს ჩოლოყაშვილი ქართული ბანკის დირექტორი იყო და იმ ხანებში არჩეულ იქნა ხმონად ქალაქის საბჭოში, და აი ასეთი სიტყვით მიმართა რაფიელმა:

ალექსანდრე, ვიყვარდა კეთილი ცხოვრება და სულ იმას ნატრობდი, რომ კაი მსუქანი ლუკმა გეშოვნა. აკი აგიხდა ნატვრა: ეხლა ქალაქის „дума“ ხელში გიჭირავს, თალე და თალე, ნუ დაზოგავ, მსუქანი დღმაა.

მერე პეტრე უმიკაშვილი აღღვრძელა, ერთგული საზოგადო მოღვაწე და ქართული მწიგნობრობის მოყვარული. ალავერდი ნიკა კრისტაფთან გადავიდა და თან დააყოლა: შენთვის მომინდვია, ყურთუხუდო პეტრეს და თუ ჭიქა არ გამოცალოს, უღვაში აუწიე. ყველას სთქვადა წასკდა, რადგან ყველამ და მათ შორის რაფიელმა იცოდა, რომ პეტრე წვერ-უღვაშს არ ატარებდა, იპარსავდა, რაც მაშინ ქართველებში ძალიან იშვიათი იყო და რის გამოც პეტრე ნიშანში ჰყვანდათ ამოღებული და სულ ამ უუღვაშობას დასცინოდნენ.

ბევრისაგან გამიგონია, ილია მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანიაო. ტყუილად ხომ არ ამბობდნენ, რომ „ოთარაანთ ქვირივი“ თვით ილიაა, მხოლოდ კაბაში გადაცმულიო. რამდენადაც მე ვიცნობდი ილიას, ვერ ვიტყვი, რომ ეს საესებით მართალი იყოს. ილია უფრო გულჩათხრობილი კაცი იყო, მაგარი, გაუტეხავი, ცოტა ჯიუტიც, მაგრამ სასტიკი, კი არა. გულს ძნელად გაუხსნიდა ადამიანს და თუ გაუხსნიდა კიდევ, თავი მაინც შორს ეჭირა, რომ გაკადნიერებას ვერაფერს გაუბედავდა და თუ ვინმე გაკადნიერდებოდა, ძვირად დაუჯდებოდა.

იყო ერთი ვინმე ნებიერიძე, კაცი რაღაც უცნაური, გამოურკვეველი, კარგა ხანს იყო რუსეთში და, რომ დაბრუნდა ტფილისში, ამბობდნენ, ბლომა ფული ჩამოიტანაო. რამდენად მართალი იყო, ეს ვერ გეტყვით, ეს კი ვიცი, რომ ქართული თეატრი იჯარით აიღო და ქართული დასის მოთავეობა, ანტრეპრენიორობა იკისრა, თითონაც აქტიორობდა. მაგრამ საგზალი დიდხანს არ გაჰყვა, საფანელი მალე შემოაქვდა და თეატრს მალე თავი მიანება. მერე კვირეულ ჟურნალის გამოცემა იკისრა. ილიასთან და „ივერიის“ რედაქციასთანაც მიმოსვლა ჰქონდა და კარგი განწყობილებაც. ერთხელ ნებიერიძემ თავის ჟურნალში დაბეჭდა რაღაც არასაკადრისი ჭორი ივ. მაჩაბლის შესახებ, რომელიც მაშინ ბანკის დირექტორი იყო და ილიასთანაც ჯერ კიდევ მეგობრული განწყობილება ჰქონდა, ილიამ ეს ამბავი დიდად იუცხოვა, იწყინა. არ გასულა მას შემდეგ დიდი ხანი, რომ ნებიერიძე რედაქციაში შემოვიდა. ილიაც იქ იყო და დაინახა თუ არა, მაშინვე მრისხანედ შუბლი შეიკრა და უთხრა:

— მიკვირს, როგორ ჰბედავთ ჩემთან მოსვლას მას შემდეგ, რაც თქვენ ჩემ ამხანაგს ისე უკადრისად მოექცით.

ეს ისე იყო ნათქვამი, რომ ნებიერიძე დაიბნა. ვერაფრის თქვა ვერ მოახერხა და მაშინვე უკან გაბრუნდა. მის შემდეგ რედაქციაში ფეხი აღარ შემოუღვამს.

თუ ილია ვისმეზე გულში ძვირს ჩივდებდა, გათავდა: მტრად გადაეკიდებოდა და შეილის-შვილობამდე ჩაჰყვებოდა. მაშინ უღმობელი იყო, შეუწყნარებელი. ამის გულს ველარაფრით მოინადირებდი, ვერაფრით მოალობდდი. ასეთი იყო მისი და მაჩაბლის გადაკიდება. თუ რა უკიდურესობამდე მიიღწია ამ მტრობამ, ვიამბობთ შემდეგ შემთხვევას.

ბათუმის ქართულ სკოლაში, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას ეჭვემდებარებოდა, მასწავლებლად იყო მოსე ნათაძე, კაცი მეტად ბატონ-საკემი და ნიჭიერი მასწავლებელი. ცოლშვილი ტფილსში წავიდა. შვილების გულსათვის, რომლებიც ქალაქში სწავლობდნენ, ბუნებრივად მისი მეუღლე შემოვიდა ჩემთან წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში და გულგახეთქილმა მდულარე ცრემლით შემომტირა, რომ დღეს მოსე უეცრად გარდაიცვალა. იხვეწებოდა შევლას — შინ გროში არ მოეპოვებოდა, რომ მიცვალებულს მოეუარო.

შველა საჭირო იყო. წავედი მაშინვე მაჩაბელთან, რომელიც იქ ახლოვე იდგა, და გადავეცი ეს ამბავი, როგორც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრს. ვანო გულჩვილი ადამიანი იყო, დიდად შესწუხდა, მიჩნია, მომეწვია გამგეობის არაჩვეულებრივი კრება იმავე დღეს ილიასთან, როგორც გამგეობის თავმჯდომარესთან, ურომლისოდ ფულის გადაება შეუძლებელი იყო. თანაც გადავწყვიტეთ, წავსულიყავით მიცვალებულის სანახავად. ნათაძის ბინა მთაწმინდაში იყო, კარგად ზემოთ. მის ახლო ცხოვრობდა ი. გოგებაშვილიც, მასაც შევეუარეთ და ისიც თან გამოგვეყვა. შევედით მოსეს ბინაში და შემადრწუნებელი სურათი წაჰოგვიდგა: ტანთ-ჩაცმული, როგორც დაბრუნებულიყო სახლში, ისე იწვა მოსე გაგულული ტახტზე. გარს ეხვეოდა უნუფგემოდ დარჩენილი ცოლშვილი. ყველაფერში სიღარიბე, ნაკლულოვანება. ეტყობოდა არაფერი გააჩნდათ.

ქვე ვითათბირეთ და ასე გადავწყვიტეთ: მე დაუყოვნებლივ წავიდოდი ილიასთან და ვაცნობებდი საქმის გარემოებას და ჩვენს გარდაწყვეტალებას, რომ დღესვე მასთან შევიკრიბებით, რადგან საქმის გადადება შეუძლებელი იყო. შველა მსწრაფლად უნდოდა. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ამბავი აგვისტოში მოხდა, ჯერ კიდევ დიდი სიციხეები იდგა და მიცვალებულის შინ დატოვება შეუძლებელი იყო.

მივედი ილიასთან. ვუამბე დაწვრილებით საქმის გარემოება. ილია თავისებური სიღინჯით მისმენდა, როდესაც გავუხსენე, რომ დღეს თქვენთან კრება დავნიშნეთ და დავსწრებიან-მეთქი ი. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, ილიამ მაშინვე სახე იცვალა. კოხები შიკრა და მკვახედ მითხრა: — მერე ვინ მოგცათ მაგის ნება ჩემ დაუკითხავად? სანამ მე ცოცხალი ვარ, მაჩაბელი ჩემ სახლში ფეხს ვერ შემოსდგამს!

მაშინ ილიასა და მაჩაბელს შორის ბრძოლა უკვე გამწვავებული იყო. ილიას პასუხმა ისე გამოაცა, რომ დავიბენ, აღვშოთოდი და კარგა ხანს ხმის ამოდება ველარ მოვახერხე. პასუხი სრულიად მოულოდნელი იყო. იქ მიცვალებული უპატრონოდ გდია, ოჯახი სასოწარკვეთილებაშია და ილია კი, პირდაპირი პასუხის მიგვიერ, რალაც პირად ანგარიშებზე შელაპარაკება. ბოლოს, როგორც იყო, გონს მოვედი და ვუთხარი:

— ილია, მკვდარს ხომ მოვლა უნდა, და ეს ჩვენი მოვალეობაა.

ილიამ იგრძნო, მგონი, თავისი და ჩემიც უხერხული მდგომარეობა, და ამის თქმა ლა მოახერხა, ისიც უკმეზად:

— ჩემ მაგიერ მოიწვიეთ ჩემი მოადგილე, ნ. ცხელიძე, საცა გინდათ, დანიშნეთ კრება. მე კი ვერ მოვალ.

ვინც ილიას კარგად არ იცნობდა, იმაზე, რასაკვირველია, ზემოთ მოყვანილი ამბები ისეთს შთაბეჭდილებას იჭონებდა, თითქოს იგი მართლაც გულჭევი, სასტიკი ადამიანი უნდა იყოსო. მართალია აქ მხოლოდ ის, რომ მტერთან, მებრძოლთან უღმობელი, შეუბრალებელი იყო, მოწინააღმდეგის დაზოგვა, შეწყალება არ იცოდა. თუ ვინმე მისი პიროვნების შელახვას მოისურვებდა, მის აბუჩად აგდებდას შეეცდებოდა, მაშინ გაალმასებულ ლომს დაემსგავსებოდა და კაცს ზედ შეაკვდებოდა, ვინც უნდა ყოფილიყო.

გაიხსენეთ მისი დღელი ნ. ნიკოლაძესთან, როდესაც ეს უკანასკნელი რუსული გაზეთის „Одзир“-ის გამომცემლად იყო. ნიკოლაძეს მზრივ სუკუნდანტად იყო, სხვათა შორის, პოეტი სიმბორსკი, „Одзир“-ის თანამშრომელი, კაცი ნიჭიერი, პატიოსანი. ბერსა ცდილობდა თურმე, რომ საჭმე შერიგებით გაათავებულყო. რომ ვერას გამხდარიყო, გული ამოსჯდომოდა და ქვითინი დაეწყო: ეტყობა ეს ორი ნიჭიერი კაცი, ქართველებისათვის ერთგული მოღვაწენი, არ ემეტებოდა სასიკვდილოდ. ამათ იმოქმედა თუ სხვა რამ გარემოებამ, არ ვიცი, მაგრამ საჭმე მაინც შერიგებით გათავდა.

იყო კიდევ ერთი შემთხვევა. ილია ბანკის კრებაზე წლიურ ანგარიშს კითხულობს და თან განმარტებას იძლევა. სიტყვა ჩამოვარდა არწრუნისეული მამულის თაობაზე, რომელიც შეიცავდა ოთხ დესეტინა ადგილს შუაგულ ქალაქში, სასახლის ქუჩაზე და რომელზედაც ვაშენებული იყო ქარვასლა, ქართული თეატრი და ბანკის სადგომი. ეს მამული მერე ბანკს დარჩა ექვსასი ათას მანეთად. ამის გამო ილია ამბობდა, რომ ბანკმა ქართველობას დიდი საშვილი-შვილო სიმდიდრე შესძინაო. წამოდგა გენერალი სუმბათაშვილი და სთქვა:

— რას გვიქადით, რომელ სიმდიდრეზე ლაპარაკობთ? მე კი მგონია, რომ ექვსასი ათასი მანეთი გადაგიყრიათ. რა სიმდიდრეს ზედავთ ამ მამულში? შიგ ქვების მეტი რა ყრია?

— თუ ეგრეა, — უბასუხა ილიამ, — მაშ მუქთად გაგვიცია ქალაქის მამულებზე მილიონები. ქალაქის მამულებში, შენობებში ხომ ქვების მეტი არა ყრია რა? მაშ დაველუბულვართ, ფული წყალში გადაგიყრია? იქნებ გენერალის ქკუა ასე სჭრიდეს, ჩვენ კი სხვანაირად გვიქრის ქკუა და გონება.

— შენი სიციცხლე სულ მაგნაირ თინაზობაში გაგიტარებია! — შეაწყვეტინა სიტყვა ნაწყენმა გენერალმა.

— მაგაზე სხვა ადგილას მომცემთ პასუხს! — მიადახა მთლად ერთბულმა ილიამ, და მერე ისევ დინჯი კილოთი განაგრძო ანგარიშის კითხვა და განმარტება.

მართლაც, იმავე დღეს ილიას სეკუნდანტები გაეგზავნა სტუდენტობათა შეილისათვის. მაგრამ მას ბოდიში მოეხადა: გაეცხარდი და უნებურად სიტყვა წამომცდაო. ამით გათავდა საქმე.

ასე შედგრად, შეუბოვრად შეებრძოდა ხოლმე ილია თავის მოწინააღმდეგეს და თავს არავის დააჩაგვრინებდა. ყველას შესაფერი იარაღით გაუმკლავდებოდა: ნიკოლაძეს გაზეთის ფურცლებზე ებრძოდა მწვევე და სუსხიანი წერილებით, ხან კიდევ მკვირცხლი ლექსით — პაროდიებით. ნიკოლაძესაც არა ნაკლებად უჭრიდა კალამი და ისიც შედგრად დაუხვდებოდა ხოლმე თავის „ОБЗОР“-ში, მაგრამ ხანდახან უცნაურად მიჩუმდებოდა. ერთხელ ნიკოლაძესთან მქონდა ამ გარემოების შესახებ ლაპარაკი და ასეთი პასუხი მომცა.

— მოდი და ნუ დაჩუმდები: ააფრიალებს ილია თავის მწევანე საწინასწარმეტყველო დროშას, ვით მართლმორწმუნე მაჰმადიანი, და შეჰქმნიან ქართველები განგაშს: ნიკოლაძე საქართველოს მტერიაო, სამშობლოს გამცემი, მოღალატეო.

ამით უნდა აიხსნას ის გამწვევებული განწყობილება ილიასა და ნიკოლაძეს შორის, რომელსაც შედეგად მოჰყვა ზემოთ აღწერილი დუელი მათ შორის, საბედნიეროდ დამთავრებული.

საბრძოლველად ილია ერთსა და იმავე იარაღს არ ხმარობდა. მის სალაროში ბევრი სხვადასხვა სახის იარაღი მოიპოვებოდა. და რა არის უფრო გასაკვირი, ყოველ იარაღს ისე მარჯვედ ხმარობდა, რომ კაცი განცვიფრებაში მოჰყვანდა. შინაურებისთვის იშვიათად მიჰმართავდა დამბახას, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც აიძულებდნენ. ამათთვის სულ სხვა იარაღი ჰქონდა. არა ნაკლებ გულგამგმირავი, ვიდრე ხმალი ან დამბახა. ეს იყო მისი შესანიშნავი ლექსად ნათქვამი პაროდიები, გამოცანები, დიშხამულ ისრებად ნატყორცი კალმის პატარა წვერიდან, იმათ მიმართ, ვისაც ჩვენი ქვეყნის მტრად სთვლიდა. ესენი იყვნენ ის თავადაზნაურნი — ქართველნი, რომელთათვისაც ბედს ბევრი მიეწყო და, მაშასადამე, ბევრიც მოეთხოვებოდათ, მაგრამ მათ ქვეყანაც და ქვეყნის ბედიც ფეხებზე ეკიდათ. მოვიყვან რამდენსამე მაგალითს, რომლებიც ცხად ჰყოფენ ილიას როგორც სულისკვეთებას, ისე მის მაღალ გონიერებას.

გამოცანები დაწერილი იყო წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. არ იბუქდებოდა. ან კი ვინ გაბედავდა დაბუქდვას, როდესაც მიზანში ამოღებული იყვნენ ისეთი ბობოლები, როგორც, მაგალითად, ლევან მელიქიშვილი, გრ. ორბელიანი, გ. მუხრანსკი და სხვები, რომელთაც მთავრობის მმართველობაში დიდი ადგილები ეჭირათ. ხელთაწერად კი ბლომად იყო საზოგადოებაში გავრცელებული. ახალგაზრდობა, რასაკვირვე-

ლია, ტაშს უკრავდა ილიას, მაღალ საზოგადოებაში კი რა თქმა უნდა დიდი განგაში ასტყდა, დიდი აურზაური და რისხვა გამოიწვია. ილიაზე დიდი იერიში მიიტანეს.

ერკინეული

წყრომა კი დიდი იყო. ან კი როგორ არ გამწყრომდა ილია ანუ მოურიდებლად უწერდა ერთს ბობოლას, სახელდობრ, გიორგი მუხრანსკის:

კობტაა და ლობემპერალა,  
პატარა და ჩამომხმარა,  
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი,  
უფერი და განს-გამდგარი.  
ჭკვით და გულით მოცვეთილა,  
ჭვეყანაზედ უქმად გლია,  
თვით მაღლა ზის, ჭვეყნის საქმე  
მასაც ფეხებზე ჰკიდია.

ვინ იყო ეს მუხრანსკი? ეს იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი. მან სახელი და უფრო კი წარჩინება და აღმატება მოიხვეჭა იმით, რომ დაბეჭდა და ავრცელებდა საზოგადოებაში წიგნაკს ამ სათაურით: „О существе крупных единиц“. სადაც ამტკიცებდა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უნდა შთანთქან პატარაებო. ცხადია, ამ პატარაებში ნაგულისხმევი იყო საქართველოც.

აი რას სწერდა ილია ლორის-მელიქოვზე, რომელსაც 1880 წელს თითქმის დიქტატორის უფლება მიანიჭეს მთელ რუსეთში იმ აზრით, რომ რევოლუციონური მოძრაობა, მიმართული ხელმწიფე ალექსანდრე მეორის მიმართ, შეეყენებინა და თვით რევოლუციონერები ჩაეკლა:

ოინბაზი, ლაქათაა,  
გრძლად გაღებული მელია,  
ბაზრის ბიჭად გაჩენილა,  
ეხლა ჭვეყნის მმართველია,  
კულუტია. ხერხიანი,  
ენა-სქვიტა. ყურ-მახვილი;  
დროთაბრუნვის შესაფერი... და სხე.

ილიამ არ დასტოვა უყურადღებოდ თავის გამოცანებში ვერ, ორბელიანიც. ამან იუკადრისა ილიას გაბედულობა. თითონაც თავი დიდ მწერლად, პოეტად მიაჩნდა, ქართველობით დიდათ მოჰქონდა თავი. ვერ შეითვისა, თუ ვერ შეიგნო ვერც ილიას ახალი მოძღვრება და ვერც, საზოგადოდ. „ახალთაობის“ მოძრაობა და გაილაშქრა მის წინააღმდეგ, გამოეპასუხა ლექსით. სულქვეშ უნდა ითქვას, ლექსი კობტად და თან გესლიანად იყო დაწერილი.

(გავრძელება შემდეგ №-ში).



მ. რ.

მ. რ უ ხ ა კ ე

გარდაიცვალა პოეტი ვ. რუხაძე. საკმაოდ ვრცელი და დამახასიათებელი შემოქმედებითი გზა განვლო მან. მთელი ოთხიათეული წლის მანძილზე ეწეოდა იგი ლიტერატურულ მუშაობას და იყო წვრილ-ბურჟუაზიულ-„დემოკრატიულ“ მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. რუხაძეს არ ჰქონდა მიღებული საეკიპლური სასკოლო განათლება, მან მაინც მოახერხა დამოუკიდებლად გზის გაკაფვა. თვითგანვითარებით მან შესძლო პოეტური კულტურის აუცილებელი მინიმუმის დაუფლება და მისი გამოყენება თავის შემოქმედებითი პრაქტიკაში.

ვ. რუხაძის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1899 წ. ჟურნ. „მოამბე“-ში. მისი ადრინდელი ლექსები დაწერილი იყო პატრიოტული პოეზიის ზეგავლენით. ამ ხანის დამახასიათებელი ლექსია „ცხვრები და დათვი“ (არაკი), რომელშიაც ალეგორიულ ფორმებში გამოთქმულია წინააღმდეგობა თვითმპყრობელურ რუსეთის პოლიტიკისა საქართველოს მიმართ. ლექსში ვ. რუხაძეს დათვი გამოჰყავს, როგორც თვითმპყრობელური რუსეთის, ხოლო ცხვარი კი საქართველოს სიმბოლოთ. მართალია, დათვის შიშით მგელი ველარ უბედავს ცხვრებს ვნებას.

მაგრამ თვით კი საბრალო ცხვრებს  
 აღარ აძლევს მოსვენებას.  
 ის პირშივი, არაწმინდა:  
 ზოგს ტყავს აძრობს,  
 ზოგს ენას გლეჯს,  
 არც ერთი არ ებრალება.

„ცხვრები და დათვი“-თ ვ. რუხაძე გამოდის ნ. ბარათაშვილის  
 და ა. წერეთლის ალეგორიულ-პატრიოტულ პოეზიის გამგრძელებ-

ლად. როგორც ცნობილია ამ თანრიის უძლიერეს წარმომადგენლებს ქართულ ლიტერატურაში ა. წერეთელის ითვლება. ამ გზას გააყვამ ვ. რუხაძეც.

პატრიოტულ მისწრაფებათა გვერდით, ვ. რუხაძემ ახელსწილებს რიტორეს სოციალურ პრობლემათადმი. თავის ლექსებში იგი გვიხატავს ლუმპენ-პროლეტარულ ფენების ცხოვრებას. ლექსების მთელ სერიაში („ლოთი“, „გლახაკი“, „ბოგანო“ და სხვ.) ვ. რუხაძე გვიჩვენებდა ცხოვრების გერებს კაპიტალისტური საზოგადოების მიერ გარიყულ და უფლება აყრულ ადამიანთა სახეებს:

მე ცოცხალს ვტირი, მვედარიან საქმე  
სულაც არა მაქვს...  
ვინტ რომ ერთხელვე სამუდამოთ  
დამიწებულა.  
ის ვით ვიტრო, ვით ვიძახო:  
„ვი“ და „უ“;  
ღმერთმა აცხონოს, ის თვის გზაზე  
გამგზავრებულა.  
მე ცოცხალს ვტირი, ამ ცოცხალსა;  
ჩემო მკითხველო,  
რომელიც ცხოვრობს, ცხოვრება-კი  
ვერ შეუგნია...  
არას აკეთებს... დაწანწალებს  
მარად უმიზნოთ...  
რა ქნას არ იცის... სწორი გზისთვის  
ვერ მიუგნია.  
(„მე ცოცხალს ვტირი“).

მაგრამ ასეთ ბოგემურ ატმოსფეროში ვ. რუხაძე ზატავდა არა მარტო ლუმპენ-პროლეტარულ ფენებს, არამედ თვით კაპიტალისტურ ქარხანაში მომუშავე პროლეტარულ ელემენტებსაც: მუშა, რომელიც გუშინ მთელი დღე შეაქვას თხრიდა ბნელ მაღაროში, დღეს სამიკიტნოში ძმაკაცებთან ზის და ღვინოს სვამს, მეტი სიმთვრალით ძალ-მიზილი; კეკა-დაკარგული, კოლ-შვილს ივიწყებს („გუშინ მთელი დღე“). ან კიდევ: მუშები, რომლებიც მთელი დღე — საღამომდი ქარხანაში არიან და ქედმოსხრალი სულ შრომობენ შეუსვენებლად, „საღამოს აგერ სამიკიტნოს გამოუარეს“ და მიეცენ თავდავიწყებულ სმას („საღამომდის ქარხანაში, საღამოს სამიკიტნოში“).

ამ ლექსებში ვ. რუხაძეს ახასიათებდა დეკლასირებულ ელემენტების, ცხოვრებისაგან გარიყულთადმი და მაშვრალთადმი პასიურ-ჰუმანისტური დამოკიდებულება. იგი უმთავრესად რჩებოდა დეკლარატიულ სურვილებს საზღვრებში.

ასეთი შიშზე, აუტანელი სინამდვილის ხილვა პოეტში იწვევდა ერთ-  
გვარ საპროტესტო განწყობილებებსაც. მასში ისადაგურებს მწკვივე ცხოვ-  
რების საწინააღმდეგო სურვილები:

ეროვნული  
პროტესტი  
გმობს!

მშობას, ერთობას, სიყვარულს  
დაუდგათ ტახტი ჭებული,  
ზედ დაესვათ ერთად სამივე,  
ერთ უხვათ მადლით ცხებული,  
მტრობა, ძულეობა, შური-თი —  
ჩვენ შორის გამეფებული —  
ძირფესვიანად ამოფხვრათ,  
ღვთისაგან შეზღუდებული.  
(„ნაწყვეტი“).

მაგრამ ვ. რუხაძე თავის მისწრაფებას მშობის, ერთობის და სიყვარუ-  
ლისა ძალზე ზოგად, არაკონკრეტულ სახეებში აყალიბებდა, იგი ვერ სა-  
ხავდა მათი განხორციელების რეალურ გზას.

პირველი რევოლუციის დამარცხების და რეაქციის გამარჯვების შე-  
მდეგ მხატვრული ინტელიგენციის ფენებში გამეფებულმა სასოწარკვე-  
თილების, გულგატეხილობის, დაცემულობის და დაბნეულობის ტალღამ  
ვ. რუხაძეც მოაქცია თავის გავლენის ქვეშ. სწორედ ამ ხანებში უფრო  
მკვეთრად გამოჩნდა მისი პოეზიის ტიპური წერილ-ბურჟუაზიული ხასი-  
ათი. „ამონაყენესები“: „სევდამ შემიპყრო“, „ფიქრი, სულ ფიქრი“, „კი-  
დეე აღმოხდა მწარე კენესა ჩემს ობოლ ჩანგსა“, „მარტო ვარ“ და სხვ.  
წარმოადგენდა ვ. რუხაძის პოეზიის განმსაზღვრელ ხაზს რეაქციის პერი-  
ოდში. პოეტი გადავიარდნილი იყო განყენებულ, უმიზნო და უშინაარსო  
ფიქრთა სამფლობელოში:

ფიქრი, სულ ფიქრი, მხოლოდ ფიქრი...  
სხვა არაფერი!  
(„ამონაყენესი“).

გულგატეხილობა და უიმედობა ვ. რუხაძის ლექსებში ხშირად ძალზე  
უკიდურესი სახით ვლინდებოდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვ. რუხაძე განსაკუთრებით აძლიე-  
რებს შემოქმედებითი პრაქტიკას. თავის პოეზიით იგი გამოდის მენშე-  
ვიზმის ოფიციალურ პოეტად. მისი ლექსები იტვირთება ნაციონალისტურ-  
რი მოწოდებებით, მენშევიკურ კამარილის დიფირამბებით, შეურიგბე-  
ლი მტრობის გამომგლავნებით ოქტომბრისა და საბჭოთა ხელისუფლები-  
სადმი და სხვ. ვ. რუხაძემ „მიუძღვნა“ პროლეტარულ რევოლუციას მწკვი-  
ვე პასკვილით აღსავსე ლექსები. ამ ხანებში იგი არსებითად აღორძინდა  
თავის პოეზიაში ანტი-პროლეტარულ, ანტი-რევოლუციონურ შეხედუ-  
ლებებს.

ეს ანტი-რევოლუციური ხაზი ვ. რუხაძეს არ შეუსუსტებია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც კარგა ხანს. რევოლუციის პირველ წლებში იგი ისევე, როგორც ე. წ. „საქართველოს“ პოეტების უმრავლესობა, წარმოადგენდა პროლეტარიატის „მარქსისტულ“-გე მწერალთა ბანაკის აქტიურ ძალას.

დიდხანს იყო ვ. რუხაძე შესული (როგორც თითონ ამბობს ერთერთ ლექსში) „დუმბილის ხერელში“ და იქედან უპირისპირდებოდა რევოლუციურ სინამდვილეს. მაგრამ გადის დრო, წლები და ვ. რუხაძეში ვხედავთ ძველის, წარსულის გადაფასების ცდებს. ეს, რასაკვირველია, მასში არ მომხდარა თავისთავად. სოციალიზმის გადამწყვეტმა გამარჯვებამ ყველა ფრონტებზე გამოიწვია ძველი ინტელიგენციის დიდ უმრავლესობაში გარდატეხა, მათი გადმოსვლა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. ლიტერატურის სფეროში ინტელიგენციის ეს მობრუნება გამოიხატა მწერალთა კადრების სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობაში. მწერალთა უმრავლესობა, რომლებიც პროლეტარულ რევოლუციის წინა წლებში მერყეობდნენ ან მტრულად იყვნენ განწყობილნი რევოლუციურ სინამდვილისადმი, სოციალიზმის ძლევამოსილ გამარჯვების შედეგად, რადიკალურ შემობრუნებას ახდენდნენ და ცდილობენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში. ვ. რუხაძეც თანდათან იგნებს, რომ პროლეტარულ რევოლუციისაგან განდგომის პირობებში „მოეკიდება... სიტყვას ხავსი და გარდიჭყვეა მეძველე ჩარჩად“. იგი ასე მიმართავს თავის თავს:

ახალი სიტყვის გაშალე ფარჩა  
და თანადროულ ჩარჩოში ჩასვი;  
ფოლადით კვებე, რადიო ასვი...  
რომ ეპოქალურ სიზღიდრედ დარჩეს.

ჩაც იყო გუშინ დღეს აღარ არის;  
ეჭლა ახალი უნდა ეძიო;  
დაქანებულ ეაშს რომ დაეწიო  
უნდა გაფრინდე ექსპრესით ჩქარით.

მაშ, დაიჭირე ეს ფოცხი ქარი  
ლა გადისროლე ამ ხიდზე ბეწვის;  
აქ რომ დამჯდარხარ და თვალი გეწვის,  
არ სჯობს შეალო ეპოქის კარი?

(„საუბარი გულთან“).

ეს ლექსი დაიწერა 1930 წელს და სწორედ ამ დროიდან იწყება ვ. რუხაძის პოეზიაში საგრძნობი გარდატეხა. იგი სწერს მთელ რიგ ლექსებს, რომლებიც შეეხება საბჭოთა ქვეყნის სინამდვილეს, მის ძლევამოსილ წინსვლას სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე. ასეთია: „საბჭოთა სახ-

ლი“, „არქტიკის გმირებს“, „საუბარი“, „მტკვარი“, „კოლხეთის წყალ-ტუბო“ და სხვ. აღნიშნულ ლექსებში ვ. რუხაძე ამჟღავნებდა თავის ნამდვილ ვარდაქმნითი მისწრაფებებს. სწორედ ამ ლექსებით იწყებდა საბჭოთა პოეზიაში, როგორც აქტიური შემოქმედებითი ძალა.

აღსანიშნავია, რომ ვ. რუხაძე სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ერთგულად ცდილობდა აემაღლებინა საკუთარი შემოქმედების მხატვრული ხარისხი, გაემახვილებინა ლექსის ოსტატობა და ნაბიჯი გაესწორებინა თანამდეროვე საბჭოთა პოეტური კულტურისათვის. იგი თანდათან თავისუფლდებოდა დეკლარატიულობისგან, ზოგადობისგან და მოკარბებული ფრაზეოლოგიისგან, რომელიც მის აღრინდელ ლექსებს ახასიათებდა.

ვ. რუხაძეს არ დასცალდა განეგრძო შემოქმედებითი მუშაობა. მოულოდნელად შესწყდა მისი პოეტური საქმიანობა.



მ. შოლოხოვი: „გაბაზილი ქაშირი“, თარგ. ა. ზუმბაძისა.

სახელგამი, 1934 წელი

დიდხანი არ არის მის შემდეგ, რაც საჭარტველოს სახელგამმა გადმოთარგმნა და გამოსცა შოლოხოვის რომანი „გატეხილი ყამირი“, — რომანი, რომელიც რუსულად მრავალჯერ გამოიცა, რომლის უდიდეს მნიშვნელობაზე არა ერთი წიგნი დიფერა, რომელიც გადაითარგმნა მრავალ ენაზე. შოლოხოვის რომანი თავისი შინაარსით და მხატვრულობით საუკეთესოა, რაც დაწერილა ჩვენი საბჭოთა სოფლის შესახებ.

ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ბრძოლა სოფლის კოლექტივიზაციისათვის, — აი, ძირითადი პრობლემა „გატეხილი ყამირისა“. მოქმედება სწარმოებს ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ სოფელში (გრემიაჩი ლოგი), 1930 წელს. ეს ის დროა, როდესაც ხდება ძირითადი გარდატეხა ჩვენი მიწათმოქმედების განვითარებაში, წერილი ინდოვიდუალური მეურნეობის გადაყვანა მსხვილ დაწინაურებულ კოლექტიურ მიწათმოქმედებაზე, ხანა მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. აეტორი გადმოგვცემს ახალი სოფლისათვის ბრძოლის სირთულეს, როდესაც დაჭუტვამცებული მეურნეობის მაგივრად კოლმეურნეობა ყალიბდება და „გრემიაჩი ლოგის ცხოვრება ყალყზე შედგა, როგორც ფიცხი ცხენი დიდი დაბრკოლების წინაშე“.

25 ათასეული დავიდოვი — პუტილოველი მუშა, გრემიაჩი ლოგში იგზავნება სამუშაოდ. არ სძინავს კლასობრივ მტერსაც. ამავე სოფელში არალეგალური მუშაობისათვის მიდის თეთრგვარდიელი, ესაული პოლოვცევი. ძველსა და ახალს შორის სისტიკი ბრძოლაა. ხდება კულაკების განდევნა გრემიაჩი ლოგიდან და მათი ქონების კონფისკაცია. რა ზმეტნოვი (საბჭოს თაემჯდომარე) განკულაკების დროს სობრალულს იტენს კლასობრივი მტრებისადმი. აქ აეტორი უპირისპირებს რაზმეტნოვის სისუსტეს რევოლუციურ მორალს. პუტილოველ მუშას დავიდოვს თავის ზურგზე განუცდია კაპიტალისტურ თვითმყრობელურ წყობილების მთელი სისასტიკე. მას ძვალრბილში აქვს გამყდარი კაპიტალისტებისადმი სიძულელი: „ისინი შენ გებრალდება... გეკოდება ისინი. მათ კი ვებრალბოდით? მტრები კი ტიროდენ ჩვენი ბავშვების ცრემლებზე? დახოცილ ობლებს დასტროოდენ? ჰა? მამაჩემი ჰარბნიდან დაითბოვეს გაფიცვის შემდეგ, ციმბირში უკრეს თავი... დედას ოთხი დედადით... მე, უფროსი, ცხრა წლის ვიყავი მამინ... საჭმელი რომ არა გეჭონდა რა, ვედა გავიდა... აჭუთ მოიხებდე! ქუჩაში წავიდა დედა, რათა სიმშლით არ დაეხოცილიყავით... ჩვენ პაწია ოთახში ეტოვრებდით, სტუმარი შემოპყავს... ერთი ლოგინი დაგვრჩა... ჩვენ ფარდას იქით დავიშლიეთ... შეურალები დაიარებოდენ მასთან... მე კი პაწია დებს ტუჩზე ზელს ეაჭრდი, რომ არ ეყვირო... ვინ შეგვიშრო ცრემლი? გესმის თუ არა? დილით ვიღებ ამ წყველ მანეთთანს... — დავიდოვეს ანდრის თვალგებთან მიიტანა თავისი ტყავად ქვეული ზელისგული. კბილები ტანჯვით ააყრაქუნა, — დედის ნაშოვარ მანეთთანს და პურის საყიდლად მივდივარ. — და უეცრად, როგორც ჯიკი, შავი მუშტი მაგიდაზე დაიანარცხა და წამოიყვარა: — შენ როგორ შეგიძლია შეიბრალო?!“

რევოლუცია უღმობელია კლასობრივი მტრების მიმართ, ვინაიდან ისინი ზელს უშლიან ახალი ცხოვრების მშენებლობას, — ამბობს აეტორი დავიდოვის პირით.

დავიდოვი ყველაზე საყვარელი სახეა რომანში. ის ბოლშევიკობა დაიბრუნა პარტიის გენერალურ ხაზს. მან იცის, როგორ მიუღდეს გლეხობას. დავიდოვი პარტიის როგორც მემარჯვენე (რახმეტოვი), ისე „მემარცხენე“ (ნაკულნოვი) შეცდომებს. იგი ცდილობს უმწიველად ატაროს ბოლშევიკური პარტიის წევრობის სტრატეგიას, არავითარი ჩიჩქი არ მოსცხის მას. აქეთვე მოუწოდებს იგი პარტიას ყველა წევრს ყველა მისი ნაბიჯი (პირად ცხოვრებაშიც) აწინილ-დაწინილია. მას კარგად ახსოვს პარტიის პასუხისმგებელი მუშაკების სიტყვები, როდესაც 25 ათასეულებს გზავნიდენ სოფლად სამუშაოდ.

შოლოხოვს არ გამოჰყავს თავისი მთავარი საყვარელი გმირი უნაკლო. გრემიაჩი ლაგში თავგამოდებით მუშაობს თეთრგვარდიელთა ორგანიზაცია. დავიდოვი ვერ ამჩნევს ამას, მეტიც: მისი დახმარებით კოლმეურნეობის სამწეო ნაწილის გამგედ ინიშნება ოსტროვნიკი, კოლმეურნეობის დაუძინებელი მტერი, რომელთანაც იმალება თეთრგვარდიელი პოლოვეცევი და რომელიც ამ უკანასკნელს კარნახით ამზადებს აჯანყებას ზელისუფლების წინააღმდეგ. დავიდოვი გრძობს ნაკულნოვის (უჯრედის მდივანი) შეშფადარ ნაბიჯებს პარტიებისა და ფრინველის განსაზოგადობის საქმეში, მაგრამ ვერ ღებულობს სათანადო ზომებს მათ ასაცილებლად. მაგრამ ეს სრულიადაც არ უკარგავს დავიდოვის სახეს მიმზიდველობას. იეტორი გვამძევს არა შელაშაზებულ, შეფერადებულ, არამედ რეალურ ტიპს, რომელიც არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან. არ სცდება ის, ვინც არაფერს არ აკეთებს.

სოფლად მუშაობა მოითხოვს დიდ წინდახედულებას. პარტია ყოველთვის აფრთხილებდა სოფლად მომუშავე მხანაგებს, მიუხედავად ამისა, მასობრივი კოლექტივიზაციის დროს ჰქონდა ადგილი გადახვევებს, პარტიის ხაზის დამახინჯებას. შოლოხოვმა ნაკულნოვის სახით მოგვცა ასეთი „მემარცხენე“-დამახინჯებელი პარტიის ხაზისა და დავიანახა, რომ მისი მუშაობა წყალს უსხამს კლასობრივი მტრების წისქვილს. ნაკულნოვი ძალით ერეკება კოლექტივში გლეხობას, ნავანით სცემს საშუალო გლეხს ბანიკს, „ნაობახში“ ამწყვედებს ღარიბ გლეხებს და სხვა. „შენ ძველი პარტიზანული მეთოდებით მუშაობ, ახლა-კი ახალი დროებაა და თავდასხმები კი არა, პოზიციური ბრძოლები სწარმოებს“, — სამართლიანად შენიშნავს მას 25 ათასეული მუშა დავიდოვი.

შოლოხოვი საუცხოვოდ გვიხატავს ბრძოლას გლეხობის შეგნებაში კერძო საკუთრების ინსტიტუტების დასაძლევად. შეუდარებელია რომანში ამ მხრივ საშუალო გლეხი კონდრატ მიაიდანიკოვი.

მაიდანოვი, წითელი პარტიზანი, ბუდიონოველი, მთელი გულით პარტიასთან არის, ახალ ცხოვრებასთან. მას ესმის კოლმეურნეობის უპირატესობა და სხვასაც აკეთონ მოუწოდებს: „იმიტომ ეწინააღმდეგებით კოლექტივს, — მიმართავს ის საშუალო გლეხობას, — რო თქვენი გაზრდილი ძროხისა და ერთი ტყაველი ეზოს იქით ამ ქვეყანაზე ვეღარაფერს ზედავთ... კომპარტიის ახალ ცხოვრებისაკენ მიყვებართ, თქვენ კი ბრძოლა ხბოსათვის ირჯებით: დედის ჯიქნისკენ იწყება და იტლინჭება, თავს აჩნევს"... მაგრამ თითონ მაიდანოვის გულში ძლიერია კერძო საკუთრების ინსტიტუტები. ეს ინსტიტუტები მის ძვალბილშია გამჯდარი, ღამეობით არ აძინებს: „კონდრატის დიდი ხანია ღმერთი აღარ სწამს, არამედ სწამს კომუნისტური პარტია, მთელი ქვეყნის მშრომელები რომ განთავისუფლებისაკენ, ცისფერი მომავლისაკენ მიყავს. კოლმეურნეობაში მან ყველა თავისი საქონელი გაერთიანა, მთელი ფრინველიც — უკანასკნელ ფრთამდე იქ მოიყვანა. იგი იმის მომხრეა რომ ზურსა სკამდეს და ბალახს ჰქელავდეს ის, ვინც შრომობს. იგი ძალუმიდ, განუშორებლად შეეხორცა საშპოთა ზელისუფლებას... ხოლო ღამეობით კი არ სძინავს კონდრატის... და არ ეძინება იმიტომ, რომ მის გულში დარჩა სინანული ძველი, საკუთარი ჭონებისადმი, თავისი სიგლახიკისადმი, რაზედაც თვითონვე ნებაყოფლობით უარი სთქვა"...

რომანში მტად ცოცხლად არის მოცემული მკვლელობის მტერი აკაკიმ ლუკაჩ ოსტროენოვი. ოსტროენოვი კოლმეურნობის წევრია და დიდი ნდობაც აქვს დამსახურებული, მას დავიდოვი საშუაო ნაწილს უფროსად ნიშნავს, თითქოს იგი კოლმეურნობის გულშემმატეიერია, ამვე დროს, ქვემოთსა ზურგიდან ლახვარი ჩასცეს კოლმეურნობას. მასთან ფარულად ცხოვრობს თქვენი გერმანული პოლოვეცი. ისინი ხელისუფლებას ჩაქედნულნი მუშაობენ გლეხობის აჯანყებაში ჩასათრევად. „კოლმეურნობიდან ნუ გამოხვალ, ანუ მათ ყოველნაირად“. — არიგებს მას პოლოვეცი. ოსტროენოვიც პირნათლად ასრულებს ამ დავალებას.

კლასობრივი მტერი სხვა ნიღაბითაც გვევლინებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში ის თითქოს ერთგულებასაც იჩენდა, რომ ამით თვალი ახვია ჩვენთვის და თავისი ბნელი საქმე კი ეცოთებია. კითხვობ რომანს და ვახსენდება ამ. სტალინის ბრძნული სიტყვები.

ოსტროენოვის სახე — ეს მხატვრულ ენაზე გადატანაა, მხატვრულად გადმოცემაა ამ. სტალინის სიტყვებისა შენიღბული კლასობრივი მტრების შესახებ. რომ კელაკი ეხლა ისეთი აღარ არის, როგორც იყო წინად, როგორსაც მას პლაკატებზე ხატავდნენ (იარაღით ხელში და სხვ.). ოსტროენოვი კოლმეურნობის კრებაზე კოლმეურნობას „იკავს“, თავისიანებში კი მის წინააღმდეგ ლაპარაკობს. იგი შეურიგებელი მტერია საბჭოთა ხელისუფლებისა. რევოლუციამდე ის ფიქრობდა შვილის იუნკრთა სასწავლებელში მოცემას, მანქანების შექმნას, საეაქროს გახსნას. ოცნებობდა გამხდარიყო დიდი მემამულე, ჰქონოდა საკუთარი ავტომობილი. რევოლუციამ გააკამტერა ყველა მისი ფიქრი. და იგი რევოლუციის მტერია, მაგრამ მტერი, რომელიც არ იზივია, არ განაარაღებულა. იგი მოხერხებულად მუშაობს და ოცნებობს ძველი დროების დაბრუნებაზე. იგი წერია „მშობლიური დონის განმთავისუფლებელი კვშირი“-სა. რომელიც აჯანყებას ამხადებს. მას უნდა ფარულად აენოს ხელისუფლებას. მისი მოხერხებული პროვოკაციული მუშაობის წყალობით, პირუტყვი ნადგურდება. „უკეთესია, — ფიქრობს ის. — ეს ცხვრის ხორცი ეგერ იმ შავ ძაღლს ზიუტდოს, ესაუღ პოლოვეციის ფეხებში რომ ხარბად ლოკავს ცხვრის თბილ სისხლს, ვიდრე კოლმეურნობის ჯოგში შერეკოს თავისი ცხვარი, რათა მტრული ხელისუფლების გამოსაყვებად სუჭდებოდეს და მრავლდებოდეს“.

კლასობრივი მტერი სხვადასხვა ხერხს მიმართავდა, რომ გლეხობა თავის მხარეზე გადაეყვანა და ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნობები დაეშალა. გავიხსენოთ შინაური საქონლის განადგურება, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს მეურნობას. ათასგვარი საზიზღარი პროვოკაცია ეტყველებოდა, რომ მერყევი გლეხობის ნაწილი აემხედრებოდათ. შოლოხოვი რომანში ასახავს ყველა ამ მოვლენას, ფარდას ხდის კლასობრივი მტრის ყველა მანინაციას, პირძალას, ავითაციას ყველა საკითხში (თესლის არ შეგროვება, მიწის არ მოხვია, პირუტყვის არ მოვლა და სხვ.).

შოლოხოვი ბუნების აღწერის დიდი ოსტატია. ის არ იშურებს ფერებს ცოცხლად გადმოგვცეს ბუნება. შოლოხოვის ბუნება სულ სხვაგვარად გამოიყურება. აეტორს გამოჰყავს იგი ნეიტრალობიდან, თითქოს ისიც მეტროპოლია, ისიც „საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე“, როგორც შენიშნავს კელაკი ოსტროენოვი. გავიხსენოთ რომანიდან ერთი ადგილი. „კუნაქა“ გვიან დაითესა, ვეალვის გამო არ ამოდის, საჭიროა წვიმა. დავიდოვი ხშირად დადის და ათვალეირებს ნათესს. „მიწა სწრაფად ხმებოდა. აფუებულ მარცვალს, რაკი საზრდო აკლდა, არ შეეძლო წინაზარდის ზემოტანა. წინაზარდის წვეტიანი კილო, ნაწი და სუსტი, შეხუთული იყო გამომშრალი მიწის ბელტებით: სინათლეს ელტვოდა, მაგრამ არ შეეძლო გაემსქვალა სინესტეს მოკლებული მიწის ზედაპირი. დავიდოვი ჩამოხტებოდა, დაიოქებდა. მიწას ხელით სთხრიდა, ხელის გულზე შინჯავდა გათლოებულ მარცვალს და გული მწარე სინანულით ეცებოდა მიწაში ჩამარხულ უთვალავ მარცვლისადმი, ასეთის წამებით რომ მწეს ელტვოდა და დასალუ-

პაეად იყო განწირული აბრაზებდა საკუთარი ემწეობის შეგნება, საჭირო იყო წვიმა და მაშინ ყუბანური მწვანე ზავერდით დააფარავდა საულს. ზოლო წვიმა არსად იყო და ნახნავს ძლიერი გაძლუ სარეველა ერეოდა".

დავიდოვთან მიდის გლეხთა დელეგაცია თხოვნით, — ნება ფარმადე, რომ ხატებით და ბაიოალებით ილოკოს სოფელმა, რათა წვიმა მოვიდეს. აქ ავტორი ცხატეაწმუნე-აას, რელიგიას მეცნიერებას უპირისპირებს. „საჭიროა, პაპაჯან, მეცნიერების მიხედვით ვიმერწნეთ და არა ხუცების ლოცვა-კურთხევით“, — უპასუხებს მათ დავიდოვი.

მალე წვიმა მოდის. კუბანკა ამოდის. როგორ ზედება ამას ოსტროვენოვი? „იწინა-წარმეტყველა წვიმა უკბილო ეშმაკმა! ამოვა ყუბანურა! ღმერთიუ რომ ამ წყეული ზელისუფლებისაკენია! წინათ სულ გოლევა და მოუსაველობა იყოდა, ოცდაერთი წლი-დან ეს პირდაპირ გაუტეტველი პურებია! მთელი აუნებრეობა საბჭოთა ზელისუფლების მხარეზეა და ამა როდისღა ეღირსები მის მოსპობვს!“

რითა შესანიშნავი შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“? სწორედ იმით, რომ იქ ჩვენი სოფლის ცხოვრება, კლასთა ბრძოლა, პარტიის გენერალური ხაზი ასახულია მეტად სწორად, მეტად ოსტატურად. რომანში ეპოქის დოკუმენტია. მილიონიანმა გლეხობამ ზურგი შეაქცია მისწრაფებას კერძო საკუთრებისადმი და მტკიცედ შედგა ახალი ცხოვრების გზაზე. ავტორი არ იძლევა მხოლოდ განხეთქიდან ამოკრევილ ლოზუნგებს, საერაო ფრახებს (როგორც ეს სჩვევია ზოგიერთ მწერალს): იგი ეძლევა ცოცხალ სახეებს, ნამდვილ ტიპებს, სოფლის მუშაობის არსებით მხარეებს. ჩანს ავტორი არ ყოფილა მხოლოდ სტუმარი, ის კარგად იცნობს სოფელს, მის კირსა და ვარაშს, თავის გპირებთან ერთად მას განუცდია ეს ტყვიელები და მკითხველსაც განაცდევინებს მათ.

სიცოცხლე სქედს „გატეხილ ყამირში“. წიგნი იტაცებს. წიგნი მოქმედებს და მსკვალავს მკითხველს ენტუზიაზმით. წიგნი აღელვებს და მოუწოდებს ყველას მზად ყოფნისაკენ, რევოლუციური სიფხიზლისა და წინსვლისაკენ ახალი ცხოვრების გზაზე. „გატეხილი ყამირი“-ს გამოცემით სახელგამმა ძალზე კარგი საქმე გააკეთა.

ბრ. ნუსუბაძე.

## ბ. წამართლი „გულქან“. რომანი. სახელგამი, 1935 წ.

ბ. წერეთელს, მე-60 წლების ამ თვალსაზირო ბელეტრისტს, განსაკუთრებულ ადგილი უკავია ქართულ მწერლობაში. მან თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კურსი იღო აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგიებისაკენ. ზახვა ფულავა („პირველი ნაბიჯი“) და პეტრიელა კვესატე („გულქან“), თავის ნაწარმოებთა მთავარი მომქმედი პირები, მან განსაკუთრებული მიდგომით ასახა. ეს მომქმედი პირები ეპოქის ნაწარმოებისა და ავტორის გმირები არიან და ახალი ცხოვრების რიგებში დგანან. ისინი მართალია გლეხთა წრიდან გამოსული ხალხია, მაგრამ ბურჟუაზიული ცხოვრების გზით ეთიარდებიან.

ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის გარდამწყვეტი ბრძოლების პერიოდში ფეოდალური ტიპების გაწმინება, მათი ცხოვრების გამასხარავება და ბურჟუაზიული ტიპების აყვანა თავისი მზრუნველობის ქვეშ; ამ უკანასკნელთა გამოყვანა დადებით მომქმედ პირებად — თავის დროზე, განსაზღვრულ ეტაპზე წარმოადგენდა უფრო მაღალი საწარმოო ურთიერთობის დამყარებისათვის ბრძოლას.

ბ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შეფასების დროს ეს გარემოება უძველად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ამასთან მისი დამსახურება და თუნდა ნაკლები, იგი ბურჟუაზიული ურთიერთობის იქით არ იხედებოდა. მისთვის ბურჟუაზია

ული ერთიერთობა უმაღლესი მწვერვალი იყო. იგი ბურჟუაზიული ერთიერთობის განმტკიცებას ემსახურებოდა როგორც თავისი მხატვრული შემოქმედებით და პოლიტიკური წყობებით, ისე პრაქტიკული მუშაობით. მართალია, მის ბრძოლაში ხანებში თავის ჟურნალ „კვალში“ ლეგალური მარქსიზმის მიმდევრები შედიოდნენ, მაგრამ ეს სრულდებოდა არ ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს. ევროპის ბურჟუაზიის იდეოლოგებსაც აქვთ ლეგალურ მარქსიზმთან დამოკიდებულების ასეთი სტაფი.

„გულქანი“ ასეთივე მსოფლმხედველობით დაწერილი ნაწარმოებია. ავტორი აგრძელებს „პირველ ნაბიჯში“ აღებულ ხაზს და დიდი მშობლიური სოციალური იდეა პეტრიელა კევსაძის ტიპს. გ. წერეთელი პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც ახალ, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტ საზოგადოებრივ ძალას მემბრაბატრობა გაუწია და მისი იდეოლოგია იკისრა. დღევანდელი ეპოქისათვის იმ იდეებს, რომლებსაც გ. წერეთელი ემსახურებოდა, მხოლოდ და მხოლოდ რეაქციონერი შინაარსი აქვს, მაგრამ ყოველი მხატვრული ნაწარმოები უნდა დაფასდეს თავისი ეპოქის მიხედვით და იმის მიხედვით, თუ რამდენად ობიექტურად და სიმართლით არის ასახული ამ ეპოქის სინამდვილე. საზოგადოებრივ ძალთა განვითარების პროცესები იმ პერიოდში, როდესაც პროლეტარიატი ორგანიზაციულად დაიბნეული არ იყო ცხოვრების ასპარეზზე გამოხული, „გულქანი“ უძველესად სწორად არის გაგებული და მოცემული.

ერთის მხრით თავდაზნაურობა თავისი გარეგანილი ცხოვრებით, დეგენერაციის გზაზე დაქანებული, უსაქმური, პარაზიტი, მუქთაზორა, ხოლო მეორეს მხრით — პეტრეიანიზმი, რომლებიც იძენენ დოვლათს და სიმდიდრეს, — ამ სარეცენზიო ნაწარმოების ფონი. ამ ფონზე ავტორს გამოყვანილი ჰყავს ბევრი საინტერესო ტიპი როგორც თავდაზნაურობის, ისე გლეხობის, ინტელიგენციის, მოხელეობისა და სხვათა წრიდან.

რომანში მოხერხებულად არის ასახული იმ ეპოქის სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასისა და კლასებს შიგნით სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მომენტები. მარშლის არჩევნები, ხმების შოვნისათვის ბრძოლა, მსუბუქი ცხოვრებით გატაცება, ჭარჯისა და შემოსავლის შორის წინასწორობის დარღვევა, ვაღების აღება, ვაღებში მამულ-დედულის გაყოფა და სხვა ეპიზოდები ცოცხლად და საკმარის ოსტატობით არის მოცემული.

ეს ნაწარმოები, როგორც ცნობილია, ავტორს დაუსრულებელი დარჩა, ის მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ გამოქვეყნდა და ამიტომ რომანის მესამე ნაწილი ნედლი, დაუმუშავებელი მასალა უფროა, ვიდრე რომანის ორგანიზული დასასრული.

სარეცენზიო ნაწარმოებს წამძღვარებული აქვს მ. დედუჩაიას წინასიტყვაობა, რომელიც წარმოადგენს ტექსტის ისტორიას. ტექსტის დედანაც მთლიანად მის მიერ არის შეესებული და დადგენილი.

## ახალი წიგნები



„ნათობის“ რედაქციამ მიიღო სახელგამის ახალი გამოცემანი:  
გეგლირთუქა

### მხატვრული ლიტერატურა

- ბრ. მრბაღლიანი — ლექსები (მ. ზანდუკელის რედაქციით, შენიშვნებით და შესავალი წერილით).
- რაფ. მარისტაში — თხზულებანი. ტომი პირველი. ლექსები (მ. რადიანის რედაქციით, შენიშვნებით და შესავალი წერილით).
- „ნიგლეკა ნიგალშნებაზა“ (კ. ჭიჭინაძის თარგმანი).
- ბ. გოგოლი — რევიზორი (ვ. გუნიას თარგმანი).
- ბ. ბატონიშვილი — კალმასობა. ტომი პირველი. (კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით).
- ბ. ტაბიძე — თხზულებანი. ტომი მეორე. ლექსები (1917 — 34).
- ბ. კუჩუნიანი — თხზულებანი. ტომი პირველი. ლექსები.
- ბ. ნაპაშვილი — მოთხრობები.
- ბ. ზომლათელი — ლექსები და პოემები.

### „ფედერაცია“-ს ახალი გამოცემანი

- ა. შაბაძე — თხზულებანი. ტომი პირველი. გ. ყურულაშვილის საერთო რედაქციით და ვ. კოტეტიშვილის რედაქციით და შენიშვნებით).
- ბ. ნინოშვილი — თხზულებანი. ტომი მესამე. (ს. ხუნდაძის რედაქციით).
- ბ. ივლიანი — თხზულებანი. ტომი პირველი. ლექსები (მ. რადიანის რედაქციით და შესავალი წერილით).



# შინაარსი



მხატვრული ლიტერატურა ქართული  
ენციკლოპედია

|   |      |
|---|------|
| სიმონ ჩიქოვანი — დონბასის ლამე (ლექსი)                              | 83-3 |
| კონსტანტინე გამსახურდია — მთვარის მოტაცება (რომანი — გაგრძელება)    | 5    |
| გიორგი კაჭახიძე — ვაჟა (ლექსი)                                      | 34   |
| პანტელეიმონ ჩხიკვაძე — მურზაყან და დეშქელიანი (რომანი — გაგრძელება) | 36   |
| პეტრე სამსონიძე — მდინარეს (ლექსი)                                  | 69   |
| შალვა დადიანი — ურდუმე (რომანი — გაგრძელება)                        | 71   |
| რაჟდენ გვეტაძე — ლაშაური საღამოები (რომანი — დასასრული)             | 90   |
| მოსე გვასალია — ჯარისკაცი (მოთხრობა)                                | 104  |

## უცხოეთის ლიტერატურა

|  |     |
|--|-----|
| კატული — ლექსები (თარგმანი გივი გაჩეჩილაძის) | 115 |
|--|-----|

## ლიტერატურის ისტორია

|  |     |
|--|-----|
| ნ. ურუშაძე — ვაჟა-ფშაველა  | 119 |
| ლევან ასათიანი — ვაჟა-ფშაველა  | 151 |
| ვ. კაკაბაძე — ლავერენტი არდაზიანის შემოქმედების სოციალური საფუძვლები | 161 |

## ხელოვნებათმცოდნეობა

|   |     |
|---|-----|
| აღ. ჩავლეიშვილი — ლიტერატურული სახის პრობლემები | 171 |
|---|-----|

## წაკსულიდან

|   |     |
|---|-----|
| ი. მანხვეტაშვილი — ჩემი წარსულიდან (გაგრძელება) | 186 |
|---|-----|

## ნეკროლოგი

|                   |     |
|-------------------|-----|
| შ. რ. — ვ. რუხაძე | 213 |
|-------------------|-----|

## ბიბლიოგრაფია

|   |     |
|---|-----|
| გრ. ნუცუბიძე — მ. შოლოხოვი, გატეხილი ყამირი | 218 |
| მ. გ. — გ. წერეთელი, გულქან                 | 221 |
| ახალი წიგნები                               | 223 |